...ქართველო ბეჭეთია ბაჯაღლო ... შიგ ჩასმულ...
www.tbiliselebi.ge
ყოველკვ... №28(707) ...-20 ივლისი ... ფასი 1,50 ლარი



რატომ გააშვილა შვილი თვის ქალიშვილი გიორგი ქორქიამ სამი თვით და როგორ დაასისხლიანა ის მამალმა ქმაკაცის სოფელში

გვ. 18

როგორ გადაჭრა ახალდაბადებული შვილის ქიპლარი თორნიკე ყიფიანმა და წლების წინ დაწყებული რა პროცესი გრძელდება მეუღლეებს შორის

გვ. 75

გვ. 2

როგორ შევიდა ჯანეტ ქერდიყოშვილი მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების რეიტინგში და როგორ შეძლო მან დაავადების დამარცხება

გვ. 14

რატომ ჩააბარა ებრაელმა ბიზნესმენმა „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულ მარიამ კუზლაშვილს 300 ათასი დოლარი და ვინ ექცა მას ბარიერად

ISSN 1987-569X



გვ. 22

ვინ კეტავდა ოთახში მარტოს ირინა ონაშვილს და რაში ავარჯიშებდა მეუღლე ნათია დუმბაძეს



რა პარანორმალური ფაქტი დაფიქსირდა რუსთაველის თეატრში და დგას თუ არა ეს შენობა ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე

გვ. 37



რისი მონატრების გამო უჭირს სუნთქვა დიანა ღურწკაიას და სად გრძნობს ის თავს ყველაზე კომფორტულად

გვ. 79



გვ. 19

რატომ იყო ბოთე ბავშვი კობა ბარათელი და როგორ ჰპარავდა ის საკუთარ თავს საჭმელს

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

**მშვენიერ „მის საქართველოს“ ჯანეტ ქერდიყოშვილს, რომელიც ცოტა ხნის წინ ვებ-გვერდმა The Most Beautiful Women მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების რეიტინგში შეიყვანა, გარკვეული პერიოდის გატარება ჯერ ხარკოვში მოუწია, შემდეგ ჩეხეთში. ახლა ჯანეტი სანკტ-პეტერბურგშია, სრულიად გამოჯანმრთელებული და ახლო მომავალში თბილისში აპირებს ჩამოსვლას.**

# როგორ შევიდა ჯანეტ ქერდიყოშვილი მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალების რეიტინგში და როგორ შეძლო მან დაავადების დამარცხება

**ჯანეტ ქერდიყოშვილი:** ამჟამად სანკტ-პეტერბურგში ვარ. მანამდე, დედასთან ერთად ჩეხეთში ვიყავი. ძალიან ბევრი წამლის მიღება მომიწია და აუცილებელი იყო ორგანიზმის გაწმენდა, ამიტომ, წავედი კარლოვივარში, სადაც არაჩვეულებრივი სამკურნალო წყალია. თუმცა, არ მგონია, საირმე ჩამოუვარდებოდეს. იქ დაახლოებით სამი თვე ვიყავი, დედასთან ერთად ვისვენებდი და ვმკურნალობდი. ორი თვეა, რაც პეტერბურგში ვარ, ვისვენებ. უკეთ ვარ. ახლიდან გავიკეთე გამოკვლევები, ანალიზები, ღმერთის წყალობით, ყველაფერი წესრიგშია. უბრალოდ, ახლა მამას საქმეები აქვს აქ და მეც დავრჩი. თან, ჩემი ნათესავები მოვინახულე. ყველა გავახარე ჩემი აქ ყოფნით, რადგან „მის საქართველოს“ შემდეგ არავის ვუნახივარ. ყველასთან ვიყავი, ყველა მოვინახულე. ავად რომ ვიყავი, ჩემთვის ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლებოდა და სწორი კვებაც უნდა დამეცვა. ორგანიზმს ძალები, ენერგია სჭირდებოდა. ამიტომ, წონას დიდ ყურადღებას ვერ ვაქცევდი და მოვიმატე. ახლა, რომ გავიგე, ყველაფერი წესრიგში მაქვს, ძალები მოვიკრიბე და ჩავდექი ფორმაში: გამხდარი და გალამაზებული ჯანეტი ჩამოვალ თბილისში.

**– ახალ ფოტოებში ძალიან კარგად გამოიყურები. კიდევ უფრო გალამაზებული ხარ. ერთ-ერთ ფოტოში თავზე გვირგვინით პოზირებ, რა ფოტოა?**

– „დოლჩე გაბანას“ მაღაზიაშია გადაღებული. რაღაცეებს ვიზომავდი და დავინახე კაბა, რომელიც ძალიან ლამაზ მანეკენს ეცვა – ექსკლუზიური კაბა იყო, წითელი ხალიჩისთვის შექმნილი, იტალიური, ზომა – 28, 10 ათასი ევრო ღირდა. კონსულტანტმა გოგონამ მითხრა: არავის სცმია და გვაჩვენეთ, როგორ გექნებათო. ჩავიცვი, პოზიორობა დავიწყე. იმ გოგომ მითხრა: ძალიან ჰგავხარ დედოფალსო და გვირგვინიც მომიტანა. დამიმაგრეს თავზე და მერე ვთქვი, რომ „მის საქართველო“ ვიყავი. ისეთი კარგი კაბა იყო, გული დამწყდა, რომ ვერ ვიყიდე. ვხუმრობდი: პრინცს დაველოდები და ის მიყიდის-მეთქი.

**– მახსოვს, თავიდან ხარკოვში დაიწყე მკურნალობა.**

– კი, ხარკოვში ვიყავი, საიდანაც მოსკოვში მივფრინავდი და უცებ გავხდი ცუდად. აღარ გამიშვეს ექიმებმა, მკურნალობის კურსი მქონდა ჩასატარებელი და ასე ვთქვათ: ჩავრჩი ხარკოვში. იქ რომ მოვრჩი მკურნალობის კურსი, რეაბილიტაციისთვის წავედი ჩეხეთში. იქ სასტუმროში ვცხოვრობდი როგორც ტურისტი და სხვადასხვა ადგილას ბევრს დავდიოდი ფეხით. დედიკოც ჩემთან ერთად იყო. იქიდან წავედით ავსტრიაში, ვენა დავალთვალიერე, შემდეგ ვიყავი ნიურნბერგში, ლონდონში.

**– ევროპული არდადეგები მოიწყვე...**

– კი, ასე გამოდის. როცა არაფერს აპირებ, მერე კი, უცებ რაღაც ხდება და კარგად მთავრდება, ხვდები: ზოგი ჭირი – მარგებელია. მთავარია, ამ ყველაფერს როგორ მიუდგები. თავიდან ძალიან დავღონდი, წინ იმდენი გეგმა მქონდა... იმის მაგივრად, „მის უნივერსის“ სცენაზე გავსულიყავი, საავადმყოფოში ვიწექი – ეს ჩემთვის მორალურად ძალიან მძიმე პერიოდი იყო. მერე მივხვდი: აზრი არ ჰქონდა ნერვიულობას, საკუთარი თავისთვის უნდა მეთქვა: ჯანეტ, ასე არ შეიძლება, უარესად გახდები! შეიძლება, რაღაც გჭირდეს, მაგრამ, როცა ოპტიმისტურად ხარ განწყობილი, ეს უფრო მეტ ძალას გმატებს. ანუ, ასეთ დროს მნიშვნელოვანია, როგორ უყურებ ამა თუ იმ სირთულეს. „მის უნივერსზე“ სამჯერ ვაპირებდი წასვლას და არც ერთხელ არ გამოვიდა. ახლა ვფიქრობ: იამ მეოთხედ რომ მითხრას: ხომ არ წახვალო, რას ვიზამ?! მეშინია, რამე არ მომივიდეს. ისეთი რაღაც ხდება ხოლმე, რომ ხელს მიშლის იქ წასვლაში. შეიძლება, უნდა წავიდე და იქ რამე სერიოზული მოხდეს, რაც ჩემს ცხოვრებას შეცვლის. სხვადასხვა შემოთავაზება მაქვს, მაგრამ უკვე ველარ ვიღებ ხმას, მეშინია. ჯანმრთელობის მხრივ არაფერი მოხდება, რადგან უკვე კარგად ვარ, მაგრამ სხვა რამ არ მოხდეს. სიმართლეს გეტყვი და შეშინებული ვარ. თან, ცოტა ცრუმორწმუნეც ვარ. რომ ამბობენ „თვალი აიღოო“, მართლა ადვილად ვიღებ თვალს. ადრე ვფიქრობდი: ასეთი ძლიერიც არ ვარ, ეს არ შემიძლია... მაგრამ, ჩემი დაიკოს ამბავი რომ მოხდა, 40 დღეც არ იყო გასული, კონკურსზე წასვლა მომიწია. იქ



**იქ ღამეებს ტირილში ვათენებდი. ვოცნებობდი სახლში დაბრუნებაზე, რომ ნორმალურად მეტირა. იქ შენი ემოციები არავის სჭირდებოდა**

რომ ჩავედი, მერე ვფიქრობდი: მე ეს შევძელი, ეს გავაკეთე. იქ ღამეებს ტირილში ვათენებდი, ვოცნებობდი სახლში დაბრუნებაზე, რომ ნორმალურად მეტირა. იქ შენი ემოციები არავის სჭირდებოდა. მერე, რომ ჩამოვედი დედაჩემს, რომელიც ძალიან ცუდად იყო, მხარში დავუდექი. სიახლეებს, კარგ რაღაცეებს ვაჩვენებდი, რომ ცოტათი მაინც გადაეტანა ყურადღება და საბოლოოდ, ამის გაკეთებაც შევძელი. რა თქმა უნდა, ის დიდი ტკივილი არასდროს წავა ჩვენგან, მაგრამ ჩემი პატარა წარმატებებით დედიკოს გულს რომ ვუხარებდი, ესეც მნიშვნელოვანი იყო. ვერ ვიტყვი, რომ დედა ამის გამო გამხიარულდა, რადგან, არ მგონია, ოდესმე კიდევ იყოს მხიარული, მაგრამ ამით ცხოვრებას უფრო ვუადვილებდი. მერე, მე რომ გავხდი ცუდად, ძალიან ცუდ სიტუაციაში ჩავვარდით. მაგრამ, ყველაფერი სხვანაირად მივიღე, ვიფიქრე: ალბათ, ასეა საჭირო. მე მჯერა ბედისწერის და ვფიქრობ: ასე უნდა მომხდარიყო, არ უნდა წავსულიყავი არც „ვიაგრას“ და არც სილამაზის კონკურსებზე. და ამ დროს ვცდილობდი, პოზიტიური განწყობა მქონოდა, რომ დედას ძალიან არ ენერვიულა. ახლა მიხარია, რომ აღარაფერი მჭირს, წამლებსაც არ ვსვამ. როგორც ამიხსნეს: ეს ყველაფერი ბევრი სტრესისა და გადაღლილობისგან იყო გამოწვეული.

**– მანდ რამე საქმე ხომ არ დაიწყე?**

– არა, ჯერჯერობით არაფერი დამიწყია. „მეხუთე არხიდან“ იყო შემოთავაზება ტელეწამყვანის ადგილზე, მანამდე რაღაც კურსებიც უნდა გამევლო. მაგრამ არ მივედი. რომ დავფიქრდი, მივხვდი: აქ თუ დავიწყებდი მუშაობას, თბილისში ვერ ჩამოვიდოდი რაღაც პერიოდი. ამიტომ, უარი ვთქვი: ეს მე დიდად არ მჭირდება. კიდევ იყო ერთი შემოთავაზება, უკრაინული არხიდან – CTB, მომწერეს, რომ მონაწილეობა მიმეღო რეალითი შოუში. აქ ძალიან პოპულარული შოუა „ХОЛОСТЯК“, სადაც ერთი წარმატებული, მდიდარი ბიჭი პრინციპით ირჩევს გოგონებს და იქიდან ერთი უნდა გახდეს მისი ცოლი. მოკლედ, დიდი ამბავია ამ შოუზე. ყველა მას უყურებს რუსეთში და უკრაინაში. მოკლედ, ამ არხის ქასთინგ-მენეჯერმა მომწერა: ახალ შოუს ვაკეთებთ, ოღონდ მთავარი გმირი უკვე გოგონა იქნება, რომელიც პრინცს ეძებს და გვინდა, ეს გოგონა შენ იყო. შენ ირგვლივ კი ბევრი ლამაზი, ახალგაზრდა პრინცი იქნებაო. ბოლოს ერთს აარჩევ, უცხოეთში იქნება გადაღებები და ყველაფერს ჩვენ უზრუნველვყოფთო. რაღაც საინტერესო კი არის, მაგრამ უფრო უარი ვუთხარი, ვიდრე თანხმობა. თან, ჩემს საქართველოშიც ბევრი კარგი პრინცია და მირჩევნია, აქ მოვძებნო, ვიდრე უკრაინაში. სულ ვამბობ: თუ გავთხოვდები, აუცილებლად ქართველი იქნება-მეთქი.

**– გამოჩნდა უკვე შენი პრინცი?**

– ბევრი კარგი ბიჭია, წესიერი ოჯახებიდან, მაგრამ მე ჯერ რაღაც სხვანაირად ვარ. ცუდად ყოფნის პერიოდში ბევრი ადამიანი სხვანაირად დავინახე, კარგის მხრივ – ეს ძალიან დასაფასებელია.

**– როგორი უნდა იყოს შენი პრინცი?**

– ნამდვილი პრინცი უნდა იყოს. მთავარია, იყოს კარგი ადამიანი, კეთილი, მამაცი, მამაკაცურად აზროვნებდეს. კიდევ, ჩვენებურად, ქართულად აზროვნებდეს. თუნდაც, რომ ამბობენ, აზიატურად აზროვნებსო – მე ეს მომწონს. ეს ჩვენი, ქართული ტრადიციების ხიბლია და ამით განვსხვავდებით სხვა ერებისგან. მოკლედ, ქართველი პრინცი უნდა იყოს.

**– ცოტა ხნის წინ The Most Beautiful Women-ის გვერდზე მსოფლიოს ლამაზი ქალების სიაში მოხვდი: შენ შესახებ გარკვეული ინფორმაცია და ფოტოებიც განათავსეს. ალბათ, ეს შენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.**

– მეგობრებმა მითხრეს ამის შესახებ და მერე მეც დავინტერესდი. ძალიან გამიხარდა, რომ ასეთმა ცნობილმა ვებ-გვერდმა დაწერა ჩემ შესახებ. როგორც მივხვდი, ისინი ყოველწლიურად აკეთებენ რეიტინგებს და რომ ვნახე, ამ სიაში ძალიან ბევრი უკრაინელი და რუსი გოგონაა. ოღონდ არ იყო არც „მის რუსეთი“ და არც „მის უკრაინა“, მოდელები, ან წამყვანები იყვნენ. ქართველებიდან მხოლოდ მე ვიყავი და ძალიან გამიხარდა. იქ ეწერა, რომ მე საქართველოდან ვარ და სწორედ ის გამიხარდა, რომ ჩვენი პატარა საქართველოს სახელი დაფიქსირდა. კარგია, როცა მსოფლიო გაღიარებს, მაგრამ მე მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში ვიყო კარგად, წარმატებული და აქ ვუყვარდე ჩემს ხალხს.

**ნათია უტიაშვილი**

# თმის ცვენის განკურნების სასწაულებრივი შედეგი თბილისში

## ინგა ნიჟარაძის 3 სეანსი თქვენი თმის აღსადგენად!




**სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრი „მედალპია“, რომელიც ფიტოთერაპევტ ინგა ნიჟარაძის სახელს უკავშირდება, ჩვენი საზოგადოებისა და მკითხველისთვის უკვე საკმაოდ ცნობილია. სულ ახლახან ქალბატონმა ინგამ საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ ერთი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა და ბრიუსელში გამართულ მსოფლიო კონგრესზე (ESQR) უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა. თუმცა, ქალბატონ ინგას მკითხველი უმეტესად ძვლის, ხრტილოვანი სტრუქტურისა და მყესების სპეციალისტად იცნობს, ამჯერად კი ის კიდევ ერთ, თითქმის სასწაულებრივ შედეგს აღწევს დაზიანებული თმის აღდგენისა და სიმელოტის წინააღმდეგ. მისი სეანსების შემდეგ, თქვენთვის უკვე აღარ წარმოადგენს პრობლემას დამწვარი თმა, თმის ცვენა და თმის მოვლასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები.**

თმის ცვენის შეჩერებასა და დაზიანებული თმის აღდგენას ინგა ნიჟარაძის უნიკალური სეანსის 3 პროცედურა სჭირდება. როგორია მისი მეთოდი: ყოველ მეოთხე დღეს პაციენტს ის მალამოს თმაში შეაზელს და 36 საათის განმავლობაში უნდა გაიჩეროს. როგორც იცით, თმას განსაკუთრებით აზიანებს შეღებვა, ქლორიანი წყალი და თმის საშრობით დავარცხნა. „მედალპიას” მალამო სრულიად აღადგენს დაზიანებულ თმას და მას 3 პროცედურის მერე, განსაკუთრებულ ბზინვარებას აძლევს. დაზიანებული თმის მკურნალობისას, ყოველი შეღებვის შემდეგ, სასურველია, ერთი წლის განმავლობაში მოხდეს სამკურნალო ნიღბის პროცედურის განმეორება. „მედალპიაში“ ასევე, ხდება დაზიანებული წარბისა და წამწამის აღდგენა, ბუნებრივი გახშირება-დაგრძელება. „მედალპიაში“ ხანგრძლივი ექსპერიმენტის შედეგად, ასევე უნიკალური, სიმელოტის მკურნალობის მეთოდი დაინერგა. ამ მეთოდს უკვე ჰყავს ათეულობით მადლიერი პაციენტი არა მხოლოდ უცხოეთში, ლონდონსა და დუბაიში, არამედ თბილისშიც. თუ თმის ცვენა ახალი დაწყებულია, მაშინ ცვენის შეჩერებასა და ახლის ამოსვლას 3 პროცედურაც უზრუნველყოფს, ხოლო უკვე დიდი ხნის სიმელოტის მკურნალობა 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობს. შედეგი თმის ბოლქვის აღდგენის, ადამიანის სხეულის გამოუყენებელი რესურსის აქტივაციის ხარჯზე მიიღწევა. სიმელოტის დროს თმის ბოლქვის გარქოვანება ხდება, რასაც იწვევს წვრილი სისხლძარღვოვანი სისტემის გამტარიანობის დარღვევა. ინგა ნიჟარაძის მეთოდი მოიცავს მალამოს, რომელიც, უპირველესად, სწორედ ამ გამტარიანობას აღადგენს, რის შედეგადაც, მიიღწევა ბოლქვების გაჯანსაღება. ნაწილობრივი სიმელოტის აღდგენისთვის საკმარისია 3-თვიანი მკურნალობა, რომელიც დაახლოებით 25 პროცედურას მოიცავს. სრული სიმელოტის შემთხვევაში, სამკურნალო ფართობის მოცულობის გამო, შედეგი 4-დან 6 თვემდე მიიღწევა. ასევე, ინგა ნიჟარაძის „ჯადოსნური ხელების“ წყალობით, სულ რამდენიმე სეანსში შესაძლებელია, სახის ოვალის აღდგენა. გარკვეული ასაკის შემდეგ ადამიანებს, განსაკუთრებით კი ქალებს, მწვავედ აწუხებთ სახის ოვალის პრობლემა, რადგან სწორედ ის არის ასაკში შესვლის პირველი ნიშანი. ყველასთვის ცნობილი ბრენდები ამ პრობლემის სამკურნალოდ მხოლოდ კანსა და მის სტრუქტურაზე მუშაობენ. მაშინ, როცა ფიტოთერაპევტ ინგა ნიჟარაძის მეთოდი კუნთის აღდგენაზეა ორიენტირებული. მისი მეთოდით, მალამო ამუშავებს კუნთებს და სწორედ ამის ბაზაზე აღადგენს ოვალს, ნაოჭების ალაგება კი თავისთავად ხდება. სახის ოვალის აღდგენა 10-15 წლით აახალგაზრდავებს ადამიანს. ასე რომ, იჩქარეთ და ასაკის მატების გამო, სახის კანისა და ოვალის დარღვევები, სიმელოტე და თმის ცვენის პრობლემები, წარსულს ჩააბარეთ!




**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალი. კორპუსი №14**
**მობ.: 599 077-000**
**ვებ-გვერდი: www.medalpia.ge**

**ეკა ნაკაიძე**

# მუქთად მჭამელები ანუ მაძღართა სოლიდარობა

**პრემიერ-მინისტრის ინიციატივით სოლიდარობის ფონდი შეიქმნა**, რომლის **მიზანია საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობით ფინანსური რესურსების მობილიზება და სოციალური საჭიროებების დასაფინანსებლად მიმართვა.**

იმის გათვალისწინებით, რომ **სოციალური სოლიდარობა დემოკრატიის სავიზიტო ბარათი და ცივილიზაციის მონაპოვარია,** ბუნებრივია, რომ **პირველი პირის ინციატივა** არა მხოლოდ აქტუალური, **აუცილებელია** (რადგან **ჩვენებური ჩინოვნიკები ვერა და ვერ გავაცდინეთ პათოსს: „ჯერ თავო და თავოო“).**

ამ თუ სხვა მიზეზთა გამო, **მთავრობის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა სოლიდარობის ფონდში ხელფასიდან ყოველთვიურად თანხის შეტანის სურვილი გამოთქვეს** (არ გამოთქვამდნენ და მათი აჯობებდა – ). მეტიც, როგორც გვაუწყეს, **თანხას ყოველთვიურად ეკონომიკური და კრიზისების მართვის საბჭოების წევრებიც გაიღებენ.**



ალმოჩნდა, რომ, **თუკი სოლიდარობის ფონდში ყოველთვიური შენატანი 170 000 ლარს მიაღწევს**, 18 წლამდე **ონკოჰემატოლოგიური პაციენტების მკურნალობის პრობლემა გადაიჭრება**, **ყოველთვიური 1 400 000-ლარიანი შემოსავლის შემთხვევაში** კი **ონკოლოგიური სერვისით ზრდასრულ მოსახლეობასაც სრულად უზრუნველყოფენ.**

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ **მარეგულირებელი კომისიების წევრთა წლიური შემოსავლები**, მინიმუმ, **მეოთხედი მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს** (და ძალიან მეეჭვება, ეს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ადეკვატური ანაზღაურება იყოს), **მოუთმენლად დაველოდები მათ შენატანებს სოლიდარობის ფონდში,** მანამდე კი, **არც მთავრობას აწყენდა იმის დათვლა, რამდენ ბავშვს გადაარჩენდა ბიუჯეტის ამ მუქთად მჭამელების რაოდენობის განახევრება** (აღარაფერს ვამბობ მათთვის გონივრული ოდენობის ხელფასების დაწესებაზე).

# უფლებებისგან განძარცული ანუ სათადარიგო

თუმცა **იმთავითვე ვიცოდით, რომ ამ ჩვენს პრეზიდენტს სრულიად სიმბოლური დატვირთვა ექნებოდა**, ვინაიდან **წინა პრეზიდენტს თავისად პრემიერ-მინისტრის პოსტი ჰქონდა შეგულებული**, მაგრამ **ახლებმა პრემიერ-მინისტრის გაზრდილი უფლებებიც შეირგეს** და **პრეზიდენტი თანდათან განძარცვეს** უფლებებისგან.

მაგალითად, **გასულ კვირას** პრეზიდენტს სახელისუფლო სპეციალური **კავშირგაბმულობის სააგენტოს უფროსის დანიშვნის უფლებაც ჩამოართვეს** და, **თუკი აქამომდე სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავდა** და კიდეც **ათავისუფლებდა საქართველოს პრეზიდენტი**, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის წარდგინებით, **მთავრობის დადგენილებით, ახალი სააგენტოს უფროსს თანამდებობაზე დანიშნავს და გაათავისუფლებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი**, ოღონდ, **პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით**.



პოსტი საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან **სააგენტოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა ევალება** (თუ, რასაკვირველია, ამ ტექნოლოგიების ეპოქაში რამის დაცვის თავი გვაქვს – ), ასევე, **სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისა და სახელისუფლებო სტრუქტურების დახურული კავშირგაბმულობის სისტემით უზრუნველყოფა**.

თუმცა, რადგან, **როცა ერთი კარი იხურება, თუ მთლად მეორე კარი არა, სარკმელიც მაინც იღება**, უკვე გადაწყდა, რომ **პრეზიდენტი ქვეყანას უელსის „ნატოს“ სამიტზე წარადგენს**, ხოლო, **თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, ეს პატივი ბ-ნ მარგველაშვილს იმიტომაც ერგო,** რომ უელსის სამიტზე **მთლად „მაფსაც“ არ უნდა ველოდოთ:** ოდენ **„გაძლიერებული თანამშრომლობის პროგრამის“ იმედი უნდა ვიქონიოთ ალიანსისგან**. აქედან გამომდინარე კი, **სავარაუდოა, რომ ფუნქციები მეტად რაციონალურად გადანაწილდა**: სასიამოვნო პროცედურებში პრემიერ-მინისტრი მიიღებს მონაწილეობას, ოდნავ უსიამოვნოში – პრეზიდენტი!


## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com

# უკან – სსრკ-სკენ!

## ნაბიჯით, იარ!

**„დუმელებმა“, რომლებსაც ამ ბოლო დროს თავებში ერთმანეთის მჯობი საკანონმდებლო ინიციატივები უმწიფდებათ, ტრადიციას არც გასულ კვირას უღალატეს**. ასე, მაგალითად, **დეპუტატ ვინმე** ევგენია **ფიოდოროვას აზრით, უცხ**



**ოეთში მცხოვრები ნათესავები რუსეთის ჭეშმარიტ მოქალაქეებს, რომლებიც სახელმწიფო თანამდებობებზე არიან, სუსტ წერტილად შეიძლება ექცეთ.**

ამიტომაც დეპუტატი ქალბატონი მოითხოვს, რომ **მათ, ვისი ნათესავებიც უცხოეთში ცხოვრობენ, რფ-ში ჩინოვნიკობა უნდა აეკრძალოთ („ვოტ ტაკ!“).**

შეგახსენებთ, რომ **რუსეთში უკვე მოქმედებს აკრძალვა, რის მიხედვითაც რუსეთელ ჩინოვნიკებსა და მათი ოჯახის წევრებს ეკრძალებათ უცხოეთის ბანკებში ანგარიშების ქონა**. ამას გარდა, **ერთი-ორჯერ იმის მცდელობაც ჰქონდათ, რომ ჩინოვნიკებისთვის უცხოეთში უძრავი ქონების შეძენა აეკრძალათ** (ჯერჯერობით არ გამოსდით!).

**„დუმელი“ ფიოდოროვა საკუთარ ინიციატივას შემდეგნაირი არგუმენტით ამყარებს:** „ასეთი აკრძალვა საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ სკანდალი, რომელიც **მალდივებზე აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ სახდუმის დეპუტატი სელეზნიოვის შვილის დაკავებას მოჰყვა. მსგავსი დაპატიმრებები ამერიკულ სპეცსამსახურებს შანტაჟის საშუალებას აძლევს**. შესაბამისად, **კადრების შერჩევისას უცხოეთში მცხოვრები ნათესავები უნდა განვიხილოთ, როგორც მოწყვლადობის ფაქტორი**.“

ჩვენ არ ვიცით, დაუჭერენ თუ არა ამ ინიციატივას მხარს რუსი კანონმდებლები, მაგრამ **ფრიად გაგვახარებდნენ, თუკი რფ-ის საზღვრებზე „რკინის ფარდებს“ ჩამოუშვებდნენ** და **იმის აქეთ მყოფებს სამუდამოდ დაგვივიწყებდნენ!**

# არ გაავარდეს?!

თუმცა **შეყრა** (რფ-ისა და ყირიმის) **ისეთი ჰარმონიული იყო, რომ თვით უკრაინის ხელისუფლება და სრულიად ცივილიზებული მსოფლიო მხოლოდ განცხადებებით,** ოღონდ, **შეშფოთებულით, შემოიფარგლა**, რაკი რფ **უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდინარე საომარ პროცესებში მთლად აშკარადაც ვერ ერევა,** მაგრამ **იცის, წარმატების შემთხვევაში, კიევი ყირიმსაც გადასწვდება,** როგორც ჩანს, **თადარიგი დაიჭირა და დანარჩენ სამყაროს აუწყა** ნომერ პირველი დიპლომატის – ლავროვის ბაგეებით, **რომ რუსეთი გამოიყენებს თავის ხელთ არსებულ ყველა ძალასა და საშუალებას, თუ უკრაინა ყირიმის დაბრუნებას მოინდომებს** (იმიტომ რომ, მიწები მხოლოდ რუსეთმა უნდა დაიბრუნოს!).



სახელდობრ, ბ-ნმა **ლავროვმა იტალიელ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა,** რომ **არავის ურჩევს ყირიმზე თავდასხმას,** რადგან „**ჩვენ გვაქვს ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინა, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი, როგორ უნდა ვიმოქმედოთ ასეთ შემთხვევაში** (და მერე რა, რომ ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინები სხვებსაც აქვთ?!).“

რაც შეეხება რუსულ დოქტრინას – 2009 წელს შეტანილი ცვლილებების მიხედვით, **რფ-ს აქვს უფლება, „გამოიყენოს ყველა მის ხელთ არსებული ძალა და საშუალება, ბირთვული იარაღის ჩათვლით –** .“ შესაბამისად, გამოდის, რომ **ამ ჩვენს უკრაინას ბირთვული იარაღით დაემუქრა.**

მეორე მხრივ, ჯერ ერთი, **უკრაინას ჩერნობილი აქვს გადატანილი** და, რაც მთავარია, **ის ბირთვული იარაღი რუსეთსაც დააზარალებს.** თუმცა, **რაკი ამ სამყაროში ვერავის ეწყობიან** (პოლიტიკური შეუთავსებლობა მაქვს მხედველობაში), ალბათ, **ოპტიმალური ვარიანტი იქნებოდა, თუ ბირთვული თამაშებით იმ რკინის ფარდის მიღმა გაერთობოდნენ,** დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირების მიზნით რომ აპირებენ ჩამოფარებას!

# დაწინაურებულები ანუ „მოგესალმებიან მოცეკვავე ოფოფები“

გასულ კვირას **სამხრეთ კავკასიაში „ნატოს“ გენმდივნის წარმომადგენელმა ბ-ნმა აპატურაიმ მოგვინახულა** და, როგორც გვაუწყეს, **ეს ამ პატივცემული ბატონის ბოლო ვიზიტი იყო უელსის სამიტამდე**. **აქ ნასაუბრევს კი ის სიტყვასიტყვით ჩაიტანს „ნატოს“ 28-ვე წევრთან** და, საბოლოოდ, **ჩამოყალიბდებიან, ოღონდ „მაფი“ არ იყოს და რაც საუკეთესოები გვაქვს, იმაზე უკეთესი მოგვცენ.**



როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განგვიმარტა, **უელსის სამიტზე ჩვენთვის მოსაცემი გეგმა ლაკონურად ასე შეიძლება გამოითქვას**: უფრო **მეტი „ნატო“ საქართველოში** და უფრო **მეტი საქართველო – „ნატოში“**. რაც მთავარია, **გათვალისწინებულია** კონკრეტული და მნიშვნელოვანი ელემენტები, მათ შორის, **საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდა.**

მართალია, ჯერჯერობით **უცნობია ამ გაძლიერებული თანამშრომლობის დეტალები**, ანუ, სახელდობრ, **რა ასპექტში უნდა მივეძალოთ თუ უნდა მოგვეძალონ,** მაგრამ, **სამაგიეროდ**, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში **სახელმწიფო მინისტრის, ბ-ნი პეტრიაშვილის განცხადებით, „ნატოს“ წევრობის გზაზე ასპირანტ ქვეყნებში საქართველო დაწინაურდება.**

ანუ, **„მოგესალმებიან მოცეკვავე ოფოფები“?!** –

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



ერთადერთი საფრთხე ბალტიისპირეთს ემუქრება იმიტომ, რომ ის არის „ნატოს“ წევრი და თუ რუსეთი ჩათვლის, რომ უკრაინის პროცესი გამოიწვევს „ნატოსთან“ ომს, ის დაიკავებს ბალტიისპირეთს, რადგან ეს უპირატესობას მოუტანს „ნატოსთან“

**რფ-ის მიერ ყირიმის მიერთების შემდეგ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების პირველმა პირებმა დაუფარავად განაცხადეს, რომ რუსეთისგან სამხედრო აგრესიას ელიან. ამის პარალელურად, თითქოს „ნატომაც“ დაიწყო ფიქრი თავისი წევრების უსაფრთხოების გაძლიერებაზე, თუმცა ჯერჯერობით რამე ქმედითი ღონისძიებები არ გაუტარებია. რამდენად რეალურია ოდესღაც საბჭოთა კავშირის, ამჟამად კი „ნატოს“ წევრ ქვეყნებზე რუსეთის თავდასხმა, რა შანსები აქვს რფ-„ნატოს“ სამხედრო დაპირისპირებას და აამოქმედებს თუ არა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რეალურად პრინციპს – „ყველა ერთისთვის“, – ამ კითხვებზე პასუხის გაცემას სამხედრო ექსპერტ გიორგი თავდგირიძესთან ერთად შევეცდებით.**

# რატომ ვერ ახერხებს „ნატოს“ სამხედრო მანქანა რუსეთის სამხედრო აგრესიისთვის მომზადებას და როგორ ემსგავსება შექმნილი დაძაბულობა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთვის არსებულ ვითარებას

**– გასულ კვირას ესტონეთის პრეზიდენტმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთი აპირებს მათზე თავდასხმას. აქვს საფუძველი მის შიშს და უნდა ჰქონდეს თუ არა ესტონეთს ჩრდილოატლანტიკელი პარტნიორების დახმარების მოლოდინი, როგორც ამას „ნატოს“ წესდების ცნობილი მუხლი ითვალისწინებს?**

– ესტონეთის პრეზიდენტის განცხადება გასაგებია, პოლიტიკოსები თავს იზღვევენ, ერთგვარ პოლიტიკურ დივიდენდებს აგროვებენ და გარკვეულწილად, ეს არის მომავალი საფრთხის პრევენცია. მაგრამ შევეცადოთ, ობიექტური შემფასებლების პოზიციიდან გავარკვიოთ, ემუქრება თუ არა ბალტიისპირეთს საფრთხე. ზოგადად ბალტიისპირეთს რუსეთისგან სამხედრო საფრთხე არ ემუქრება და გეტყვით რატომ: უკრაინის შემთხვევაში საფრთხე არსებობდა, იმიტომ რომ, რუსეთს ჰქონდა ინტერესი შავი ზღვის ფლოტის განთავსებასთან დაკავშირებით და ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა, რომელიც დაემუქრებოდა ყირიმში რუსეთის ფლოტის ყოფნას, რუსეთის მიერ აღიქმებოდა, როგორც სასიცოცხლო საფრთხე და რუსეთი იმოქმედებდა სამხედრო იარაღითაც, რომ ნებისმიერ ფასად შეენარჩუნებინა თავისი ფლოტი. შესაბამისად, უკრაინის თავზე რუსეთის მხრიდან სამხედრო საფრთხე დამოკლეს მახვილივით ეკიდა. ამდენად, უკრაინაში რუსეთმა გადადგა საკმაოდ წამგებიანი სტრატეგიული ნაბიჯი.

**– სტრატეგიულად წამგებიანი რატომ? მას უბრალოდ გამოაძევებდნენ შავი ზღვიდან, თუმცა მეორე საკითხია, რომ შავი ზღვა ჩაკეტილი ზღვაა და რუსეთის იქ ყოფნა უფრო პრესტიჟის საქმეა.**

– ზუსტად მაგას ვამბობ, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს მძიმე ტვირთია და რუსეთის სახელმწიფოს ამ ლუკმის გადაყლაპვა გაუჭირდება, მაგრამ, სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობს, ეს ლუკმა გადაყლაპოს. ყელზე დაადგება თუ არა, ეს მომავლის თემაა, მაგრამ მე იმის მაგალითად მოგიყვანეთ, რომ, მიუხედავად ფასისა, რუსეთმა ეს სამხედრო ქმედება განახორციელა. მართალია, ფართომასშტაბიან სამხედრო შეჯახებაში არ გადაიზარდა, მაგრამ ამან დასაბამი დაუდო რუსეთ-უკრაინის სამხედრო კონფრონტაციას, რომელიც მეტ-ნაკლები აქტიურობით გაგრძელდება და მისი დასრულება მხოლოდ ყოვლისმომცველი ზავის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ასეთი პრობლემები რუსეთს ბალტიისპირეთთან არ გააჩნია, თუ არ ჩავთვლით კალინინგრადის ოლქს, რომელთანაც რუსეთს სახმელეთო კავშირი აქვს ბელორუსიის მეშვეობით. ამდენად, ბალტიისპირეთის მიმართ რუსეთისთვის სტრატეგიული გამაღიზიანებელი არ არსებობს. მაგრამ, თუ უსაფრთხოების კონტექსტში შევხედავთ პრობლემას, რუსეთმა გამოიწვია ჯაჭვური რეაქცია. ყინული დაძრულია, გუნდა დაგორებულია და შეიძლება, ვისაუბროთ იმაზე, თუ რამდენად გადაიქცევა ის ზვავად, რომელიც ყველაფერს წალეკავს.

რუსეთმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა ყირიმის შესანარჩუნებლად და უკრაინის დასასუსტებლად, რაც გამოიხატება იმ მეამბოხეების დაფინანსებაში, რომლებსაც უკრაინელები ტერორისტებს უწოდებენ, რუსები – პატრიოტებს, მსოფლიო და ობიექტური დამკვირვებლები – არაფორმალურ სამხედრო დაჯგუფებას, რომლებიც ცდილობენ სეპარატისტული მიზნების მიღწევას. ეს შეიძლება, გადაიზარდოს რუსეთ-უკრაინის ფართომასშტაბიან ომში, როდესაც ევროპა იძულებული იქნება, დაიცვას თავისი უსაფრთხოება. ამ მომავალ საფრთხეს, რასაკვირველია, ხედავს რუსეთი და, რადგან დაპირისპირება არა ცივი, არამედ ცხელი ომის ფაზაშია, ის ქვეყნებს ყოფს თავის მომხრეებად და პოტენციალურ მოწინააღმდეგეებად. „ნატოს“ ყველა წევრი მისთვის პოტენციალური მოწინააღმდეგეა, იმიტომ რომ, ერთადერთი სამხედრო ბლოკი, რომელიც მას შეიძლება, დაუპირისპირდეს, არის „ნატო“.

**– ანუ ბალტიისპირეთისადმი პოტენციალური რუსული აგრესია შეიძლება, განვიხილოთ მხოლოდ რუსეთ-უკრაინის სამომავლო ომის კონტექსტში?**

– თავისთავად. მე თავიდანვე გითხარით, უახლოესი ერთი წლის განმავლობაში არ არსებობს საფრთხე, რომ რუსეთს მოუნდეს ბალტიისპირეთის დაბრუნება, ერთადერთი საფრთხე ბალტიისპირეთს ემუქრება იმიტომ, რომ ის არის „ნატოს“ წევრი. თუ რუსეთი ჩათვლის, რომ უკრაინის პროცესი გამოიწვევს „ნატოსთან“ ომს, ამ შემთხვევაში, პრევენციის სახით, ის აქტიურად იმოქმედებს და დაიკავებს ბალტიისპირეთს, რადგან, სტრატეგიული თვალსაზრისით, ეს მას უპირატესობას მოუტანს „ნატოს“ ბლოკთან მიმართებაში. „ნატო“ მოუმზადებელი დახვდება პირველ ფაზას, თუ რუსეთი დაიწყებს სამხედრო მოქმედებებს და შესაბამისად, რუსეთისთვის ბალტიისპირეთის დაკავება იქნება მარტივი.

**– რა გათვლით ეხმარება მაშინ რუსეთი უკრაინაში სეპარატისტებს? იმ ომის პროვოცირება უნდა, რომლის შედეგადაც ბალტიისპირეთს დაიკავებს?**

– მაგალითად, ჰიტლერს პოლონეთის მხოლოდ მცირე ნაწილის დაკავება უნდოდა და ხანმოკლე სამხედრო კამპანიის ჩატარება პოლონეთის წინააღმდეგ, მაგრამ მიიღო მეორე მსოფლიო ომი. ერთია, რა მიზნით იწყებ სამხედრო მოქმედებას და მეორე – შედეგად რას იღებ. რუსეთისთვის სეპარატისტების მხარდაჭერა არის რუსული მოქმედებების ლოგიკურობის დადასტურება: მან ყირიმში სამხედრო ბაზა კი არ დაიკავა, არამედ ყირიმის მოსახლეობის მოთხოვნით შევიდა ყირიმში. თუ ამ ლოგიკით ცდილობს რუსეთი თავისი მოქმედებების გამართლებას, მაშინ ამავე ლოგიკით მან მხარი უნდა დაუჭიროს რუსულენოვან მოსახლეობას, რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ითხოვს დამოუკიდებლობას. ანუ რუსეთი ამ თვალსაზრისით, თავისი დეკლარირებული პოლიტიკის მსხვერპლია. მეორე მხრივ, ყირიმი რომ მოინელოს, მან უნდა დაასუსტოს უკრაინის ხელისუფლება, რომ მათი მთავარი ყურადღება გადატანილი იყოს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის შენარჩუნებისკენ. რამდენიმე სტრატეგიული გათვლა აქვს რუსეთს, რამდენად გაამართლებს, სხვა თემაა, მაგრამ ლოგიკა რუსეთის ქმედებაში არის. რუსეთი იმიტომ უჭერს მხარს სეპარატისტებს, რომ მაქსიმალურად დაასუსტოს უკრაინის ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ხელისუფლება წარმატებით ართმევს თავს სამხედრო ოპერაციას, არავინ იცის, რამდენად შეძლებს უკრაინის ეკონომიკა, გაუძლოს ამ სამხედრო ოპერაციას.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ, თუკი უკრაინის ხელისუფლება წარმატებას მოიპოვებს სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, ის მოინდო-**


## მსოფლიოში ცნობილი, უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მას შეუძლია გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემა. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე და არაერთხელ.*



**ნინო მ-ძე** *(35 წლის):* ცხოვრებაში ყველაფერი მქონდა, მშობლებმა განათლებაც მომცეს, სახლიც მიყიდეს, სამსახურიც კარგი მქონდა. თუმცა, 33 წლამდე გაუთხოვარი დავრჩი, ვერა და ვერ ავაწყვე პირადი ცხოვრება; ხშირად ქორწილამდე მისული ურთიერთობა ჩაშლილა. თურმე, საგვარეულო წყევლა ყოფილა ყველაფრის მიზეზი, ამაში მას მერე დავრწმუნდი, რაც მივედი ქალბატონ ნათიასთან და ბედიც გამეხსნა – ერთი წლის მერე ჩემს თანამშრომელს გავყევი ცოლად. ახლა ბიჭს ველოდებით. ბედნიერი ოჯახი გვაქვს. ულრმესი მადლობა ამ ღვთისნიერ ქალბატონს.

**დოდო კ-შვილი** *(45 წლის, თბილისი):* ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვერ ვთხოვდებოდი, მას შემდეგ, რაც დაქალმა მიმიყვანა ნათიასთან, მან წამიკითხა ლოცვები, აურა გამისუფთავა, ბედიც გამეხსნა და ერთ წელიწადში გავთხოვდი. გამიკეთა დამცავი თილისმა, რომელიც მუდმივია. ახლა 2 შვილის დედა ვარ. ულრმესი მადლობა მას.

**ვახტანგ დ-ძე** *(60 წლის, საგარეჯო):* 3 წლის წინ დავქვრივდი, დარდმა ბოლო მომიღო, ჩამივარდა აწყობილი ბიზნესი. შვილები ამერიკაში მყავს. შემთხვევით „თბილისელებში“ ვნახე კოლხი ნათიას სტატია და მაშინვე მოვედი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ნელ-ნელა მისი ლოცვის შემდეგ ფეხზე წამოვდექი, ჩემს ასაკში ცოლი შევირთე, ბიზნესიც ავაწყვე... დიდ მადლობას ვუხდი მას.

**ნათია დ-ია** *(30 წლის, თბილისი):* ნაღველი მაწუხებდა, ჯანმრთელობის პრობლემას ოჯახურიც დაემატა, ქმარმა მიმატოვა – 20 წლის გოგონას გამო. დავრჩი 2 შვილით უმუშევარი, ცარიელ-ტარიელი. დაქალმა მიმიყვანა კოლხ ნათიასთან და როგორც კი თილისმა გამიკეთა, მას მერე დაიწყო პრობლემებმა მოგვარება, ქმარიც მალევე დამიბრუნდა *(იცინის).* ახლა ნიუ-იორკში ვარ და აქედან ვუკავშირდები ხოლმე ნათიას, როცა დახმარება მჭირდება.

***ანონიმურობა დაცულია.***

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

მებს ყირიმის დაბრუნებას?

– ეს უკრაინის ხელისუფლების ვალდებულებაა, როგორც კი სტაბილიზაცია მოხდება აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში, შემდგომი სამოქმედო არეალი არის ყირიმი.

**– მაგრამ ეს ხომ უკვე რუსეთ-უკრაინის ოფიციალური ომია?**

– ფორმალურად ასე გამოდის. პუტინი ვერ დააბრუნებს ყირიმს. შესაბამისად, მართალი ხართ, თუ უკრაინამ მიიღო გადაწყვეტილება, სამხედრო გზით დაიბრუნოს ყირიმი, ეს რუსეთ-უკრაინის ომია.

**– თქვით, რომ ყირიმისთვის რუსეთმა გამოიყენა რუსულენოვანი მოსახლეობა, ვიცით, რომ ბალტიისპირეთში საკმაოდ დიდი ოდენობით რუსულენოვანი მოსახლეობაა. ამ ფაქტორის გამოყენებას გამორიცხავთ რუსეთის მიერ არეულობის შესატანად ლიტვა-ლატვია-ესტონეთში? იმავე პრობლემებს ვერ შეუქმნის, რასაც უკრაინას უქმნის სამხრეთ-აღმოსავლეთში?**

– როდესაც რომელიმე ქვეყანაში სეპარატისტული პრობლემა ჩნდება, ეს ავტომატურ რეჟიმში არ იწვევს მეზობელ ქვეყანასთან ომს. ბოლოს და ბოლოს, ვინ ჰკითხავს რუსეთს, რა ხდება მეზობელ ქვეყანაში?!

**– რა ვიცი, აბა, იტყვის, მომმართეს, მიშველეთო.**

– მივყვეთ ლოგიკას: მე ვლაპარაკობ სავარაუდო სცენარებზე. გეუბნებით, რომ რუსეთი არ იტყვის ამას, თუ არ იქნება დარწმუნებული, რომ „ნატოსთან“ ომი გარდაუვალია. სხვა შემთხვევაში რუსეთი ბალტიისპირეთის წინააღმდეგ სამხედრო ინტერვენციას არ დაიწყებს.

**– რას ნიშნავს – გარდაუვალი ომი „ნატოსთან“? რა შეიძლება, იყოს ამის წინაპირობა რუსეთისთვის?**

– როდესაც მოახსენებენ მთავარსარდალ პუტინს, რომ „ნატო“ ემზადება საბრძოლო მოქმედებებისთვის. ბევრი ინდიკატორია და ყველა ქვეყანას თავისი მეთოდოლოგია და სისტემა აქვს, მაგრამ როდესაც რუსეთის გენშტაბი მოახსენებს მთავარსარდალს, რომ ეს ომი შესაძლებელია და უმაღლესი მთავარსარდალი დაიჯერებს, რომ ეს ომი გარდაუვალია. სულ სხვა თემაა, რეალურად, მართლა აპირებდა თუ არა „ნატო“ სამხედრო ოპერაციის დაწყებას. ამდენად, ბალტიისპირეთს რუსეთის მხრიდან აგრესია დაემუქრება, თუ „ნატო“ თავისი აქტიურობით მისცემს ამის საბაბს რუსეთს ან რუსეთი „ნატოს“ მოქმედებებისგან დამოუკიდებლად ჩათვლის, რომ „ნატოსგან“ საფრთხე ემუქრება. ამ შემთხვევაში ბალტიისპირეთი რუსეთისთვის სამხედრო თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია.

რატომ იმოქმედებს რუსეთი ასე? იმიტომ რომ, კარგად იცის, რა მოხდა ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ. მეტს არაფერს აკეთებდა ევროპა, რომ თავისი სამხედრო პოტენციალი შეემცირებინა და დაესუსტებინა, რადგან მიაჩნდა, რომ სამხედრო საფრთხის ალბათობა ძალიან დაბალია და ამიტომ დღეს აღმოჩნდნენ თავიანთი ბეცი პოლიტიკის მსხვერპლნი.

**– იმის თქმა გინდათ, რომ დღეს რუსეთი უფრო ძლიერია სამხედრო თვალსაზრისით, ვიდრე ევროპა?**

– არა, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთი ძლიერია. პოტენციალი დღესაც კი ევროპის ქვეყნებს გაცილებით მაღალი აქვთ, მაგრამ ერთია, რომ თქვენ გყავთ ძლიერი არმია და მეორე – არის თუ არა მზად საბრძოლო ოპერაციების დასაწყებად ეს თქვენი ძლიერი არმია. შეიძლება, სუსტმა არმიამ ორ საათში შეძლოს საბრძოლო ოპერაციის დაწყება, მეორემ კი, 10-ჯერ ძლიერმა – ერთ წელიწადში. ცივი ომის პირობებში ისე იყო „ნატოს“ ძალები განლაგებული ევროპაში, რომ ითვალისწინებდა დაუყოვნებლივ რეაგირებას საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის ქვეყნების ქმედებებზე. დღეს ასეთი კონფიგურაცია ევროპას არ გააჩნია: მანქანის სამხედრო ელემენტი ძლიერია, მაგრამ რუსებთან კონფრონტაციისთვის ეს სამხედრო მანქანა მზად არ არის. შეუძლია, ერთი-ორ თვეში შექმნას ასეთი ძლიერი კონფიგურაცია, მაგრამ ეს რუსეთმა შეიძლება, აღიქვას, როგორც საფრთხე.

**– ანუ ვერც მოემზადება?**

– ეს გარედანაც გამოჩნდება და ჩვეულებრივი შეზღუდვის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ტარდება ქვედანაყოფების შემოწმება, რისი მონაწილე რუსეთიცაა და ამიტომ აქვს შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია. ამდენად, ნებისმიერი ცვლილება, ბიუჯეტის, სამხედროთა რაოდენობის გაზრდა თუ კონფიგურაციის შეცვლა, რუსეთმა შეიძლება, აღიქვას აგრესიად, ევროპას ეს არ უნდა და ამისთვის მზად არ არის. ამასთან, ეს არის დამატებითი ხარჯი, რისთვისაც, ევროპა, ასევე, არ არის მზად. თუმცა ევროპული და „ნატოს“ პოტენციალი გაცილებით ძლიერია, ვიდრე რუსული, მაგრამ რუსეთი მზად არის იმოქმედოს, ევროპა კი არ არის მზად. ფანტასტიკის სფეროა, რომ რუსეთი მოახერხებს ევროპის დაპყრობას, მაგრამ ფაქტია, რომ უდიდეს ზარალს მიაყენებს იმ ცივილიზაციას, რომელსაც ბოლო 20 წლის განმავლობაში აშენებს ევროპა. ამიტომ მიიჩნევს ბალტიისპირეთი, რომ დაუცველია. მათ იციან, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში ოკუპაცია გარანტირებულია და ამის საწინააღმდეგო არანაირი ბერკეტი ევროპას არ გააჩნია.

**– რუსეთმა უამრავი რამ შეიძლება, აღიქვას „ნატოს“ მხრიდან თავდასხმადო. ესე იგი, სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთად ჩათვალოს საქართველოსთვის გაძლიერებული პაკეტის მინიჭება? თუ თეორიულად ბალტიისპირეთთან ომი გარადუვალია, ჩვენთან ომში რა შეუშლის ხელს?**

– მე ძალიან მაკვირვებს ჩვენი ზოგიერთი პროდასავლური დეკლარირების ფიგურის ბეცი განცხადებები „ნატოში“ გაწევრიანება-არგაწევრიანების შესახებ. ვისაც ესმის უსაფრთხოების პრობლემატიკა, იცის, რომ ეს ახლა სუფთა ფორმალობაა. საქართველო ინტეგრირებულია ამ სივრცესთან, „ნატოს“ სისტემა მუშაობს არა მეხუთე პუნქტზე, როგორც ცივი ომის ან ბოლო 20 წლის განმავლობაში, არამედ ახლა ლაპარაკია საბრძოლო მოქმედებების დაწყება-არდაწყებაზე, სადაც საქართველოს როლი უზარმაზარია. ასე რომ, ფორმალობაა, ვინ სად იქნება გაწევრიანებული და ევროპა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველო არ დაიკავოს რუსეთმა, იმიტომ რომ, საქართველოს ან ბალტიისპირეთის კონფრონტაცია არის რუსეთსა და „ნატოს“ შორის პირდაპირი ომი და ამ ომის საბოლოო შედეგია რუსეთის განადგურება „ნატოს“ მხრიდან. ახლა არის ომის წინა პერიოდი, როდესაც საქართველო „ნატოს“ ბუნებრივი მოკავშირეა.

> **თუმცა ევროპული და „ნატოს“ სამხედრო პოტენციალი გაცილებით ძლიერია, ვიდრე რუსული. რუსეთი მზად არის იმოქმედოს, ევროპა კი არ არის მზად**

**– თუნდაც მთვარის მოყვარულთა კავშირის წევრი იყოს?**

– დიახ. ასევე, სასიამოვნო მოკავშირე იქნებოდა რუსეთისთვის საქართველო, უბრალოდ რუსეთს ისტორიულად არ აქვს გამოცდილება, ჰყავდეს მოკავშირე. ყველამ ვიცით, რომ არის რუსეთსა და ევროპას შორის სამხედრო მოქმედებების დაწყების უდიდესი საფრთხე და არავინ იცის, როგორ განვითარდება პოლიტიკური პროცესები. მეტიც, შესაძლოა, ამ დაპირისპირებაში „ნატოს“ წევრი რომელიმე ქვეყანა აღმოჩნდეს რუსეთის მხარეს და დღეს რუსეთის რომელიმე ერთგული ქვეყანა – „ნატოს“ მხარეს. ხელშეკრულებები კარგია, სანამ ზარბაზნები დაიწყებს სროლას. როდესაც ომი იწყება, ყველაფერი დამოკიდებულია იმწუთას შექმნილ პოლიტიკურ რეალობაზე.

**– ზარბაზნის გასროლის ალბათობა როგორია?**

– დღევანდელი გადასახედიდან, რუსეთი რეალურად აფასებს თავის სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს და უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ქმედებებს არ აპირებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ რაღაც მოულოდნელმა ფაქტორებმა გამოიწვიოს ემოციების უკიდურესად დაძაბვა. არავინ იცის, რა მოხდება, თუნდაც, 3 თვის შემდეგ.

**ნინო ხაჩიძე**



# შეკითხვა ექიმს

HAIRLINE INTERNATIONAL

*კითხვებზე პასუხობს „ჰეალაინის“ დერმატო-კოსმეტოლოგი მაკა დოლოზაშვილი.*



**კითხვა: ვარ 24 წლის მამაკაცი, ცხვირზე მაქვს ფერიმჭამელები. რა ლაბორატორიული კვლევები უნდა ჩავიტარო, რომ დავადგინო, რამ გამოიწვია ეს?**

**პასუხი**: ფერიმჭამელის, იგივე კომედონური აკნეს გამომწვევი მიზეზი არის ჰორმონული ფონითა და გენეტიკური წინასწარგანწყობით განპირობებული ცხიმის ჯირკვლების გაძლიერებული სეკრეცია. ტესტოსტერონის განსაზღვრა სისხლში საჭირო ხდება გოგონებში, კომედონური და ანთებადი აკნეს შემთხვევაში, ჰიპერანდროგენემიის (მამაკაცის სასქესო ჰორმონი) გამოსარიცხად. მამაკაცების შემთხვევაში, ფერიმჭამელის დიაგნოტიკა ლაბორატორიულ კვლევებს არ საჭიროებს. ფერიმჭამელა – ეს არის ჭარბი რაოდენობით ცხიმი და კერატინი, რომელიც გროვდება ცხიმის ჯირკვალში და მის გაფართოებას იწვევს. ცხიმი ჰაერთან შეხებისას იჟანგება და კანის ზედაპირზე შავი წერტილების სახით ჩანს. თუ სახეზე მხოლოდ შავი წერტილებია, საკმარისია კანის რეგულარული მოვლა სპეციალური დასაბანი საშუალებებით, აზელაინის მჟავას კრემით, პერიოდულად კოსმეტოლოგიური სახის გაწმენდით დერმატო-კოსმეტოლოგთან.

**კითხვა: რეკომენდებულია თუ არა ცხიმიანი ტიპის სახის კანის ანტიბაქტერიული საპნით ხშირად დაბანა? ანუ, დღეში რამდენჯერაა საჭირო?**

**პასუხი**: ცხიმიანი ტიპის კანის დასაბანად რეკომენდებულია ეგრეთ წოდებული მატიფანტი, ანტიბაქტერიული მოქმედებისა და სებომარეგულირებელი დასაბანი საშუალებები, რეგულარულად, დილა-საღამოს, ან მხოლოდ საღამოს ზამთარში. ის კანს კარგად ასუფთავებს და ჭარბ ცხიმსაც რბილად აშორებს, თუმცა, ამ საშუალების შემადგენლობაში საპონი არ უნდა შედიოდეს, რადგანაც საპნის რეგულარული გამოყენება კანის მუდმივი მჟავიანობის შემანარჩუნებელი, დამცავი მანტიის მოშორებას იწვევს, რაც შემდეგ კანს აზიანებს და აშრობს... შემდეგ კი, ცხიმის ჯირკვლები კომპენსაციისთვის უფრო მეტი ცხიმის გამომუშავებას იწყებს და კანის არასწორი მოვლის გამო, უკუშედეგს ვიღებთ.

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 230-00-30.**

**ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაცია აპირებს ევრაზიული კავშირის სახით ყოფილი საბჭოთა კავშირის აღორძინებას; მეორე მხრივ, თურქეთის მოქმედმა საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა საკმაოდ ხმამაღლა, რომ სხვა ქვეყნების საზღვრების დაურღვევლად აპირებენ ოსმალეთის იმპერიის ზეობის პერიოდში არსებულ ტერიტორიაზე გავლენის აღდგენას, ხოლო მესამე მხრივ, სულ უფრო და უფრო აქტიურდება ხალიფატის შექმნის იდეა – რომლის ტერიტორიაშიც, სხვებთან ერთად, ასევე, მოიაზრება საქართველო. საიდან მოდის ხალიფატის იდეა და რა საფრთხეებს უქმნის როგორც ჩვენს რეგიონს, ისე კონკრეტულად, ჩვენს ქვეყანას, – თემაზე კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი გვესაუბრება.**

# რატომ გაჩნდა ისლამური ხალიფატის შექმნის იდეა და რა დასაყრდენი აქვთ მათ საქართველოსა და კავკასიაში



**თუ ვინმეს დაავიწყდა, მინდა, შევახსენო, რომ ოსმალეთის იმპერია, როგორც იმპერია და სახელმწიფო, რუსეთის იმპერიამ დაანგრია. მეორე საკითხია, ახალ დაპირისპირებაში ვის მხარეს იდგებიან ქართველები**

**– რამდენად რეალურია ეს იდეები?**

– არ მგონია, რომ ასეთი ტიპის განცხადებები პიროვნული ამბიციების გამო კეთდებოდა მხოლოდ და მათ უკან არ იდგეს ამა თუ იმ ქვეყნის სპეცსამსახურების მზაკვრული ჩანაფიქრი. თუმცა, თუკი გამოუვათ, რატომაც არა?! მე ვფიქრობ, მას შემდეგ, რაც რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გაუჩნდა ამბიცია, საბჭოთა კავშირის ფარგლებში აღადგინოს თავისი გავლენის სფერო და ამას ევრაზიული კავშირი დაარქვას, საპირწონედ გაჩნდა ისლამური ხალიფატის შექმნის იდეა. მანამდე იყო ოსმალეთის იმპერიის აღდგენის იდეა და, თუ ვინმეს დაავიწყდა, მინდა, შევახსენო, რომ ოსმალეთის იმპერია, როგორც იმპერია და სახელმწიფო, რუსეთის იმპერიამ დაანგრია. მეორე საკითხია, ახალ დაპირისპირებაში ვის მხარეს იდგებიან ქართველები. თავის დროზე რუსეთის იმპერიის მხარეს იდგნენ და მინდა, შეგახსენოთ, რომ რუსეთ-თურქეთის ომში კავკასიის ფრონტი იყო გადამწყვეტი და კავკასიის ფრონტზე ქართველებმა არნახული თავგანწირვა და გმირობა გამოიჩინეს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ კავკასიის ფრონტზე დიდ წარმატებას მიაღწია მეფის რუსეთის ჯარმა და დაიწყო ოსმალეთის იმპერიის რღვევა. სხვა საკითხია, რომ მხოლოდ ვიომეთ, შემდეგ ველარ ვივაჭრეთ და ტერიტორიები ვერ დავიბრუნეთ. სამწუხაროდ, ჩვენ ეს არავინ აღარ გვკითხა. დღეს, როგორც ჩანს, სერიოზული ამბიცია აქვს ამ ორივე იმპერიას და თუ გონივრულად მოვიქცევით ამ ეტაპზე მაინც; თუ საერთაშორისო საზოგადოება, რომელიც პირდაპირ გეტყვით, ყურადღებით უსმენს ჩვენს ორგანიზაციას, დაგვიჯერებს, ამ ორი იმპერიის ამბიციებს ზოგადკავკასიური ერთიანობის იდეა უნდა დავუპირისპიროთ. რუსი ცდილობს თავისი იმპერიის აღდგენას, თურქი – თავისი იმპერიის აღდგენას და ქართველს რატომ არ აქვს უფლება, რომ თავისი იმპერია აღადგინოს?!

**– იმიტომ რომ, ქართველს ამის თავი არ აქვს, თურქს და რუსს კი აქვთ.**

– თავიც გვაქვს და შნოც, თუკი საერთაშორისო საზოგადოება ამ საკითხში მხარს დაგვიჭერს, ორივე სახელმწიფოს ამბიციებს ისე ჩავკეტავთ, რომ ერთ მეტრსაც ვერ გადმოვლენ. თუ ეს არავის უნდა და თუ უნდათ, რომ ან ერთი იმპერიის გაძლიერებით გადაფარონ მეორე იმპერიის ამბიციები, ან მეორე სახელმწიფოს დახმარებით გადაფარონ პირველი ამბიციები, მაშინ კეთილი ინებონ და ჩვენი პოლიტიკური ინტერესები და გეოპოლიტიკური ამბიციები გაითვალისწინონ. ორივე იდეა ერთად ვერანაირად ვერ იფუნქციონირებს და მით უმეტეს, მესამე – რადიკალური ისლამის ქვეშ გაერთიანებული ხალიფატი. ეს საერთოდ შემოგდებული თემა მგონია, რომელიც ვიღაცას უნდა, რომ დაუპირისპიროს ზოგადკავკასიური ერთიანობის იდეას. საერო ცნობიერების კავკასიელები, კავკასიის მორალური ლიდერები ზოგადკავკასიურ ერთიანობას ქადაგებენ, რაც ნიშნავს ევროკავშირის კავკასიურ ვარიანტს. როგორც ჩანს, ეს ვიღაცას არ მოსწონს და მაშინვე დაგვიპირისპირა ხალიფატის შექმნის იდეა და ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების თვალში ზოგადკავკასიური ერთიანობა გააიგივოს ისლამურ გაერთიანებასთან.

**– ხალიფატის იდეა, გასაგებია, რადიკალური ისლამისტური დაჯგუფებიდან მოდის, მაგრამ გეოგრაფიულად რომელ ქვეყნებთან ასოცირდება?**

– სირია-ლიბანთან. გეგმა ასეთი აქვთ: სირია-ლიბანის ტერიტრორიაზე შეიქმნება ხალიფატის ადმინისტრაციული ცენტრი, დაიწყება ბრძოლები, რომ დანარჩენი ქვეყნებიც შეუერთდნენ მას. შუა საუკუნეები არ არის, 100 000 ან 200 000-ანი ლაშქრით დაიძრან აქეთ, მაგრამ გავლენის სფერო, რა თქმა უნდა, შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისკენ გამავალ ზოლზე უნდათ. დაახლოებით იგივე ამბიცია აქვთ, რაც არაბ დამპყრობლებს ჰქონდათ თავის დროზე. კავკასიური გაერთიანება დაექვემდებარება სირია-ლიბანურ ხალიფატს და არავინ იცით, ვასალური იქნება ეს დამოკიდებულება თუ მეგობრული. ჯერ მხოლოდ იდეის დონეზე ლაპარაკობენ და მინდა, გითხრათ, რომ ძალიან ბევრი ავტორიტეტული სახე გამოჩნდა ამ იდეის პროპაგანდის უკან.

**– კერძოდ?**

– ჯერ თავს შევიკავებ სახელებისა და გვარების დასახელებისგან, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ქვეყნის სპეცსამსახურებს ეცოდინებათ მათი ვინაობა, მაგრამ ერთს ვიტყვი: ეს ის ხალხია, რომლებიც რუსეთ-ჩეჩნეთის პირველ ომში საკმაოდ აქტიურად იყვნენ ჩართულები რუსეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**– პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია, რომ რადიკალური ისლამური დაჯგუფებები აფინანსებენ სხვადასხვა ჯგუფს საქართველოში. მე არ ვიცი, რა პრევენციულ ღონისძიებებს ატარებს ჩვენი უშიშროების სამსახური, მაგრამ ჩვენთან ვისი სახით აქვს დასაყრდენი ხალიფატის იდეას? იდეა იდეად, მაგრამ თანამოაზრეებიც ხომ სჭირდებათ?**

– კავკასიაში საერთო ცნობიერების კავკასიელი უფრო მეტია, ვიდრე რადიკალური ისლამის მიმდევარი კავკასიელი და პირდაპირ გეტყვით, რომ აქ ამ იდეის ლობირება გაუჭირდებათ. მე არ ვლაპარაკობ ამ იდეის განხორციელებაზე. ამ იდეის განხორციელებას საქართ-

## რატომ ამჯობინა თავისი ცხოვრების ფოტოებით გაცნობა პროფესორმა ამირან მექვაბიშვილმა და ვის ამოიცნობთ მის წიგნში

ჩვენ გვერდით დადიან, ცხოვრობენ და მუშაობენ ადამიანები, რომლებიც ყურადღებას სამაგალითო კაცობით იპყრობენ, გარშემო მყოფებს პოზიტივით ავსებენ და ცდილობენ, ყველას გაულამაზონ არსებობა. სწორედ ასეთი ადამიანია ბატონი ამირან მექვაბიშვილი.




სულ ახლახან გამოიცა წიგნი, რომელიც უამრავ ფოტოს იტევს და პროფესორის, პირველ ყოვლისა კი, ღირსეული პიროვნების მთელ ცხოვრებას ასახავს. უფრო სწორად, მთელი მისი ცხოვრება ფოტომასალით არის მოთხრობილი და მკითხველისთვის ეს უფრო რეალურად აღსაქმელი და საინტერესოა, ვიდრე სიტყვებით გაჯერებული ფურცლები. როგორც თავად მატონი ამირანი ამბობს, ეს წიგნი-ფოტომატიანე შვილიშვილების, გიორგისა და თიკოს გაბედნიერებას და თბილისის ტურიზმის აკადემიის აღორძინებას მიუძღვნა.

წიგნი მართლაც ნამდვილი ფოტომატიანეა, სადაც იმ ადამიანებს შეხვდებით, რომლებმაც თავიანთი საქმეებით კეთილი კვალი დატოვეს და რომელთა ცხოვრება სამაგალითოა ნებისმიერი ჩვენგანისთვის.

ასე რომ, ამ წიგნში არა მარტო ბატონი ამირანის, არამედ ბევრი მისი ნაცნობ-მეგობრის ფოტოა მოთავსებული და, თუ მათ გვერდით თქვენი ახლობელი ადამიანიც ამოიცანით, მაშინ, საამაყო ნამდვილად გქონიათ.

**ნონა დათეშიძე**

ველოს მოსახლეობა ეწირება, თუ არ ვცდები, მეექვსე საუკუნიდან. ჩვენი ჯვარიც ეს არის და სირცხვილი დღევანდელ მსოფლიოს, რომ დღემდე ჩვენი მისია ვერ დაინახა კაცობრიობის ისტორიაში. დასავლეთში ისლამი ხომ მხოლოდ იმიტომ არ გავრცელდა, რომ ქართველი იდგა თავის სიმაღლეზე. კიდევ ერთხელ სირცხვილი მსოფლიოს მმართველებს, რადგან მათი ბუნდღა არ იქნებოდა, ჩვენი წინაპრები რომ ლაჩრები ყოფილიყვნენ და დღეს გვიწოდებენ ფუნდამენტალისტებს. იმას ვამბობდი, რომ საქართველოში ყველგან, სადაც ცხოვრობენ მუსლიმანები, არიან ვაჰაბიტებიც, ანუ რადიკალური ისლამის მიმდევრები და არიან საკმაოდ ბევრნი.

**– როგორც ქართველები, ისე ეთნიკურად არაქართველი საქართველოს მოქალაქეები?**

– როგორც ქართველები, ისე არაქართველები. მათ ამ ეტაპზე სუნიტები და შიიტები არ აღიარებენ, მაგრამ პირობას გაძლევთ, როგორც კი ვაჰაბიტებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირება დაიწყება და ეს გაპიარდება, როგორც ქრისტიანებისა და მუსლიმანების ბრძოლა, შიიტები და სუნიტები აუცილებლად ვაჰაბიტებთან გაერთიანდებიან. პირდაპირ ვიტყვი, რადგან საქართველოში ცხოვრობს 600 000-მდე სხვადასხვა მიმდინარეობის მუსლიმანი, პოტენციალურად მათ დასაყრდენი აქვთ. სხვა საკითხია, რომ კავკასიაში ბევრად მეტია საერო ცნობიერების კავკასიელი, ვიდრე რადიკალური ისლამის მიმდევარი. მეორე საკითხი: თუ დასაყრდენი არ იქნა შიგნიდან, ვერც ერთი ისლამური დაჯგუფება ვერ არევს გარედან სიტუაციას საქართველოსა და კავკასიაში – საქმე არევაზეა, რომ ჯერ ძალა გაჩვენონ და შემდეგ ივაჭრონ. ამიტომ, როდესაც ჩვენ ამ პრობლემის პრევენციას ვახდენთ, გარეთ უნდა ვეძებოთ მათი მხარდამჭერები და დამფინანსებლები; და მესამე საკითხი, რომელიც საკმაოდ სერიოზულია: უნდა გავერკვეთ, ვისი ინტერესია ეს.

**– როგორ?**

– უნდა დავაკონკრეტოთ, რომელ ქვეყნებს აქვს კავკასიაში დამკვიდრების ამბიცია; რომელი ქვეყნის სპეცსამსახურები მუშაობენ კავკასიაში თავიანთ აგენტურასთან და რომელი ქვეყნების სავარაუდო ინტერესია ხალიფატის იდეის ტირაჟირება როგორც კავკასიაში, ისე სირია-ლიბანში. ერთ ლირიკულ გადახვევას გავაკეთებ: ჩვენ ჩვენს სატკივარზე ვლაპარაკობთ, მაგრამ ჩვენზე დიდი საფრთხის წინაშეა შუა აზია და შუა აზიის რესპუბლიკებს ისეთი ამბები დაატყდება ძალიან მალე, დედა შვილს არ აიყვანს ხელში. განსხვავებით კავკასიისგან და ჩვენგან, შუა აზიაში პირდაპირ დაუჭერენ მხარს რადიკალურ ისლამურ დაჯგუფებებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში შუა აზიის რესპუბლიკების სპეცსამსახურებმა რადიკალური ისლამის მიმდევარი მეომრების ექვსი დაჯგუფება დააკავეს. იმასაც დავამატებ, რომ ჩვენს საზღვრებთან შემჩნეულია 10-კაციანი რადიკალური ისლამის მიმდევრების ჯგუფი, რომლებიც ცდილობენ საქართველოში გადმოსვლას. მოახერხებენ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ჩვენმა კავკასიელმა ძმებმა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ თბილისი არის კავკასიის დედაქალაქი და ის უნდა იყოს მშვიდობისა და სტაბილურობის ქალაქი, ისევე, როგორც საქართველო და კავკასია უნდა იყოს მშვიდობის ზონა, მოგვაწოდეს ეს ინფორმაცია და ისიც, რომ ამ ჯგუფში ერთი თუ ორი ქართველია აჭარიდან.

**– რა არის ამ ჯგუფის შემოსვლის მიზანი – დესტაბილიზაციის შემოტანა?**

– შემოსვლა ასე იოლი არ არის, უბრალოდ, რადგან ამ ჯგუფის შემოსვლა დროში ემთხვევა შუა აზიაში დაჯგუფებების დაკავებას და ევროპაში სირიაში ნაბრძოლი კავკასიელების დაბრუნებას, მიგვაჩნია, რომ ეს ერთიანი პროცესია.

**– რომელი ქვეყნის სპეცსამსახურის ინტერესი იკვეთება ამ ერთიან პროცესში?**

– ჩვენ გვაქვს ჩვენი მოსაზრება, მაგრამ ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. რადგან საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არა მარტო საქართველოს, კავკასიის ყველა პერიმეტრი ჩვენი დასაცავი გახდება. სამწუხაროდ, ყველა კავკასიურ რესპუბლიკაში დღეს ისეთი მთავრობებია, რომ, ალბათ, ერთმანეთს აასწრებენ თვითმფრინავში გასაქცევად და წინასწარ არ გვინდა, გავშიფროთ ჩვენი პარტნიორები.

**– თერქეთის ნეოოსმალური იმპერიის აღორძინების იდეა, რუსეთის ევრაზიის კავშირის შექმნის იდეა, ხალიფატის დაარსების**

**თუ გავიხსენებთ, რომ ქურთების მუშათა პარტია თავის დროზე საბჭოთა კავშირის ,,კაგებემ“ შექმნა, შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ რუსეთის ხელიც ურევია თურქეთის ქურთების აქტიურობაში**

**იდეა არ ეწინააღმდეგება და გამორიცხავს ერთმანეთს? ანუ ამ სამ ძალას შორის დაპირისპირებაა მოსალოდნელი?**

– ეს დაპირისპირებაზე მეტია, ინტერესთა კონფლიქტია. სწორედ ამას ვამბობ: ჩვენი პოლიტიკოსები, უფრო ზუსტად, ეს შემთხვევითი ხალხი პოლიტიკაში ერთმანეთს კი არ უნდა აგინებდნენ და აფურთხებდნენ, არამედ უნდა დავსხდეთ ყველანი ერთად და გავერკვეთ, რა რეალური ინტერესი დგას ამ ინტერესთა კონფლიქტის უკან, რადგან ამ შემოდგომიდან ეს პროცესები რაღაც ფორმით დაიწყება. ყველამ კარგად ვიცით, რომ ხალიფატი არის აბსურდული იდეა; ასევე, გულის სიღრმეში სასაცილო გვგონია ოსმალეთის იმპერიის აღდგენის იდეა, თუნდაც, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოზე 10-ჯერ დიდი ქვეყნები არიან ამის წინააღმდეგნი; საბჭოთა კავშირის აღდგენაც ნამდვილად არ არის რეალური პერსპექტივა, ყოველ შემთხვევაში, ნებით ამაზე რუსეთი ვერავის დაითანხმებს. ასე რომ, ადამიანს შეიძლება, გაეცინოს ამ თემებზე, მაგრამ ეს თემები ტრიალებს, შემთხვევით კი არაფერი ხდება, მაშასადამე, უნდა გავარკვიოთ, რეალურად რა დგას ამის უკან. ვისთვისაა ხელსაყრელი ხელოვნური დაპირისპირების პროვოცირება?! 1989 წლიდან ვიდრე დღემდე, ყველა შეცდომა დავუშვით იმიტომ, რომ შედეგის გამოსწორებას ვცდილობდით. ჩვენი თანამოაზრეები კი საქართველოს მოსახლეობას 1992 წლის 24 თებერვლიდან ვთავაზობთ მიზეზების გარკვევას და ლიკვიდაციას, ანუ პრევენციას.

**– მოსალოდნელია, რომ თურქეთში ქურთების სერიოზული მოძრაობა დაიწყება, რაც შესაძლოა, ერაყისა და თურქეთის ქურთების მიერ სახელმწიფოს შექმნით დაგვირგვინდეს. მგონია, რუსეთი ამას ელოდება, მსოფლიოს ყურადღება ამაზე გადავა და უკრაინასაც მიაყლაპავს, არ არის გამორიცხული, ჩვენც მიგვაყოლოს. ანუ მგონია, რუსეთი ელოდება თურქეთის დასუსტებას, რომ საბჭოთა კავშირის აღდგენა დაიწყოს.**

– თურქეთის დასუსტებას არ დაელოდება. თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ ქურთების მუშათა პარტია თავის დროზე საბჭოთა კავშირის „კაგებემ“ შექმნა, შეიძლება, ესეც ვივარაუდოთ, მაგრამ ძალიან მეპარება ეჭვი, რომ რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას თურქეთის სახელმწიფოს სიძლიერის ან ამბიციის ეშინოდეს, თუ თურქეთს გარედან არ დაეხმარებიან. მაგრამ გარედან რატომ უნდა დაეხმარონ თურქეთს?! რომ მან ოსმალეთის იმპერია აღადგინოს, ჩადრებით ატაროს ხალხი და ამერიკელები და ევროპელები კინწისკვრით გაყაროს სტამბოლიდან და ანკარიდან?! ჩვენ დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი და ჯერ საიმედო ვერაფერი დავინახეთ. იქ, როგორც ყოველთვის, პოლიტიკოსები ბევრად მეტ დროს უთმობენ თავიანთ თავს, ვიდრე სავარაუდო საფრთხეებს.

**– ვითომ რუსეთი დგას ამ ხალიფატის იდეის უკან, რომ თავისი გავლენა გააძლიეროს?**

– ასე შევხედოთ საკითხს: რას მოიგებს რუსეთი, თუ ეს იდეა დაიძრა? რუსეთს მიეცემა საშუალება, გააკეთოს ოფიციალური განცხადება საერთაშორისო საზოგადოების გასაგონად, რომ მის ტერიტორიაზე და სამხრეთის საზღვრებთან იქმნება რადიკალური ისლამური სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც მის მოსახლეობასა და სახელმწიფოებრიობას ემუქრება. ამიტომ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით ის აპირებს, დაიცვას თავის სახელმწიფოებრიობა, მოსახლეობის უსაფრთხოება და ამ მიზნით, ნებისმიერი რაოდენობის ჯარი გადაადგილოს ამ მიმართლებით. გამოდის, რომ შუა აზიაშიც უნდა შევიდეს და კავკასიაშიც. ანუ აღუდგენია საბჭოთა კავშირი და ეგ არის, თუ მეშლება რამე?! ოღონდ ეს ვერსიაა. ამ ვერსიას ძალიან უსუსურად უპირისპირდება ოსმალეთის იმპერიის აღდგენის იდეა, იმიტომ რომ, ამ იდეას შიგნით ძალიან სერიოზული წინააღმდეგობა აქვს პროდასავლური თურქებისა და ქურთების სახით. მაგრამ მე მაინც ვურჩევდი პოლიტიკოსებს სხვა ვარიანტებიც გაეანალიზებინათ. დასავლეთში ხომ არ არიან ძალები, რომლებიც ხალიფატის იდეას ზევით სწევენ, რათა რუსეთმა ოსმალეთის ამბიციები გაანეიტრალოს?!

**– მთავარია, ჩვენ არ მოვყვეთ არ გაუგებრობაში.**

– ჩვენ უკვე მოყოლებული ვართ, მაგრამ ქართველი ხომ გვიან იღვიძებს? თბილისში 12 საათამდე საქმეზე ვერავის დაურეკავ – ან ახალგაღვიძებულია ან სძინავს. ჩვენი პრობლემაც ეგ არის. ჩვენ შარში ვართ, უბრალოდ არ ვიცით და რომ გავიგებთ, ძალიან გვიან იქნება.

**ნინი ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან

ზარი ფასიანია

# რა ტიპის საწარმოების გახსნის შემთხვევაში დაუფარავს სახელმწიფო მეწარმეს 10 პროცენტს 11-დან 13-პროცენტიანი კრედიტების აღებისას

*მაისში პრეზენტაცია გაიმართა, ხოლო ივნისიდან ამოქმედდა პროექტი „აწარმოე საქართველოში“, რომლის მიზანიც კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოების სტიმულირება და ხარისხიანი ქართული პროდუქციის შექმნაა. პროექტის განხორციელებისთვის სახელმწიფო 46 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს, საიდანაც 30 მილიონი სოფლის მეურნეობას, 16 კი – ინდუსტრიულ სფეროებს უნდა მოხმარდეს. პროგრამის დარგებია: ქაღალდის და მუყაოს წარმოება: მათ შორის შესაფუთი მასალები; სამშენებლო მასალების წარმოება: მათ შორის კერამიკული ფილები, მარმარილო, გრანიტი და სხვა ბუნებრივი ქვები; საფეიქრო წარმოება: მათ შორის ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ქსოვილი; ნართი (შალი, აბრეშუმი); ქიმიური წარმოება: მათ შორის ზედაპირულად აქტიური საშუალებები; ხის გადამუშავება: მათ შორის საოფისე ავეჯი, მდფ, დსპ; ელექტრომოწყობილობების წარმოება: მათ შორის საყოფაცხოვრებო ელექტროსაქონელი; ფარმაცევტული წარმოება: მათ შორის სადიაგნოსტიკო საშუალებები; მანქანათმშენებლობა: მათ შორის სათადარიგო ნაწილები; რეზინის და პლასტმასის წარმოება; მათ შორის მილები, მილაკები, ღრუ პროფილები, ტარა, საკანცელარიო ნაწარმი; ლითონის მზა ნაწარმი: მათ შორის რკინა-კავეული, სამზარეულო ნაკეთობანი. ასევე პრიორიტეტულია სოფლის მეურნეობის მიმართულება, მათ შორის: მეხილეობა-მებოსტნეობა; მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობების განვითარება; მესაქონლეობის ფერმები; მეფრინველეობის ფაბრიკები; მატყლის და ტყავის დამუშავება; დაფნის, ჩაის და თამბაქოს მოყვანა-გადამუშავება; კაკლის, თხილის და სხვა კაკლოვანების მოყვანა-გადამუშავება; ხილის, კენკროვანების, ბოსტნეულის და ციტრუსის გადამუშავება.*

*პროგრამა მოიცავს სამ კომპონენტს: ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობას, უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობასა და საკონსულტაციო მომსახურებას. ფინანსების მოსაზიდად ახალი საწარმოს შექმნის მსურველი მეწარმე (პროგრამა მხოლოდ ახალ საწარმოებს აფინანსებს) მიმართავს ნებისმიერ კომერციულ ბანკს, რომელიც თავად და საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტს გასცეს თუ არა ესა თუ ის კრედიტი. საპროცენტო განაკვეთის ოდენობა 11-დან 13-პროცენტამდეა, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების კომპონენტი 10 პროცენტს შეადგენს. კერძოდ, თუ თქვენ პროგრამის – „წარმოებულია საქართველოში“ – ფარგლებში მიმართავთ ბანკს (ინდუსტრიული მიმართულების შემთხვევაში) და მოითხოვთ 150 000-დან 500 000 დოლარამდე თანხას, სესხს მიიღებთ 13 პროცენტში, საიდანაც პირადად თქვენ 3 პროცენტის დაფარვა მოგიწევთ (ძირითად თანხასთან ერთად); 500 000-დან ერთ მილიონამდე აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის აღების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი 12 პროცენტია, საიდანაც თქვენი წილი 2 პროცენტია, 1 მილიონიდან 2 მილიონამდე სესხის აღების შემთხვევაში კი საპროცენტო განაკვეთი 11 პროცენტია, თქვენ მიერ გადასახდელი იქნება 1 პროცენტი. რაც შეეხება სოფლის მეურნეობას: 600 000-დან მილიონამდე აშშ დოლარის ოდენობის კრედიტის აღება 12 პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთითაა შესაძლებელი (თქვენ იხდით 2 პროცენტს), ხოლო 1-დან 2-მილიონამდე სესხის აღების შემთხვევაში – 11-პროცენტიანით (საიდანაც თქვენ 1 პროცენტს იხდით). ასევე, შესაძლებელია საკონსულტაციო მომსახურების მიღებაც, 10 000 ლარის ფარგლებში, ბუნებრივია, მას შემდეგ, თუ თქვენ მიერ წარდგენილი პროექტი ბანკმა დააფინანსა.*

*არის თუ არა ხელმისაწვდომი პროექტი „წარმოებულია საქართველოში“ კრეატიული, მაგრამ უფულო დამწყები მეწარმეებისთვის და რა შედეგს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას ამ პროექტით სახელმწიფოს მიერ დასახარჯად გათვალისწინებული 46 მილიონი ლარი? საკითხს ეკონომიკის ექსპერტი* ***დემურ გიორხელიძე*** *განვიმარტავს.*



**ეს შესანიშნავი იდეა დაყვანილია იქამდე, რომ ერთ-ერთ ცნობილ ბანკირს შეღავათიანი აგროკრედიტი აქვს მიღებული. მან თავისივე ბანკიდან გაიტანა კრედიტი**

– თავისთავად, ფაქტია, რომ უნდა განავითარო საკუთარი წარმოება და კონკურენტუნარიანი დარგები, რომლებიც იმპორტს ჩაანაცვლებს. ეს გაცილებით მოსახერხებელი იქნება ფინანსური თვალსაზრისით. ჩვენ ამას არ ვაკეთებდით 20 წელია, ამიტომაც ვართ სრულად იმპორტზე დაკიდებული ქვეყანა. ერთადერთი მოსაზრება მაქვს, ეს არ უნდა იყოს პროპაგანდისა და ლოზუნგის დონეზე, ამას სჭირდება დიდი და ღრმა კონცეფცია საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციისა, რომელშიც რესურსის, მათ შორის, ადამიანური რესურსის განვითარება იქნება პრიორიტეტული და ხელშეწყობილი კომპლექსური ღონისძიებებით სახელმწიფოს დონეზე. ეს ყოველივე აქტუალურია, დგას დღის წესრიგში. შემუშავებულია „საქართველო 2020“, რომელშიც მთავარი მიმართულებები სწორადაა მითითებული, მაგრამ ჯერ მთავრობას არ მიუღია კონცეპტუალური ნაწილი, რომ ვიცოდეთ მთავრობის ერთიანი ხედვა, მხოლოდ მონახაზებია, რომლებიც საკმაოდ კარგად არის ფომრულირებული, შეიძლება, რაღაც სადავო იყოს, მაგრამ ეს უკვე ტექნიკური მხარეა. ამ დროს პრემიერ-მინისტრი გამოდის ინიციატივით – ვაწარმოოთ საქართველოში და ამისთვის გამოიყო 46 მილიონი. ვიცით რა საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა, რა ვითარებაშია მცირე და საშუალო ბიზნესი, სოფლის მეურნეობაში არსებული კატასტროფული მდგომარეობა და ამ ფონზე ეს 46 მილიონი არის სუფთა ფორმალობა. ჩვენ ერთი წლის შემდეგ დავთვლით, რა უკუგებას მივიღებთ ამ 46 მილიონიდან და რამდენად გონივრულად იქნა გამოყენებული ეს თანხა და აქვე გეტყვით, რომ მივიღებთ ძალიან მწირ შედეგს, იმიტომ რომ 46 მილიონი კატასტროფის პირას მისულ ეკონომიკას ვერაფრით მისცემს დადებით იმპულსს. ეს კრედიტები გაიცემა პარტიული ან სხვა ნიშნით დაახლოებულებისათვის, ისევე, როგორც ეს მოხდა გასულ წელს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. მათ მისცეს კრედიტები ადამიანებს, რომლებსაც იცნობდნენ, მათ შორის, ერთ ცნობილ ბანკირსაც მისცეს შეღავათიანი კრედიტი.

მოკლედ, ჩაკეტილი წრეა და კარგი იდეა შეიძლება ნიველირებული იქნას. 46 მილიონი აბსოლუტურად არაფრის შემქმნელი და გარემოს შემცვლელი ვერ არის. რა თქმა უნდა, ჩვენ გარედან უნდა შემოვიტანოთ ის, რასაც ჩვენ ვერ ვაწარმოებთ, ის, რაც გარეთ იაფი და ხარისხიანია და სწორად აგებული იმპორტი ხელს უწყობს რესურსების სწორ გამოყენებას.

**– ამ პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა კომერციულ ბანკს უნდა წარუდგინოს თავისი მოთხოვნა კრედიტზე და ბანკი გადაწყვეტს, გასცეს თუ არა ეს მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი სესხი...**

– ეს ფული მხოლოდ კომერციული ბანკების მეშვეობით გაიცემა და არასწორი წარმოდგენაა ხალხში, რომ თითქოს რომელიმე სამინისტრო რამე ტიპის საფინანსო მონაწილეობას იღებს. ბანკი უნდა ოპერირებდეს და ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ ის საბანკო სისტემა, რომელიც ნაკლიანია და რომელიც ეკონომიკის ყველაზე დიდი შემაფერხებელია დღეს, ასეთ მნიშვნელოვან ამოცანებს ვერ გადაწვეტს. ის მოქმედებს თავის ინტერესების შესაბამისად. კანონმდებლობა მახინჯია, ბანკები თვითონ არიან სხვადასხვა ბიზნესში, ამიტომ აქ ინტერესთა კონფლიქტია, ჩვენ ვფიქრობთ, რომ კლასიკური საბანკო და საინვესტიციო საბანკო საქმიანობა უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, რომ ბანკები უშუალოდ არ იყვნენ ჩართულნი ამ პროცესში. კლასიკური საბანკო სისტემა მაქვს მხედველობაში, თორემ საინვესტიციო ბანკს კლასიკური საბანკო საქმიანობა აკრძალული უნდა ჰქონდეს და საინვესტიციო საქმიანობას უნდა მიხედონ. ეს უკვე საკმაოდ კარგად მოფიქრებული სქემაა და აუცილებელია დეპოზიტების დაცვისთვისაც. საქართველოს საბანკო სისტემაში დეპოზიტებზე არსებული ფული ხომ, ფაქტობრივად, დაუცველია?! არანაირი გარანტია არ არსებობს.

**– შეკითხვა იმიტომ დავიწყე, რომ ამ პროექტში ბანკების მიერ გასაცემი კრედიტების საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 11-დან 13 პროცენტამდე, საიდანაც 10 პროცენტს იხდის სახელმწიფო.**

– მოდი, ასე ვთქვათ: ნახევარი მილიონი დოლარით ძალიან კარგი საქმის გაკეთება შეიძლება, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა უზრუნველყოფა უნდა მოითხოვოს თქვენგან დღევანდელმა საბანკო სისტემამ, რომ ნახევარმილიონიანი სესხი მოგცეთ?! ალბათ, ამ თანხაზე სამჯერ მეტი. ანუ უნდა გქონდეთ ალტერნატიული ბიზნესები, შემოსავლების ალტერნატიული წყარო, გამორიცხულია სხვა შემთხვევაში ბანკმა ფული მოგცეთ. ესე იგი, ისევ და ისევ მათთვისაა ეს პროგრამები, ვისაც ამ წუთში აქვს ფული. ანუ ისევ საკუთარ კლანურ ჯგუფებში იტრიალებს და ეს შესანიშნავი იდეა დაყვანილია იქამდე, რომ, როგორც გითხარით, ერთ-ერთ ცნობილ ბანკირს შეღავათიანი აგროკრედიტი აქვს მიღებული. მან თავისივე ბანკიდან გაიტანა კრედიტი, რაკი მისი პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრიორიტეტებში იყო. თუკი ძალიან გაჯიუტდება სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩვენ შეგვიძლია, მივაკვლიოთ, ვინ ისარგებლა შეღავათიანი კრედიტებით და ვფიქრობ, სამინისტრო საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

იგივე მოხდება ამ შემთხვევაშიც: იმიტომ რომ გამორიცხულია, ბანკმა რამე ფული მისცეს ახალ ჯგუფს. ეს არის ჩაკეტილი, მონოპოლიზებული სივრცე. მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ თანხის მიღება, რომლებსაც მხოლოდ იმპორტიორე-

# აზა დავითაშვილი – ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

***აზა დავითაშვილი** თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა. ქალბატონი აზა სპეციალური მიწვევით მუშაობდა საბერძნეთში, რუსეთში, ისრაელში. ნათელხილვის საოცარი უნარი ყარსში მცხოვრები ბებიისგან გადაეცა მემკვიდრეობით და უკვე 40 წელზე მეტია, თავადაც ადამიანების დახმარებას ცდილობს. ნათელხილვის საოცარ უნარში, მომავლის განჭვრეტასა და ბოროტი ძალების განეიტრალებაში, მას ბადალი არ ჰყავს. როგორც ამბობენ, ასევე ფენომენალური უნარი აქვს კარტით მომავლის ხედვაში, კარტი მისთვის უტყუარი ნიშანია. თავად ამ თემაზე საუბარს ერიდება, რის გამოც ქალბატონი აზას შესახებ მისი მადლიერი ადამიანებისგან შეიტყობთ.*

**ეკა ფ-იანი** *35 წლის, (რუსთავი):* ქალბატონ აზასთან ორი წლის წინ მოვედი, პირად ცხოვრებაში მქონდა პრობლემები. მახსოვს, კარტი გამიშალა და ისეთი რაღაც მითხრა, რომ შოკში ჩავვარდი. ერთ თვეში ამიხდა ის უცნაური ამბავი. კარტით იმასაც კი ხედავს, რაც ადამიანმა საკუთარ თავზეც არ იცის. ბევრ ნათელმხილველთან ვარ ნამყოფი, მაგრამ არ არსებობს მეორე ვინმე, ვინც კარტში ასე ხედავდეს წარსულს თუ მომავალს. ეს ძალიან დიდი ნიჭია. ერთხელ აქ მოსულმა ერთმა ქალმა მითხრა, აზასთან თაობები მოდიან, ბებია, შვილი, შვილიშვილი. მას გარდა, თბილისში კარტს ვერავინ შლისო. მართლაც ასეა, კარტის გაშლას რომ იწყებს, ისეთი უნარი და ხილვა ეხსნება, ისეთ დეტალებს გეტყვით, შეიძლება, გაოცდეთ. აზას საოცარი თილისმები აქვს ბარაქასა და პირადი ცხოვრების მოგვარებაზე, გზის გახსნასა და ჩაკეტილ ბედზე, ასევე ჯანმრთელობაზეც. ერთი ქალი მოდიოდა აქ, ხელსა და ფეხს ვერ ანძრევდა. აზამ რამდენიმე პროცედურით დააყენა ფეხზე. ფოტოსაც საოცრად აღიქვავს. დაინახავს ადამიანის სახეს და მორჩა – ყველაფერს გეტყვით, მაგრამ კარტში ბადალი ნამდვილად არ ჰყავს. მთელი ორი წელია, ყველაფერზე მასთან მოვდივარ. ჩემი საქმეებიც წინ და წინ მიდის.



**მარინა ლ-შვილი** *55 წლის (თბილისი):* აზა დავითაშვილი დიდი ხნის წინ გავიცანი. მაშინ ქალბატონ აზაზე თბილისში ბუმი იყო – ყველა, ქალი თუ კაცი, მასზე ლაპარაკობდა და საოცარ ისტორიებს ჰყვებოდნენ. ცხონებულმა დედაჩემმა წამომიყვანა აქ. მაშინ ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა და ყველა აბანოთუბნელ აზიად იცნობდა. ოჯახი მქონდა დანგრეული, დედა ძალიან განიცდიდა, რომ ბავშვით მარტო დავრჩი. მახსოვს, აზამ უთხრა, ეს გოგო მალე გათხოვდებაო. ამ საქმეში ძალიან მარჯვე იყო. მისი სიტყვებიდან ექვს თვეში გადასარევი ოჯახი შევქმენი. წლების წინ ჩემს დეიდაშვილ მაკასთან ერთად მოვედი აზასთან. აზამ მაკას თილისმები მისცა, რამდენიმე შელოცვაც და მაკას უცხოეთისკენ დაკეტილი გზაც გაეხსნა. ახლა ჩემს შვილს მოვყევი, წარმატებული გოგოა, ექიმი, მაგრამ პირად ცხოვრებაში არ უმართლებს. 30 წელს უკვე გადაცილდა, მჯერა, რომ ჩემს გოგოსაც გაუხსნის ჩაკეტილ ბედს.

**ნინო ბ-ძე** *(49 წლის, თბილისი):* წლებია, რაც ვაჭრობის სისტემაში ვმუშაობ, რამდენიმე წლის წინ ბიზნესის გაფართოება გადავწყვიტე, კრედიტი ავიღე, მაგრამ არ გამიმართლა და საშინელ ვალებში ჩავვარდი. ბინის გაყიდვა მინდოდა, მაგრამ ისეთი დათარსული ვიყავი, ბინაც ვერ გავყიდე. მევალეები სახლში მაკითხავდნენ. აქ რომ მოვედი, ძალიან მძიმე, ფინანსურ მდგომარეობაში ვიყავი. ქალბატონი აზა დამპირდა, აგერ ნახე, თუ ბინა ძალიან მაგარ ფასში არ გაგაყიდინოო. ორ თვეში შემისრულა სიტყვა – ბინა ისეთ ფასში გავყიდე თვითონ მიჭირდა დაჯერება. ცოტა ხანში აზა დავითაშვილის პროცედურების დახმარებით, ახალი საქმეც წამოვიწყე და ვალებსაც დავაღწიე თავი. მას შემდეგ ამ ქალზე ახლობელი და ძვირფასი არავინ მყავს. მისი ყველა ნათქვამი სიტყვა-სიტყვით მიხდება.

***ფინანსური პრობლემები გაქვთ? საქმეში არ გიმართლებთ? ვერც პირადი ცხოვრება აგეწყოთ კარგად? – მიმართეთ ქალბატონ აზა დავითაშვილს, ის თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის!***

*ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08, 593 56-10-39 მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი", გუთნის №42.*

**თამარ ჩხენკელი**

---

ბსა და მსხვილ მწარმოებლებთან აქვს კავშირი. დანარჩენებს შეუძლიათ, მიიღონ ტელევიზორის საყიდელი თანხა არანორმალური პროცენტებით, ან მობილურის შესაძენად საჭირო კრედიტი, შეუძლიათ იყიდონ სარეცხი მანქანაც და თვით პლაზმური ტელევიზორიც, მაგრამ ნურას უკაცრავად, თავისუფალ მეწარმეს, რომელსაც არანაირი მხარდაჭერა არ გააჩნია, ჯერ ერთი, არ შეუძლიათ იმ პირობების დაკმაყოფილება, რასაც ეს მახინჯი საბანკო სისტემა მოითხოვს და მეორე – მთავრობა ამ მიმართულებით არაფერს აკეთებს. თითქოს რაღაცას მივაღწიეთ, რომ „სტარტ-აფი" შეიძლება, დაფინანსდეს სექტემბრიდან, მაგრამ ვნახოთ, ესეც რად გადაიქცევა.

**– იმის თქმა მინდა, რომ ბანკს გარანტირებული აქვს ეს 13 პროცენტი, 10 საერთოდ სახელმწიფოს მხრიდან, მაგრამ მაინც არ შეამცირა კრედიტის საერთო პროცენტი.**

– ეს 13 პროცენტიც კარგია, მაგრამ ფული, როგორც იყო ხელმიუწვდომელი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ისევე ხელმიუწვდომელია. ფული საქართველოში ხელმისაწვდომია მხოლოდ წინა და ახალ ხელისუფლებასთან დაახლოებული ჯგუფებისთვის. ეს ცნობილი ჯგუფებია. თავიანთ ფირმებს ბანკები, რა თქმა უნდა, სულ სხვა პროცენტებში აძლევენ ფულს და სულაც არ არიან დაინტერესებულნი, რომ ბაზარზე თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ჯგუფები გამოჩნდნენ. საქმე ის არის, რომ მთავრობას არ უნდა, გაიგოს ერთი რამ: ეს არის მახინჯი სისტემა, რომლის დემონტაჟი უნდა გააკეთოს და ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაიყვანოს, ისე, რომ არსებობდეს ყველასთვის ერთნაირი შესაძლებლობები, მთავრობამ კი დაიტოვოს მარეგულირებლის ფუნქცია კანონების დონეზე. სააკაშვილის ხელისუფლების დიდი დანაშაული ისაა, რომ მან გარყვნა ლიბერალიზმის იდეა. მან თითქოსდა ლიბერალური რეფორმები გააკეთა და ამ დროს ათასობით ადამიანს ქონება წაართვა და არ დაუტოვა არსებობის არანაირი გზა. მოძებნა განათლებული ადამიანების სერვის-ჯგუფები, რომლებიც ამას მართავდნენ და რომლებიც ისეთივე მორალური დამნაშავეები არიან, როგორც სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები. მაგრამ დღესაც იგივე პრობლემებია, რაც წინა ხელისუფლების დროს, შეიძლება ახლა ქონებას არავინ არავის ართმევს, თორემ წართმეულს უკან არავინ აბრუნებს.

**– არანაირი პრევენცია არ არის, რომ ბანკის მფლობელები თავადვე არ შეიტანენ განაცხადს თავიანთსავე ბანკში, რომ სახელმწიფომ დაუფაროს 10 პროცენტი განაკვეთის? ვინმე გააკონტროლებს ამას?**

– ბანკი ან მასთან დაახლოებული ფირმები მიაკითხავენ ბანკს და ამ სფეროებში მიიღებენ შეღავათიან სესხებს. ვიმეორებ, თუ ვინმე მეტყვის, რომ დღეს ქართული საბანკო სისტემა არის თავისუფალი და კონკურენტუნარიანი ბიზნესჯგუფების დამფინანსებელი, რაც ასეულ ათას დოლართან არის დაკავშირებული, მოვითხოვ ასეთი ადამიანების ცოცხლად ნახვას. ეს არის ჩაკეტილი სისტემა და ჩვენ ევროპული და დასავლური ტიპის საბაზრო ეკონომიკა და სახელმწიფო არ გვექნება მანამ, სანამ იქნება ქართული მარაზმი, იქნება „აწარმოე საქართველოში", რომელსაც აწარმოებენ ვილაცეები და დაასხდებიან იმპორტს, ისევე, როგორც ახლა სხედან.

**– გამოდის, რომ ყველაზე მეტად ისევ საბანკო სფერო იხეირებს, რომელიც ისედაც არ უჩივის მოგებებს ამ ღარიბი მოსახლეობის ქვეყანაში.**

– გავიმეორებ – სახელმწიფო ფულის გაცემაში არ ერევა, ის ერევა პოსტფაქტუმ და იხდის საპროცენტო განაკვეთის 10 პროცენტს, ხალხს კი ჰგონია, სამინისტრო გასცემს ამ ფულს, არადა, ფულს გასცემს მხოლოდ ბანკი!

**– ანუ პროექტი „აწარმოე საქართველოში" კრეატიული და უფულო ადამიანების პროექტი არ არის?**

– გამორიცხულია, რომ დამწყებს, თუ შემოსავლები არ აქვს და არ აქვს სამმაგი ქონება, მისცენ კრედიტი. რაღაცას კი ეხმარება ხელისუფლება 30-პროცენტიან უზრუნველყოფაში, მაგრამ ეს არის ლოზუნგი და არა სტრატეგიის განხორციელება. ეს არის გასროლილი ლოზუნგი, რომელსაც დღეს ქართულ რეალობაში კენკავენ ჟურნალისტები და ბიზნესმენები რაღაც მოლოდინებით, მაგრამ ეს მოლოდინები მოლოდინებად დარჩება.

**– თუ იყო შესაძლებელი, რომ ამ 46 მილიონის ხარჯი წასდგომოდა ეკონომიკას?**

– 46 მილიონი არც არის სალაპარაკო თანხა. ეს 46 მილიონი არაფერს წყვეტს, ყველაფერს წყვეტს მიდგომები. საბაზრო ეკონომიკისთვის მთავარი სწორედ არასახელწიფო დაფინანსების წყაროების გაჩენაა, საქართველოში ფული არის ყველაზე დიდი პრობლემა, ამიტომაც ვერ ვითარდება ეკონომიკა, ბიზნესი გაჩერებულია. ფულთან წვდომის უფლება მხოლოდ ერთეულებს აქვთ და თუ თამაშის ახლებური წესები არ იქნა შემოღებული, ჩვენ დავრჩებით მძიმე მდგომარეობაში. სამუშაო ადგილები არ არის და მსოფლიო ბანკი გვეუბნება, რომ ეს ადგილები 4-5 თვის განმავლობაში არ იქნება. მანამდე მეც და სხვებმაც გავაკეთეთ განცხადება, რომ დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა და მთავრობის პოლიტიკა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ შეიქმნას სამუშაო ადგილები. არადა, თუ სამუშაო ადგილები არ იქმნება, ეკონომიკის განვითარება ისეთ ქვეყანაში, რომელიც იმპორტზეა ჩამოკიდებული, წარმოუდგენელია.

**ნინო ხაჩიძე**

**პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, შეწყალების კომისიას ზვიად ქორიძე უხელმძღვანელებს. ის ახლა უკვე სხვა სტატუსით იზრუნებს კომისიის საქმიანობაზე, რომელშიც ცხრა თვის წინ წევრის რანგში ჩაერთო. სოციალურად ძალიან აქტიურ ზვიად ქორიძეს, რომლის „შრომის წიგნაკიც" წლების წინ „შვიდ დღეში" დაიწყო, ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, მაგრამ, რა ხდება მის ცხოვრებაში კადრს მიღმა, რას ვერ ელევა წარსულიდან და რა აკავშირებდა პრეზიდენტთან „წინა ცხოვრებაში," თავად ჩვენი კოლეგა-რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# როგორ მოირგო ზვიად ქორიძემ ახალი ამპლუა და რა დაუტოვა მას ალეკო ელისაშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში

**ზვიად ქორიძე**: იმაზე, თუ რატომ გააკეთა პრეზიდენტმა არჩევანი ჩემზე, მარტივი პასუხი მაქვს: ეს უნდა ჰკითხოთ გიორგი მარგველაშვილს. მე მქონდა ჩემი დამოკიდებულება ამ კომისიის წევრობის მიმართ ჯერ კიდევ მაშინ, როცა დავთანხმდი ამაზე – 2013 წლის ნოემბერში. ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანაში შეიქმნას რაც შეიძლება მეტად ჰუმანური გარემო, შეწყალების აქტები კი არის ჰუმანიზმის გამოხატულება. როდესაც პრეზიდენტი სახელმწიფოს სახელით იღებს გადაწყვეტილებას, ის მოუწოდებს საზოგადოებას, თუ რამდენად კარგია ჰუმანისტური მიდგომა. ის, რომ ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, ჰქონდა გადაცდომა კანონთან მიმართებაში, არ ნიშნავს, რომ მან სიცოცხლე უნდა დაასრულოს და არ უნდა ჰქონდეს ან რეაბილიტაციის, ან ცხოვრების ხელახლა დაწყების შანსი. ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, რომელიც საკმაოდ აგრესიულია და დეჰუმანისტური განწყობებით გამოირჩევა; ამიტომ, თუ ხელისუფლების ყველაზე მაღალი პირი, რომელიც სახელმწიფოს სახელით მოქმედებს, საზოგადოებასთან ურთიერთობაში ახალ კონცეფციას მოიტანს, ეს იქნება ძალიან კარგი. მეორეც, ჰუმანისტური მიდგომები არის დემოკრატიული განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. აგრესიული განწყობების ფონზე დემოკრატია ვერ ვითარდება, ამიტომ, ესეც ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ამ ცხრა თვის განმავლობაში პრეზიდენტმა სამჯერ გამოსცა შეწყალების აქტი, მაგრამ კომისიაში იყო ძალიან ბევრი დისკუსია, თუ როგორი უნდა ყოფილიყო კომისიის მუშაობა, საით უნდა წავსულიყავით. ჩემი აზრით, ძალიან სწორი იყო პრეზიდენტის გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც ალეკო ელისაშვილს შესთავაზა ეს პოზიცია და, დარწმუნებული ვარ, რომ ალეკომ გაართვა საქმეს თავი. ქვეყანაში უნდა გაჩენილიყო ნდობა შეწყალების პოლიტიკის მიმართ, რაც ალეკომ ნამდვილად შეძლო.



ექსტრემს არ ვეძებ, ისტორიები, მათ შორის, ზოგჯერ ფათერაკიანიც, თვითონ „მპოულობენ"

**– რა დაგიტოვათ წინამორბედმა ახალ თავმჯდომარეს და როგორ მოირგეთ თავმჯდომარის როლი?**

– ალეკო ელისაშვილმა, პირველ ყოვლისა, დატოვა ნდობის საკმაოდ მაღლა აწეული თამასა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის; დატოვა მოქალაქეებთან ურთიერთობის ძალიან კარგი ბაზა. ბოლო ორთვე-ნახევრის განმავლობაში, იმის გამო, რომ მან გადაწყვიტა საჯარო პოლიტიკაში წასვლა, ვერ გაიმართა კომისიის სხდომები, რამაც გამოიწვია ის, რომ დაროვდა ბევრი საქმე და გვაქვს ბევრი სამუშაო. მე დიდი ხანია, ვარ საჯარო სივრცეში და არ მაქვს გრადაციები, რომელი საქმე უფრო მნიშვნელოვანი იყო იმათგან, რომლებსაც მე ვაკეთებდი. ვფიქრობ, ძალიან მაღალი სტატუსია ჟურნალისტის სტატუსი; ასევე, ძალიან მაღალი სოციალური სტატუსია მუშაობა საკანონმდებლო ინიციატივებზე, როცა ხარ მედიაადვოკატირების კოალიციის წევრი და ჩართული ხარ მნიშვნელოვან სოციალურ აქტივობაში. ჩემთვის შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობა არის გამოწვევა, გავაძლიერო იმ ღირებულებების ერთგულება, რაც ჩემთვის ძვირფასია. ჩემთვის მთავარია, რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს სწორად, რას ნიშნავს შეწყალების პროცესი. რაც ამ პოზიციაზე ვარ, უკვე დაიწყო ჩემს ტელეფონზე ზარები საპატიმრო დაწესებულებებიდან – საკმაოდ ბევრი პატიმარი მირეკავს. როგორც მეუბნებიან, ციხეში ყველაზე ადრე იგებენ ყველაფერს.

**– ალეკო ელისაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ამ კომისიას რომ უხელმძღვანელო, ან მანიაკი უნად იყო, ან – კორუმპირებულიო. ეთანხმებით მას?**

– ალეკო არის რომელიმე? როგორც მე ვიცნობ, არა! მე არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ, გინდა თუ არა, მხოლოდ ასეთი მანიაკალური ან კორუმპირებული მიდგომებით უნდა გამოირჩეოდეს ამ კომისიის ხელმძღვანელი. ეს მოსაზრება იყო იმ პრაქტიკის გამოძახილი, რაც არსებობდა ქვეყანაში. საზოგადოებას ჰქონდა ზუსტად ასეთი დამოკიდებულება, რომ კომისიაში უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც აქვს სურვილი, გააკეთოს ფული; ან, ვისაც ძალიან ხიბლავს იმ ისტორიების მოსმენა და გააზრება, რომლებთანაც ჩვენ გვაქვს შეხება და რაც საჯარო სივრცისთვის არ არის ასე ნაცნობი. სინამდვილეში, პრობლემა, რა თქმა უნდა, არსებობდა და ამიტომაც არ ჰქონდა დიდი ნდობა შეწყალების კომისიას არა მარტო საზოგადოებაში, თავად ხელისუფლებაშიც კი.

**– რისი შეცვლა შეძლო ახალმა კომისიამ ამ ცხრა თვეში?**

– მოხდა იმ განცხადებების სისტემატიზაცია, რაც კომისიაში იყო შემოსული. ჩვენ დავიწყეთ ძველი განცხადებების განხილვა და, სწორედ ამიტომაა, რომ კალენდარული თვალსაზრისით დროში ჩამოვრჩებით პროცესს. მოწესრიგდა მოქალაქეებთან კომუნიკაცია. მე იმედი მაქვს, ადამიანები სწორად გაიაზრებენ შეწყალების პროცესს, არ დაირღვევა ის დებულება, რაც არის მიღებული, მნიშვნელოვანია, რომ არ ჰქონდეთ ცრუ მოლოდინები იმ ადამიანებს, ვინც საპატიმრო დაწესებულებებში არიან. ყველამ უნდა გაიაზროს, რომ ჩვენ არ გვეხება სასამართლო გადაწყვეტილებების გადახედვა; ჩვენ ვერ დავადგენთ, გადაწყვეტილება მიღებულია თუ არა ხარვეზებით; ჩვენთვის მთავარია, ის გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია კონკრეტული პირის მიმართ, რამდენად არის ადეკვატური. ასევე, მნიშვნელოვანია სინანულის გააზრება – როგორ იქცევა საპატიმრო დაწესებულებაში, რამდენად მძიმეა მის მიერ ჩადენილი დანაშაული და შეიძლება თუ არა, მის მიმართ გამოყენებული იყოს გულმოწყალება.

**– როგორია დღეს ოფიციალურ ფორმატში ურთიერთობა პრეზიდენტთან, რომელთანაც საჯარო სივრცეში ყოფნისას ახლო ურთიერთობა გქონდათ?**

– დღეს პრეზიდენტთან არაოფიციალურ ფორმატში ურთიერთობის მოხერხება რთულია. გარედან ჩანს ასე, რომ თითქოს პრეზიდენტს ბევრი საქმე არ აქვს, სინამდვილეში ეს ასე არაა. თუ გარემოებები მოიტანს, რატომაც არა, შესაძლოა არაოფიციალური ფორმატიც, თუმცა, მე ვერ მივცემ თავს უფლებას დავარღვიო ეტიკეტი. საჯარო სივრცეში ჩვენი ცხოვრება ძალიან აქტიურად იყო გადაკვეთილი, პიროვნულად ეს იყო საკმაოდ ახლო და ხანგრძლივი ურთიერთობა და, შესაძლოა, ამანაც იმოქმედა მის გადაწყვეტილებაზე. ჩვენ ვყოფილვართ თანამოაზრეები და თანამებრძოლები, როდესაც საქმე ეხებოდა დემოკრატიულ ცვლილებებს ამ ქვეყანაში; ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბევრიც გვიკამათია სხვადასხვა საკითხზე. როდესაც გიორგი მარგველაშვილი იყო „ჯიპას" რექტორი, მე ვიყავი მიწვეული ლექტორი, „ჯიპას" სასადილოშიც დავმსხდარვართ, დაგვილევია ყავა და საათობით გვისაუბრია და სტუდენტების თანდასწრებითაც კი გაგვიმართავს დებატები.

**– ალბათ, ახალი სამსახური ძალიან დაამძიმებს თქვენს ცხოვრებას.**

– რა თქმა უნდა, დამძიმდა ჩემი სამუშაო გრაფიკი. უფრო მეტი მუშაობა მომიწევს, ვიდრე მიწევდა როგორც კომისიის რიგით წევრს. მძიმეა ყველა იმ ისტორიის წაკითხვა და გააზრება, რაზეც გვიწევს მუშაობა კომისიის სხდომებზე, მაგრამ, ეს უნდა გავაკეთოთ. საკუთარ თავზე საუბარი რთულია, თუმცა, გეტყვით, რომ ჩემი დიდი ჟურნალისტური პრაქტიკა არის ის, რაც დღეს ყველაზე მეტად მეხმარება ადამიანებთან ურთიერთობებში, კონკრეტული ისტორიების შესწავლასა და ანალიზში. მე ბევრად მირჩევნია და მომწონს აქტიური ჟურნალისტური გარემო, რაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში მქონდა სხვადასხვა ტელევიზიაში როგორც პროდიუსერის, ასევე საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელის რანგში. ახლაც განვაგრძობ ჟურნალისტურ საქმიანობას სტუდია „რეში", გადაცემები გადის „პალიტრა ტივის"

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# რა სამსახურებში დასაქმებით ახერხებდნენ ეკონომიკის მინისტრის ამჟამინდელი მოადგილე ირმა ქავთარაძე და მისი მეუღლე წელიწადში 300 000 ლარის აღებას

ეკონომიკის სამინისტროს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მინისტრის ხუთი მოადგილიდან, თუმცა პირველი მოადგილე და მინისტრი მამაკაცები არიან, სამი ქალია. ამჯერად ბ-ნი კვირიკაშვილის მოადგილე ირმა ქავთარაძის კარიერულ გზასა და ქონებრივ დეკლარაციას გაგაცნობთ. ქ-ნი ქავთარაძე 1968 წელსაა დაბადებული, 1989 წელს თსუ-ში ჩააბარა, იურიდიულ ფაკულტეტზე და პროფესიით სამართალმცოდნეა. 1995 წელს ჯონ მარშლის სამართლის ინსტიტუტში სწავლობდა (სამართლის მაგისტრის წოდება მიიღო), 2012 წელს ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის დოქტორი გახდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამჟამად საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლის ეკონომიკის მიმართულების დოქტორანტია. მისი კარიერული გზა 1992 წელს დაიწყო ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში, გრძელდებოდა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის ეპოქაში და ამის პარალელურად, 2004-2011 წლებში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის კომისიონერიც გახლდათ, ხოლო 2013 წლის მაისიდან ეკონომიკიის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

ირმა ქავთარაძის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1998 წლით თარიღდება, რომელიც მან შეავსო, როგორც ქონების მართვის მინისტრის პირველმა მოადგილემ. იმხანად მარტო ცხოვრობდა და ფლობდა: ბინას თბილისში (18 000 ლარად ღირებულს), აგარაკებს ფასანაურსა და ცხვარიჭამიაში (16 000 და 10 000 ლარად ღირებულს). ნაღდ ფულად კი 5 000 აშშ დოლარი ჰქონდა. დეკლარაციაში შემოსავლები მითითებული არ არის. 1999 წელსაც იმავე ამპლუაში შეავსო დეკლარაცია, ქონების ნაწილში სიახლე არ არის, თუმცა ვიცით მისი 1998 წლის შემოსავლები: როგორც მინისტრის პირველმა მოადგილემ, 3 227 ლარი აიღო; როგორც თსუის ლექტორმა – 1 250, როგორც უფროსმა იურიდიულმა მრჩეველმა – 3 700 ლარი. 1999 წლის განმავლობაში, როგორც მინისტრის მოადგილემ 8 000 ლარი აიღო, როგორც ლექტორმა – 1 600 ლარი.

2007 წელს ირმა ქავთარაძე დეკლარაციას ავსებს, როგორც ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის წევრი. ოჯახის წევრებად კი მიუთითებს მეუღლეს – კახაბერ ჟღენტსა და 2005 წელს დაბადებულ ვაჟ ირაკლის. ირმა ქავთარაძის ქონებას დაოჯახების შემდეგ შეჰმატებია: ცოლ-ქმრის საკუთრება ოთხოთახიანი ბინა საირმის ქუჩაზე და მიწის ნაკვეთი ნატანებში. უშუალოდ კახა ჟღენტის საკუთრება კი არის: 18 000 აშშ დოლარად ღირებული ავტომანქანა და მიწის ნაკვეთი წყნეთში. ამასთან, კახაბერ ჟღენტი ფლობს „თბილავიამშენის“ 1 723 აქციას. შესაბამისად, კახაბერ ჟღენტმა, როგორც „თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, 47 887 ლარი აიღო, როგორც „თბილავიამშენის“ პარტნიორმა – 15 750 ლარი. თუმცა მისი შემოსავლები მხოლოდ ამით არ ამოწურულა: როგორც „თბილავიამშენის“ პროექტის მენეჯერმა, 20 994 ლარიც აიღო, როგორც „თამ-ველის“ დირექტორის მოადგილემ – 17 000-მდე ლარი. ირმა ქავთარაძის შემოსავლები კი 2006 წლის განმავლობაში შემდეგნაირი იყო: როგორც ლექტორმა 126 ლარი აიღო; როგორც მარეგულირებელი კომისიის წევრმა – 58 000 ლარამდე, ხოლო მისი მივლინებები კომისიიდან ბიუჯეტს 11 000 ლარამდე დაუჯდა.



2009 წლის განმავლობაში კახაბერ ჟღენტმა, როგორც „თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა – 57 145 ლარი აიღო, როგორც „თბილავიამშენის“ მენეჯერმა – 26 463 ლარი; როგორც „თამ-ველის“ იურისტმა – 20 000 ლარი; როგორც „თამ-პოლიმერის“ იურისტმა – 12 000 ლარი; ხოლო, როგორც საწარმოთა მართვის სააგენტოს პირველმა მოადგილემ – 6 300 ლარი. ირმა ქავთარაძის, როგორც მარეგულირებელი კომისიის წევრის წლიურმა შემოსავალმა კი 174 840 ლარი შეადგინა. იმ წელს კახაბერ ჟღენტს აგარაკის მშენებლობის დაწყება 50 000 ლარი დაუჯდა. 2010 წლის განმავლობაში ირმა ქავთარაძემ, როგორც მარეგულირებელი კომისიის წევრმა, 240 024 ლარი აიღო, კახაბერ ჟღენტმა, როგორც „თბილავიამშენის“ მენეჯერმა – 18 480 ლარი, როგორც „თამ-პოლიმერის“ იურისტმა – 12 500, ხოლო, როგორც საწარმოთა მართვის სააგენტოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ – 26 906 ლარი. მასვე 45 000 ლარი დაუჯდა აგარაკის მშენებლობა.

ბოლო დეკლარაცია ირმა ქავთარაძემ 2014 წელს შეავსო. ოჯახის წევრთა რაოდენობა უცვლელია, უძრავი ქონება – ოდნავ მომატებული. კერძოდ, ირმა ქავთარაძის საკუთრება, გარდა ზემოჩამოთვლილისა, არის მიწის ნაკვეთი წყნეთში, მიწის ნაკვეთი ცხვარიჭამიაში და ფართობი საბურთალოს ქუჩაზე. კახაბერ ჟღენტს კი თავისი უძრავი ქონებისთვის დაუმატებია: საცხოვრებელი სახლი წყნეთში. ასევე, ჰყავს 2006 წლის ავტომანქანა „ნისანი“ და ის ისევ ფლობს „თბილავიამშენის“ 1 723 აქციას. მან, როგორც „თბილავიამშენის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა, 2013 წლის განმავლობაში 30 000 ლარი აიღო; როგორც „თამ-პოლიმერის“ იურისტმა – 7 500 ლარი; როგორც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შტატგარეშე მოსამსახურემ – 21 200 ლარი და იმ წელს აგარაკის მშენებლობა მხოლოდ 10 000 ლარი დაუჯდა.

რაც შეეხება ქ-ნი ქავთარაძის შემოსავლებს: 2013 წლის განმავლობაში მან, როგორც აზიის განვითარების ბანკის დამოუკიდებელმა კონსულტანტმა, 14 386 აშშ დოლარი მიიღო; როგორც ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის ჯგუფის პროექტის დირექტორმა – 85 632 ლარი; როგორც დამოუკიდებელმა კონსულტანტმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებით – 24 000 ევრო; როგორც სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს შტატგარეშე მოსამსახურე-კონსულტანტმა იურიდიულ საკითხებში – 30 000 ლარი; როგორც „დელოიტ ქონსალთინგ ოვერსიიზ ფროჯექთის“ რეგულირების ჯგუფის ხელმძღვანელმა – 34 083 ლარი.

**ნინო ხაჩიძე**

---

ეთერში. მსიამოვნებს, რომ ვმუშაობ თემებზე, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოების განვითარებისთვის.

**– ჟურნალისტიკას ბოლომდე ვერ ელევით, სოციალურად ძალიან აქტიური ადამიანი ხართ. კადრს მიღმაც ასეთი აქტიურია თქვენი ცხოვრება?**

– არც მინდა, რომ ჟურნალისტიკას შეველიო. თუ იმას გავზომავთ, ჩემი ცხოვრების რა დრო მიაქვს ამ აქტივობებს, კადრს მიღმა რაღა უნდა იყოს? ***(იცინის)*** ვიტოვებ დროის რაღაც ნაწილს ჩემი განვითარებისთვის – მეც მინდა ხოლმე, წავიკითხო წიგნი, ვუყურო ფილმს და ამისთვის ყოველთვის მოახერხებ დროის მოძებნას, რადგან, თუ ეს ცოდნა მუდმივად არ მიიღე, ჩამორჩები დროს, რისი უფლებაც ადამიანს არ აქვს. მე ვერ შევალ ლექციაზე და ვერ ვისაუბრებ სტუდენტებთან იმ მოდულით, რაც ხუთი წლის წინ მქონდა დამუშავებული.

**– და, არდადეგები, დასვენება?**

– უჰ, იმდენი წელია, რაც მე არდადეგები არ მქონია, დამავიწყდა კიდეც, რა არის ეს. ჩემს ოჯახთან ერთად გამიტარებია სადმე რამდენიმე დღე, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, დიდი ხნით ვერ ხერხდება. ივლისში 1 200 განცხადება გვაქვს განსახილველი; პრეზიდენტს უნდა შევთავაზოთ სარეკომენდაციო წერილი და ახლა არდადეგებისთვის მოვიცლი?!

**– ოჯახი საჩივრის წიგნს ხომ არ „ითხოვს“?**

– არა, ჩემი მეუღლე თავადაც ძალიან აქტიური რეჟიმით ცხოვრობს. ის პროფესიით ფსიქოლოგია და მუშაობს ძალიან მჭახესახელიან არასამთავრობო ორგანიზაციაში – „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი."

**– მონათესავე სფეროებში ხართ, პროფესიული კონკურენცია ხომ არ გაქვთ?**

– ის პროფესიის გამოა ამ საქმეში, მე კი საზოგადოებრივი აქტივობების შემდეგ მოვხვდი იმ თემებზე სამუშაოდ, რომლებიც შეეხება მსჯავრდებულებს, თუმცა ამ თემებით ყოველთვის ვინტერესდებოდი და სხვადასხვა ფორმით აქტიურად ვიყავი დაკავშირებული ადამიანის უფლებების დაცვასთან. ჩემს მეუღლეს ძალიან უყვარს თავისი საქმე, მისთვის უცხო არაა აქტიური რეჟიმი, ამას არიან მიჩვეულები ჩვენი შვილებიც. ჩვენ გვყავს ოთხი შვილი. უფროსი გოგონა 19 წლისაა, სწავლობს უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებზე და მასაც აქვს გარკვეული საზოგადოებრივი აქტივობები; ორი გოგონა სკოლის მოსწავლეა, ნაბოლარა ლუკა კი 6 წლისაა და ახლა მიდის სკოლაში. მშობლების აქტივობა შვილებისთვის არის მათთან ერთგვარი კომუნიკაცია, ასე რომ, შესაძლოა, ბევრ დროს ვერ ვუთმობდე შვილებს, მაგრამ მათთან მაინც ძალიან აქტიური კომუნიკაცია მაქვს. ვინც მე მიცნობს, იცის, რომ არ ვარ პატრიარქალური შეხედულებების ადამიანი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია თანასწორი ურთიერთობები ყველასთან, მათ შორის – ოჯახის წევრებთან. ოჯახის საორგანიზაციო საკითხებში ყველა აქტიურად ვართ ჩართული, ყველა ერთად ვიღებთ გადაწყვეტილებებს და ვუსმენთ ერთმანეთს. მაგალითად, ახლა სახლში მაქვს რემონტი და ძალიან აქტიურად ვარ დაკავებული სარემონტო სამუშაოებით – აქედან მუშებთან მივდივარ.

**– ჰობი რა აქვს ზვიად ქორიძეს?**

– ამაზე რამდენიმე წლის წინ დავფიქრდი, როდესაც ვავსებდი ანკეტას ერთ-ერთი წიგნისთვის. აღმოვაჩინე, რომ წლების განმავლობაში არ შეცვლილა ჩემი ჰობი – კარგი ლიტერატურა, კარგი ჯაზი, კარგი მოგზაურობა და კარგი კონიაკი. ეს არის ის, რამაც, შეიძლება, ყოველდღიური საკმაოდ სტრესული გარემოდან ცოტა მოგწყვიტოს, დაგამშვიდოს, დაგაფიქროს და მიგაღებინოს ახალი გადაწყვეტილებები. ეს ყველაფერი ჩემი ტიპის ადამიანს ეხმარება, ერთი მხრივ, თავისუფლებაში, მეორეს მხრივ თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღებაში.

**– და, ცხოვრების ექსტრემი?**

– ექსტრემს არ ვეძებ, მე ვცხოვრობ და, ხან ვხვდები ექსტრემალურ სიტუაციებში, ხან – არა. ისტორიები, მათ შორის, ზოგჯერ ფათერაკიანიც, თვითონ „მპოულობენ." მოგზაურობაში განსაკუთრებული რეკორდები არ მაქვს დამყარებული, მაგრამ, მინახავს ბევრი ლამაზი ქვეყანა, ბევრი ლამაზი ქალაქი. მაქვს ერთი ოცნება – ვნახო აფრიკა და, იმედი მაქვს, რომ ამ კონტინენტზე მალე მოვხვდები.

**თამუნა სამადაშვილი**

**„ცეკვავენ ვარსკვლავების" მეოთხე სეზონის გამარჯვებული ადვოკატი მარიამ კუბლაშვილი გახდა. ფინალამდე ტირილითა და წუწუნ-წუწუნით მივიდა, მაგრამ ისე უნდოდა ცეკვა და სცენა, რომ მისთვის ბევრი რამ გაიღო. მძიმე სამი თვის განმავლობაში, მარიამს ბევრი ბარიერის გადალახვა მოუხდა. როგორც თავად ამბობს, პროექტისთვის „თავი დადო". თუმცა, ბავშვობის ოცნების ასახდენად, რომელიც წლების წინ თვალსა და ხელს შუა „დაეწვა", ეს ნამდვილად ულირდა.**

# რატომ ჩააბარა ებრაელმა ბიზნესმენმა „ცეკვავენ ვარსკვლავების" გამარჯვებულ მარიამ კუბლაშვილს 300 ათასი დოლარი და ვინ ექცა მას ბარიერად

**მარიამ კუბლაშვილი:** განცდა, რომ პროექტის გამარჯვებული ვარ, უსაზღვროდ სასიამოვნო და სასიხარულოა ჩემთვის. თუმცა, ამასთან ერთად, ძალიან დაღლილი, გამოფიტული და დაცლილი ვარ. თავი დავაკალი ამ პროექტს. სამი თვე, არაა ცოტა დრო, იცხოვრო ისეთ რეჟიმსა და ფიზიკური დატვირთვით, რაც შენთვის უცხოა და ადრე ასე არასდროს გიცხოვრია. არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვი, რომ გამარჯვება მოვიდა დიდი მოთმინებისა და შრომის ხარჯზე. ვილაცისთვის ეს ცარიელ სიტყვებად დარჩება და რაც არ უნდა ავხსნა, რა ახლდა ამ ყველაფერს, ბოლომდე მაინც ვერ გაიაზრებს. როცა მაყურებელი ხარ და აკრიტიკებ კონკურსის მონაწილეს, თუ რატომ ვერ აკეთებს რამეს უკეთესად, დღეს ეს ჩემთვის ღიმილის მომგვრელია. უფრო მეტიც, არ მესმის, რატომ უნდა მოსთხოვო კონკურსანტს იმაზე მეტი, რაც არ შეუძლია. საკუთარ თავზე გეტყვით, ცხოვრებაში არ მიცეკვია. ხომ იყვნენ პროექტში ისეთი მონაწილეები, რომელთაც რაღაც ფორმით მაინც ჰქონდათ კავშირი სპორტთან, ან სხვა აქტივობებთან. ზოგს სადმე, ცეკვის სამოყვარულო კლუბში მაინც უვლია. მე ცეკვის არანაირი გამოცდილება არ მქონდა. მთელი ჩემი საცეკვაო „ეპოპეა" შემოიფარგლებოდა ქორწილებში ნაცეკვი ქართულით და მარტივი დისკოთი, რომელიც, პატარაობაში რომ ორლობეში კონცერტებს ვატარებდით, იქ ვისწავლე. მე თვითონ ვიგონებდი რაღაც ილეთებს, ცეკვა ძალიან მიხდებოდა. დედა სულ ამბობდა, ამ ბავშვს ცეკვა როგორ უხდებაო. თუმცა, ჩემი ამგვარი აქტივობის წინააღმდეგი იყო ჩემი ძმა – ტრადიციული მენტალიტეტის ადამიანი, რომელიც მაშინ, როცა ჩეჩნურ ფილმში გადამიღეს, თავზე მადგა და გადასაღები მოედნიდან არ მცილდებოდა. უფრო მეტიც, ამ ფილმში შეყვარებულის როლი უნდა შემესრულებინა, მთავარი როლი იყო. დედაჩემი გადაირია, რას ჰქვია, შეყვარებულიო და რეჟისორს დის როლი „მოაძებნინა" ჩემთვის. თავშალი მეხურა, დახურულ-დაბურული დავდიოდი. ჩემი ძმა მთელი გადაღებების განმავლობაში ჩემთან ერთად იყო პანკისში. სცენაზე მოხვედრაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი. ჩემი სცენა ახმეტის ორლობე და კლუბი იყო. ახმეტაში კარგი კლუბი გვქონდა, იქ გამოვდიოდი სილამაზის კონკურსებზე – 10 -11 წლისა „მის ახმეტა" გავხდი. დიდი კონკურსი ჩატარდა, ორგანიზატორები თბილისიდან იყვნენ. მახსოვს, როგორ ამყვა სცენა, როგორ მესროდნენ ყვავილებს, მანებივრებდნენ აპლოდისმენტებით. ერთ დღეს ეს კლუბი დაიწვა. ჩვენ კლუბთან ახლოს ვცხოვრობდით. ჩუსტებით გავიქეცი, როცა გავიგე, რომ კლუბში ცეცხლი გიზგიზებდა. ახმეტა ხომ ჩემპიონების რაიონია. აქეთ მე ვიდექი ჩუსტებით, იქით ზურა ზვიადაური და ცხარედ ვტიროდი კლუბის დაწვას, რომელთან ერთადაც ჩემი მაშინდელი ოცნებებიც დაიწვა. მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში სცენასთან დაკავშირებით საუბარიც აღარ ყოფილა – გოგო ხარ, ხალხი რას იტყვის, სერიოზული პროფესია უნდა აირჩიოო. მეც ავირჩიე პროფესია, რომლის წყალობითაც სულ სხვა სამყაროში მოვხვდი.

**– როგორც ვიცი, ძალიან რთულად შეხვდა ოჯახი თქვენს გადაწყვეტილებას, მონაწილეობა მიგეღოთ ამ პროექტში.**

– დიახ, დედა ფიქრობდა, რომ ამ პროექტში მონაწილეობა შელახავდა ჩემს, როგორც ადვოკატის სოლიდურ რეპუტაციას და სულ მახსენებდა, მჭირდებოდა თუ არა ეს მე. იგივე პოზიცია ჰქონდა ჩემს ძმას: რა ცეკვა აგიტყდა, ის გამოგიჩნდება, ეს გამოგიჩნდება, დაეტიე შენთვისო. ვეუბნებოდი, რა გამომიჩნდება ისეთი, რაც ქვეყანას არ უნახავს-მეთქი. ასეთი დიდი წინააღმდეგობა რომ ვიგრძენი, უფრო მეტად მომინდა პროექტში მონაწილეობა. მებრძოლი სულის ვარ, შინაგანად ვერ ვეგუები აკრძალვებს. ისე ძალიან მინდოდა სცენა, რომ წამოვედი სახლიდან, რომელიც ჩემი ნაყიდია და საცხოვრებლად გადავედი ქირით, თუმცა პროექტზე უარი მაინც ვერ ვთქვი.



დამპატიჟონ, ბატონო, ქორწილებში და ვაჩვენებ ჩემს მაღალ „კლასს"

**– ასე შეეწირა თქვენი პირადი ცხოვრება ამ პროექტს?**

– სამწუხაროდ, ასე მოხდა, მაგრამ მე ზრდასრული ადამიანი ვარ და სხვა არჩევანს ვერ გავაკეთებდი. თუ პროექტს წავაგებდი, ჩემს ძმას მივცემდი სალაპარაკოს: აი, წააგო და გაიმასხარავა თავიო. ამისი ძალიან მეშინოდა, ამიტომაც არ დავზოგე თავი – ოჯახსაც დავუმტკიცე და საკუთარ თავსაც, რომ მე ძლიერი ვარ და ყველაფერი გამომივა.

**– თავიდან ფიქრობდით, რომ ფინალამდე მიხვიდოდით?**

– არა, ამას ვერ ვიფიქრებდი. ამ სამ თვეში ძალიან ბევრი წინააღმდეგობა გადავლახე. თავიდან მქონდა განცდა, რომ შოუ-ბიზნესი არ მიმიღებდა. მიმაჩნდა, რომ ეს იყო ერთი გუნდი, მე კი ამ გუნდისთვის ვიყავი უცხო, სხვა

## ახმეტაში კლუბთან ერთად ჩემი ოცნებებიც დაიწვა

სამყაროდან – ისე, როგორც მერცხალი შეფრინდება ფუტკრის სკაში და იქ აუცილებლად დაესევიან ფუტკრები, არ გაახარებენ. ჩემი ვარაუდი არ ახდა, უფრო მეტსაც გეტვით, ისე კარგად შემხვდნენ ეს „ფუტკრები", იმდენი მეძახეს: რა ლამაზი და ნიჭიერი ხარო, ცამდე ამიყვანეს. ამას ყოველდღე მიმეორებდნენ, სამაგიეროდ, რა გააკეთეს ადვოკატებმა? ჩემი საახლობლო წრის გარდა, ყველა იურისტი დუმდა ჩემს ამ აქტივობაზე, ჩემს გამარჯვებაზე. უცხოები მომეფერნენ, მათ კი არანაირი ემოცია არ გამოუხატავთ. სიმართლე გითხრათ, მე ხალხისაც ძალიან მეშინოდა – არავინ მიცნობდა არც მე და არც ვიქტორს. ის პირველად ჩამოვიდა აქ და არ ჰყავდა თაყვანისმცემლები. ვფიქრობდი, ვის უნდა დაეჭირა ჩვენთვის მხარი? სანამ ვიქტორი თაყვანისმცემლებს გაიჩენდა, კი გაგვიშვებდნენ იქიდან. მე ისე ვიყავი გაფრენილი ჩემს ოცნებებში: რომ ვიცეკვებდი, გამიკეთებდნენ მაკიაჟს, ჩავიცვამდი ლამაზ კაბებს, ჭკუაზე არ ვიყავი. ცალკე ბარიერად მექცა თვითონ ვიქტორი, რომელიც ძალიან მკაცრია. პირველივე ვარჯიშის დროს დავიზიანე მუხლი და წყალი ჩამიდგა. საერთოდ ვერ ვამოძრავებდი ფეხს. არ ვიცი, როგორ არ გადავუხადო სახალხოდ მადლობა ექიმ გიორგი ჯინჭარაულს. რომ არა მისი პროფესიონალიზმი, ფეხს ვერ გადავდგამდი. ვარჯიშების დროს საშინელ ტკივილს ვგრძნობდი, ვტიროდი, როცა ვიქტორი მეუბნებოდა: ეს რა საშინელება ხარ, ხორცი! „მიასა"! შენ არაფერი გამოგდის! ვიქტორს არ ჰქონდა არაპროფესიონალთან მუშაობის გამოცდილება და ამიტომაც მაფასებდა ასე მკაცრად. ისე ვნერვიულობდი, საკუთარი თავის რწმენა დავკარგე. მთელი ჩემი ნერვები შეეწირა ამ პროექტს. სცენაზე გამოსვლა სიკვდილს უდრიდა ჩემთვის. ვამბობდი: ღმერთო, მიშველე, მიწა გამისკდეს და ჩავვარდე-მეთქი. შიშისგან რამდენჯერმე ისიც ვიფიქრე, მოდი, არ გავალ, მაგრამ რა ვქნა, ამ ხალხს რა ვუყო-მეთქი? ***(იცინის)*** საკუთარ თავს იმით ვამხნევებდი, რომ ახლა თუ არ გავალ, საქვეყნოდ თავს მოვიჭრი-მეთქი. ხელები და ფეხები ისე მიკანკალებდა, წონასწორობას ვერ ვინარჩუნებდი, ამის მიუხედავად, მაინც ვაგრძელებდი 8-9 საათი ვარჯიშს. დავიწყებული მქონდა ყველა და ყველაფერი, მხოლოდ ცეკვით ვცხოვრობდი. ერთადერთი, რასაც ვერ ველეოდი იყო ჩემი საქმე, შეხვედრებიდან პირდაპირ სავარჯიშო დარბაზში მივრბოდი და ცეკვას ვაგრძელებდი.

**– ყველაზე მეტად რომელი ტური გაგიჭირდათ?**

– ყველაზე რთული, ალბათ, მაინც „ჩაჩაჩა", იყო – ჩემთვის ყველაზე წარუმატებელი ცეკვა. ტანსაცმელიც შეუფერებელი მეცვა, „შარვალ-კოსტუმით" „ჩაჩაჩას" არავინ ცეკვავს. თავიდან საშინელი კომპლექსები მქონდა, როგორც კი „ექვსიანები" დამიწერეს, გავიხადე და გავიხადე ***(იცინის).*** ამ ცეკვის შემდეგ ჩერტკოევმა გადამიარა: ცხოვრებაში ასეთი საშინელი „ჩაჩაჩა" არ მინახავს, ეს რა არისო, მითხრა. ჟიურის წევრები ერთმანეთს აბალანსებდნენ ჩემს ლანძღვაში. ერთ შოუში ჟიურის ერთი მონაწილე მლანძღავდა, მეორე შოუში – მეორე. თუმცა, ამაზე რეაცია არ მქონდა. ვიცოდი, რომ ისინი მართლები იყვნენ. ჩერტკოევი ძალიან მაგარი ადამიანია, არა იმიტომ, რომ პროფესიონალია, სამართლიანია. მე პირველივე დღეს დავინახე ბევრი საერთო, რაც არსებობდა ჩვენ შორის. ეს იყო იმედი. ვხედავდი, რომ ამ კაცს არ შეუძლია უსამართლობა და თუ კარგად ვიცეკვებ, აუცილებლად „დამინახავს". ჩერტკოევი „ხედავდა" ვიქტორს. მიხვდა, რომ ის იყო პირველი კლასის მოცეკვავე, საუკეთესო საუკეთესოთა შორის. საბოლოოდ, ჩვენმა ტანდემმა გაამართლა. ამ წუწუნ-წუწუნსა და ტირილ-ტირილში მივედი ფინალამდე. ხალხმა შემიყვარა და ისე მეშინია, რომ ვერ გავამართლო მათი იმედი, ამაზე ხშირად ვფიქრობ.

**– ამბობენ, რომ პროექტს ჰქონდა რთული „კულისები..."**

– თავიდან ყველაფერი სხვანაირად იყო, ფინალისკენ უფრო დაიძაბა ურთიერთობები. ველარ ვიყავით ისე ლაღები, როგორც თავიდან. ის ღიმილიც გაქრა, რაც ყველას გვქონდა პროექტის დასაწყისში. ძალიან მიხარია, რომ გავიცანი საუკეთესო ადამიანები, თბილი, მეგობრული, უკონფლიქტო. საოცრად კარგი ადამიანია თიკა ჯამბ-

# ჭარბი ოფლიანობა და სახის სიწითლე გაწუხებთ? პრობლემის გადაწყვეტა მარტივად და საბოლოოდ – მხოლოდ და მხოლოდ კლინიკა „ჰერა 2011-ში"

*ჭარბი ოფლიანობა (ჰიპერჰიდროზი) თანამედროვე ცხოვრებაში ძალიან გავრცელებული პრობლემაა. მისი გამომწვევი მიზეზი მრავალი რამ შეიძლება იყოს, თუმცა ამჯერად ამ თემით დაინტერესებულ ადამიანებს პრობლემის მარტივად გადაწყვეტის გზას ვასწავლით. იქიდან გამომდინარე, რომ პრობლემა დელიკატურია, ხშირად მასზე საუბარს უხერხულად მიიჩნევენ და ექიმთან ვიზიტსაც თავს არიდებენ. ისინი პრობლემის გადაჭრას სპეციალური დეოდორანტებით ცდილობენ, რაც მხოლოდ დროებით ეფექტს იწვევს და პრობლემა რჩება პრობლემად, რომელიც ბევრ ადამიანს ურთულებს ცხოვრებას. ხშირად ამას სახის სიწითლეც (ბლაშინგ სინდრომი) ემატება, რაც ასევე, არცთუ იშვიათია. თანამედროვე მედიცინისთვის ჭარბოფლიანობასა და სახის სიწითლესთან ბრძოლა პრობლემა აღარ არის – კლინიკა „ჰერა 2011-ში" ჭარბოფლიანობას მსოფლიოში ყველაზე წარმატებული მეთოდებით, ეფექტურად, ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრით.*



*თუ ძლიერ გამოხატული ჭარბოფლიანობა გაქვთ, მკურნალობის კონსერვატიული მეთოდები არაეფექტურია, თქვენი არჩევანია კლინიკა „ჰერა 2011"! მხოლოდ და მხოლოდ აქ შეძლებთ, დაემშვიდობოთ ჭარბოფლიანობას ქირურგიული გზით! ქირურგიული მკურნალობა ყველაზე ეფექტური და რადიკალურია ხელისგულების, იღლიების, კისრის, სახის და თავის არეში ჭარბოფლიანობის შემთხვევაში. ოპერაცია მინიმალურად მცირედინვაზიურია და მაქსიმალურ შედეგს იძლევა. პრობლემის ქირურგიული გზით გადაჭრის ეფექტურობის შესახებ კლინიკა „ჰერა 2011-ის" ქირურგიული სამსახურის უფროსს, ჰიპერჰიდროზის და ბლაშინგ სინდრომის მკურნალობის ცენტრის ხელმძღვანელს, ქირურგ-ენდოკრინოლოგსა და ქირურგ-ონკოლოგს, მედიცინის დოქტორს ბატონ კობა სახეჩიძეს გავესაუბრეთ.*

**– ბატონო კობა, კლინიკა „ჰერა 2011" არის ერთადერთი სამედიცინო ცენტრი, სადაც ჭარბოფლიანობის პრობლემის გადაჭრა ქირურგიული გზით ხდება. როგორია სტატისტიკა და რამდენი ოპერაცია გაქვთ უკვე გაკეთებული საქართველოში?**

– უპირველესად, მოგახსენებთ, რომ ჩვენს ცენტრში გამოიყენება ჰიპერჰიდროზის, ანუ მომატებული ოფლიანობისა და ერითროფობიის, ანუ ბლაშინგ სინდრომის მკურნალობის ყველაზე ეფექტური და თანამედროვე კონსერვატიული მეთოდები, რაც დანერგილია მსოფლიოს წამყვან კლინიკებში. კომპლექსური დიაგნოსტიკისა და ყველა საჭირო ლაბორატორიული გამოკვლევის შემდეგ, ხდება პაციენტის მკურნალობის ინდივიდუალური კურსის შედგენა, რაც მხოლოდ მკურნალობის კონსერვატიულ მეთოდს არ მოიცავს. ქირურგიული ოპერაცია ყველაზე ეფექტური გზაა ამ პრობლემის ერთხელ და საბოლოოდ გადასაჭრელად მაშინ, როცა მკურნალობის კონსევატიულ მეთოდს, ეფექტი არ აქვს. ბოლო პერიოდის სტატისტიკის მიხედვით, ჩვენთან უფრო და უფრო მეტია მსურველი, ვინც გადაწყვიტა, რომ ჭარბოფლიანობას ქირურგიული გზით დაემშვიდობოს. ბოლო ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში, მარტო საქართველოში 40-მდე ოპერაცია მაქვს გაკეთებული.

**– როგორ ტარდება ოპერაცია? როგორია მისი ხანგრძლივობა და პოსტოპერაციის სარეაბილიტაციო კურსი?**

– არსებობს ერითროფობიის ქირურგიული მკურნალობის ორი ძირითადი მეთოდი. თორაკოტომიური სიმპათექტომია, როდესაც ხდება



სიმპათიკური ნერვის გადაკვეთა გულმკერდის გახსნით. ეს მეთოდი დღესდღეობით ნაკლებად გამოიყენება ზედმეტი ტრავმატულობის გამო. მე წლებია, ვთანამშრომლობ ამერიკის წამყვან, მეიოს სამედიცინო ცენტრთან, რამაც მომცა საშუალება, ეს ოპერაციები ჩვენთანაც გაკეთებულიყო ყველაზე თანამედროვე – ენდოსკოპიური მეთოდით, რაც დღეისთვის ყველაზე გავრცელებულია. ამ მეთოდის მიხედვით 2 ან 3, 5 მილიმეტრის ზომის განაკვეთი კეთდება გულმკერდის ორივე მხარეს, რომელიც ოპერაციიდან ერთი თვის შემდეგ სპეციალური გელის მეშვეობით, პრაქტიკულად, კვალს არ ტოვებს. ოპტიკური კამერით ხდება გულმკერდის ღრუს ვიზუალიზაცია და საჭირო ნერვული ღეროს იდენტიფიცირება. სხვა ჭრილობიდან ხდება ინსტრუმენტის შეყვანა, რომლის საშუალებითაც კეთდება ნერვის გადაკვეთა ან კლიპირება. ოპერაცია გრძელდება 30-40 წუთის განმავლობაში და მიმდინარეობს ზოგადი ნარკოზის ფონზე. პაციენტი სტაციონარში რჩება 12-24 საათი, სარეაბილიტაციო კურსი პრაქტიკულად არ აქვს. ოპერაციის შემდეგ პაციენტი იღვიძებს და აღარ აქვს არც ოფლიანობა, არც სახის სიწითლე და ეწყება ცხოვრების ახალი ერა – უხერხულობის და დისკომფორტის გარეშე.

*P.S. „ჰერა 2011-ში" მისულებს კლინიკაში ჩვენი საზოგადოებისთვის ცნობილი სახე, ყველასთვის საყვარელი ახალგაზრდა მომღერალი დაგვხვდა. თემის დელიკატურობიდან გამომდინარე, მის ვინაობას, რა თქმა უნდა, არ დავასახელებთ, თუმცა გთავაზობთ მის ისტორიას და შთაბეჭდილებას, რაც ამ კლინიკასთან არის დაკავშირებული: „ჭარბოფლიანობის გამო, ცხოვრება გამწარებული მქონდა. წარმოიდგინეთ, სცენაზე მდგომს, ან ოფიციალურ შეხვედრაზე მყოფს, რა დისკომფორტს შემიქმნიდა უცებ დასველებული პერანგი, ოფლიანი სახე და ხელები. რა არ ვცადე, მაგრამ ყველა გზა უშედეგო აღმოჩნდა. შემოვიარე ყველა დერმატოლოგი, ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი, მაგრამ პრობლემა ვერ მოვაგვარეთ. როცა შევიტყვე, რომ საქართველოშიც დაინერგა ჭარბოფლიანობის მოცილების ქირურგიული გზა და ეს ოპერაცია კეთდება მხოლოდ ამ კლინიკაში ბატონი კობა სახეჩიძის მიერ, მაშინვე მივიღე გადაწყვეტილება. კომპლექსური დიაგნოსტიკის შემდეგ, რომელშიც ჩართულები იყვნენ ამ ცენტრის თანამშრომლები: ენდოკრინოლოგი, დერმატოლოგი, პლასტიკური ქირურგი, ფიზიოთერაპევტი, ნევროლოგი, ფსიქოლოგი, გამიკეთდა ოპერაცია, რომელსაც საოცარი შედეგი მოჰყვა. ამას არც ველოდი! აბსოლუტურად გავთავისუფლდი ყველა იმ კომპლექსისა და დისკომფორტისგან, რაც ცხოვრებას მირთულებდა. იგივეს ვურჩევ ყველას, ვისაც ეს პრობლემა აწუხებს. მადლობას ვუხდი ბატონ კობას, ექიმთა გუნდს და კლინიკის ყველა თანამშრომელს, მაღალი პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისთვის."*

**ინფორმაციისთვის დარეკეთ ტელეფონებზე: 2 23 21 63; 5 57 12 82 82; 5 95 50 09 21.**
**მისამართი: კლინიკა „ჰერა 2011", დიღომი, ლუბლიანას ქ №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო, მეშვიდე სართული).**

**თამარ ჩხენკელი**

---

ურია, აღარაფერს ვამბობ, გიორგი ჯაჯანიძეზე. ნახევარფინალში ცოტა მეტი უხერხულობა გაჩნდა. მე და იასენია ერთმანეთთან ახლოს ვიყავით, თითქოს დამნაშავედაც კი ვგრძნობდი თავს, როცა ის პროექტიდან გავიდა.

**– ამ პროექტს, წინა სეზონისგან განსხვავებით, ბევრი კრიტიკა და მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რატომ ვერ აჩვენეთ ისეთი შოუ, როგორც ეს წინა კონკურსანტებმა მოახერხეს?**

– ხმები იმის შესახებ, რომ ჩვენ ვერ დავდგით შოუ, ცოტა არ იყოს, უსამართლოა. წინა პროექტში ძალიან ბევრი მონაწილე იყო ისეთი, რომელთაც სპორტული ცხოვრება ჰქონდათ. მე ვერასდროს დავდგამ ცეკვას ისე, როგორც იცეკვებს ქეთი ხატიაშვილი. ნანა ნებიერიძე წყალბურთელია, ისეთი გაწელილია, მისთვის ცეკვა არაა პრობლემა. ჩვენ მართლა ჯანსაღი კონკურსი გვქონდა – არავის არსად გვიცეკვია, არავის გვქონია შეხება ცეკვასთან ისე, როგორც ეს იყო წინა პროექტში. სწორედ ეს გახლდათ მოცემულობა, რასაც ვერ გავექცეოდით. მე მერჩია, მეცეკვა ტექნიკურად რთული ცეკვა და არ გამეკეთებინა აქცენტი მხოლოდ შოუზე, რაც იოლი არ იყო.

**– და პრიზი?**

– ეს არის 40 კვადრატული მეტრი ფართობის ბინა, მშენებარე კორპუსში. ბინის რეალური მფლობელი, ალბათ, ერთ წელიწადში გავხდები.

**– გარდა იმისა, რომ ხართ წარმატებული ადვოკატი, როგორც ვიცი, ჩართული ხართ კოსმეტიკურ ბიზნესშიც. ამ პროექტის შემდეგ პროფესიულ კარიერაში ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ?**

– მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, რომ გამაღვიძონ და მთხოვონ, სასწრაფოდ იურიდიული კონსულტაცია გვჭირდებაო, უცებ, წამებში ვბრუნდები ჩემს საქმეში. ახლა ცოტა უფრო რთული იქნება ჩემი დაბრუნება ამ საქმეში, რადგან დავინახე ის, რისი დანახვაც არ მინდოდა. უცხოებისგან ვიგრძენი თანადგომა, სითბო, რასაც ვერ ვიტყვი ჩემს კოლეგებზე. ადვოკატური საქმიანობის პარალელურად, რამდენიმე თვეა, რაც ბიზნესში ვარ ჩართული. ჩემი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს ყოფნა უცხოეთში. ისრაელში გავიცანი ადამიანი, ქველმოქმედი ებრაელი, რომელმაც შემომთავაზა, რომ ჩადებდა ინვესტიციას საქართველოში, დაახლოებით, 300 ათას დოლარს. ის ვერავის ანდობდა ფულს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მე ახლოს გამიცნო, მიიღო გადაწყვეტილება, საქართველოში განეხორციელებინა ინვესტიცია. ბიზნესის წარმატების შემთხვევაში კი, 15 პროცენტის მფლობელი მე გავხდებოდი.

**– ამ პროექტის შემდეგ როგორ შეიცვალა თქვენი ცხოვრება?**

– სავსე ვარ დადებითი ემოციებით, ჩემი ცხოვრება შეიცვალა უკეთესობისკენ. როცა შენ ბედნიერი ხარ, ამას აფრქვევ კიდეც. მე ავიხდინე ჩემი ოცნება – სცენა აღარაა ჩემი ორლობის და დამწვარი კლუბის ოცნება ***(იცინის).*** ჩემი პროფესიული ცოდნა ცეკვაში უკვე გასცდა ქართულს და დისკოს. ახლა დამპატიჟონ, ბატონო, ქორწილებში და ვაჩვენებ ჩემს მაღალ „კლასს". დღეს წარსულის დისკოსგან განსხვავებით, ჩემი ცეკვები უკვე „ფოქსტროტი" და „ტანგოა" ***(იცინის).***

**თამუნა ნიჟარაძე**

**1979 წელს ტელეეკრანებზე გამოვიდა სერიალი „შეხვედრის ადგილი უცნობია“. მაყურებელმა აქედან პირველად შეიტყო ბანდის – „შავი კატა“ არსებობის შესახებ. აღნიშნული ბანდა სინამდვილეში არსებობდა, მისი ერთ-ერთი წევრი კი ქართველი იყო. ამის შესახებ გვესაუბრება ისტორიკოსი და მწერალი, ისტორიის დოქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ნიკა თევზაძე.**

# როგორ შეძლეს ყველაზე საშიში ბანდის, „შავი კატის“ განადგურება, რომლის წევრები მოწინავე კომკავშირლები იყვნენ, ხოლო ერთ-ერთი მეთაური ქართველი ჰყავდათ

– ჯერ კიდევ ომამდე, 1939-40-იან წლებში, მოსკოვში გამოჩნდნენ ბანდები, რომლებიც ტეხდნენ ბინებს, დანაშაულის ადგილზე კი შავ კატას ხატავდნენ. შავი კატა ერთგვარი „საფირმო ნიშანი” იყო და დამნაშავეთა სამყაროს ელიტას განეკუთვნებოდა. ასეთი ქმედება თავისთავად უკვე სისტემისადმი მიმართული გამოწვევა გახლდათ. სტალინმა თავის ძალოვანებს კატეგორიულად მოსთხოვა, არავითარი შავი კატა აღარ დავინახოო. მალე ხსენებული ბანდების წევრები დაიჭირეს და უმკაცრესად დასაჯეს: ზოგს დახვრეტა მიესაჯა, ზოგსაც – ხანგრძლივი პატიმრობა. ძალოვანებმა მიზანს მიაღწიეს: შავი კატა გაქრა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებას ახალი კრიმინალური აფეთქება მოჰყვა. გაჩნდნენ შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ძარცვავდნენ მაღაზიებს, შემნახველ სალაროებს და ასე შემდეგ. ომის დამთავრების შემდეგ კი ისევ ჩნდება ბანდა „შავი კატა“. ამის შესახებ კვლავ პირადად სტალინს მოახსენეს: მოსკოვში საბჭოთა არმიის ერთ-ერთი გენერლის ბინა გაძარცვეს, მისი პატრონი მოკლეს, კედელზე კი ნახშირით შავი კატა დახატესო.

იდგა 1945 წლის სექტემბერი.

**– ანუ, „შავი კატა” დაბრუნდა?**

– 1945 წლის სექტემბერი ითვლება თარიღად, როცა ამ ბანდამ თარეში დაიწყო. ისინი ძარცვავდნენ შემნახველ სალაროებს, ბინებს, მაღაზიებს; ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობებოდათ, კლავდნენ. მკვლელობა მათთვის ერთგვარი რიტუალი იყო. ადამიანს ესროდნენ მაშინაც კი, როცა საამისო საჭიროება არ არსებობდა. დანაშაულის ადგილზე კი კვლავ შავ კატას ხატავდნენ.


ძარცვის გზით მათ უამრავი ფული იშოვეს, მაგრამ, არ ხარჯავდნენ

სტალინმა კატეგორიულად მოითხოვა, ხსენებული ბანდა რაც შეიძლება სწრაფად გაენადგურებინათ, მაგრამ, ეს ვერ მოხერხდა. ბანდა თავდასხმებს განაგრძობდა. ის კვლავ ძარცვავდა და კლავდა, შემთხვევის ადგილას კი შავ კატას ხატავდა. მალე მთელ მოსკოვს მოედო ამბავი, რომ გამოჩნდა ბანდა, რომლის წინაშეც ყველა უძლურია. მაშინ, მოგეხსენებათ, არც დემოკრატია იყო და არც ოპოზიციური პრესა არსებობდა, ოფიციალური პროპაგანდა კი ორგანიზებული დანაშაულის არსებობას უარყოფდა, გაზეთებში კი „შავ კატაზე” კრინტს არ ძრავდნენ. მოსკოვში ჭორები გავრცელდა: ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ბანდა „აბვერმა” შექმნა და საგანგებოდ გამოწრთვნილი ბოევიკებით დააკომპლექტა; მეორენი ამბობდნენ, რომ „შავ კატას“ აგენტები მთავრობაშიც ჰყავსო – ხალხს, მოგეხსენებათ, გაზვიადება უყვარს. ასე შეიქმნა მითი უძლეველი ბანდის შესახებ. მალე ამ ბანდას მიმბაძველებიც გამოუჩდნენ.

**– ვინ იყვნენ ისინი?**

– მწერალი ედუარდ ხრუცკი (ის მაშინ სკოლაში სწავლობდა) იხსენებს, რომ თავის ძმაკაცებთან ერთად კლასის დამრიგებელს ჩანთაში ბარათი ჩაუდო, რომელშიც ეწერა, დღეს თქვენთან „შავი კატა“ მოვაო. საწყალ დამრიგებელს გული წაუვიდა. ეს ერთეული შემთხვევა როდი იყო. ბავშვები შავ კატას ხატავდნენ დაფებზე, ასფალტზე, კედლებზე. მთელი მოსკოვი ამ ნახატებით იყო აჭრელებული. მოხულიგნო მოზარდები კი თავიანთ თანატოლებს თავს ესხმოდნენ: „აბა დაყაჭე მაყუთი, ჩვენ „შავი კატის“ წევრები ვართ!“ და ასე შემდეგ.

ბავშვების გარდა, ბანდებს მოზრდილებიც ქმნიდნენ. ცნობილი კრიმინალისტის, გუროვის ცნობით, 1945-47 წლებში მოსკოვსა და მის შემოგარენში ათამდე ბანდა იქნა განადგურებული, რომლის წევრებიც ხალხს ძარცვავდნენ, ხოლო შემთხვევის ადგილზე შავ კატას ხატავდნენ. თუმცა, გამოძიებით დამტკიცდა, რომ ესენი მიმბაძველები იყვნენ, ნამდვილი ბანდა კი თარეშს განაგრძობდა.

**– სტალინს ძლიერი სპეცსამსახურები ჰყავდა, ნუთუ ბანდის განადგურება მათთვის პრობლემა გახდა?**

– თავად განსაჯეთ, ბანდამ პირველი დანაშაული 1945 წელს ჩაიდინა. სტალინის ბრძანებით, მთელი სპეცსამსახურები ფეხზე დადგნენ, მაგრამ, არათუ ბანდის განადგურება, იმის დადგენაც კი ვერ მოხერხდა, რამდენი წევრი იყო მასში გაერთანებული, სად ჰქონდათ ბაზა და ასე შემდეგ.

1948 წელს მოსკოვის ქალაქკომის პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი გახდა. ის მაშინვე მივიდა პეტროვკაზე, „მურის” ხელმძღვანელობა შეკრიბა და ყოველგვარი მიკიბვა-მოკობვის გარეშე განუცხადა: ეს „შავი კატაა” თუ რაღაც, უნდა გაანადგუროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის მტრებად გამოგაცხადებთ და სათანადოდ დაგსჯითო.

„მურში,” როგორც იტყვიან, სრული საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა. „შავი კატის“ წინააღმდეგ საუკეთესო ძალები გამოყვეს, მათ შორის იყვნენ ცნობილი ოპერმუშაკი სკორინი და მისი მეგობარი – არაპოვი. მათ მთელი დანაშაულებრივი სამყაროს ელიტა შეკრიბეს და განუცხადეს: რაც გინდათ ქენით, მაგრამ, ეს „შავი კატა“ ცოცხალი ან მკვდარი მოგვგვარეთო. გავიდა ერთი თვე. კანონიერმა ქურდებმა სკორინსა და არაპოვს მოახსენეს, ხსენებული ბანდის წევრები შავ სამყაროს არ განეკუთვნებიანო. მიუხედავად ამისა, შედეგი ნულოვანი გახლდათ.

„ხაზებსა“ და „მალინებზე“ მათ ვერ ნახავდით; რჩებოდა რესტორნები და შავი ბაზრები. ბანდიტებმა ხელში უამრავი ფული ჩაიგდეს. სტალინის დროს არა მხოლოდ ფულის შოვნა, მისი დახარჯვაც კი პრობლემას წარმოადგენდა. მაღაზიები ცარიელი იყო და რაიმე ფასეულის ყიდვა მხოლოდ შავ ბაზარზე თუ შეიძლებოდა. სპეკულანტთა უმრავლესობა კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ან უშიშროების აგენტი იყო და, თუ ვინმე ბინას ან აგარაკს იყიდდა, მაშინვე იგებდნენ. სპეცსამსახურებისთვის მუშაობდნენ რესტორნების დირექტორები, ოფიციანტები, თუმცა, არც რესტორნებში, არც შავ ბაზარზე დაკავებული არც ერთი პირი ბანდის წევრი არ აღმოჩნდა. შეამოწმეს ისინიც, ვინც მოსკოვსა და მის შემოგარენში ბინა ან აგარაკი იყიდა, მაგრამ, არც ერთ მათგანს საერთო არაფერი ჰქონდა ბანდასთან. მაძებრებიც საგონებელში ჩაცვივდნენ: ვინ არიან „შავი კატის“ წევრები? მათ ძარცვების გზით ხომ უამრავი ფული იშოვეს, მაგრამ ამ ფულს არ ხარჯავენ. ისმის კითხვა: რატომ ძარცვავენ და კლავენ – ფსიქოპატები არიან თუ „აბვერის” სპეცაგენტები, რომლებსაც საბჭოთა ქვეყანაში დესტაბილიზაცია სურთ? ეს ორივე ვერსია მთელი სერიოზულობით განიხილებოდა. ამ დროს ახალი ძარცვა მოხდა. ბანდიტებმა ამჯერად სასურსათო მაღაზია გაძარცვეს, დარაჯი მოკლეს, ხოლო კედელზე ნახშირით შავი კატა დახატეს. ამ ძარცვისას „მურმა” ბანდის შესახებ პირველი კონკრეტული მონაცემები მოიპოვა.

მაღაზიის დარაჯს პატარა შვილიშვილმა საჭმელი მოუტანა. ანაზდად, ბანდიტები შემოცვივდნენ, თუმცა, შვილიშვილი სასწაულით გადარჩა. მან განუცხადა მილიციას, ერთ-ერთი თავდამსხმელი მაღალი, ქერა მამაკაცი იყოო და ამის შემდეგ მაძებრებმა მაღალი ქერა მამაკაცის ძებნა დაიწყეს. ამ დროს ერთი დრამატული შემთხვევა მოხდა. ერთ-ერთ ლუდხანაში მილიციელის ყურადღება კუთხეში განმარტოებით მჯდარმა ახალგაზრდამ მიიპყრო. ის მაღალი და ქერა იყო, თან, ტყავის ქურთუკი ეცვა. ახალგაზრდა თავისთვის, წყნარად იჯდა და ლუდს სვამდა. მილიციელი მას მიუახლოვდა და საბუთები მოსთხოვა. – რა გინდა? – გაიღიმა ახალგაზრდამ, – განა რამეს ვაშავებ?

– აბა, ცოცხლად! – დაიღრიალა მილიციელმა, – თორემ, განყოფილებაში წაგაბრძანებ!

ახალგაზრდამ თვალები შეშინებულად დაახამხამა:

– ახლავე, ამხანაგო, ახლავე...

ამ სიტყვებზე ჯიბეში ხელი ჩაიყო, რევოლვერი ამოიღო და მილიციელს დაახალა. მილიციელი იქვე ჩაიკეცა, მაღალი ქერა მამაკაცი კი გაიქცა.

უნდა ითქვას, რომ ლუდხანიდან გაქცევის შემდეგ მაღალმა ქერა მამაკაცმა სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დახოცა – ისინი შინ მიდიოდნენ და გზაში რაღაცაზე გაცხარებით საუბრობდნენ. ქერა მამაკაცს ეს არ მოეწონა, რევოლვერი ამოიღო და, დღისით-მზისით, ორივე იქვე მიაწვინა, თავად კი ამჯერადაც შესძლო გაქცევა.

ამის შემდეგ ხსენებულ ბანდასაც „მაღალი ქერა მამაკაცის ბანდად” მოიხსენიებდნენ. ზუსტად ერთი წლის შემდეგ, 1949 წელს, 1 მაისის დღესასწაულის შემდეგ, ახალი დანაშაული მოხდა – უცნობმა პირებმა მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის შემნახველი სალარო გაძარცვეს. ძარცვის მომენტში ვიღაცამ სალაროში დარეკა. ყურმილი ერთ-ერთმა ბანდიტმა აიღო. როდესაც იკითხეს, ეს შემნახველი სალაროაო? ბანდიტმა უპასუხა: „არა, სტადიონია.” ამის შემდეგ ბანდიტებმა დიდძალი თანხა გაიტაცეს და მიიმალნენ.

გადამწყვეტი ბრძოლები 1952 წელს გაიმართა. ბანდასთან საბრძოლველად როგორც უშიშროების, ასევე „მურის” საუკეთესო კადრები ჩააბეს. უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს გაერთიანებულმა შტაბმა მათ ხელთ არსებული მთელი ინფორმაცია კიდევ ერთხელ გააანალიზა და ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ძარცვები ძირითადად მოსკოვსა და მის შემოგარენში ხდებოდა. ერთადერთი ქალაქი, სადაც „შავი კატა” არ გამოჩენილა, კრასნოგორსკი

# ინტიმური საუბრები

### ქმარს აღარ ვუყვარვარ

წლების განმავლობაში, როცა თქვენს რუბრიკას ვკითხულობდი, მიკვირდა, რატომ უჩნდება ადამიანს სურვილი, თავისი პირადი ცხოვრების შესახებ საჯაროდ ილაპარაკოს-მეთქი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავად შემექმნა გადაულახავი პრობლემები, მივხვდი, რომ ტკივილის სხვებისთვის გაზიარება, ერთგვარი ფსიქოთერაპიაა; მით უმეტეს, როცა ცვლი სახელებსა და ასაკს, შეგიძლია, ბოლომდე გულახდილი იყო.

ამ წერილის მოწერა ჩემმა უმძიმესმა მორალურმა მდგომარეობამ გადამაწყვეტინა. ვიცი, რომ ეს არაფერში მიშველის, მაგრამ, მაინც გწერთ...

რამდენიმე წელია, გათხოვილი ვარ (უნდა აღვნიშნო, რომ სიყვარულით დავქორწინდით). შოთიკო რომ გავიცანი, თავიდან მე არც კი მომწონებია, მას კი, თურმე, მაშინვე შევუყვარდი და მთელი წელი კუდში დამდევდა, თან მყვებოდა, რას აღარ აკეთებდა, რომ ჩემი ყურადღება დაემსახურებინა. ისეთ ფოიერვერკებს მიწყობდა, ჩემი დაქალები შურით სკდებოდნენ. მეც, ქვა ხომ არ ვიყავი, შემიყვარდა. ამის მერე თითქმის ორი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და ეს ორი წელი იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი პერიოდი. მერე დიდი ზარ-ზეიმით დავქორწინდით და, მეგონა, რომ ის რომანტიკა, რასაც შოთიკომ სამი წლის განმავლობაში შემაჩვია, მთელი ცხოვრება გაგრძელდებოდა, მაგრამ, თურმე არაფერია ამქვეყნად მარადიული. დაქორწინებიდან რამდენიმე თვეში ჩემმა ქმარმა თანდათან შეამცირა ზრუნვა და ყურადღება, მერე უხეშობაც გამოავლინა და, ერთ დღესაც (ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ), პირდაპირ გამომიცხადა, ძალიან შევცდი შენში; ახლა მივხვდი, რომ არ მყვარებიხარ, მაგრამ, მეცოდები და იმიტომ არ გეყრებიო. ეს იყო შოკი, რამაც მთელი თვე გასტანა. ოდნავ გონზე რომ მოვედი, ძალა მოვიკრიბე და ვკითხე, რა პრეტენზიები გაქვს ჩემთან, როგორც ცოლთან და როგორც ქალთან, მითხარი და შევეცდები, გამოვასწორო-მეთქი. იმაზე უარესი პასუხი მივიღე, ვიდრე მოველოდი. მეგონა, პრეტენზიების უზარმაზარ სიას ჩამომიწერს-მეთქი, მაგრამ, საკმაოდ მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი სათქმელი: არანაირი პრეტენზია არ მაქვს, უბრალოდ, მივხვდი, რომ არასდროს მყვარებიხარ და ვერც ვერასოდეს შეგიყვარებო. საშინელი დეპრესია დამეწყო. მაინც ჩემს თავს ვადანაშაულებდი და ვფიქრობდი, ალბათ, სათანადო სითბო და ყურადღება ვერ გამოვიჩინე მის მიმართ და ამიტომ გაუცივდა ჩემზე გული-მეთქი. მაგრამ ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, სამსახურიდან სახლში რომ ვბრუნდებოდი, დავინახე, როგორ გაჩერდა შოთიკოს მანქანა ბანკის წინ და როგორი ბედნიერი სახით შეიყვანა ჩემმა ქმარმა ბანკში ვილაცა მწარედ დამაკიაჟებული ნაშა ხელკავით. რაღაც ცუდი მიგრძნო გულმა, თან, ცნობისმოყვარეობამაც მძლია და ჩუმად შევყევი. ისეთ ადგილას დავდექი, ისინი ვერ მხედავდნენ, მე კი კიდეც ვხედავდი და მათი ლაპარაკიც მესმოდა. შოთიკომ მოლარეს ბარათი მიაწოდა სარკმლიდან და უთხრა, ხუთი ათასი დოლარის გატანა მინდაო. ფული რომ აიღეს და კარისკენ გაემართნენ, გზაში უთხრა ჩემმა ქმარმა იმ ნაშას, წელს ამ მანქანით იარე და გაისად უკეთესს გიყიდიო. ისე შემშალა ამ სიტყვების გაგონებამ, თავი ველარ შევიკავე, ჩემი „სამალავიდან“ გამოვედი და მათკენ გავემართე. შოთიკოს ისეთი ფერი დაედო ჩემს დანახვაზე, მეგონა, მოკვდება-მეთქი. ის გომბიო მიხვდა, ვინც ვიყავი (ან, შეიძლება, სახეზე მიცნობდა კიდეც), მაგრამ, წარბიც არ შეიხარა, პირიქით, შოთიკოს უთხრა, მანქანის გადაფორმების ფულიც შენ უნდა გადაიხადოო.

იმ ღამეს სახლში არ მივსულვარ, ჩემს დაქალთან დავრჩი, მეორე დღეს კი ჩემი ნივთები ჩავალაგე და დედაჩემთან დავბრუნდი. დედა მეჩიჩინება, ყველა კაცს ემართება ასეთი რამ, უნდა აპატიო და შეურიგდეო. სიმართლე გითხრათ, ჯერ კიდევ ისე მიყვარს, რომ ამაზე თანახმა ვარ, მაგრამ, როგორ გავაკეთო ეს, როცა არც პატიებას და არც შერიგებას არ მთხოვს?!

**ლიკა, 27 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ ისტორიები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@gmail.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

---

გახლდათ. ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, რომ ბანდიტები სწორედ კრასნოგორსკიდან იყვნენ. მალე არაპოვი კრასნოგორსკში მიავლინეს. მან ფრიად საინტერესო ამბავი ჩამოიტანა: ორმა კრასნოგორსკელმა ყმაწვილმა ლუდის ყიდვა დააპირა. ერთ-ერთმა მათგანმა, ვინმე კოსტია ლუკოვმა, გამყიდველს სამმანეთიანი გაუწოდა. გამყიდველს ხურდა არ ჰქონდა. მაშინ ლუკოვმა მთელი კასრი ლუდი იყიდა, ქუჩაში გამოაგორა და გამვლელ-გამომვლელს უფასოდ გაუმასპინძლდა. სტალინის ეპოქაში ეს არნახული საქციელი იყო და ლუკოვიც მყისვე „მურის” ყურადღების ქვეშ მოექცა.

– **ის დააპატიმრეს?**

– ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა, რადგან, ლუკოვის მამა კრასნოგორსკის მილიციის უფროსი გახლდათ. თავად კოსტია კრასნოგორსკის ქარხანაში მუშაობდა, მოწინავე მუშად და აქტიურ კომკავშირელად ითვლებოდა. მისი სურათი საპატიო დაფაზე ეკიდა. პარალელურად სპორტსაც მისდევდა და ქარხნის ჰოკეის გუნდის წევრიც იყო. აქტიური კომკავშირელი, მოწინავე მუშა, სპორტსმენი, თანაც მილიციის უფროსის შვილი – ასეთი კაცის დაპატიმრებას სერიოზული სამხილი სჭირდებოდა, „მურს” კი ის არ გააჩნდა.

– **და, როგორ მოიქცნენ?**

– მაძებრებმა ხრიკს მიმართეს – მათ პროფესიონალ ქურდს, სენკა-ტუზიკს უბრძანეს, ლუკოვების ბინაში შეპარულიყო და იქაურობა უჩუმრად გაეჩხრიკა. „არაფერი არ წამოიღო, იცოდე, თუკი თუნდაც ჩანგალს მოიპარავ, ციმბირი აქეთ დაგრჩება!“ – უთხრა მას არაპოვმა. ტუზიკმაც ბრძანება შეასრულა – ლუკოვების სახლში შეიპარა და იქაურობა გაჩხრიკა. მან საწოლქვეშ მოზდრილ ჩემოდანს მიაკვლია და, გახსნა თუ არა, ელდა ეცა – ჩემოდანი ფულით იყო სავსე. ამრიგად, ბანდის ერთ-ერთი წევრის ვინაობა დადგინდა – ის კოსტია ლუკოვი გახლდათ.

ჩეკისტებმა ლუკოვს მეთვალყურეობა დაუწესეს. მალე ბანდის დანარჩენი წევრებიც დაადგინეს. ესენი ლუკოვის ძმაკაცები და ქარხნის ჰოკეის გუნდის მოთამაშეები იყვნენ და მათ შორის მაღალი ქერა მამაკაციც აღმოჩნდა, მას ივანე მიტინი ერქვა. მიტინი გუნდის კაპიტანი იყო. როგორც ჩანს, ბანდასაც სწორედ მიტინი მეთაურობდა. მიტინთან და მის ძმაკაცებთან ახლო ურთიერთობაში იყვნენ საწყობის გამგე, ვინმე იაკუშევი და ქარხნის ინჟინერი – შენგელია. ორივე პარტიის წევრი და ომის მონაწილე იყო. ჩეკისტების გაოგნებას საზღვარი არ ჰქონდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ იაკუშევი და შენგელია ხსენებულ ბანდასთან იყვნენ დაკავშირებულნი.

– **ლუკოვი და მისი ძმაკაცებიც ხომ აქტიური კომკავშირლები იყვნენ?**

– – დიახ, ისინი ქარხნის კომკავშირის კომიტეტში შედიოდნენ, ბანდის მეთაური მიტინი კი კომუნისტური პარტიის წევრი გახლდათ. ყველა მოწინავე მუშად ითვლებოდა. მათი სურათები საპატიო დაფაზე ეკიდა, თუმცა, ყოველი მათგანი ორმაგი ცხოვრების წესით ცხოვრობდა და ბანდა „შავი კატის“ წევრი იყო. ბანდიტებმა საფრთხე იყნოსეს და მიმალვას შეეცადნენ. მიტინი, იაკუშევი, ლუკოვი და სხვები დაიჭირეს, შენგელიამ კი გაქცევა შეძლო.

დაკითხვაზე ფრიად საინტერესო ფაქტები გამოირკვა: დადგინდა, რომ, იაკუშევი, სინამდვილეში საბჭოთა არმიის ოფიცერი ბოლოტოვი, ომის დროს ტყვედ ჩავარდა და ამის გამო ვორკუტის ზონაში უკრეს თავი. აქ ის შეხვდა ვალოძეს, რომელიც ასევე ოფიცერი იყო, გერმანელთა ალყაში მოექცა და ოკუპირებული ტერიტორიიდან ველარ გამოაღწია. ვალოძე ერთხანს გლეხებთან იმალებოდა, მერე კი პარტიზანებს შეუერთდა. საბჭოთა არმიის მოსვლის შემდეგ მისით „სმერში” (სამხედრო კონტრდაზვერვა) დაინტერესდა. ვალოძე დააპატიმრეს და თავი ვორკუტის ბანაკში უკრეს. აქ ის და ბოლოტოვი დამეგობრდნენ, შემდეგ ბანაკიდან გაიქცნენ, ყალბი საბუთები იშოვეს და კრასნოგორსკის ქარხანაში მოეწყვნენ სამუშაოდ. ბოლოტოვი იაკუშევად იქცა, ვალოძე კი – შენგელიად. ორივეს ორდენები უმშვენებდა მკერდს, ამიტომ ყველა პატივს სცემდა. ისინი, როგორც „ომის გმირებს“ შეეფერებოდათ, ახალგაზრდობასთან პატრიოტულ მუშაობას ეწეოდნენ. სწორედ ამ დროს მოხდა მათი და კოსტია ლუკოვის ძმაკაცების დაახლოება. გარკვეული დროის შემდეგ ვალოძემ მათ ბანდის ჩამოყალიბება შესთავაზა და ბიჭებიც დათანხმდნენ.

– **რატომ?**

– ვალოძისა და ბოლოტოვისთვის ეს იყო შურისძიება იმ საზოგადოების მიმართ, რომელიც მათ ასე უსინდისოდ მოექცა, ბიჭებს კი საკუთარი ძალის დემონსტრირება სიამოვნებდათ. დაპატიმრებულმა მიტინმა დაკითხვაზე განაცხადა: „ჩვენს საზოგადოებაში ადამიანი დათრგუნულია! ჩვენც გვინდოდა, ამ არარაობებზე ავმაღლებულიყავით. მილიციელის დანახვაზე ხალხს ელეთ-მელეთი ემართება. ჩვენ კი მილიციაც ფეხებზე გვეკიდა, უშიშროებაც და მთავრობაც“. როგორც ჩანს, მიტინსა და მის ძმაკაცებს მხოლოდ ეს ამოძრავებდათ.

– **როგორი იყო „შავი კატის“ წევრების ბედი?**

– ისინი დახურულმა ტრიბუნალმა გაასამართლა. მიტინს, ბოლოტოვსა და სხვებს დახვრეტა მიუსაჯეს. აღსანიშავია, რომ „შავი კატის“ საქმეს კარგა ხანს ედო გრიფი „საიდუმლო“. ვალოძე „შავი კატის“ ერთადერთი წევრია, რომლის დაკავებაც საბჭოთა მართლმსაჯულებამ ვერ მოახერხა. მასზე საკავშირო ძებნა გამოაცხადეს, მაგრამ, ამაოდ – ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

**ჯულია დემეტრაშვილი**

**იშვიათად მინახავს ძაღლი, რომელიც ისე გრაციოზულად და დახვეწილად მოძრაობს, როგორც ციმბირული ხასკის ჯიშია. მისი ლამაზი მოყვანილობის, კამკამა, ცისფერი თვალების ფერი კი, მერწმუნეთ, ბევრ ადამიანს შეშურდება. გიორგი ქორქიას, სწორედ, ასეთი ჯიშის ძაღლი ჰყავს და ამბობს, რომ ეს მისი მეორე შვილია, რომელსაც ისევე ექცევა, როგორც საკუთარ, ნამდვილ შვილს. თუ სად უკეთებდა ის მარტორქას ტალახის აბაზანებს და რატომ ვერ იყოლიებს სახლში ჩიტებს და კატებს, ამაზე თავად გიამბობთ.**

# რატომ გააშვილა შვიდი თვის ქალიშვილი სამი თვით გიორგი ქორქიამ და როგორ დაასისხლიანა ის მამალმა ძმაკაცის სოფელში

**გიორგი ქორქია**: ცხოველები, რამდენად მიყვარს, ვერც კი გეტყვით, ალბათ, არანორმალურად. ბავშვობაში მყავდა ძაღლი, რომელთან ერთადაც გავიზარდე. ქუჩის ძაღლი იყო, შავი ფერის და ცუგას ვეძახდი. მე რომ ოთხი წლის ვიყავი, ის თორმეტის იყო და სიბერით მოკვდა. მახსოვს, ძალიან ვინერვიულე. რვა წლის ასაკიდან კი, დავდიოდი ცხენოსნობაზე. შესაბამისად, ცხოველების გიჟი ვარ ***(იცინის).*** ერთი პერიოდი, შედარებით თავისუფალი დრო მქონდა და ზოოპარკში, მოხალისედ ვმუშაობდი, ცხოველებს ვუვლიდი.

**– ახლა, ულამაზესი ოჯახის წევრი, ციმბირული, ცისფერთვალება ხასკის ჯიშის ძაღლი გყავს. საიდან დაიწყო თქვენი მეგობრობა?**

– მეგობრობა არა, უფრო მამაშვილობა ***(იცინის).*** ეს ჩემი, ხუთი წლის, ცისფერთვალება გოგოა, სახელად სიუქსი. სხვათა შორის, ბევრი მეკითხება, რა უცნაური სახელი ჰქვიაო. ერთი რომ, ჩემს საყვარელ მუსიკალურ ბენდს ჰქვია ეს სახელი და მეორეც, სიუქსი იყო ინდიელების ტომი, რომლებმაც პირველად შეაბეს მარხილში ძაღლები. ესეც მარხილის ძაღლია და თან, აქ ყველა ძაღლს თითქმის ერთნაირი სახელი აქვს, სიუქსი კი განსხვავებულია. ბევრი კინოლოგი მეგობარი მყავს და რომ გადავწყვიტე ძაღლის ყიდვა, ისინი დამეხმარენ ამის შეძენაში. 25 დღის იყო, რომ ავიყვანე. თან, მისი და-ძმა უკვე გაყიდულები იყვნენ და ეს, როგორც ყველაზე უსუსური, დაეტოვებინათ. ვიტამინებით და კვების სწორი შერჩევით, ახლა ნახეთ, როგორი გოგო მყავს! ჩემთვის ეს მეორე ბავშვია. ჩემს შვილზე ექვსი თვით დიდია სიუქსი და ფაქტობრივად, ერთად გაიზარდნენ. არანაირად არ განსხვავდება ბავშვისგან და ფუფუნებაში მყავს. ხანდახან ვამბობ, ნეტავ, ეს რომ არის, ასეთ ფუფუნებაში, ყველა იყოს-მეთქი. პასპორტშიც ასე უწერია: სიუქსი გიორგის ასული ქორქია, დაბადების დღე – 25 მაისი. ხუთი წელია, ერთად ვცხოვრობთ. ძალიან ჭკვიანი და საყვარელია, ხანდახან მგონია, ძაღლი კი არა, ნამდვილი ადამიანია. გავწევრიანდით კინოლოგთა კლუბშიც და ერთ-ერთ საქველმოქმედო გამოფენაზე, რომლიდან შემოსული თანხებიც მოხმარდა უნარშეზღუდულ და სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს, პირველი ადგილი ავიღეთ. მედლები და სიგელები მოგვცეს, ოღონდ მხოლოდ ვიზუალის გამო კი არა, ქცევით და სწორი, იდეალური გაწვრთნით მოვიგეთ. თან, იმ დღეს, სიუქსის დაბადების დღე იყო, 25 მაისი და ასეთი საჩუქარი გაუკეთა საკუთარ თავს. ასე რომ, იდეალურად გაწვრთნილი გოგო მყავს, თავისი ჯილდოებით და მედლებით. ფაქტობრივად, მზითები დააგროვა ***(იცინის).***

**– სპეციალისტთან დაგყავდა, რომ გაგეწვრთნა თუ თავად მოახერხე მისი სწორი აღზრდა-გაწვრთნა?**

– სპეციალისტმა, ვიქტორ ნიკურაძემ გაწვრთნა კინოლოგიურ ბაზაზე. შვიდი თვის რომ იყო, სამი თვით, მასთან გავაშვილე და უნდა გენახათ, ის სამი თვე როგორ განვიცადეთ ერთმანეთთან განშორება მამა-შვილმა ***(იცინის).*** აი, შეხვედრა, სულ სხვა თემაა. უნდა გენახათ, როგორი გაზრდილი, შეცვლილი, გალამაზებული, გაველურებული და გაწვრთნილი დაბრუნდა სახლში სიუქსი. არ მინდოდა, გერმანული ნაგაზივით ყოფილიყო და თქმაზე: „ჩუსტი, გაზეთი ან პულტი მომიტანე" – დაფაცურებულიყო. მთავარია, ამას დღეს ყველაფერი ესმის და სჯერა ჩემი. არც ხალხისკენ









**არ მინდოდა გერმანული ნაგაზივით ყოფილიყო სიუქსი – „ჩუსტი, გაზეთი ან პულტი მომიტანე“ და დაფაცურებულიყო, ამიტომაც გავაშვილე სამი თვით**

იწევს საკბენად, არც სამზარეულოში შედის, არც მაგიდაზე ადის, არც ავეჯს ღრღნის და არც სავარძელზე მხვდება წამოსკუპული. გარეთაც არ იპარება და არსად გარბის. ეს არის ძაღლის სწორად გაწვრთნა. ქუჩაში რომ გავდივართ, საყელურსაც არ ვუკეთებ. რომ ვეტყვი: მოდი, დაჯექი, ადექი, წადი, – ეს საკმარისია და მიჯერებს. ნაღდი, ხასკის ჯიშის ძაღლი რთულად გასაწრთნელია. თუმცა, თუ გაიწვრთნა, მერე ამაზე ჭკვიანი ძაღლი დედამიწის ზურგზე არ დადის. მაგრამ, თუ ბავშვს ან მე, ვინმე ცუდად შემეხო, მაშინ ვერ ვაკავებთ და შეიძლება, ადამიანი შეჭამოს. ერთხელ, ჩემი ძმაკაცი მოვიდა სტუმრად. ჩემი ბიჭი ოთახში თამაშობდა, იფიქრა, მივალ და მაგრად მოვეფერებიო. გაქანდა, მივარდა ჩემს შვილს მოსაფერებლად, სიუქსის ეგონა, „ჭმუჭნისო" და უნდა გენახათ, როგორ გადაირია. კიდევ კარგი, იქვე ვიყავი და დავაკავე, თორემ შეჭამდა იმ საწყალს ***(იცინის).***

**– შენ რომ ეფერები საკუთარ შვილს, ამ დროს არ ეჭვიანობს?**

– სხვათა შორის, ჩემი შვილი რომ გაჩნდა, ეჭვიანობა დაიწყო. ჩუმად იპარავდა იმის სათამაშოებს და მალავდა. რომ გავუბრაზდი, გამოსავალი იპოვა – ბავშვის სათამაშო მოიპარა და თავისი სათამაშო მიუტანა საწოლთან ***(იცინის).***

**– თქვი, მზითები დაგროვებული აქვსო და ქალიშვილის გათხოვების დრო რომ მოვა, რას იზამ?**

– გათხოვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, ორჯერ ვცადეთ შეჯვარება და ორჯერვე ავაცილეთ. ეს კი გაერთო, მაგრამ მე ბაბუა ვერ გავხდი ***(იცინის).*** შემოდგომაზე მინდა, კიდევ ერთხელ ვცადოთ, იქნება გაგვიმართლოს.

**– დავიჯერო, ასეთი იდეალური მამაშვილობა გაქვთ და არასდროს უბრაზდები?**

– როგორ არა, ერთხელ მიკბინა კიდეც. სხვა ძაღლებთან ჩხუბი მოუვიდა, გავაშველებ-მეთქი, ვიფიქრე და შემთხვევით მიკბინა. მერე, სამი თვე მემალებოდა და თვალს ვერ მისწორებდა. ცხენოსნობაზე რომ დავდიოდი, საქართველოს ნაკრებშიც ვიყავი, ცხენიდანაც გადმოვვარდნილვარ და ტრავმაც მიმიღია. სულ მინდა, სიუქსი წავიყვანო იპოდრომზე და ცხენები გავაცნო, მაგრამ, ვიცი, ამის ამბავი, აცანცარდება, გამოეკიდება და დააფრთხობს ცხენებს. იმდენი წელი ვიარე ცხენოსნობაზე, რომ დღემდე ცხენის ნარკომანი ვარ ***(იცინის).*** ხშირად დავდივარ და ვჯირითობ. აი, კატები არ მძულს, მაგრამ სახლში ვერ ვიყოლიებ. ჩიტებს კი გალიაში ვერ ჩავსვამ, მირჩევნია, ცაში ინავარდონ.

**– ზოოპარკში, მარტორქას რომ უვლიდი, მისი დაბანა-დასუფთავება რთული არ იყო?**

– უფრო სწორად, მარტორქას კი არ ვბანდი, ვატალახიანებდი ***(იცინის).*** მარტორქა სიცხეს ვერ იტანს, კანი უხმება და უსკდება. ამიტომ, ტალახი უნდა წაუსვა, რომ ეს პრობლემა არ შეექმნას. მეც ვიდექი და ტალახის აბაზანებს ვუკეთებდი.

**– წარმომიდგენია, რომ დაგინახავდა, როგორ უხაროდა, ჩემი მშველელი მივიდაო.**

– ასე იყო. ზოგადად, ცხოველს სწორად უნდა მიუდგე და არა თავხედურად „მიაჭრა" მასთან. ისიც გრძნობს, მისდამი შენს დამოკიდებულებას – სწორედ ისე გიღებს და არ გერჩის. ერთხელ, არ დამავიწყდება, ძმაკაცის სოფელში ვიყავი, კახეთში. ეზოში რომ შევედი, გამოვარდა მამალი და დამედევნა. ვერც გავასწარი და ვერც მოვიცილე თავიდან. ისე დამკბინა, დამასისხლიანა. ზუსტად, ერთ საათში, შევჭამეთ ის მამალი და მისი ხსოვნისაც დავლიეთ დიდი ჭიქებით ***(იცინის).***

**ნონა დათეშიძე**

**„კომედი შოუს" მსახიობი კობა ბარათელი ნამდვილად იღბლიანი ადამიანია. არაერთხელ აღმოჩენილა ექსტრემალურ სიტუაციაში, ხიდიდანაც „უფრენია" თავისი მანქანით, მაგრამ დღეს უვნებელი და ჯანმრთელია. მოკლედ, მისთვის ცხოვრებამ არაერთი გამოცდა მოაწყო, რომელთა ჩაბარებაც კობას არ გასჭირვებია.**

# რატომ იყო ბოთე ბავშვი კობა ბარათელი და როგორ ჰპარავდა ის საკუთარ თავს საჭმელს

**კობა ბარათელი**: ბავშვობიდან მინდოდა, სულ უდარდელი ვყოფილიყავი, მაგრამ, არ გამოვიდა, ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. არც კოსმონავტობაზე, არც პოლიციელობაზე და არც მეხანძრეობაზე არ მიოცნებია, ბოთე ბავშვი ვიყავი ***(იცინის).*** ისე, ახლა რომ ვფიქრობ, ადრინდელი დრო რომ იყოს, ჩემი აღნაგობა კი შემიწყობდა ხელს, ნამდვილი, სახასიათო „გაიშნიკი" ვყოფილიყავი ***(იცინის).*** დედაჩემს უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ სისხლის დანახვაზე ახლაც გული მიმდის. ინჟინერი ვარ პროფესიით, თუმცა ჩემი პროფესიით ერთი დღეც კი არ მიმუშავია, ერთი სიტყვით, მსახიობობა მოვირგე. ვფიქრობ, იღბლიანი ადამიანი ვარ, რადგან, უმეტეს შემთხვევაში ბედი მწყალობს. ამ ქვეყანას რომ მოვევლინე, ესეც ბედი არ არის?!

**– ასე რატომ ფიქრობ?**

– ოთხი წელი არ ჰყავდათ ჩემს მშობლებს შვილი და მე დაგვიანებით გავჩნდი. ბედის საჩუქარი ვარ, აბა რა! ნანატრი შვილი ვარ.

**– დედისერთა ხარ?**

– არა, მერე, რომ ისწავლეს ჩემმა მშობლებმა, როგორ კეთდებოდა შვილი და რა იყო ამისთვის საჭირო, ძმაც მაჩუქეს.

**– როგორც ვიცი, ავარიაში ბევრჯერ ხარ მოხვედრილი, თუმცა ამაშიც ბედი გწყალობს და დღეს ჩემ წინ უვნებელი ზიხარ.**

– გეთანხმებით, თქვენ წინ ვზივარ უვნებელი, მაგრამ, ჯიბეში კორვალოლი მიდევს ***(იცინის).***

**– რატომ? გული გაწუხებს თუ ნევროზი გაქვს?**

– მგზავრობის დროს ეს არის ჩემი მშველელი. თვითმფრინავში ამის გარეშე არ ავდივარ. ნევროზული შემოტევები მაქვს და, ასე მგონია, კორვალოლი ყველაფერს არჩენს – შევისუნთქავ და, მორჩა. ისრაელში ვიყავით. აქედან კი მედო ჯიბეში კორვალოლი და ვყნოსავდი, მაგრამ, იქ ჩასულს გამიტყდა. გავვარდი აფთიაქში საყიდლად და მითხრეს, აქ ხმარებიდან არის ამოღებული და არ იყიდებაო. გადავირიე, რა ვქნა, უკან ხომ უნდა ჩავფრინდე, სამშობლოში, ამის გარეშე თვითმფრინავში ვერ ჩავჯდები-მეთქი. მოკლედ, წმინდა მიწაზე ხალხი ათვალიერებს ადგილებს, მე კიდევ, კორვალოლზე ვფიქრობ და მთელი ოთხი დღე ამის გარდა არაფერი მაინტერესებს. ერთი სიტყვით, ვერ ვიშოვე კორვალოლი და თვითმფრინავში, მართლა ცუდად გავხდი. ვუხმე სტიუარდესას და ვუთხარი, მიშველე რამე, ასე და ასეა ჩემი საქმე-მეთქი. დაფიქრდა და მიპასუხა, კორვალოლი არა, მაგრამ, კორსიზი გვაქვს და მოგცემთო. ის მიშველიდა?! შევხედე და მშვიდად ვუთხარი: კარგი, გამოსავალი არ მქონია, გამიღეთ კარი, უნდა გადავხტე, ამდენს ვერ ავიტან-მეთქი. გიჟი ვეგონე ***(იცინის).***

**– მერე, მაგას არ ჯობია ასი-ორასი გრამი ალკოჰოლიანი სასმლის „ჩარტყმა" და მშვიდად ძილი?**

– ხშირად ეგრე ვშვრები, მაგრამ ახლა თავს ვიკავებ სმისგან. ძალლმა მიკბინა, შრატი მაქვს გაკეთებული და, სასმელი რომ დავლიო, უფრო არ გავგიჟდები ***(იცინის).*** თან, სიდედრის ძაღლმა მიკბინა, ბედი არ გინდა? სიდედრის კატამ კიდევ – დამპორჭყნა. ასე რომ, ექიმმა ვერ „შემსვა" დიეტაზე და სიდედრის ძაღლმა და კატამ მაიძულეს.

**– ზოგადად, ადამიანი რომ შემოგხედავს, იტყვის, ეს სუფრის თავში უნდა იჯდეს ყანწით ხელში და სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდესო. არადა, ვიცი, სმა დიდად არ გიყვარს. თუ, ვცდები?**

– არ მიყვარს თამადობა. ისე გადავჯიშდით ქართველები, სუფრის კულტურამ და თამადამაც დაკარგა თავისი ხიბლი. თუმცა, იმასაც გააჩნია, ვისთან ერთად ქეიფობ. თამადაზე „კაიფი" ვიცით ხოლმე ბიჭებმა და, მე რომ ვიყო თამადა და ვინმე „გამეკაიფოს", ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება? თორემ, ისეთი განსხვავებულებით დამილევია ღვინო... მაგალითად, ვეტერინარული შპრიცით, რომელშიც ნახევარი ლიტრი ჩადის; რომ მივიდე პირზე, კი არ მივაწექი უკნიდან, პირდაპირ შევისრუტე ჩემი „დიხანიით" ***(იცინის).*** ხალხი სიცილით დაწყდა, ერთმა კი თქვა: აუჰ, ეს წამაყვანია ახლა სოფელში და მატორის მაგივრად დამაბმევია ჭაზე, რას ამოქაჩავდაო ***(იცინის).*** აი, ასე მაქვს „დიხანია" დამულამებული.



ერთმა კაცმა თქვა ჩემზე: აუჰ, ეს წამაყვანია ახლა სოფელში და მატორის მაგივრად დამაბმევია ჭაზე, რას ამოქაჩავდაო

**– ყველაზე ბევრი, რამდენი ლიტრი სასმელი გაქვს ერთ ჯერზე დალეული?**

– ახლავე გეტყვით: შვიდასგრამიან ბოთლებში ესხა ღვინო. რომ დავლიე, მერე დავთვალე ცარიელი ბოთლები და გამოვიდა, რომ რვა ბოთლი მქონდა დალეული, მერე ლიტრა-ნახევარიც დავამატე და, ჯამში 7-8 ლიტრი ღვინის დალევა გამომივიდა. ზოგადად, კარგი მთვრალი ვარ, არ მიყვარს აყალმაყალი და ჩხუბი, ეგრევე ვიძინებ. ლიფტში იმდენჯერ ჩამეძინა, ვინ დათვლის ***(იცინის).*** ერთხელ, ორი საათი მეძინა მთვრალს ლიფტში, მეზობლებს გაჭედილი ეგონათ და ორი საათი აგინებდნენ ლიფტიორს, მერე ლიფტიორმა მაგინა მე ***(იცინის).*** მთვრალი შევედი, გაიჭედა, მე კი კაჩავისა და ყვირილის თავი არ მქონდა და დავიძინე. ბოლოს ხელოსანი გამოიძახეს და მნახეს ასე, მძინარე მზეთუნახავი..

**– საჭესთან ნასვამი არ ჯდები?**

– როგორ არა, დავმჯდარვარ ნასვამი საჭესთან და იაღლიშიც მომსვლია. უფრო სწორად, იაღლიშს რა უჭირს, ისეთი ავარია მომივიდა, მტერს არ ვუსურვებ. სამჯერ ჩავხედე სიკვდილს თვალებში-მეთქი, რომ გითხრათ, მოგატყუებთ – ისეთი ნასვამი ვიყავი, სად მქონდა თვალებში ჩახედვის თავი ***(იცინის),*** თუმცა, მაგარი შიში კი ვჭამე. საგურამოში ვიყავი, დავლიე; თბილისში უნდა წამოვსულიყავი და დასავლეთისკენ დავადექი გზას. მანქანაში რომ ჩავჯექი, ისეთი მთვრალი არ ვიყავი, მერე მომეკიდა და საჭესთან ჩამეძინა. ოცდაშვიდი მეტრიდან გადავვარდი ხიდიდან, აღაიანთან ახლოს. ბედი რომ არ მქონოდა, გადავრჩებოდი?! სადაც მანქანა დაეცა, ზუსტად იმ ადგილას იყო პატარა ჭაობი. ან როგორ დავუმიზნე ასე ზუსტად ჭაობს და მიწას ავცდი, ვერ გეტყვით. რომ ჩავხტი წყალში, მერე გამოვფხიზლდი. ფრენის დროს მეძინა და, რომ დავხტი, ბაყაყების ხმამ გამომაფხიზლა. სამხედროს დავუნახივარ და მოუყვანია მაშველები. ესეც არ მახსოვს, კიდევ მთვრალი ვიყავი. ასე იცის სასმლის არევამ. ვერ ვიტან, რომ დალევენ და იწყებენ ჩხუბსა და აყალმაყალს. ნასვამი არ ვბუინობ და არც ვინმეს ვერჩი, გამოდის, საკუთარი თავის მტერი ვარ. აბა, ასეთ მდგომარეობაში რომ საჭეს მიუჯდები კაცი, თავი ან სიცოცხლე გიყვარს?!

**– ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ დიეტას იცავ და კილოგრამებიც დაიკელი. არ შემიძლია, არ გკითხო: ყველაზე მეტი რამდენი იყავი?**

– ყველაზე მეტი ვიყავი 160 კილო, ახლა 108 კილო ვარ. დიეტა ჩემთვის ნამდვილი ტანჯვაა, მაცივარზე შემოხვეული დიდი ჯაჭვებითა და დადებული ბოქლომით. ბევრჯერ ავმდგარვარ ღამით და გემრიელად მიჭამია, ისე, რომ ოჯახის წევრებს არც კი გაუგიათ, დღისით კი გავიძახოდი, დიეტაზე ვარ-მეთქი. სახლში რომ მიმქონდა პროდუქტი, ნახევარს ჩემს ჩანთაში ვილაგებდი და ვმალავდი, მერე რომ მეჭამა ჩუმად. ყველაზე მაგარი ის იყო, საკუთარ თავს რომ ვპარავდი ჩუმად საჭმელს და ვჭამდი ***(იცინის).*** ბოლოს მივხვდი, უკვე ველარ ვიტანდი ზედმეტ წონას და ოცდაათი კილო დავიკელი. ადრე, სასწორზე შემდგარს, დედის გინება არ მცდებოდა, ახლა კი ამოისუნთქა საწყალმა. ზოგი სასწორი ვერც კი მწონიდა და ისარი ტყდებოდა რომ შევდგებოდი, ფუჭდებოდა. წონისა და სიდიდის კომპლექსი სულ მქონდა; მერე, ასაკში რომ შევედი, დავიკიდე და მომეშვა. 45 წლის ვარ და ამას წინათ მითხრეს, უი, 35 წლის მეგონეო. სიხარულით გადავირიე ***(იცინის).***

**– სიმსუქნის კომპლექსი გასაგებია, მაგრამ, სიმელოტე?**

– თმა ადრე გამცვივდა და, რაც დამრჩა, ჩემით დავიპუტე ***(იცინის).*** მამა მელოტი იყო და სულ მეშინოდა, არ დავემსგავსო-მეთქი. არადა, სახით დედას ვგავარ და რაღა თმით დამიმსგავსა მამაჩემმა. მითხრეს, თუ გინდა, რომ თმა ამოგივიდეს, ღამურას სისხლი უნდა წაისვაო. დავდევდი, მაგრამ ვერ ვიჭერდი. მერე გავიზარდე და მივხვდი, მსოფლიოში ყველაზე სიმპათიური ბიჭები მელოტები არიან ***(იცინის).***

**– თმის გადანერგვა არ გიცდია?**

– მე ისეთი ბედი მაქვს, ოხრახუში ამომივა და მერე რამდენი მეზობელი ლობიოს გააკეთებს, იმდენი დამალვა მომიწევს. არ დამავიწყდება, ადრე, ბიჭებმა გადაინერგეს მოსკოვში თმა, რომელიც არ გაიზრდებოდა და ერთ სიგრძეზე ექნებოდათ მთელი ცხოვრება. გადანერგვის შემდეგ, აღუნიშნავთ და რესტორანში კარგად დაულევიათ, მერე აშარებულან და აუტეხავთ დებოში. დაუჭერია მილიციას და იქ ნულზე გადაუხოტრიათ. ასე რომ, რა ვიცი, სად ავშარდები და, თმა რომ მქონდეს გადანერგილი და გადამპარსონ, ხომ გადავირიე?!

**ნონა დათეშიძე**

# რა საფრთხეს ხედავს ზოგიერთი ქალი მამაკაცთან ურთიერთობის დაკანონებაში და რატომ გაურბის ის ოფიციალურ ქორწინებას

**მამაკაცების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ გათხოვება ყველა ქალის იდეა-ფიქსია. სინამდვილეში, სულ უფრო მეტი ქალი ფიქრობს, რომ ოფიციალური ქორწინება მხოლოდ აფუჭებს ურთიერთობას და, ცდილობს, კაცთან ურთიერთობისას პირადი თავისუფლება შეინარჩუნოს. ეს, შესაძლოა, იმიტომ ხდება, რომ ქალები მეტად დამოუკიდებლები გახდნენ ფინანსურად, რამაც, შეცვალა სტერეოტიპები, ან, შეიძლება, უბრალოდ, კაცებმა მიიყვანეს ქალბატონები ამ უკიდურეს ზომამდე, მაგრამ ფაქტია: თუკი დღეს ქალები მაინც ოცნებობენ თეთრ კაბასა და ქორწილზე, მხოლოდ მამაკაცის საიმედოობის შემთხვევაში... ანუ, მათ გარანტიები სჭირდებათ. მამაკაცები კი ისევ ძველი სტერეოტიპების ტყვეობაში არიან ჩარჩენილები და, ამიტომ, ხშირად იმედგაცრუებულები და გაოგნებულები რჩებიან.**



**ვიკა** ***(31 წლის):*** ისე არ ჩამითვალოთ, რომ მოვედი მამაკაცებზე გაბრაზებული ქალი და მათ ლანძღვას ვაპირებ. თუ ვინმეს სიმართლე არ მოეწონება, ეს ჩემი პრობლემა არ არის. ქალები კაცებზე რეალისტები და რაციონალურები აღმოვჩნდით და უფრო სწრაფად ავუწყვეთ ფეხი ახალ ცხოვრებას, მათ კი ჯიუტად არ უნდათ, აღიარონ, რომ ბევრი რამ შეიცვალა; რაც მთავარია, დაინგრა მითი მათი ერთპიროვნული ლიდერობის, ძლევამოსილებისა და „სამყაროს ცენტრობის" შესახებ. მამაკაცები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ ქალებს მათ გარეშეც შესანიშნავად შეგვიძლია არსებობა – ეს ფაქტია. ვშრომობთ, თავს ვიკლავთ და ვინახავთ ოჯახებს, ვაჩენთ და ვუვლით ბავშვებს, ერთი სიტყვით, არ გვიჭირს. დააკვირდით და თქვენც ნახავთ, რომ აზროვნებით ქალებმა ბევრად გავუსწარით კაცებს. ჩვენ უფრო პროგრესულები ვართ.

**– ანუ, მამაკაცები საჭირონი საერთოდ აღარ არიან?**

– მაგას არ ვამბობ. საჭირონი არიან, როგორ არა, მაგრამ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა აცნობიერებენ საკუთარ დანიშნულებასა და პასუხისმგებლობას. თავიდანვე, ურთიერთობის დასაწყისშივე უნდა მიახვედრო მამაკაცი, რომ ოთახში ჰაერზე მეტი ვერასდროს იქნება და, თუ წესიერად არ მოიქცევა, ადვილად შეელევით.

**– ოფიციალური ურთიერთობის მომხრე არ ხართ?**

– მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ორმხრივი სურვილია. მამაკაცებს ის ახლადშექმნილი ოჯახის კარამდეც არ მიჰყვება ხოლმე. საოცრება სჭირთ ამ ქართველ კაცებს. მეეჭვება რომელიმე სხვა ეროვნების მამაკაცს ახასიათებდეს მსგავსი ცვალებადი ბუნება.

**– გქონიათ სხვა ეროვნების მამაკაცთან ურთიერთობა?**

– მე არა, მაგრამ, ჩემს მეგობარს ჰყავს უცხოელი ქმარი და რადიკალურად განსხვავებული მამაკაცია. სწორედ ამ ჩემმა დაქალმა მითხრა, გათხოვება უნდა იმ ქალს, ქათამივით რომ დასდევს უკან კაცს და მის გარეშე არაფერს წარმოადგენსო. არ დავეთანხმე. სერიოზული პოლემიკა გვქონდა. რას ამბობ-მეთქი. როცა კაცი გიყვარს, მას ცოლად აუცილებლად უნდა გაჰყვე – ეს არის ლოგიკა-მეთქი. დამცინა, რომელ ლოგიკაზე მელაპარაკები, ქართველ კაცებს ხომ მარტო შეყვარებულები უყვართ და არა ცოლებიო. როცა დავფიქრდი, მივხვდი, რომ სიმართლეს ამბობდა. დღევანდელი ქალი ბევრად უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალია სტერეოტიპებისგან. ის გააჩენს შვილს, იცხოვრებს მარტო და არ შეეგუება უაზრო მბრძანებლობას თუნდაც ქმრის მხრიდან. ამას ვერ იგებენ მამაკაცები, უფრო სწორად – არ იგებენ. პრინციპულად არ უნდათ და რა უნდა ქნა?! თან, ჩვენ წარმოდგენა არ გვაქვს, როგორ უნდა იცხოვროს ორმა ადამიანმა ერთად სწორად. მითხარით, მართალი ვარ თუ არა?!

**– მგონი, მართალი ხართ...**

– კარგია, რომ მეთანხმებით, იმიტომ, რომ, რაც მეტი ქალი დამეთანხმება, მით მალე გვექნება ნორმალური, ჯანსაღი საზოგადოება. ეს უკვე აუცილებელია, სხვანაირად, ამ ყველაფერმა ძალიან მახინჯი ფორმა მიიღო. გვეყოფა ილუზიებში ცხოვრება. როგორი უნდა იყოს მამაკაცი? – უპირველესად, პასუხისმგებლობით სავსე თავისი ქალის მიმართ, იმ ადამიანის მიმართ, რომლის პატივისცემაც უნდა, რომ მოიპოვოს. სიყვარული არ არის ყველაფერი, პატივისცემაა მთავარი. თუ ცოლი არ სცემს პატივს ქმარს და ქმარი არ სცემს პატივს ცოლს, რაღა მნიშვნელობა აქვს, ეყვარებათ თუ არა მათ ერთმანეთი?!

**უნდა მიხვდეს მამაკაცი, რომ ოთახში ჰაერზე მეტი ვერასდროს იქნება და, თუ წესიერად არ მოიქცევა, ადვილად შეელევით**

**– ცოტა რთული ფილოსოფიაა.**

– არც ისე. უფრო მეტიც, სულაც არ მიმაჩნია, რომ ეს ფილოსოფიაა. პირიქით, – ზუსტად, ჩვენი რეალობაა. კაცს რომ ცოლიც ჰყავს და საყვარელიც, ცოლს კი მაინც ეფიცება, მიყვარხარო, მითხარით, ეს ნორმალურია?! მე არ მინდოდა, ასეთი ქმარი მყოლოდა, არადა, ჩემ გარშემო მხოლოდ ასეთებს ვხედავდი. ისინი სჭარბობენ ნორმალურ მამაკაცებს ისე, რომ ბოლომდე ჩრდილავენ.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ პრობლემები მხოლოდ ქართველ მამაკაცებს აქვთ?**

– ვფიქრობ, რომ – კი. სერიოზული არასრულფასოვნების კომპლექსი გაუჩნდათ ჩვენს კაცებს და, ამის გამო სრულიად სამარცხვინოდ და ალოგიკურად იქცევიან. მე ვარ ტრადიციების პატივისმცემელი ადამიანი და არ უარვყოფ კანონიერ ქორწინებას. პირიქით, იდეალურ ვარიანტად მიმაჩნია ოჯახი, სადაც მამაკაცი არის მთავარი, ქალისთვის კი პრიორიტეტია ქმარი და შვილები. რა ჯობია ამას! მე თითქმის არ მეგულება ქალი, რომელიც უარს იტყოდა, ამოჰფარებოდა მამაკაცის ძლიერ ფრთას, მაგრამ, სად არის ეს ძლიერი ფრთა? სამწუხაროდ, ერთეულებს ხვდებათ ასეთი მამაკაცები. ამიტომაც ცდილობს ქალი, მეტად თავისუფალი დარჩეს, რომ საკუთარ თავს თვითონვე მიხედოს. მითხარით, რატომ უნდა მოუნდეს ქალს, თავი დაუხაროს მამაკაცს, რომელიც საერთოდ არაფერში არგია და მარტო მბრძალებლობა უნდა?! აქედან ჩნდება ნიჰილისტური დამოკიდებულება ქორწინების მიმართ. არც კაცთმოძულე ვარ და არც ფემინისტი – რა სისულელეა! პირიქით, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, სრულფასოვანი მამაკაცის გვერდით რომ მეცხოვრა.

**– სრულ მორჩილებაშიც?**

– მე ვთქვი, სრულფასოვანი მამაკაცის გვერდით-მეთქი. სრულფასოვანი მამაკაცები კი სრულ მორჩილებას არ ითხოვენ ქალისგან, მათ ისეთივე სრულფასოვანი პარტნიორები სჭირდებათ, როგორი სრულფასოვნებიც თავად არიან. საყვარელსაც არასრულფასოვანი მამაკაცი იჩენს და „ნაშებზეც" ასეთი კაცი ირევა – უნახავი და დაკომპლექსებული. ჰყავთ ჯერ შეყვარებული, იმიტომ რომ, ასეა საჭირო... მანამდე ტყავში ძვრებიან, რომ გოგოს თავიანთი უნიკალურობა დაუმტკიცონ, მერე კი აუცილებლად მიაჩნიათ „ნაშებში" „გულაობა" – ესეც მაგარი კაცობა ჰგონიათ მაგ საცოდავებს და რა ქნან? მე კი, არ მინდა ასეთი კაცი ქმრად და კიდევ ბევრ ჩემნაირს არ უნდა. ჩემი ასაკიდან გამომდინარე, წესით უნდა მინდოდეს გათხოვება.

**– გყავთ პარტნიორი?**

– არის მამაკაცი, რომელიც უარს არ იტყოდა, თუ ცოლად გავყვებოდი, მაგრამ, მე ვიკავებ თავს იმ მიზეზების გამო, რომლებზეც უკვე გელაპარაკეთ.

**– ისე არასდროს გდომებიათ გათხოვება, რომ სალი აზრი, ანუ, თქვენი მყარი მოსაზრება დაეჩრდილოს?**

– როგორ არა, არა, ეს ათი წლის წინ იყო. მაშინ გრძნობა მეგონა მთავარი. როცა ფრთები გაქვს გამოსხმული და მიწას ფეხს არ აკარებ; როცა სიყვარულთან შედარებით ყველაფერი მეასეხარისხოვანი გგონია, სხვანაირად ფიქრობ. ახლა უკვე დავეშვი დედამიწაზე – ჩემმა „განსაკუთრებულმა" მამა-

# რატომ ეძებს 1959 წელს ქუთაისში, რუსი სამხედროს ოჯახში გაშვილებული ქალი ბიოლოგიურ დედას ამერიკიდან და რა ვერ მოახერხა მან სამი წლის განმავლობაში

*54 წლის ირინა გაგარინა-პასტუხი (მეუღლის გვარი) ეძებს ბიოლოგიურ დედას (ან მის შვილებსა და ნათესავებს); ასევე, ბორის და რაია იანევებს (აღმზრდელი დედის მეგობარი ცოლ-ქმარი).*

**ისტორია**: ვეძებ დედაჩემს. ჩემმა ბიოლოგიურმა დედამ გამაშვილა ქალაქ ქუთაისში. ეს მოხდა 1959 წელს. ჩემს აღმზრდელ მშობლებს ერქვათ ანა ალექსანდრის ასული გაგარინა (დაბადებული 1926 წელს) და აღმზრდელი მამა – ალექსანდრ მიხეილის ძე გაგარინი (დაბადებული 1929 წელს). როგორც ვიცი, მე დავიბადე 1959 წლის 15 ოქტომბერს. ამჟამად ვცხოვრობ ამერიკის შეერთებულ შტატებში. დამოუკიდებლად დედა ვერ ვიპოვე, მოუხედავად იმისა, რომ მას აქტიურად ვეძებდი. თქვენ ჩემი ბოლო იმედი ხართ.



გთხოვთ, მაპოვნინოთ დედაჩემი, იმედია, მე მას ისევე ვჭირდები, როგორც მე მჭირდება ის. გიგზავნით ორ ფოტოს. ერთ-ერთზე ვარ მე, რამდენიმე წლის წინ, მეორეზე – ჩემი აღმზრდელი მშობლები, ბებია და ბაბუა. იქნებ ჩემს ბიოლოგიურ დედას ეცნოს ან ჩემი აღმზრდელები, ან ბებია და ბაბუა.

**– გვიამბეთ თქვენი ისტორია, რა მოხდა 1959 წელს ქუთაისში, რა იცით დედათქვენის შესახებ?**

– როგორც გადმოცემით ვიცი, ბებიაჩემს (სახელად დარია) ქალაქ ქუთაისში, ბაზარში შეხვედრია ქალი, რომელსაც ხელში ეჭირა თოთო ბავშვი (ანუ მე). იმ ქალს ბავშვის რჩენის არანაირი საშუალება არ ჰქონია და გადაწყვეტილი ჰქონდა ბავშვის გაშვილება. ბებიას (დედის დედა) თქმით, ჩემს ბიოლოგიურ დედას არ იღებდნენ მამაჩემის (ჩემი ბიოლოგიური მამის) ნათესავები და, ამიტომ, იძულებული გახდა, გავეშვილებინე. ჩემი აღმზრდელი მშობლები იმ დროს ცხოვრობდნენ ქალაქ ქუთაისში, ეგრეთ წოდებულ „ვაენნი გარადოკში", რადგან ჩემი აღმზრდელი მამა სამხედრო პირი იყო, ლეიტენანტი. თუ როგორ მოხდა ჩემი ხელიდან ხელში გადაცემა, არ ვიცი. სამწუხაროდ, ბიოლოგიური დედის შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია მაქვს. ჩემთვის არც მისი სახელია ცნობილი, არც გვარი, მხოლოდ ეს ისტორია ვიცი. ჩემი დაბადების მოწმობა აღებულია წყალტუბოში, 1960 წლის 3 თებერვალს (ვგულისხმობ ჩემი შვილად აყვანის შემდგომ აღებულ დაბადების მოწმობას), ნამდვილი დაბადების მოწმობა კი, რა თქმა უნდა, არ გამაჩნია, ამიტომაც არ ვიცი დედის სახელი და გვარი. საქართველოში ყოფნისას ჩემი აღმზრდელი დედა მეგობრობდა ბორის და რაია იანევებთან (ისინი მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ). იმ დროს ეს წყვილი ქუთაისში ცხოვრობდა და, შეიძლება, მათ იციან რამე ჩემი ბიოლოგიური დედის შესახებ, ამიტომ, მათი მოძებნაც მინდა (თუკი, რა თქმა უნდა, ისინი ცოცხლები არიან). ჩემი აღმზრდელი მშობლები გარდაიცვალნენ. სინამდვილე ჩემ შესახებ სრულიად შემთხვევით გავიგე ჩემი ბებიისგან. სანამ ამ ამბავს გავიგებდი, მანამდეც კი ვხვდებოდი რაღაცას, მაგრამ, სინამდვილის გაგება ჩემთვის მაინც შოკი იყო. რადგან ჩემი აღმზრდელი მამა სამხედრო პირი გახლდათ, ჩვენი ოჯახი ქუთაისიდან მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად. ამჟამად კი, უკვე 15 წელია, რაც მე ამერიკაში, ქალაქ პალმ-კოსტში ვცხოვრობ. ერთი წლის წინ გარდაიცვალა ჩემი აღმზრდელი მამა. ის პარალიზებული იყო და ჩემთან, ამერიკაში ჩამოვიყვანე. მივხვდი, რომ, თუ მამა ისე მოკვდება, რომ ვერაფერს გავიგებ ბიოლოგიური დედის შესახებ, მაშინ სამუდამოდ გაურკვეველი დარჩება ჩემი ისტორია, ამიტომ მას ყველაფერს ვეკითხებოდი. მისგან შევიტყვე, რომ ჩემი ბიოლოგიური დედა წესიერი ქალი ყოფილა, რომელსაც, უბრალოდ, შვილის რჩენის საშუალება არ ჰქონდა და რომელზეც უარი თქვა ჩემმა ბიოლოგიურმა მამამ, რომლის შეძლებულმა ოჯახმაც დედა არ მიიღო. ამის გარდა მამისგან ვერაფერი გავიგე, რადგან ის უკვე ცუდად ლაპარაკობდა და მეშინოდა, ჩემი დაკითხვებით უარესად არ გამხდარიყო. უკვე სამი წელია, რაც ბიოლოგიურ დედას აქტიურად ვეძებ. დიდი იმედი მაქვს, რომ ის ცოცხალია, ან, ღმერთმა არ ქნას და, თუ ცოცხალი აღარ არის, იქნებ მას ჰყავს შვილები და ვინმემ მაინც იცის ჩემი არსებობის შესახებ. ანუ, მე ვეძებ ქალს, რომელმაც 1959 წელს ქალაქ ქუთაისში გამაშვილა.



**– ბიოლოგიური დედის მოძებნას აქამდე როგორ ცდილობდით?**

– ყველანაირი ღონე ვიხმარე. ერთი ქალი იყო ჩამოსული ამერიკაში საქართველოდან და მასზეც კი გავაკეთე მინდობილობა, რათა მას რამე გაერკვია დედაჩემის შესახებ, მაგრამ, უშედეგოდ; ასევე, ვეძებდი რამდენიმე სამძებრო საიტის საშუალებითაც. ძალიან მინდა მისი პოვნა. დარწმუნებული ვარ, მთელი ამ წლების განმავლობაში ის ძალიან დარდობდა იმას, რომ, იძულებული გახდა, გავეშვილებინე. იმიტომ მინდა, რითაც შემიძლია, სიბერის წლები მაინც გავუთბო. პირადად მე ის ძალიან მჭირდება და, იმედია, მეც ვჭირდები მას. ჩემი ფოტოც იმიტომ გამოვგზავნე – იქნებ ვგავარ მას ან ჩემს ბიოლოგიურ მამას და ამით მიცნოს. იმედი მაქვს თქვენი მკითხველის, ყველა ქუთაისელის და, უბრალოდ, ყველა გულისხმიერი ადამიანის. თუკი ვინმემ რამე იცის დედაჩემის შესახებ, ძალიან გთხოვთ, შემატყობინეთ. პირადად თქვენ კი ღმერთმა დაგლოცოთ, ასეთ სასიკეთო საქმეს რომ ეწევით.

**– დედის პოვნის შემთხვევაში, მზად ხართ, მასთან შესახვედრად საქართველოში ჩამოხვიდეთ?**

– თუკი მას ვიპოვი, აუცილებლად ჩამოვალ. დიდი იმედი მაქვს, რომ მე მყავს დები ან ძმები. ვერ დავიჯერებ, რომ ასეთი ამბავი დედამ არავის გაანდო. იქნებ, ვინმემ რამე იცის და ამ სტატიით მიხვდეს, რომ მე სწორედ მას ვეძებ. იმედი მაქვს, დედაჩემი ცოცხალია და მისი პოვნის ამდენი ცდა და სურვილი უქმად არ ჩაივლის.

**თუ გაქვთ რამე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

კაცმა მოახერხა ეს. გაუგებარია, რა ემართებათ და რატომ უნდებათ, ერთდროულად რამდენიმე ქალთან ჰქონდეთ ურთიერთობა.

**– ასეთი ქალებიც არსებობენ, მხოლოდ მამაკაცები არა...**

– მე არ ვამბობ, რომ ქალები იდეალურები ვართ. ჩვენ რომ ბევრი გვაკლია სრულყოფილებამდე, იმიტომაც გვეძლევიან კაცები ასე – ცოლებსაც ეპოტინებიან და ამავდროულად, საყვარელსაც და „ნაშებსაც". ძალიან საცოდავები არიან, ოღონდ – მართლა. კიდევ რაზე მეცინება, იცით? ჰგონიათ, რომ ქორწინება მათ თავისუფლებას ზღუდავს, ხოლო, თუ ისე იცხოვრებს ქალთან, პასპორტში ჩარტყმული შტამპის გარეშე, „იგულავე" რამდენიც გინდა. ვინ უნდა ასწავლოს ამ მამაკაცებს, არ ვიცი. ვფიქრობ, თან უნდა დაჰყვეთ-მეთქი, მაგრამ, აშკარად მთლად ასეც არ არის. მოკლედ, წლები გადის და მე სულ უფრო მეტად მეპარება ეჭვი, რომ ოდესმე ვიპოვი მამაკაცს, რომელზე გათხოვებაც მომინდება...

**დალი მიქელაძე**

## ქართველ კაცებს მარტო შეყვარებულები უყვართ და არავითარ შემთხვევაში იგივე ქალები – ცოლის როლში

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**არ მინდა გათხოვება. ოთხი წელია, მყავს შეყვარებული, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მშვენივრად ვცხოვრობთ. ერთადაც ვართ და საკუთარი, პირადი ცხოვრებაც გვაქვს. მე მომწონს ასე, მაგრამ თვითონ აიხირა, დავქორწინდეთო. მართლა არ მინდა. იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, ქორწინება ყველაფერს გააფუჭებს. მერე უნდა ვიეჭვიანო და უკან ვდიო. შეიცვლება ხასიათი. გულგრილი და უყურადღებო გახდება. ერთი სიტყვით, ვხვდები, რომ ასე უკეთესია. მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდა. არ გიყვარვარო... როგორ მოვიქცე?!**

**გამოხმაურება:** გარკვეულწილად უნდა დაგეთანხმოთ: სამწუხაროდ, ქორწინება და სიყვარული ერთი და იგივე ნამდვილად არ არის. ანუ, შეიძლება, შეყვარებულობის პერიოდში ძალიან ტკბილად და მშვიდად იყოთ, მაგრამ უკვე ოჯახში საერთოდ ვერ გაუგოთ ერთმანეთს. რადგან ამ ეტაპზე გათხოვება არ გინდათ, ნუ გათხოვდებით და სერიოზულად, კონსტრუქციულად დაელაპარაკეთ თქვენს შეყვარებულს. ყველაფერი დაწვრილებით აუხსენით. უნდა გაიგოს... რამდენიმე თვის შემდეგ, როცა შედარებით მზად იქნებით სერიოზული ურთიერთობისთვის კიდევ დაელაპარაკეთ.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა რობაქიძე**

**ირინა ონაშვილი და ნათია დუმბაძე დიდი ხნის მეგობრები არიან და ერთმანეთთან ისედაც ძალიან ბევრი რამ აკავშირებთ, ცოტა ხნის წინ კი ორივე მონაწილეობდა მუსიკალურ შოუში: ირინა – „ორ ვარსკვლავში“, ხოლო ნათია – „ერთი ერთში“. საბოლოოდ, ორივემ სერიოზულ წარმატებას მიაღწია და მეგობრებმა ახალი ავტომობილები მოიგეს.**

# ვინ კეტავდა ოთახში მარტოს ირინა ონაშვილს და რაში ავარჯიშებდა მეუღლე ნათია დუმბაძეს

**ირინა**: მე დავიწყე პროექტში მონაწილეობა და ნათიამაც მომბაძა. საერთოდ, ნათიასგან განსხვავებით, სიმღერის მხრივ, ჩემს თავზე ცუდი წარმოდგენა მქონდა და საკუთარ შესაძლებლობებში არ ვიყავი დარწმუნებული. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ის ვიცოდი, რომ, ზოგადად, ყველაზე მეტად სიმღერა მიყვარს. სხვა დანარჩენში, ანუ, ამ ჟანრში სიმღერას თუ შევძლებდი, ამას თუ ვიმღერებდი და ასე შემდეგ, არ ვიყავი დარწმუნებული. გუშინ ნუცა ჯანელიძემ დამირეკა – მომღერალო, როგორ ხარო. ცოტა მეხამუშება, რადგან, თავს მაინც არ მივიჩნევ მომღერლად.

**ნათია**: ამ პროექტში ხომ მონაწილეობდნენ პროფესიონალები და არაპროფესიონალები... ირინა, ჩემი და, არა მხოლოდ ჩემი აზრით, მღეროდა, როგორც პროფესიონალი მომღერალი. მე მისი სულ მჯეროდა და ყოველ გამოსვლაზე ვწერდი: „მე მჯერა შენი, დაგლიჯავ, მაგრად იმღერებ...” სულ კომპლექსი აქვს, ამას იქ ვერ გავაკეთებო და, საბოლოოდ, ყველაფერს აკეთებს.

**ირინა**: ზოგადად, ძალიან რთულია, ყველაფერი ერთად გააკეთო. უცხოეთში პროფესიონალ მომღერლებს ამ ყველაფრისთვის მთელი ცხოვრება აქვთ მიძღვნილი, თვეები, წლები ემზადებიან ამისთვის. ამიტომ, ჩემთვის რთული იყო, ერთად გამეკეთებინა სიმღერა და ცეკვა. პირადად მე სიმღერა უფრო მეხერხება, ვიდრე ცეკვა, თუმცა, არც ისეთი არაპლასტიკური ვარ, როგორც ზოგჯერ ამბობდნენ. უბრალოდ, ერთი პრობლემა მაქვს – ვიძაბები. კომპლექსიანი ვარ, როცა მაყურებლის წინაშე ვდგავარ – იქ ცნობილი სახეები და მომღერლები გაფართოებული თვალებით გიყურებენ და ეს ყველაფერი კომპლექსს მიჩენდა. ამიტომ, მერჩივნა, სიმღერაში არ დამეშვა შეცდომა იმის გამო, რომ სადღაც თეძო გავაქანე. მერჩივნა სიმღერა ყოფილიყო სრულყოფილი და ცეკვით არ გადამეტანა ყურადღება.



**ირინა: „ტელევიზიაში სულ უკვირდათ, რატომ არ მოდის ლადოო. ჩვენი ტრაგედიის მერე კონცერტებზე სიარულის ხალისი აღარ აქვს“**

**ნათია**: რომ იცოდე, როგორი მოქნილი, პლასტიკურია და რაებს აკეთებს.

**ირინა**: ნათია ბევრად სცენიურია და სცენაზე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მე ბოლო კონცეტებზე უფრო მეტად გავიხსენი. თავიდან, სცენაზე რომ გავდიოდი, სიტყვები მერეოდა, გულს ყელში ვგრძნობდი, სხვებისგან განსხვავებით, ეს შინაგანი ღელვები ძალიან დიდი დოზით მქონდა.

**– ერთმანეთის გულშემატკივრობას ახერხებდით?**

– კი, ოღონდ, მუნჯურად.

**ნათია**: ირინას პროექტი რომ დაიწყო, დაახლოებით ერთ თვეში დაიწყო ჩემი პროექტიც. ყველაზე მუნჯი გულშემატკივარი ვიყავი მე: ხელებით ვმოძრაობდი.

**ირინა**: სხვა მეგობრებს ეჩხუბებოდა – მიდით, იყვირეთო. თვითონ ოთხშაბათს უნდა ემღერა და ვერ კიოდა, ამიტომ, სხვები ყვიროდნენ მის მაგივრად.

**ნათია**: ისედაც ისეთ დღეში ვიყავი, ისტერიულად ვნერვიულობდი. ის, რასაც მე ვაკეთებდი, ძალიან რთული იყო. თავიდან ვერც კი ვგრძნობდი, რა პროექტში ვიყავი, ამას მერე და მერე უფრო მივხვდი და, ვფიქრობდი, რატომ დავთანხმდი-მეთქი. ძალიან ვინერვიულე, ურთულესი პროექტია, ეს არ არის მხოლოდ „გადი და იმღერე.” მთელი კვირა სხვა მომღერალი ხარ ხმით, გარეგნობით, ყველაფრით. „მასკაზე“ ღამეების გათენება მომიწია, რომ ცეკვა მესწავლა. მგონი, ამ პროექტის შემდეგ უფრო მოქნილი გავხდი. თუმცა, მიმაჩნია, რომ ყველაზე კარგად ის ნომრები გამომივიდა, სადაც ვიდექი და ვმღეროდი.

**ირინა**: ნათიას მიმართ, ამ შემთხვევაში, ობიექტური ვერ ვიქნები, სუბიექტური უფრო ვარ. ამიტომ რასაც ნათია აკეთებდა, ყველაფერი მომწონდა. საოცრება რომ გააკეთოს, მაინც მომეწონება.

**ნათია**: ჩემი პირველი გამოსვლა, იცი, როგორი იყო? არ ვიცოდი, რას ვაკეთებდი, სად ვიყავი, ირინა კი მწერდა: „ბუბლი, მაგარი იყო!..” ყველა გამოსვლაზე ასე მწერდა, კარგზეც და ცუდზეც. ეს ჩემთვის დიდი სტიმული იყო.

**ირინა**: ჩემთვისაც ასე იყო. ზოგადად, ჩემთვის კომპეტენტური ადამიანები არიან ოჯახის წევრები, მეგობრები და, ისინი, რომ გეუბნებიან: „მიდი, მაგარი ხარ, უფრო კარგად გამოგივა.” – ეს ძალიან დიდი სტიმულია, უფრო თავდაჯერებული ხდები. რომ დამთავრდა ჩემი პროექტი, მერე უკვე ბოლომდე ჩავერთე. ნათიას დავალება გაცილებით რთული იყო, ვიდრე ჩემი, თან, როცა არანაირი შეხება არ გაქვს მსახიობობასთან. ვფიქრობ, დაუფასდა შრომა, რადგან, ძალიან მოინდომა.

**– შრომისმოყვარეობითა და მიზანდასახულობით, მგონი, ჰგავხართ ერთმანეთს.**

**ნათია**: კი, ძალიან შრომისმოყვარეები და მიზანდასახულები ვართ.

**ირინა**: მე ამ პროექტში უფრო იმიტომ ჩავერთე, რომ ჩემს ცხოვრებას ახლა ძალიან სჭირდებოდა ცოტა ხალისი. ყველაზე დიდი სტიმული, იცი, რამ მომცა? როცა ჩვენი პედაგოგებისგან – რუსასგან, ქეთისგან, ნინოსგან ვგრძნობდი მხარდაჭერას: რუსა რომ მეუბნებოდა – ძალიან მაგარიაო; სწავლის პროცესში რომ მეუბნებოდნენ – ისეთ ბგერებს ვიჭერთ შენში, რომელიც ძალიან მოგვწონს, იშვიათიაო, – ეს ყველაფერი დიდ სტიმულს მაძლევდა. ბევრი შრომა ჩაიდო მათი მხრიდან. რამე რომ არ გამომდიოდა, ან, სიმღერის არჩევისას ვამბობდი – შანსი არ არის, მე ამას ვერ ვიმღერებ-მეთქი, რუსას ოთახში ავყავდი, მარტოს მკეტავდა და მეუბნებოდა: „მიდი ახლა!..” – და მერე ყველაფერი გამოდიოდა.

**– ნათია, შენც გკეტავდნენ ოთახში მარტოს?**

**ნათია**: მე არ მკეტავდნენ, თვითონ ვიკეტებოდი მარტო და ღამის 2 საათამდე არ გამოვდიოდი. დილით მივდიოდი „ჯიდიესში“ და ღამით ვბრუნდებოდი. ჩემი სამთვიანი ცხოვრება ასეთი იყო: სახლი – ტელევიზია, სახლი – ტელევიზია...

**– მეუღლეებიც კარგად ანერვიულეთ.**

– განსაკუთრებით ბოლოსკენ ინერვიულეს ძალიან.

**ირინა**: ტელევიზიაში სულ უკვირდათ, რატომ არ მოდის ლადოო. ჩვენი ტრაგედიის მერე კონცერტებზე სიარულის ხალისი აქვს-მეთქი, ვერ გეტყვი. ერჩივნა, სახლში, ტელევიზორში ენახა ჩემი გამოსვლები. ბოლოს, ფინალზე, კი უნდოდა მოსვლა, მაგრამ, მერე მითხრა, რომ ვერ გაიმარჯვო, მე დამაბრალებო. ბაჩო ბევრად უფრო იყო ჩართული, ვიდრე ლადო. უნდა გენახა, როგორ ამეცადინებდა ნათიას.

**ნათია**: ადელზეც მამეცადინა. ვოკალურად რა უნდა მასწავლოს ბაჩომ, სამაგიეროდ, სამსახიობო მონაცემების დამუშავებაში მეხმარებოდა. ემოცია რომ არ მოდიოდა, მეუბნებოდა: აქ უფრო მეტი ემოციაა საჭირო, აქ ხელი გაშალე, აქ ეს გააკეთე... კარგად მეხმარებოდა.

**ირინა**: ლადო უფრო კრიტიკული იყო ჩემ მიმართ. ისედაც არ უყვარს ჩემი ქება. რომ მივიდოდი სახლში, მეუბნებოდა, გილოცავო, მაგრამ, ყოველთვის იმაზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც არ გამომივიდა.

**– ორივემ ავტომობილები მოიგეთ.**

**ნათია**: ირინამ რომ მოგო ავტომობილი, „ფეისბუქზე“ წავიდა კომენტარები: აბა, შენ იცი, ირინას კვალზე წადი, შენც მანქანა უნდა მოიგოო. ეს იმდენმა დამიწერა, რომ ამისრულდა და ავტომობილი მოვიგე. ძალიან მინდოდა, მეთქვა: ბუბლი, ჩვენ, ორივემ ავტომობილი მოვიგეთ-მეთქი.

**ირინა**: ნათიას პროექტთან დაკავშირებით რაც ცუდად მახსენდება, ერთადერთი, ის იყო, რომ მას ყოველდღე ვერ ვხედავდი და ამან დიდი დისკომფორტი გამიჩინა. ეს იყო საშინელება. თან, მე მასავით დაკავებული არ ვიყავი, ერთი საათი მქონდა სარეპეტიციოდ და მერე მეცალა. ნათიას განკარგულებაში კი მთელი დღე იყო მიკროფონი, დარბაზი და სარკე.

**ნათია**: დარბაზი არ იყო ჩემს განკარგულებაში და, დაჟინებული თხოვნის შემდეგ, რამდენიმე საათს გვითმობდნენ დარბაზს. მერე იყო: კიდევ ერთი საათი, ორი საათი და ბოლოს ისე შევაწუხე ხალხი, რომ აღარ ერეოდნენ – ეს ნათიას ოთახიაო და სულ იქ ვიყავი. ბოლოს პროექტი ძალიან გაიწელა და ისე დავიღალე, ნერვებმა მიმტყუნა. ყველა ვამბობდით, ნეტავ გაგდებაზე იყოსო. რომ დამთავრდა, ამოვისუნთქეთ.

**– აღნიშნეთ ავტომობილების მოგება და პირველი-მეორე ადგილები?**

– მე დამელოდა და რომ დავამთავრე პროექტი, ჩემთან, სახლში აღვნიშნეთ ვიწრო წრეში. ანუ, ორივემ ვიკისრეთ და „დავასველეთ” მანქანები. სხვათა შორის, ირინა ძალიან კარგი მძღოლია, მე ვერ შევედრები, თუმცა, მეც კარგად დამყავს.

**ირინა**: მე უფრო დიდი სტაჟი მაქვს მანქანის ტარების და, ალბათ, იმიტომ. იმ დროს მანქანა არ მყავდა, მაგრამ, ინტერვიუებში არ ვამბობდი, რომ ცუდად არ გამომსვლოდა. შემოდგომაზე დაგვჭირდა, გავყიდეთ და ხან ვისი მანქანით დავდიოდი, ხან – ვისი. ჩემს დას სასაცილო მანქანა ჰყავს, ზოგჯერ იმითაც დავდიოდი და მთელი „იმედი“ და მონაწილეები დამცინოდნენ – რითი დადიხარო. საბოლოოდ, ყველაფერი კარგად დაემთხვა. ძალიან მიყვარს ჩემი ავტომობილი – შენი შრომით მოპოვებულს უფრო სხვა გემო აქვს. თან, ძალიან კარგი მანქანაა, ახალთახალი.

**ნათია**: სიუჟეტის გადასაღებად რომ მოვიდნენ, ძველი ავტომობილიდან ახალზე გადავედი. მერე, რომ აიტვირთა საიტებზე, წერდნენ: მაგარი მანქანიდან უფრო ბანძზე გადაჯდაო. არ არის ასე. ის ავტომობილი, რომელიც მივიღე, საკმაოდ ძვირად ღირებულია და, რომლიდანაც გადავჯექი, ის ასეთი ძვირფასი არ არის. თან, მე და ჩემს მეუღლეს ერთი ავტომობილი გვყავდა და ყოველდღე ვხოცავდით ერთმანეთს: არა შენ, არა მე! გამოგიარო, გამომიარე! – და ასე შემდეგ. ჯერჯერობით არ დავდივარ ახალი ავტომობილით, მაგრამ, მალე დავიწყებ სიარულს.

**ნათია უტიაშვილი**

**თაკო ცქვიტინიძეს თავიდან ბოლომდე შემოქმედის ცხოვრება აქვს. ის ამჟამად დაკავებულია ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრში და მთლიანად ჩართულია თეატრალურ ცხოვრებაში. თუმცა, როგორც ამბობს, ეს მას ხელს არ უშლის პირად ცხოვრებაში, რადგან ზუსტად იგივე რეჟიმით ცხოვრობს მისი მეუღლე – ნიკა კუჭავა და მისი შვილი სანდრო შარაშიძე. „თბილისელები" თაკოს სწორედ თეატრში შეხვდა.**

# სად დადის თაკო ცქვიტინიძე ღამის 12 საათის შემდეგ და ვინ უმღერა მას დილის სამ საათზე აივანთან სერენადა

**თაკო ცქვიტინიძე**: თქვენ ახლა, ფაქტობრივად, ჩემს სახლში მობრძანდით, რადგან, ამ ეტაპზე სწორედ აქ ვცხოვრობ, ამ თეატრის კედლებში – დღე-ღამის დიდ ნაწილს აქ ვატარებ. ბედნიერი ვარ იმით, რომ სწორედ ამ თეატრში მოვხვდი. თავს მართლა ძალიან კომფორტულად ვგრძნობ. აქ ისეთი ადამიანები დამხვდნენ, ისეთი ჯანსაღი ურთიერთობაა კოლეგებს შორის, რომ მართლა, სამაგალითო.

**– ტელევიზიაში ვერ გნახავთ?**

– იქიდან გამომდინარე, რომ დროის დეფიციტი მაქვს, ამ ეტაპზე ტელევიზიაში მოღვაწეობას ვერ ვახერხებ. თუმცა, მაქვს ჩემი პროექტი, რომელიც უკვე ფურცელზე გადატანილი და ჩამოყალიბებულია და მინდა, განვახორციელო. ტელევიზიაც ძალიან მენატრება. ვნახოთ, იმედია, ახლო მომავალში, დავუბრუნდები სატელევიზიო ცხოვრებას.

**– ოჯახზეც მიამბე.**

– ჩემს მეუღლეს, ნიკა კუჭავასაც, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი აქვს. უამრავი გასტროლი, გუშინ ჩამოფრინდა მარჯანიშვილის თეატრი ისარაელიდან და დღეს ისევ მიფრინავენ ხორვატიაში. ნიკას დავხედრა-გაცილების რეჟიმში ვარ. მუდმივად მენატრება ქმარი, რადგან ხშირად ვერ ვახერხებთ დროის ერთად გატარებას. მაგრამ, მიმაჩნია, რომ გამიმართლა. მე და ნიკა რომ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ვყოფილყავით, ალბათ, გაგვიჭირდებოდა ასეთ რეჟიმში ცხოვრება. რთულია, თეატრში შემოხვიდე ადრე, გახვიდე ღამით და ასე გაგრძელდეს ზედიზედ, თუნდაც ერთი კვირა. ყველა ქმარი ამას ვერ გაიგებს. ხანდახან, ემთხვევა, რომ ორივეს ერთი დღე გვაქვს თავისუფალი და ამ დღეს ვცდილობთ, ერთად ვიყოთ. ხან აგარაკზე მივდივართ, ხან, ორი მული მყავს და მათ ვესტუმრებით ხოლმე ან ისინი მოდიან ჩვენთან. ძირითადად, მე და ნიკა ტელეფონით და ესემესებით ვეკონტაქტებით ერთმანეთს, მაგრამ ერთმანეთის ნებისმიერი ნაბიჯი, განწყობა, თუ სიტუაცია, ყოველთვის ვიცით.

**– რაც შეეხება სანდროს. ის სად არის როდესაც დედა და მამა თეატრში არიან?**

– სანდრო ამ დროს ან სკოლაშია, (როცა სასწავლო პორცესია), ან „სუხიშვილებში" ცეკვავს და რეპეტიციაზეა. სხვათა შორის, ჩემი შვილი – სანდროც ჩაერთო თეატრალურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მხოლოდ მეექვსე კლასში გადავიდა, სანდრომ უკვე რიგით მეოთხე სპექტაკლში ითამაშა. მისი თეატრალური ცხოვრება 5 წლის ასაკიდან დაიწყო. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 4 თვის ორსული ვიყავი სანდროზე, მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებში რომ ვთამაშობდი. წელს სანდრომ ითამაშა ლევან წულაძის „საშობაო ზღაპარში" და სულ ახლახან, საკმაოდ სერიოზული და მე ვიტყოდი, მთავარი – ბილის როლი, შეასრულა სპექტაკლში „კრამერი კრამერის წინააღმდეგ", სადაც მან ნიკას შვილი განასახიერა. მამა-შვილი, მამა-შვილს თამაშობდნენ.

**– ნიკას და სანდროს ურთიერთობაზე მიამბე.**

– ნიკას და სანდროს ძალიან კარგი და თბილი ურთიერთობა აქვთ. გიჟდებიან ერთმანეთზე. უპირველესად, მეგობრები არიან ***(იცინის).*** სანდრო თავის საიდუმლოებებს ანდობს ნიკას, ნიკა კი კაცურადაც არიგებს ხოლმე. ის სანდროსთვის მისაბაძი ადამიანი, სამაგალითოა, რაც მე ძალიან მახარებს. ნიკას ძალიან დიდი ამაგი აქვს სანდროზე, ფაქტობრივად, ის ნიკას გაზრდილია. სანდრო ძალიან გალანტურია. ჩამოყალიბებული ჯენლტმენია თავისი ხასიათითა და თვისებებით. მოკლედ, ნიკა და სანდრო ყოველთვის მაგრძნობინებენ, რომ მათ ოჯახში ერთადერთი მანდილოსანი ვარ და შეძლებისდაგვარად, მანებივრებენ კიდეც.

**– სიურპროზებს თუ გიწყობენ?**

– კი, ხან ერთად მიწყობენ სიურპრიზებს, ხან – ცალ-ცალკე. ამ ბოლო დროს, მაგალითად, ნიკამ დამირეკა ღამის სამ საათზე, გადმოიხედეო. მეგონა, მანქანის გასაღების გადასაგდებად მეძახდა და აივანზე რომ გავედი, ქვემოთ ნიკა იდგა გიტარით ხელში და რუსულ რომანსს მიმღეროდა. ძალიან სასიამოვნო იყო.

სანდროს ხშირად მოაქვს ყვავილები. თან, რაც მთავარია, თავისი ხელფასით ყიდულობს. ეს მოსწონს ძალიან.



ხან ერთად მიწყობენ სიურპრიზებს, ხან – ცალ-ცალკე

**– გასრტოლებზე ხშირად დადიხარ?**

– როგორ არა, დავდივარ. ყოველი გასტოლი, უპირველესად, განტვირთვაა იმ გაგებით, რომ ქალაქიდან გადიხარ. მეორე კიდევ – გადიხარ შენს კოლეგებთან ერთად და მათ გვერდით მუშაობის პარალელურად, მხიარულადაც ატარებ დროს.

**– შენ და ნიკა, როგორც ამბობ, ხშირად ვერ ნახულობთ ერთმანეთს. ეჭვიანობის მომენტი არ აქვთ?**

– მადლიერი ვარ ღმერთისა, რომ ისეთი ადამიანი შემახვედა ნიკას სახით, რომელიც აბსოლუტურად მენდობა, ვუყვარვარ, ზრუნავს ჩემზე და ანალოგიური განწყობა მაქვს მეც ნიკას მიმართ. ჩვენი პროფესიიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ვთამაშობთ სენტიმენტალურ სცენებს, ხან ვეხუტებით პარტნიორს, ხან ვკოცნით, ჩვენ ამაზე ერთმანეთთან პრობლემა არასდროს შეგვქმნია, იმიტომ რომ, მსახიობები ვართ.

**– ამბობენ, ორი მსახიობის თანაცხოვრება ერთ ოჯახში საკმაოდ რთულიაო.**

– მე ამას არ დავეთანხმები – ჩემი და ნიკას ურთიერთობა ამის უარყოფის საუკეთესო მაგალითია. პირიქით, წეღანაც ვთქვი, ჩვენ რომ სხვადასხვა პროფესია გვქონოდა, შეიძლება, ასე კომფორტულად არ გვეგრძნო ერთმაენთთან თავი.

**– შეყვარებული თაკო და ნიკა როგორები იყვნენ, გაიხსენებ?**

– მე და ნიკა 2 წელი ვიყავით შეყვარებულები. მერე დავქორწინდით. მეოთხე წელია, ერთად ვართ. მე ვერ ვიტყვი, რომ ქორწინების შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ყოფითში გადაიზარდა ან რაღაც განელდა და შეიცვალა გრძნობებში, პირიქით. გვქონდა ძალიან ლამაზი ქორწილი და ხშირად ვამბობ, რომელიმე მრგვალ თარიღზე, სიამოვნებით გადავიხდიდით მე და ნიკა ხელმეორედ ქორწილს-მეთქი.

**– დავიჯერო, არაფერზე კინკლაობთ?**

– როგორ არა, ძალიან ბევრსაც ვკინკლაობთ, მაგრამ ჩვენი ჩხუბი და გაბუტვაც 15 წუთზე დიდხანს არ გრძელდება – ლიმიტირებულია *(იცინის).*

**– პირველ ნაბიჯს ვინ დგამს შესარიგებლად?**

– უფრო ხშირად ნიკა, მაგრამ ყოველთვის არა. კარგი ის გვაქვს ორივეს, რომ ყოველთვის შეგვიძლია, საკუთარი შეცდომა ვაღიაროთ და ვთქვათ: მე ეს შემეშალაო. თუმცა, საბედნიეროდ, სერიოზული შეცდომა არ დაგვიშვია. ყოფით, მარტივ თემებზე ვკინკლაობთ ხოლმე ძირითადად.

**– ქორწილი და სამეგობრო ვახსენეთ. მეგობრებზეც მიამბე?**

– დროის დეფიციტის გამო, იშვიათად ვხვდებით მათ და ძირითადად, ჩვენი შეხვედრები რეპეტიციების შემდეგ ხდება, სადღაც ღამის 12 საათის შემდეგ. დიდი სამეგორბო წრე მყავს. მართლა ძალიან მეამაყებიან ჩემი მეგობრები და მიმაჩნია, რომ ბედნიერი ვარ, ისინი რომ მყავანან.

**– დასვენებას სად გეგმავ ზაფხულში?**

– დასვენებამდე დრო გვაქვს. რამდენიმე დღეში პრემიერა მაქვს, ცოტას ვნერიულობ. „მე ვხედავ მზეში" ხატიას ვთამაშობ. სულ ახლახან რუსულ ენაზე ვითამაშე სპექტაკლში „სამეფო ძროხა", სადაც პრინცესა განვასახიერე. მე ამ თეატრში ვარ როგორც რუსულ, ასევე ქართულ დასში.

**– ასე კარგად სად შეისწავლე რუსული ენა?**

– ოთხმოცდაათიანი წლების არეულობის დროს ჩემი ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. მაშინ 8 წლის ვიყავი და ფაქტობრივად, იქ გავიზარდე, იქ ვისწავლე. რომ ჩამოვედი, აქაც რუსულ სკოლაში განვაგრძე სწავლა და ბოლოს ქართულ სკოლაში გადავედი, როდესაც უკვე მივხვდი, რომ ყველაფერი დალაგდა.

**– მსახიობობა როდის გადაწყვიტე?**

– რაც აზროვნება და ლაპარაკი დავიწყე, მას შემდეგ სულ მიკროფონი მეჭირა ხელში და ამაღლებულ ადგილს ვეძებდი. ჩემი აუდიენცია ძირითადად, ჩვენი სამეზობლო იყო და ყოველთვის ვიცოდი, რომ მსახიობი ვიქნებოდი. არ მიფიქრია სხვა პროფესიაზე, თუმცა, თეატრალურ უნივერიტეტში ჩაბარებამდე, დავამთავრე სასწავლო-სატელევიზიო ცენტრის ტელერეჟისურისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ვფიქრობ, რომ აბსოლუტრად სწორი არჩევანი გავაკეთე. მიყვარს ჩემი პროფესია.

**ეკა სალაღაია**

**ქრისტიანული ღვთისმეტყველება არ ეთანხმება ადამიანის ბედის წინასწარ განსაზღვრას, პირიქით, მთლიანად უმორჩილებს ადამიანს მის საკუთარ ცხოვრებას. ნებისმიერი ადამიანი საკუთარი ბედის, ცხოვრების განმკარგავია და თავად აკეთებს არჩევანს – ქრისტეს სამსახურში იყოს თუ მიიღოს ანტიქრისტეს ნიშანი. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# გამოარჩევს თუ არა ღმერთი ადამიანს ბავშვობიდან და შეგვიძლია თუ არა საკუთარი ბედისა და მომავლის შეცვლა

– ბედს ადამიანები ხშირად უკავშირებენ არა პირდაპირი გაგებით ადამიანის ცხოვრების წინასწარ განსაზღვრულობას, არამედ შემთხვევითობას, მოულოდნელობას, რაც თავისთავად ხდება ცხოვრებაში; ანუ, გამოდის, რომ ბედი განსაზღვრავს ამ შემთხვევითობას და ადამიანს მისი შეცვლა აღარ შეუძლია. თუ ადამიანი ემორჩილება ბედს, წინასწარგანსაზღვრულობას; თუ მას შუბლზე დააწერეს, როგორ უნდა იცხოვროს და ის ვერ შეცვლის რეალობას, ესე იგი, ადამიანი არ ყოფილა თვითუფლებრივი.

**– რით გამოარჩევს ადამიანს თვითუფლებრიობა?**

– ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანს ანიჭებს ადამიანობას, შემოქმედებითობას და ამით ის ემსგავსება ღმერთს. მაგრამ, თუ ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია, გამოდის, რომ ადამიანი ამ მთავარ თვისებას კარგავს, რომ მისი ცხოვრება დამოკიდებულია წინასწარ დაგეგმილ ქმედებებზე, მათ განზრახვაზე, გადაწყვეტილებებზე.

**– ანუ, ყველაფერი ადამიანის ქმედებებზეა დამოკიდებული?**

– როგორც აღვნიშნე, ადამიანი ყველაფერს თვითუფლებრიობით აკეთებს, ესე იგი, მასში არის უნარი განზრახვაზე, ანუ, მას უნდა, ესა თუ ის საქმე გააკეთოს, მოიმოქმედოს. მაგრამ, თუ ჩვენ ისე მივუდგებით საკითხს, რომ არ არსებობს ადამიანის თვითუფლებრიობა, რომ ის არ ბატონობს საკუთარ ქმედებასა და განზრახვაზე, თუ ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული, მაშინ ადამიანს არ სჭირდება განზრახულობა, რაც, სინამდვილეში, ნებისმიერი საქმის დასაწყისია. ასეთ დროს გამოდის, რომ მას არც სწავლა სჭირდება, არც გარჯა, რადგან მისი ცხოვრება ისედაც განსაზღვრულია. თუ ადამიანის ცხონება განსაზღვრულია, მაშინ აღარ ყოფილა საჭირო ძალისხმევა არც პირად ცხოვრებაში და არც ეკლესიაში. თუ წინასწარ განსაზღვრულია, რომ ადამიანი დაიბადა ცოდვილად და ის ასე იქნება მთელი სიცოცხლის განმავლობაში, მაშ, რაღა საჭიროა ეკლესიური ცხოვრება, ღვაწლი, ლოცვა, მარხვა?! ასეთი წარმოდგენით ის თავად კარგავს ფუნქციას და, ზოგადად, ყველაფერს ეკარგება აზრი.

**– ალბათ, არასწორი მიდგომაა, როცა ამბობენ: ადამიანი თავის ბედს თვითონ არ ქმნის; რომ ღმერთი დაბადებიდანვე განსაზღვრავს, ვინ უნდა იყოს ბედნიერი და ვინ – უბედური, ვინ წარმატებული და ვინ – წარუმატებელიო...**

– რა თქმა უნდა, უფალმა ყველაფერი იცის, ის წინასწარ განაგებს ყველაფერს, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ადამიანს არაფერს ეკითხება. თავად ადამიანი წყვეტს საკუთარ მომავალს, ცხონება-არცხონების, სწავლა-არსწავლის, მუშაობა-არმუშაობის საკითხს და, შესაბამისად, ის ჭრის და კერავს თავის მომავალს. რაც შეეხება ადამიანების ყრმობიდანვე გამორჩეულობას, ასეთი რამ არსებობს, ოღონდ, ამას ბედი ან ვარსკვლავები კი არ განაჩინებენ, არამედ, შემოქმედი, უფალი. ერთია, რომ ღმერთმა გამოარჩია ადამიანი, მაგრამ, მეორეა ის, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრებით, პირადი ღვაწლით შეძლო, უფლის მიერ მისი გამორჩეულობა დაედასტურებინა და ასე გაეტარებინა ცხოვრება. საერთოდ, ყველა ადამიანია ღვთისგან გამორჩეული, მაგრამ, ისინი არ ცდილობენ, ისე იცხოვრონ, როგორც გამორჩეულებმა, რადგან, ადამიანი თავისუფალია, საკუთარი თავის უფალია და მას შეუძლია, საკუთარი ქმედებებით გახდეს წმიდანი, ან, პირიქით, დაეცეს. ანუ, ადამიანი, თუნდაც უფლისგან გამორჩეული, თვითონ განაგებს საკუთარ ცხოვრებას. ჩვენ ვიცით, რომ 12 მოციქულში მაცხოვარმა იუდა გამოარჩია, მაგრამ მან ეს გამოწვევა ვერ გაითავისა, ვერცხლისმოყვარეობაში ჩავარდა, უფალი გასცა და თავიც მოიკლა. ასე რომ, მას შეეძლო, კარგისგან ცუდი, ან, პირიქით, კარგი გამხდარიყო. მოციქულები, სანამ დაიბადებოდნენ, მანამდე იყვნენ გამორჩეულები, მაგრამ, როგორ დაიტევდნენ ისინი ამ გამორჩეულობას, მადლს, ეს უკვე მათ პირად ნებაზე იყო დამოკიდებული და არა გარე მოვლენებზე, ბედსა და ბედისწერაზე. ერთ-ერთი მამა ამბობს: არავისზე თქვა, რომ ის ბედნიერია, რადგან, არ იცი, როგორი იქნება მისი დასასრული; არ თქვა ადამიანზე დღეს, რომ ის ცუდია, რადგან ხვალ, შეიძლება, უკეთესი გახდესო. ასე რომ, ჩვენს სვე-ბედს თვითონვე წარვმართავთ და, ამიტომ, ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ სიკეთის ქმნისთვის, ცხონებისთვის.



**აპოკალიფსის განმარტებისას წმიდა მამები წერენ: ბეჭედი შუბლზე – ეს არის ჩვენი აზრი, გონება, სულიერება, ყველაფერი, რითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ და არა ის, რომ ვიღაც მოვა და შუბლზე 666-ს დაგვაწერს**

**– ამქვეყანად ღმერთის დაშვების, ნების გარეშე არაფერი ხდება. მაშინ რატომ უშვებს უფალი ანტიქრისტეს გაბატონებას?**

– ღმერთი ამას იმიტომ უშვებს, რათა ადამიანებმა კარგად გააცნობიერონ, რომ ღმერთის გარეშე ის არაფერს წარმოადგენს. მაგრამ, რადგან კაცობრიობა თავად მივიდა უსულო, არასწორი მდგომარეობის კულმინაციამდე და საკუთარ თავში ამბობს – მე ღმერთი აღარ მჭირდება, აღარ მინდაო, სწორედ ეს იწვევს ანტიქრისტეს მოსვლას. ანუ, ადამიანზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. ასეთი გამოთქმაც აქვთ წმიდანებს: ადამიანებს შეუძლიათ, დააჩქარონ ეს მოვლენები, ან, კი არ დააჩქარონ, პირიქით, გადადონ ათწლეულობით. ჩვენი ცხოვრების წესით, ამქვეყანაზე მიჯაჭვულობით, ვითხოვთ მამონას, ამქვეყნიურ მეფეს და სწორედ მაშინ მოვა ანტიქრისტე და მაცხოვარი ველარ პოვებს დედამიწაზე რწმენას, სარწმუნოებას. ციფრებთან, ნიშნებთან, ბეჭდებთან დაკავშირებით დღეს დიდი აჟიოტაჟია შექმნილი და, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის მართლმადიდებლობა, ეს კერპთაყვანისმცემლობა უფროა. ადამიანი, რომელიც არ ცხოვრობს ეკლესიური, ზნეობრივი, სულიერი ცხოვრების წესით, რომელსაც ეშინია სამი ექვსიანის ან სხვა ნიშნების, თუ არ ექნება ეს ნიშნები და არ იცხოვრებს ქრისტიანულად, უფლის სათნოდ, გადარჩება კი ის?! რა თქმა უნდა, არ გადარჩება. ასე რომ, ჩვენი ზედაპირული ყურადღება არ უნდა იყოს გამახვილებული მხოლოდ ნიშნებზე. თუ ადამიანს მისგან დამოუკიდებლად ვიღაცამ პირადობაში, პასპორტში ჩაუწერა სამი ექვსიანი, ან რაღაც პროდუქტი იყიდა და იქაც წერია ეს ციფრები, მაგრამ არ იცის და იღებს, ხმარობს, ჩვენ, საერო თუ სასულიერი პირები, სამწუხაროდ, ვადებთ ბეჭედს, რომ ის უკვე ეშმაკს დამონებულია. რა თქმა უნდა, ეს არ არის სიმართლე. სოლომონი ბეგარის სახით ხალხისგან წელიწადში იღებდა 666 ტალანტ ოქროს. ერთ ტალანტში შედიოდა 42 კილოგრამზე მეტი, შესაბამისად, ეს ძალიან კოლოსალური თანხა იყო და ებრაელი მოსახლეობისთვის ძალზე მძიმე გადასახადი. ანუ, ებრაელისთვის 666 ყოველთვის იყო განსახიერება ამქვეყნიური დოვლათის, სიმდიდრის, ძლევამოსილებისა და დღესაც ასეა. ძველ არამეულ დამწერლობაში ზოგჯერ ციფრს ანაცვლებდა ასო, ან – პირიქით. ასე რომ, რაღაც ციფრებით ჩვენ ვიღებდით გარკვეულ აზრს. ამ მნიშვნელობით, თუ 666-ს სიტყვასიტყვით გადავთარგმნით, ასე გამოითქმის: „ჰამელეკ ისრაელ, ჰამელეკ ისრაელ," რაც ქართულად ნიშნავს: „მეფე ისრაელისა;" ანუ, იმ მეფეზე, ცრუ მესიაზეა საუბარი, რომელიც მოვა ანტიქრისტეს სახით. აპოკალიფსის განმარტებისას წმიდა მამები წერენ: ბეჭედი შუბლზე – ეს არის ჩვენი აზრი, გონება, სულიერება, ყველაფერი, რითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ და არა ის, რომ ვიღაც მოვა და 666-ს დაგვაწერს შუბლზე. ასევე, სახარებაში მარჯვენა ხელზეა ყურადღება გამახვილებული, რომელიც ყოველთვის შრომის, წვალების სიმბოლოა. როდესაც ადამიანის მარჯვენა დატვირთულია, შრომობს და ცდილობს, დააგროვოს დოვლათი ამქვეყნად, წუთისოფელში იყოს კარგად, ამას საბოლოოდ მამონასკენ მივყავართ. ასე რომ, თუ ადამიანი ამ ყველაფერს დღესვე, აქვე აკეთებს, ეს ნიშნავს იმას, რომ მან უკვე მიიღო ეს ნიშანი. ადამიანი, რომელიც ჰიპნოზის ქვეშ გააააკეთებს რამე ცუდს, მოკლავს ადამიანს, მას მკვლელობად არ ეთვლება, ისევე, როგორც აფექტის მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული. თუ ადამიანი სამ ექვსიანს მიიღებს არა თავისი სინდისით, არამედ მისგან დამოუკიდებლად და ჩვენ ვამბობთ, მან უკვე სული მიჰყიდა ეშმაკსო – ეს არის საშინელება. მაგრამ, თუ ადამიანი შეგნებულად იღებს 666-ს, რა თქმა უნდა, ის ქრისტეს უარყოფს და ეს სხვა არაფერია თუ არა ადამიანის ცხოვრების წესი. ამიტომ, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, როგორც ვცხოვრობთ, რით ვართ დაკავებული, რა გვინდა და არა ციფრებს.

**უფალმა ყველაფერი იცის, ის წინასწარ განაგებს ყველაფერს, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ადამიანს არაფერს ეკითხება**

**ნათია უტიაშვილი**

# იოანე კრონშტადტელის მიერ აღსრულებული სასწაულები

რელიგიურ მოღვაწეთა დასში განსაკუთრებული ადგილი უკავია დეკანოზ იოანე კრონშტადტელს. მასზე ძალიან ბევრი იწერებოდა. მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნებოდა აგრეთვე სხვადასხვა ენაზე გამოცემული ბროშურები, მაგრამ, მისი სულისკვეთების ამსახველი, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ მისი სტატიები და ქადაგებანი; აგრეთვე, მისი ძირითადი შრომა – „ჩემი ცხოვრება ქრისტეში." გარდა იმისა, რომ ბრწყინვალე მოძღვარი იყო, იგი განსაკუთრებულ მადლს ატარებდა; მას სწამდა, რომ ლოცვას მოჰყვებოდა შედეგი, რამეთუ განუყოფელია უფლის სიტყვა და საქმე.

„ყველგან მწუხარეთა მეგობარი იყო და შეჭირვებულთა ნუგეშისმცემელი, – წერს ორნატსკი, – არ ერიდებოდა არავითარ ავადმყოფობას, უშიშრად მიდიოდა კეთროვნებთან"...

მამა იოანეს შემწეობით, მისი ლოცვის ძალით სარგებლობდნენ აგრეთვე არამართლმადიდებელი ქრისტიანები და სხვა რელიგიის მიმდევრებიც – იუდეველები, მაჰმადიანები, წარმართები და არამარტო რუსეთში... ცნობილია, რომ, როდესაც მას დეპეშით შეატყობინეს ბულგარეთის პრინცის მძიმე ავადმყოფობა, სნეული პრინცი ათასი ვერსის მანძილზე განიკურნა მისი ლოცვით. მამა იოანე ბულგარეთის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

1892 წელს ქალაქ ვარშავაში ცხოვრობდნენ კარის მეზობლები – მართლმადიდებელი ალექსანდრე კალინინი და კათოლიკე პოლკოვნიკი იუნჩისი. მათი მეუღლეები მეგობრობდნენ. მარია იუნჩისი იმდენად მძიმედ გახდა ავად, რომ პროფესორმა ფრანცკემ რამდენიმე კვირის მკურნალობის შემდეგ განაცხადა, აღარ შეეწუხებინათ ავადმყოფი, რადგან მეორე დღეს უნდა გარდაცვლილიყო. მარია იუნჩისს მუცლის ანთებასთან ერთად განგრენაც დაეწყო – ფეხები ჯერ დაულურჯდა, შემდეგ კი მთლიანად გაუშავდა.

მართლმადიდებელმა ოჯახმა საღამოს 10 საათზე სასწრაფო დეპეშა გაგზავნა კრონშტადტში. დილით მოვიდა პასუხი: „შევთხოვე ღმერთს, ყოველივე კარგად იქნება". ამის შემდეგ ავადმყოფი გამოკეთდა. როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ პროფესორმა ფრანცკემ შეიტყო, რაც მოხდა, განაცხადა, ეს ნამდვილი სასწაულიაო. „დიახ, სასწაულია, – უპასუხა ალექსანდრეს მეუღლემ, – ის მოახდინა ჩვენმა მამა იოანემ," – და უამბო დეპეშის ისტორია. როდესაც ამის შესახებ გამოჯანმრთელებულმა და გაამპარტავნებულმა მარია იუნჩისმა გაიგო, ბრაზმორეულმა გამოსცრა: „როგორ, მართლმადიდებელმა ღვთისმსახურმა მიშველა? ეს სისულელეა"... ამის გამო დაირღვა ორ მეგობარ ქალს შორის მეგობრობა, იუნჩისების ოჯახი კი სულ მალე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

მამა იოანეს მიერ განკურნებული არაერთი იუდეველი მონათლულა. ტაგანროგში ერთ ებრაულ ოჯახში ჰყავდათ მძიმე ავადმყოფი ქალი, რომლის გამოჯანმრთელებაზეც ექიმებმა ყოველგვარი იმედი დაკარგეს. როდესაც ავადმყოფი ძალიან ცუდად შეიქნა, ექიმმა, რომელიც აგრეთვე იუდეველი გახლდათ, ხუმრობით თქვა – ახლა მთელი იმედი მამა იოანეზეაო. ექიმის ეს ხუმრობა ოჯახის წევრებმა სერიოზულად მიიღეს და იმავე საღამოს აფრინეს დეპეშა მამა იოანესთან. ავადმყოფმა მეორე დღესვე იგრძნო უკეთესობა და მალე სულ გამოჯანმრთელდა.

ხარკოვში ვოზნესენსკის მოედანზე ცხოვრობდა ცოლ-ქმარი – მიხაილ და მარია მიხაილოვსკები, ეროვნებით ებრაელები და სჯულით იუდეველნი. მათი ერთადერთი, 8 წლის გოგონა ქუნთრუშით გახდა ავად. მედიცინა უძლური აღმოჩნდა და სასოწარკვეთილი მშობლები ბავშვის აღსასრულს ელოდნენ. ზუსტად ამ დროს, ხარკოვში ჩაბრძანდა მამა იოანე. მიხაილ მიხაილოვსკი ეტლით გაენთო ეკატერინეს მოედნისკენ. ეტლიდან რომ გადმოვიდა, აუარება ხალხში მოუხდა გზის გაკვლევა, ძლივს მიაღწია მამა იოანემდე, დაემხო მუხლებზე და გულამომჯდარმა შეჰღაღადა: „მამაო! იუდეველი ვარ, მაგრამ, შველას გთხოვ." მამა იოანემ ჰკითხა, რა აწუხებდა. „ჩემი ერთადერთი ქალიშვილი სიკვდილის პირასაა მისული, შესთხოვე ღმერთს, იხსნას, გევედრები". მამა იოანემ თავზე დაადო ხელი და თვალნი აღაპყრო ზეცად... ერთი წუთის შემდეგ კი უთხრა: „ადექ და წადი მშვიდობით". მიხაილოვსკი კვლავ ეტლით გაეშურა შინისკენ. აივანზე მას მეუღლე ელოდა და შორიდანვე ახარა – ჩვენი გოგონა უკვე ფეხზეაო. როდესაც გოგონა სრულწლოვანი შეიქნა, მართლმადიდებლობა მიიღო და ნათლობის შემდგომ ვალენტინა დაირქვა.

აღსანიშნავია, რომ მამა იოანეს შველას სთხოვდნენ საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ინგლისიდან, იტალიიდან, ავსტრალიიდან, შვედეთიდან, ავსტრიიდან, ახალი ზელანდიიდან, იმ რწმენით, რომ მართლმადიდებელი ღვთისმსახურის ლოცვა გაჭრიდა იქ, სადაც უძლური იყო ექიმი. მათ შორის იყვნენ დიდი მედიკოსებიც, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი სკეპტიკური დამოკიდებულებით ლოცვისადმი, მაგრამ ღვთის განგებით, კრიტიკულ მომენტებში იძულებული ხდებოდნენ, მიემართათ მამა იოანესათვის და ეცნოთ მისი ლოცვის ძალა. ამაზე მეტყველებს თუნდაც 1901 წლის ზაფხულში მამა იოანეს სახელზე მოსული ორასზე მეტი დეპეშა.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: საეკლესიო კანონმდებლობით, აუცილებელია თუ არა ქელეხის გადახდა?**

**პასუხი**: ქელეხის გადახდა აუცილებლობას არ წარმოადგენს. ეს არის ჭირისუფლის კეთილი ნება გარდაცვლილის სულის საოხად, მის მოსახსენიებლად ახლობლების შეკრება და მათი პატივისცემა. ქელეხმა ბოლო დროს მიიღო დამახინჯებული ფორმა და ღრეობაში გადაიზარდა, თორემ, თავდაპირველად გარდაცვლილის სახელზე ჭირისუფალი გაიღებდა მოწყალებას და მშივრებსა და უპოვრებს აპურებდა. ქელეხი შეგიძლიათ გადაიხადოთ, ოღონდ, სუფრა კეთილწესიერებით უნდა გამოირჩეოდეს.

**კითხვა: ჩემი დედამთილი მუდმივად შენიშვნას მაძლევს, როცა ან სარეცხს ვფენ ღამით, ან ნაგავს ვყრი. ამას და კიდევ ბევრ სხვა მსგავს ჩვეულებას ქრისტიანული ტრადიციით მისაბუთებს. შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს?**



**პასუხი**: ნურასდროს აჰყვებით მსგავს ცრურწმენებს. სინამდვილეში, თქვენი დედამთილი არ არის გარკვეული ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებში. ნუ მოექცევით მისი გავლენის ქვეშ, თუმცა, არ ეუხეშოთ, უმჯობესია, მშვიდად აუხსნათ სიტუაცია.

**კითხვა: როგორ უყურებს ქრისტიანობა დონორობას?**

**პასუხი**: სხვადასხვა ჯურის სექტანტები სასტიკად ეწინააღმდეგებიან დონორობას. ეს არასწორია. ქრისტიანული შეხედულებით, დონორობა კეთილი საქმეა, როდესაც მას მოყვასისადმი სიყვარულით ვიქმთ.

**კითხვა: როგორ შევიყვაროთ მოყვასი?**

**პასუხი**: უფლისა და მოყვასის სიყვარული ქრისტიანობის მთავარი მცნებებია. თუ მოყვასი არ გიყვარს, არც უფალი გიყვარს და არ ხარ ჭეშმარიტი ქრისტიანი. იმისთვის, რომ შეიყვაროთ მოყვასი, მარტივი წესია, წარმოიდგინოთ თქვენი თავი მის ადგილზე.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

## კაცის ცხოვრებასა და სიკვდილზე

რომელიღაც სახელმწიფოში მოქალაქეებს ძველთაგან ჰქონდათ ჩვეულება, ამოერჩიათ თავის მეფედ უცხო ქვეყნის კაცი, რომელმაც არ იცოდა მათი კანონები და ზნე-ჩვეულება, მას მისცემდნენ სრულ, შემოუსაზღვრელ უფლებას სახელმწიფოში, მაგრამ, მხოლოდ ერთი წლის ვადით. რაკი ერთი წელიწადი გავიდოდა, ისინი მოულოდნელად შეიპყრობდნენ მას, შემოძარცვავდნენ სამეფო შესამოსს და წყევლა-კრულვითა და გინებით ჩამოატარებდნენ მთელ ქალაქს, ბოლოს კი გაგზავნიდნენ უდაბურ კუნძულზე, სადაც შიშველი და მშიერ-მწყურვალი განდევნილი მეფე სულს განუტევებდა. ერთხელ იმ სამეფოში უცხოქვეყნელი ვინმე გამეფდა, კაცი გონიერი, რომელიც მომეტებულად ზრუნავდა მომავალ ცხოვრებაზე, ვინემ აწმყოზე. ისე კი არ იქცეოდა, როგორც წინანდელნი მეფენი, რომელნიც მარტო სმაჭამა-მხიარულებაში ატარებდნენ დროს, ის უფრო ცდილობდა, ეშოვა ბრძენი მრჩეველი და, მასთან, ერთგული მეგობარი, რომელსაც უნდა ესწავლებინა მისთვის იმ ქვეყნის კანონები და ქვეშევრდომთა ზნე-ჩვეულება. როცა მან გაიგო თავისი ქვეშევრდომების საზარელი ჩვეულება, შიშის ზარი დაეცა, მაგრამ, რადგანაც ჭკვიანი იყო, მალე მოვიდა გონზე. მან შეკრიბა ყველა ხაზინიდან ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი თვლები, საზრდო მოიმზადა და ყველა ესენი თავისი ერთგული მოსამსახურეების ხელით გაგზავნა ჩუმად იმ კუნძულზე, სადაც მას გააძევებდნენ ერთი წლის შემდეგ. წელიწადი მალე გავიდა, მოქალაქეები წინ აღუდგნენ მას და ისე მოეპყრნენ, როგორც სხვა მეფეებს, მაგრამ, რაკი მას მომზადებული ჰქონდა ყოველივე, რაც კი მისთვის საჭირო იყო, ის უნაყოფო და წინათ უდაბნო კუნძული მისთვის შეიქნა არა საშიშ და სატანჯველ, არამედ, განსასვენებელ და სასიხარულო ადგილად.

აი, მნიშვნელობა ამ იგავისა: სამეფო ნიშნავს წუთისოფელს, მოქალაქენი – ცუდ, დამღუპველ გულისთქმათა, რომელნიც, ატკბობენ რა ამ წუთისოფლის ცხოვრებას, ავიწყებენ კაცს მომავალ საუკუნო ცხოვრებას; წინანდელნი მეფენი ნიშნავენ ცოდვილებას, რომლებიც ცხოვრობენ უზრუნველად და უსჯულოდ და რომელთაც უეცრად ეწვევათ სიკვდილი და წავლენ საუკუნო სატანჯველში; კეთილგონიერი მეფე ნიშნავს მართალ კაცს, რომელიც მართლმსაჯულ ღმერთთან წინდაწინვე გზავნის კეთილ საქმეებს, კეთილ ცხოვრებას; ეს კეთილი ცხოვრება და კეთილნი საქმენი შუამდგომლობენ მისთვის წინაშე ღვთისა და, ამგვარად, მართალი კაცი წინდაწინვე იმზადებს ზეციურ საუნჯეს. ბრძენი მრჩეველი და ერთგული მეგობარი არის ჩვენი ჭკუა-გონება, რომელიც არჩევს კეთილს ბოროტისგან, სასარგებლოს – უსარგებლობისაგან; ერთგულნი მოსამსახურენი ნიშნავენ ჩვენს ნებას, რომელიც უარყოფს მას, რაც აძაგა გონებამ.

ჩვენც მივბაძოთ იმ კეთილგონიერ მეფეს, ანუ იმ მართალ კაცს, რომელიც მომავალ ცხოვრებაზე უმეტესად ზრუნავს, რომელიც კეთილი ცხოვრებითა და კეთილი საქმეებით იმზადებს ზეციურ საუნჯეს და ამით დავიმკვიდრებთ ზეციურ სასუფეველს.

**მოამზადა რევაზ ტომარაძემ**

# მსოფლიო ჩემპიონატის სექსუალური ფეხბურთელები

*მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთის გულშემატკივარი მამაკაცების გარდა, დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს გოგონები და მოუთმენლად ელოდებიან ფეხბურთელებს, რომლებიც დღეს სექს-სიმბოლოები არიან აღიარებული. 2014 წლისთვის კი სექს-სიმბოლოდ 11 ფეხბურთელი დასახელდა.*


ალექსანდრ კერჟაკოვი


ჯორჯინიო ვეინალდუმი


მაურისიო პინილია


სერხიო რამოსი


კრიშტიანუ რონალდუ


ჯერარ პიკე


ოლივიე ჟირუ

1. კრიშტიანუ რონალდუ – 29 წლის, პორტუგალია; 2. ჯერარ პიკე – 27 წლის, ესპანეთი; 3. კლაუდიო მარკიზიო – 28 წლის, იტალია; 4. გრემ ზუსი – 27 წლის, ამერიკის შეერთებული შტატები; 5. ოლივიე ჟირუ – 27 წლის, საფრანგეთი; 6. ალექსანდრ კერჟაკოვი – 31 წლის, რუსეთი; 7. სერხიო რამოსი – 28 წლის, ესპანეთი; 8. ჯორჯინიო ვეინალდუმი – 23 წლის, ნიდერლანდები; 9. მაურისიო პინილია – 30 წლის, ჩილე; 10. ნეიმარი – 22 წლის, ბრაზილია; 11. იკერ კასილასი – 33 წლის, ესპანეთი.

## „იდეალური არიელი ბავშვის სახე" ებრაელი აღმოჩნდა

80 წლის ამერიკელმა პროფესორმა ჰესი ტაფტმა ისრაელში ჰოლოკოსტ „იად-ვაშემის" მემორიალს საჩუქრად გადასცა ნაცისტურ გერმანიაში გამოცემული ჟურნალის – „მზე სახლში" – რამდენიმე ეგზემპლარი, რომლის ყდაზე მისი პატარაობის სურათია დაბეჭდილი. „ნაცისტებს რომ გაეგოთ, ვინ ვიყავი, ალბათ, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდი", – განაცხადა ტაფტმა.

1928 წელს ტაფტის მშობლები, ნიჭიერი მომღერლები – იაკობ და პოლინა ლევინსონები, კლასიკურ მუსიკაში კარიერის გასაკეთებლად ლატვიიდან გერმანიაში წავიდნენ და ბერლინში დასახლდნენ. ქვეყნის სათავეში ნაცისტების მოსვლისთანავე, რადგან ებრაელი იყო, ჰესის მამა ოპერიდან გამოუშვეს და ის იძულებული გახდა, კომივოიაჟერად ემუშავა – სახლებში საქონელს დაატარებდა და რეკლამას უკეთებდა.

1935 წელს გერმანიაში ანტიებრაული დარბევები დაიწყო. სწორედ ამ დროს წაიყვანა დედამ გოგონა ფოტოგრაფთან. რამდენიმე თვის შემდეგ კი ჰესის ფოტო ნაცისტური ჟურნალის ყდაზე აღმოჩნდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი მშობლები ბავშვს მალავდნენ – ეშინოდათ, ვინმეს არ აღმოეჩინა, რომ „იდეალური არიელი ბავშვი" სინამდვილეში ებრაელი იყო.

– დედა ფოტოგრაფთან წავიდა და ჰკითხა, რატომ გაგზავნა კონკურსზე ფოტო მათი თანხმობის გარეშე, – იხსენებს ჰესი ტაფტი, – ფოტოგრაფმა კი უპასუხა: „ეს სპეციალურად გავაკეთე. მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ ნაცისტური რასობრივი თეორია მცდარია; რომ თვით ნაცისტთა ბელადებიც კი ვერ არჩევენ ებრაელს გერმანელისგან – სურათი თავად იოზეფ გებელსმა ამოარჩია". ფოტო ისეთი წარმატებული გამოდგა, რომ ღია ბარათებიც კი დაბეჭდეს და ებრაელი გოგონას სურათი მთელ მესამე რაიხს მოეფინა. 1938 წელს ჰესის მამა დაიჭირეს, მაგრამ მეგობარმა მოახერხა მისი გათავისუფლება. ოჯახი ჯერ ლატვიაში, შემდეგ საფრანგეთსა და კუბაში მოხვდა, 1949 წლიდან კი ამერიკაში დამკვიდრდნენ. „მე ნაცისტებზე უკვე შური ვიძიე", – ამბობს ჰესი.

## სიყვარულმა გადარია...

როგორც ამბობენ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო... ორიგინალური გადაწყვეტილება მიიღო ასაკოვანმა ტაივანელმა ვუ ლეიმ, რომელმაც თვალი დაადგა 23 წლის გოგონას. მან თავის თმას კვადრატის ფორმა მისცა და ისე წარუდგა სიყვარულის ასახსნელად, მაგრამ, ცდა უშედეგოდ დამთავრდა – გოგონამ უარი უთხრა და დასცინა კიდეც მის „მოდურ კუბურ თავს".

სიყვარულის გამო ჩადენილ ექსტრავაგანტურ სისულელეებს კი რა მოთვლის, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მკვიდრმა, კრის სევერმა, სასამართლოში სარჩელი შეიტანა მოთხოვნით – დაექორწინებინათ თავის კომპიუტერზე; ერთი მდიდარი ბრიტანელი დელფინზე გათხოვდა, ხოლო მისი თანამემამულე ძაღლის მეუღლე გახდა; ამერიკელი ლინდა დუჩარმი ერთხანს თვითმფრინავზე იყო შეყვარებული, შემდეგ – მატარებელზე, ბოლოს კი იქორწინა „ეშმაკის ბორბალზე", რომელსაც „ბრუსი" დაარქვა.

## შუმახერის ავადმყოფობის ისტორია 50 000 ევროდ შეფასდა

როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ სერიოზულად დაშავდა ავტორბოლაში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი მიხაილ შუმახერი. ცოტა ხნის წინ, გრენობლის კლინიკიდან მისი ავადმყოფობის ისტორია მოიპარეს, ალბათ, სარფიანი შემოთავაზების მიზნით და არც შემცდარან. გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მედიასაშუალებებმა უკვე მიიღეს დოკუმენტების 50 000 ევროდ შეძენის შეთავაზება. თუმცა, ჩემპიონის წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს მოუწოდეს, უარი თქვან მასალების პუბლიკაციაზე.

## ნავასით დაინტერესდნენ

მსოფლიო ჩემპიონატზე კოსტა-რიკას ნაკრების მეკარემ, კეილორ ნავასმა ნამდვილად კარგი თამაში აჩვენა. „ლევანტეს" გოლკიპერით რამდენიმე კლუბი უკვე



დაინტერესდა. განსაკუთრებული აქტიურობა მიუნჰენის „ბაიერნის" სამწვრთნელო შტაბმა გამოიჩინა. მადრიდის „რეალის" ვარიანტს განიხილავდნენ ესპანური სააგენტოები. აქტიურობენ ბავარიელებიც. მოლაპარაკებების დაწყებამდე ჯერ საქმე არ მისულა, თუმცა გერმანული სააგენტოები აცხადებენ, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელობა ნავასის ტრანსფერში 10 მილიონის გადახდას აპირებს.

## მანჯუკიჩი „ატლეტიკოს" ფორვარდი გახდება

ლონდონის „ჩელსიში" გადასულ დიეგო კოსტას მადრიდის „ატლეტიკოში" ხორვატი ფეხბურთელი, მარიო მანჯუკიჩი შეცვლის. მიუნჰენის „ბაიერნის" ფეხბურთელის მაისურით მანჯუკიჩმა უკვე 88 მატჩი ჩაატარა და 48 გოლიც გაიტანა. გერმანელები კი, სასურველი თავდამსხმელის სანაცვლოდ, 20 მილიონ ევროს მიიღებენ.

გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ

# საინტერესო ფაქტები მსოფლიოს მონარქიულ ოჯახებზე

*მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე მონარქიული სახელმწიფოების რაოდენობა არცთუ ბევრია და, ამის გათვალისწინებით, მსოფლიო მონარქების მიმართ საზოგადოების მხრიდან მუდამ არის დაინტერესება. განსაკუთრებულ ინტერესს ბუნებრივია, მეფეების, დედოფლების, იმპერატორების, პრინცებისა და პრინცესების პირადი ცხოვრების შესახებ არსებული ფაქტები იწვევს.*

* დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ, პრინცმა ჩარლზმა, 2008 წელს მთელი თავისი ავტოპარკი ბიოსაწვავზე გადაიყვანა. ამჟამად ჩარლზის ყველა ავტომობილის ძრავა მუშაობს საწვავზე, რომელიც გადამუშავებული საკვები ზეთისგან მიიღება. პრინცის კიდევ ერთი ავტომობილი, 1970 წლის გამოშვების „ასტონ-მარტინი", რომელიც ჩარლზს დედოფალმა ელიზაბეთმა აჩუქა 21 წლის იუბილეზე, ღვინისგან მიღებულ ბიოსაწვავზე მუშაობს. საგულისხმოა, რომ საწვავის მისაღებად ინგლისელი მეღვინეების მიერ დაყენებულ ღვინოს გამოიყენებენ.



* თემზაზე მცხოვრები ყველა გედი დედოფალ ელიზაბეთ მეორის საკუთრებას წარმოადგენს. სამეფო ოჯახის საკუთრებაში გედების გადაცემა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში სპეციალური ბრძანებულების თანახმად მოხდა, როდესაც გედებს სამეფო მაგიდასთან დელიკატესის სახით მიართმევდნენ. ამჟამად გედებს აღარ ჭამენ, თუმცა, ინგლისური კანონის თანახმად, სამეფო ოჯახს უფლება აქვს, მოითხოვოს დაკლული გედის ხორცი.

* მალაიზიაში კონსტიტუციური მონარქიაა თუმცა, მონარქის ტიტული იქ არჩევითია და არა სამუდამო. საქმე ისაა, რომ მალაიზია შტატებად არის დაყოფილი და 9 მათგანი მონარქიულია, რომელთაც 7 სულთანი, ერთი რაჯა და ერთი იანგ დიპერტუან ბესარის ტიტულის მქონე მონარქი მართავენ. ხუთ წელიწადში ერთხელ ეს მონარქები ირჩევენ ერთ მთავარ მონარქს. აღსანიშნავია, რომ მონარქს მალაიზიაში მხოლოდ წარმომადგენლობითი ფუნქცია აქვს.

* მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა ჰოლანდიის ოკუპაცია მოახდინეს და სამეფო ოჯახი კანადაში იქნა ევაკუირებული. იქ მოქმედ დედოფალს იულიანას ეყოლა მესამე ქალიშვილი – მარგრიტი. ის პალატა, სადაც დედოფალმა იმშობიარა, სასწრაფო წესით გამოცხადდა ჰოლანდიის იურისდიქციად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მარგრიტი კანადის მოქალაქედ დაიბადებოდა და ვერ გახდებოდა ნიდერლანდების დედოფალი. კანადელების მადლიერების ნიშნად, ყოველ წელს, ნიდერლანდების სამეფო ოჯახი ოტავაში სპეციალური რეისით გზავნის ტიტების ათას თესლს. საინტერესოა, რომ ანალოგიური შემთხვევა მოხდა 1945 წელს ლონდონში, როდესაც სამშობიაროს პალატა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა იუგოსლავიის სამეფოს ნაწილად გამოაცხადა, რადგან, იმ პალატაში დაიბადა იუგოსლავიის სამეფო ტახტის მემკვიდრე – ალექსანდრ კარაგეორგიევიჩი. სამწუხაროდ, მას არ მიეცა საშუალება, ემეფა თავის ქვეყანაში.

* ერთადერთი ადგილი დიდ ბრიტანეთში სადაც მეფესა და დედოფალს შესვლის უფლება არ აქვთ, თემთა პალატაა. ეს ტრადიცია დეპუტატებმა 1642 წელს შემოიღეს – მას შემდეგ, რაც მეფე კარლ პირველმა პალატის ხუთი დეპუტატის დაპატიმრება მოისურვა ანტიროიალისტური შეხედულებების გამო.

# მხოლოდ ფაქტები

* 1982 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატზე უნგრეთმა მატჩი მოიგო ანგარიშით 10:0. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში, როდესაც ერთი გუნდის მიერ გატანილი გოლების რაოდენობა ორნიშნა რიცხვით გამოისახა.

* ენრიკო კარუზო ბანი იყო, მაგრამ, პედაგოგის შეცდომის გამო, მსოფლიოს უდიდესი ტენორი გახდა.

* უელსში მეცხრამეტე საუკუნეში ვერ გავრცელდა მარქსიზმი, რადგან „კაპიტალის"ვალიურ ენაზე მთარგმნელი ვერ იპოვეს.

* ბერძნულად – „სფინქსი", რომაულად – „ანგინა", ქართულად „დახრჩობას" ნიშნავს.

* ვინსენტ ვან გოგმა სიცოცხლეში თავისი მხოლოდ ერთი ტილო გაყიდა – „წითელი ვენახები არლიში".

* ადამიანის თავის ტვინს 1-დან 7 მილიონი მეგაბაიტი ინფორმაციის შენახვა შეუძლია.

* მეტეორული ნაკადის იმიტაციისთვის, ამერიკელმა ფიზიკოსმა რაინჰარტმა წინადადება წამოაყენა, გაეშვათ რაკეტები ტროტილის მუხტით, რომლებიც ატმოსფეროს ზედა ფენებში აფეთქდებოდნენ.

* შვედეთის პატარა სოფელ ეშერში, ახლად დაქორწინებულებისთვის, რომლებსაც სურთ, თაფლობის თვე მოგზაურობაში გაატარონ, მაგრამ ამისთვის ფინანსები არ ჰყოფნით, სპეციალური ვაგონი ქირავდება.

* მარცვლეული, შაქრის, ყავისა და კაკაოს შემდეგ ბანანი მეხუთე ადგილს იკავებს საერთაშორისო ვაჭრობისთვის უმნიშვნელოვანეს პროდუქტთა შორის.

* შექსპირის ყველაზე დიდი პიესა „ჰამლეტია".

* იმპერატორ პავლე პირველს თავი მეორე ჰამლეტად წარმოედგინა და თავისი დიდი წინაპრების აჩრდილებს ელაპარაკებოდა კიდეც. 1781 წელს, ვენაში მისი ვიზიტის დროს, თავი შეიკავეს შექსპირის ამ ტრაგედიის დადგმისგან, რომ მისთვის სულიერი ტრავმა არ მიეყენებინათ.

* 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ერთბაშად სპორტის სამი სახეობა დაამატეს: ტრიატლონი, ტაეკვანდო და ბატუტზე ხტომა.

* ვერსალში, ლუდოვიკო მეთხუთმეტის ბრძანებით, საშაქრეს სპეციალური დარაჯი ჰყავდა.

# უცოლო მილიარდერების 2014 წლის ტოპ-ხუთეული

*„ფორბსის" 2014 წლის მილიარდერთა რეიტინგში 45 ადამიანი მოხვდა, რომელთა 3 პროცენტი დაუქორწინებელია. გთავაზობთ უცოლო მილიარდერთა ტოპ-ხუთეულს.*

**ალეხანდრო სანტო-დომინგო დავილა (კოლუმბია) - 11,1 მილიარდი დოლარი**



კოლუმბიელი მილიარდერი, 37 წლის ალეხანდრო სანტო-დომინგო დავილა ყველაზე მდიდარი უცოლო მილიარდერია. ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული და ხელოვნების ნიმუშების კოლექციონერი, ალეხანდრო ლუდსახარშების მფლობელია. მისი ბოლო რომანებიდან კი ცნობილია მისი კავშირი მოდელებთან – ამანდა ჰერსტთან და ჯული ჰენდერსონთან.

**იან კუმი (ამერიკის შეერთებული შტატები) - 6,8 მილიარდი დოლარი**

ის კიევთან ახლოს მდებარე სოფელში დაიბადა და ამერიკაში ემიგრაციაში წასვლამდე კრივით იყო დაკავებული – 38 წლის იან კუმი რეპერ კენი უესტის მსმენელი გახდა და მისი სახელი მხოლოდ 2014 წელს გახდა ცნობილი, როცა „ფეისბუქმა" მის მიერ შექმნილი პროგრამა – „ვათსაფი" 19 მილიარდ დოლარად შეიძინა. კუმი მილიარდერების რეიტინგში დებიუტანტია.

**ედუარდო სავერინი (ბრაზილია) - 4,1 მილიარდი დოლარი**

„ფეისბუქის" ყველაზე იდუმალი დამაარსებელი დღემდე კომპანიის აქციების 2,2 პროცენტს ფლობს. გასულ წელს „ფეისბუქის" აქციების ფასმა 130 პროცენტით მოიმატა და 31 წლის სავერინის კაპიტალი 2 მილიარდი დოლარით გაიზარდა. ბრაზილიაში დაბადებულმა სავერინმა 2012 წელს უარი თქვა ამერიკის მოქალაქეობაზე და ამჟამად სინგაპურში ცხოვრობს.



**რობერტ პერა (ამერიკის შეერთებული შტატები) - 2,7 მილიარდი დოლარი**

35 წლის რობერტ პერა ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა „ფორბსის" რეიტინგში და კვლავ მოირგო სასურველი სასიძოსთვის განკუთვნილი ტიტული. მისი კომპანია „იუბიქუით ნეთვორქსი" უსადენო მოწყობილობების წარმოებაში ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა.

**ჯეკ დორსი (ამერიკის შეერთებული შტატები) - 2,2 მილიარდი დოლარი**

37 წლის მილიარდერი ჯეკ დორსი სერტიფიცირებული მასაჟისტია, მაგრამ ამან არ შეუშალა ხელი, რომ ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ადამიანად გამხდარიყო ამერიკაში. მისი დაარსებულია რამდენიმე წარმატებული კომპანია: მიკრობლოგების სერვისი „ტვიტერი", რომლის აქციათა 5 პროცენტს ფლობს და მობილური გადახდის სერვისი „სქუეარი", სადაც 29 პროცენტს ფლობს. ჯეკ დორსი ამერიკაში სასურველი სასიძოების რეიტინგის პირველ ათეულშია.

**გვერდი მოამზადა
უშანგი რუხაძემ**



## გამოაქვს თუ არა წყალს ორგანიზმიდან კალორიები და ცხიმები და რატომ არ უნდა ამოიღოთ რაციონიდან პური

აზრი, რომ პური ასუქებს და გახდომის მსურველმა ის უნდა ამოიღოს კვების რაციონიდან, არასწორია. პურის მიღება რეკომენდებულია ზომიერად. საჭიროა იმ პროდუქტების შემცირება, რომელსაც პურთან ერთად ჭამთ, კერძოდ: ყველის, ძეხვის, კარაქის, ძეხვის და სხვა კალორიული საკვების.

ასევე, მოსაზრება, რომ საღამოს 6 საათის შემდეგ ჭამა არასასურველია და ეს წონაში დაკლებას იწვევს, ყოველთვის არ არის გამართლებული, რადგან, ამ წესის მკაცრად დაცვის დროსაც კი, ხშირად ვერ იკლებენ წონაში. ორგანიზმისთვის წონაში დასაკლებად სასურველია, დღის განმავლობაში რამდენჯერმე ჭამა მცირე ულუფებით. ამ დროს ორგანიზმი ნაკლებად იტვირთება და საკვებს ადვილად ითვისებს. შიმშილის გრძნობა მცირდება, შაქარი სისხლში ნორმის ფარგლებშია, ხოლო ის, ვინც საღამოს 6 საათის შემდეგ არ ჭამს და დღეში მხოლოდ ერთხელ მიირთმევს დიდი რაოდენობით საკვებს, იზიანებს კუჭ-ნაწლავს და წონაშიც ძნელად იკლებს.

ასევე, არასწორია მოსაზრება, რომ წყალს ორგანიზმიდან ცხიმები და კალორიები გამოაქვს. კალორიები და ცხიმები გამოედინება მაშინ, როცა ადამიანი ბევრს მოძრაობს. დიდი რაოდენობით სითხე ასტიმულირებს თირკმელების მოქმედებას და ამის შედეგად ორგანიზმი თავისუფლდება წიდებისგან.

ბევრი ამტკიცებს, რომ სწრაფად მჭამელები გამხდრები არიან. ეს არასწორი შეხედულებაა, რადგან, ვინც სწრაფად ჭამს, არ შეუძლია, განსაზღვროს იმ საკვების რეალური რაოდენობა, რომელსაც იღებს და ხშირად კუჭ-ნაწლავის ტრაქტს ზედმეტად ტვირთავს. ნელი ჭამისას კი საკვები გადამუშავდება ჭამის პროცესშივე და ადამიანი გრძნობს, როდის დანაყრდა. ამ დროს შიმშილის გრძნობა ქრება და ზედმეტ კალორიებსაც აღარ იღებს ორგანიზმი.

ასევე, მოსაზრება, რომ ყავა ცხიმებს წვავს, არასწორია, რადგან, კოფეინი, რომელსაც ყავა შეიცავს, მხოლოდ სიმხნევეს გვმატებს, ცხიმოვან ფენაზე კი საერთოდ არ მოქმედებს.

## როგორ ვუმკურნალოთ ქოლეცისტიტს სახლის პირობებში

ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ანთებაა. მის განვითარებას ორი მიზეზი იწვევს: ბაქტერიული ინფექცია და ნაღვლის შეგუბება. ინფექცია ნაღვლის ბუშტში შეიძლება მოხვდეს ნაღვლის სადინარებიდან სისხლით ან ლიმფური გზით. ნაღვლის შეგუბების მიზეზებიდან აღსანიშნავია: ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინარების თანდაყოლილი დეფექტი, ნაღვლის სადინარების დისკენეზიური ცვლილებები, ორსულობა, ნაკლები მოძრაობა. გარდა ამისა, ქოლეცისტიტის განვითარებას იწვევს მწვავე პანკრეატიტი, პარაზიტული დაავადებები, ჭარბი წონა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლმომარაგების მოშლა, მემკვიდრეობითობა და ალერგიული ფაქტორი.

მწვავე ქოლეცისტიტის დროს აღინიშნება ძლიერი შეტევითი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ, ჭიპის მარჯვნივ, რომელიც, შეიძლება, გავრცელდეს მარჯვენა წელის, მხრისა და ბეჭის მიდამოებში. ტკივილს თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირღებინება და ტემპერატურის მომატებაც კი. ის, შესაძლოა, რამდენიმე დღეც გაგრძელდეს. ტკივილის შეტევის პროვოცირებას ახდენს შებოლილი, მწარე, ცხარე, ცხიმიანი საკვები, ალკოჰოლი, ემოციური და ფიზიკური დატვირთვა.

ტკივილი ნაღვლის შეგუბებითაა გამოწვეული. ნაღვლის დენას ხელს უშლის კენჭები. მძიმე შემთხვევაში, ვლინდება სისუსტე, მადის დაქვეითება, შემცივნება და ტაქიკარდია.

მოხუცებსა და მოზრდილებში უფრო ხშირია კენჭოვანი ქოლეცისტიტი და მისი შერწყმა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებთან. გაცილებით ხშირია ქრონიკული ქოლეცისტიტი. ამ დროს ტკივილი ყრუდ მიმდინარეობს. აღინიშნება სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში. ქრონიკულ ფორმას თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირში მწარე გემო, ტემპერატურის მომატება.

მსუბუქი ფორმის შემთხვევაში მკურნალობა ძირითადად სპაზმოლიტურია. ასეთ დროს იყენებენ ნაღველმდენ საშუალებებსა და ანტიბიოტიკებს.

ქოლეცისტიტის დროს კარგია ხალხური რეცეპტით დამზადებული ნაყენი: 1 ჩაის კოვზ ბოლოკისა და 1 ჩაის კოვზ ჭარხლის წვენს შეურიეთ 1 ჩაის კოვზი თაფლი. დაასხით 1 ჩაის ჭიქა არაყი, კარგად ამოურიეთ და დადგით რამდენიმე დღის განმავლობაში ბნელ და გრილ ადგილას. მიიღეთ 50 მილილიტრი, დღეში 3-ჯერ.

## რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება ზაფხულში გულ-სისხლძარღვთა დარღვევების მქონე ადამიანებმა

მცხუნვარე მზე და ჰაერის მაღალი ტენიანობა ჯანმრთელობას აუარესებს. როდესაც ძალიან ცხელა, შესაძლოა, სრულიად ჯანმრთელ ადამიანებსაც აუჩქარდეთ პულსი, განუვითარდეთ ქოშინი, გაუჩნდეთ ჰაერის უკმარისობისა და გულზე ზეწოლის შეგრძნება. ეს ყველაფერი გულის გადატვირთვის შედეგია. გულ-სისხლძარღვთა დარღვევებით დაავადებულ ადამიანებზე სიცხე განსაკუთრებულად ცუდად მოქმედებს. ისინი, ვისაც სისხლის მაღალი წნევა ქრონიკულად აწუხებთ, სიცხეში თავს უარესად გრძნობენ და უარყოფითი ემოციებით იტვირთებიან, ხოლო პაციენტებს გულის იშემიური დაავადებით უფრო ხშირად აწუხებთ სტენოკარდიის შეტევები.

მაღალი ტემპერატურა იწვევს ისეთ უარყოფით პროცესებს, როგორიცაა ტაქიკარდია, როცა გული მარათონულ რეჟიმში მუშაობს. ეს მდგომარეობა ხელს უწყობს შეტევის განვითარებას იშემიური ავადმყოფობით დაავადებულ პაციენტებში, რადგან, გულის გადატვირთვის პარალელურად, აღინიშნება დარღვევები, რის გამოც გული ვერ მარაგდება ენერგეტიკული ელემენტებით მშვიდ მდგომარეობაშიც კი, ამიტომ, საფრთხე დატვირთვის პროპორციულად იზრდება. ზემოთ აღწერილი პროცესებიდან გამომდინარე, ადამიანებს, ვისაც აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ეს პათოლოგია, ურჩევენ, სახლიდან არ გავიდნენ 12:00-დან 16:00 საათამდე, როცა ჰაერის ტემპერატურა მაქსიმალურ ზღვარს აღწევს და მზის სხივებიც განსაკუთრებით რადიაციულია. თუ მზეზე გასვლის თავიდან აცილება არ ხერხდება, ეცადეთ, ჩრდილში იყოთ, შედარებით გრილ ადგილას; მოერიდეთ მზის პირდაპირ სხივებს. ჩაიცვით მსუბუქი და თავისუფალი ტანსაცმელი, სასურველია – ბუნებრივი, ღია ფერის ქსოვილები, რადგან, ასეთი ტანსაცმელი ადვილად ატარებს ორგანიზმის მიერ გამოყოფილ სითბოს და ხელს უშლის გადახურებას, ხოლო ღია ფერის ტანსაცმელი უფრო ძლიერად ირეკლავს სხივებს, ვიდრე მუქი ფერის და, შესაბამისად, ორგანიზმი ნაკლებ სითბოს იღებს. უარი უნდა თქვათ მჭიდრო საყელოებზე, რომლებიც ყელს აწვება და ვიწრო პერანგებზე. გახსოვდეთ სიცხეში მუშაობის რეჟიმი: ყოველი 30-40 წუთის მუშაობის შემდეგ 15-20 წუთი დაისვენეთ. თუ დაგეწყოთ ქოშინი, იგრძენით სისუსტე, თავბრუხვევა, ან, კიდევ უარესი – ტკივილი გულ-მკერდის არეში, დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ ნებისმიერი სახის ფიზიკური დატვირთვა. თქვენი სამუშაო განსაზღვრეთ მხოლოდ საკუთარი ფიზიკური შესაძლებლობების ობიექტურად შეფასებიდან გამომდინარე. ნუ დაისახავთ მიზნად ისეთ ამოცანებს, რომელთა შესრულებაც თქვენი ორგანიზმის შესაძლებლობებს აღემატება.

განსაკუთრებულად ცხელ დღეებში გადახედეთ თქვენს საკვებ რაციონს – შეამცირეთ ხორცისა და ცხოველური ცხიმების მოხმარება, უფრო მეტად გამოიყენეთ მცენარეული და რძის პროდუქტები, თუმცა, არც სასარგებლო საკვების ჭარბი რაოდენობის მიღებაა სასურველი. მთავარი პრინციპია – მსუბუქი საკვები ცოტ-ცოტა რაოდენობით. მოუხშირეთ მწვანილისა და ბოსტნეულის გამოყენებას, ხორცი ჩაანაცვლეთ თევზეულით, ამასთან, მინიმუმამდე შეამცირეთ მარილი.

სიცხეში ბევრი სვამს არასასურველი შედეგის მქონე სასმელებს, თანაც, დიდი რაოდენობით. ჰაერის მაღალი ტენიანობა იწვევს ორგანიზმში ზედმეტი სითხის შეკავებას, ეს კი ადამიანისთვის, განსაკუთრებით მაღალი წნევითა და გულის იშემიური დაავადებით შეწუხებულთათვის, ძალიან მავნეა. პრო-

ბლემის განვითარებას განაპირობებს ორგანიზმში სითხის შეკავების შედეგად განვითარებული სისხლმეტობა, რაც ზრდის გულის მუშაობას გადატუმბვისათვის საჭირო დონემდე და ავტომატურად იზრდება წნევაც. თუ გამოხატულია გულის იშემიური დაავადება, ნატურალური წვენებისა და მინერალური წყლების რაოდენობა დღეში 800 მილილიტრამდე უნდა შემცირდეს, ისიც, იმ პირობით, თუ დაავადებული მეზე არ იმყოფება. ორგანიზმში სითხის შეკავება იწვევს არტერიული წნევის მომატებას. გულით ავადმყოფებს ურჩევენ, რომ, მოწყურების შემთხვევაში, დალიონ ძალიან ცოტა წყალი, ან, უბრალოდ, გამოივლონ პირის ღრუში. შარდმდენი საშუალებების მოხმარების დროს, მაღალი სიცხეების პირობებში, სასურველია მათი დოზის გაზრდა, რა თქმა უნდა, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ.

ჯანმრთელმა ადამიანებმა უნდა მიიღონ სითხის ის რაოდენობა, რომელიც მოახდენს ჭარბი ოფლიანობის კომპენსირებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზმის გამოშრობა გამოიწვევს თავბრუხვევასა და გონების დაკარგვას. სიცხეში ყველაზე ოპტიმალური სასმელია მწვანე ჩაი. ის შეიცავს ანტიოქსიდანტებს – ნივთიერებებს, რომლებიც არეგულირებენ ქოლესტერინის ცვლას. მწვანე ჩაი, შავი ჩაისა და ყავისაგან განსხვავებით, არ შეიცავს ტანინებს, რომლებიც იწვევენ გულისცემის გახშირებას. მოერიდეთ ტკბილი გაზიანი სასმელების მოხმარებას – ის მხოლოდ აძლიერებს წყურვილს. რა თქმა უნდა, გულით ავადმყოფებს ეკრძალებათ მცირე რაოდენობით ალკოჰოლის შემცველი სასმელების მიღებაც კი, თუნდაც ისეთის, როგორიცაა ლუდი. ბევრი მას უვნებლად მიიჩნევს, მაგრამ, ლუდი იწვევს არტერიული წნევის მაჩვენებლების სწრაფ ცვლას ორი მიზეზით: ალკოჰოლის ზემოქმედება და სითხის ჭარბი რაოდენობა ორგანიზმში. თუ ჰიპერტენზიას ემატება გულის იშემიური დაავადება, ქაფიანმა სასმელებმა, ისევე, როგორც სხვა ალკოჰოლურმა სასმელმა, შესაძლოა, გამოიწვიოს სტენოკარდიის შეტევა და გულის ასთმაც კი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, წითურას აცრის შემდეგ რამდენ ხანშია, შესაძლებელი ორსულობა?**

**პასუხი:** წითურას აცრიდან ორსულობის დაგეგმვა ხდება 6 თვის შემდეგ.

**კითხვა: ჩემს მეუღლეს მზეზე მუშაობა უწევს და სახე ძალიან ეწვება, განსაკუთრებით ცხვირი. იქნებ გვირჩიოთ, რა მზისდამცავი საშუალება შეიძლება, იხმაროს?**

**პასუხი:** ერთადერთი საშუალებაა, იხმაროს მზისგან დამცავი კრემი, რომ ძალიან არ დაიწვას და გაშავდეს. კოსმეტიკური საშუალებები – დამცავი კრემი შეარჩიეთ კანის ტიპის გათვალისწინებით. კეპიანი ქუდიც მცირე დახმარებას გაუწევს.

**კითხვა: ჰერპესი მაქვს, ვერ ვიშორებ უკვე 2 წელია, დეკლოსიდის კრემს ვისვამ და გაქრება 3-4 დღე, მერე ისევ გამოჩნდება. რამე სხვა საშუალება არ იცით, რომ მირჩიოთ?**

**პასუხი:** ჰერპესი ქრონიკული, მორეციდივე ვირუსული დაავადებაა. მისი მკურნალობა ანტივირუსული საშუალებებით ხდება, თუმცა ხშირად თავისთავადაც ალაგდება ტუჩზე არსებული ჰერპესული გამონაყარი. მკურნალობის მიზანია ჰერპესის არააქტიურ ფორმაში გადაყვანა. ჰერპესის პროვოცირებას იწვევს გაციება, გრიპი და ასე შემდეგ. ანუ, მდგომარეობა, რომელსაც ახლავს იმუნიტეტის დაქვეითება.

**კითხვა: ენასა და ღრძილებზე მაქვს ხშირი სტომატიტი. რისგან შეიძლება იყოს გამოწვეული და ვის მივმართო?**

**პასუხი:** უნდა გამოიკვლიოთ სტომატიტის გამომწვევი მიზეზი. ამისთვის საჭიროა, გაკეთდეს ნაცხის ანალიზი პირის ღრუში და მოხდეს დათესვა მიკროფლორაზე. შემდგომ კი დაგენიშნებათ შესაბამისი მკურნალობა. უპირველესად, აუცილებელია სტომატოლოგთან ვიზიტი.

**კითხვა: გლიცერინი, კარბამიდის პეროქსიდი, პიტნის ზეთი – ზემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან რომელიმე აზიანებს კბილის მინანქარს?**

**პასუხი:** ერთჯერადი გამოყენებისას არც ერთს არ ახასიათებს მინანქრის დამშლელი თვისება.

**კითხვა: 5 თვის ბავშვმა ხაჭო სახლის უნდა ჭამოს თუ ქარხნული?**

**პასუხი:** შეგიძლიათ, მისცეთ როგორც შინ დამზადებული, ისე ქარხნული ნაწარმი. მთავარია, იყოს ხარისხიანი და უსაფრთხო.

**კითხვა: რამდენიმე წელი ვხმარობდი ეპილატორს, რამაც ბეწვის ჩაბრუნებები და შავი ლაქები გამიჩინა. ეპილატორის ხმარებას შევეშვი, მაგრამ ლაქები მაინც მაქვს, არც გარუჯვამ არ მიშველა. ძალიან გთხოვთ, მირჩიოთ, რა საშუალებით შეიძლება, მოვირჩინო ლაქები?**

**პასუხი:** ლაქების საწინააღმდეგო საშუალების შეძენა შეგიძლიათ აფთიაქებში, მაგრამ ზაფხულში მათი გამოყენება არ არის რეკომენდებული.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## ქაცვი სიმსივნეს ებრძვის და კუჭის დაავადების დროს შეუცვლელია

ქაცვის ნაყოფი მდიდარია პოლივიტამინებით. მასში დიდი რაოდენობითაა შაქარი, ორგანული მჟავები, A, $B_1$, $B_2$, C და E, ვიტამინები, ასევე, კაროტინი, თიამინი და რიბოფლავინი. ქაცვის ნაყოფის კანი შეიცავს სეროტონინს, რომელიც ებრძვის სიმსივნის განვითარებას.

ქაცვი გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. ნაყოფის ნახარშს ხალხურ მედიცინაში იყენებენ კუჭის დაავადების დროს; ტოტებისა და ფოთლების ნახარშს – კუჭის აშლილობისას, თესლის ნახარშს კი – როგორც საფაღარათო საშუალებას.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სამკურნალოდ და დამწვრობის დროს კარგია ქაცვის ზეთი. ის მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, ხელს უწყობს უჯრედების ეპითელიზაციის პროცესს, აქვს ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი. მისი მიღება რეკომენდებულია ეროზიული და წყლულოვანი პროქტიტების, ნახეთქების, კატარული და ატროფირებული პროქტიტების, ბუასილის, ქრონიკული ენტეროკოლიტის, ქრონიკული ტონზილიტისა და პაროდონტოზის მკურნალობის დროს. ქაცვის ზეთის დალევა კარგია სიმსივნეთა მკურნალობის დროს ჩატარებული ქიმიოთერაპიის პარალელურად – 1 სადილის კოვზი, დღეში 3-ჯერ.



ქაცვის ნაყოფის ნახარში კუჭის დაავადებას კურნავს, კერძოდ: 3 სადილის კოვზ ნაყოფს დაასხით ნახევარი ლიტრი ცხელი წყალი, 10 წუთი ადუღეთ ნელ ცეცხლზე, გადაწურეთ, გემოვნებით დაუმატეთ თაფლი და დალიეთ დღეში 3-ჯერ, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

ტოტებისა და ფოთლებისგან კი ნახარში ასე მოამზადეთ: 1 სადილის კოვზ წვრილად დაჭრილ ფოთლებსა და ტოტებს დაასხით ნახევარი ლიტრი ცივი წყალი და ადუღეთ 5 წუთი. შემდეგ გადმოდგით, გააცივეთ, გადაწურეთ და მიიღეთ დღეში რამდენჯერმე.

კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის სამკურნალოდ ქაცვის ზეთი დალიეთ, დღეში 3-ჯერ, თითო ჩაის კოვზი, ჭამის წინ, ერთი თვის განმავლობაში.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# რა უსიამოვნებები ჰქონდა პირად ცხოვრებაში მიხეილ მესხს

***ის საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო მოთამაშედ და საქართველოს მეოცე საუკუნის „საოცნებო გუნდის" წევრად დაასახელეს. თავის დროზე არც ტელევიზიას და არც სხვა მედიასაშუალებებს არც ერთი ეპითეტი და შედარება არ დარჩენია, რომ მიხეილ მესხისთვის არ მიეძღვნა. ნებისმიერი მწვრთნელი ნებისმიერ გუნდში სიხარულით მიუჩენდა ადგილს და ნებისმიერი სტადიონის მაყურებელი ინატრებდა, საკუთარი თვალით ენახა მიხეილ მესხის ოსტატობა. ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მიხეილ მესხი დიდ ფეხბურთში ჭიდაობიდან მოვიდა. არ იქნებოდა მესხი — ფეხბურთელი, რომ არ ყოფილიყო ჯემალ შენგელია, ჭიდაობის სექციაში ვარჯიშის დროს ხელი რომ მოსტეხა მიშას. ეს შემთხვევა რომ არა, ის ჭიდაობას გაჰყვებოდა და, ალბათ, ვერასოდეს ვნახავდით მიხეილ მესხს სტადიონზე. ამბობენ, ზოგჯერ დიდი მწვრთნელებიც კი ცდილობდნენ, გარდაექმნათ, გადაეკეთებინათ მისი თამაში, უფრო უნივერსალური და თანამედროვე გაეხადათ, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. მესხი ვერ ეგუებოდა მორჩილებას, ერთობ „მოუხელთებული" იყო. რა წააგო ამით? შეიძლება, რამდენჯერმე არ წაიყვანეს სათამაშოდ ნაკრების შემადგენლობაში, სამაგიეროდ, მან დატოვა სახელი, რომელიც არასდროს ამოიშლება ქართული, ყოფილი საბჭოთა და არა მარტო საბჭოთა ფეხბურთის ისტორიიდან. ნაადრევად შეწყვეტილმა კარიერამ, რაც ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, მარტოსულად აქცია იგი. ცხოვრებამ მძიმე დაღი დაასვა მის ვაჟს – მიშიკოსაც. ადრე დასრულდა მისი საფეხბურთო კარიერაც და ადრე წავიდა ამქვეყნიდანაც. დიდი ფეხბურთელის პირველი მეუღლე და უმცროსი მიშა მესხის დედა, ჯენეტა ბოლქვაშვილი ფეხბურთელის ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ლამაზ პერიოდზე – სიყვარულზე გიამბობთ.***



„მე რომ სკოლის გამოცდებს ვაბარებდი, მიშა უკვე „დინამოში" თამაშობდა. ჩვენი ოჯახები ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, ამდენად, ჩემთვის ეს ადამიანი უცხო არ იყო. სახლში რომ ლაპარაკობდნენ, ძალაუნებურად მესმოდა მისი სახელი, თორემ პატარა გოგოს რაში მაინტერესებდა. ჩვენ საკუთარი სახლი გვქონდა. ერთხელ ჩემი და ეზოში კლასობანას თამაშობდა, მიშა რომ მოვიდა. რუსთაველის თეატრში ჩვენი დაჯილდოების ცერემონიალი იქნება და მოვედი შენ და შენი ძმა დაგპატიჟოთო. დედაჩემიც არ შეწინააღმდეგებია, რადგან, ძალიან სერიოზული ყმაწვილი იყო – არც იცინოდა, არც ლაპარაკობდა, ორ სიტყვას ძლივს ამბობდა. მას შემდეგ ჩვენთან მოსვლას მოუხშირა, მაგრამ მე აბსოლუტურად არაფერს მეუბნებოდა. უმრავლეს შემთხვევაში „ზბორებზე" იყო წასული. რომ ჩამოდიოდა, აეროპორტიდან გზად ჩვენთან შემოივლიდა, ჩანთას კი სხვას ატანდა სახლში.



**უმცროსი მიშა მესხი**

უცხო ენებზე ვაბარებ და გამოცდებისთვის ვემზადები. გაიგო, რომ ინგლისურში მეცადინეობას ვაპირებდი. მოვიდა და შემომთავაზა, ძალიან კარგ მასწავლებელთან წაგიყვანო. ჩემთან ყოფნის საბაბი არ ელეოდა, საიდან სად მატარებდა ფეხით – თბილისში იშვიათად ვარ და ფეხით სიარული მიყვარსო. მეც მომწონდა, რადგან, ცოტა მონატრებული ვიყავი სიარულს – ასე ადვილად არ მიშვებდნენ ხოლმე სახლიდან. მერე გერმანიაში წავიდა. რომ დაბრუნდა, ჩვენთან მოვიდა – რაღაც ჩამოგიტანე და, ხომ არ გეწყინება, რომ მოგცეო. რატომ უნდა მეწყინოს-მეთქი. ულამაზესი ოქროსფერი კაბა და იმავე ფერის ჩანთა ჩამომიტანა სკოლის ბანკეტისთვის. ისე, ძალიან მახვილი თვალი ჰქონდა. მერეც, რაღაცას რომ ჩამომიტანდა, ყველაფერი ზუსტად მქონდა. ეს იყო მისი პირველი საჩუქარი. ერთხელაც, დედაჩემი და მამაჩემი მამიდასთან იყვნენ. მამიდამ ყველაფერი იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ, მე და ჩემმა მშობლებმა არაფერი ვიცოდით. ამ ბიჭს რომ უყვარს ეს გოგო ვერ ამჩნევთო? – უთხრა მათ. გადარეულან ჩემები. დედას უთქვამს, მისი ფეხი აღარ ვნახო ჩვენს სახლში, ფეხბურთელს შვილს ვერ გავატანო. მართლაც აღარ მოდიოდა. ჩავაბარე გამოცდები, ბანკეტიც მქონდა, ყველაფერი, მიშა კი არ ჩანს. ისე ვიკითხე – ნეტავი, ეს ბიჭი სად დაიკარგა, ცოლი ხომ არ მოიყვანა-მეთქი. დედაჩემმა მითხრა: სულ შენთვის სცალია მიშას. იმდენი გოგო ეხვევა თავს და, იმის დრო აქვს, აქ იაროსო?! დეიდაჩემი ჩვენს მახლობლად ცხოვრობდა. მისი ქმარი ფეხბურთის დიდი მოყვარული იყო და სულ სტადიონზე დადიოდა. ერთ დღეს, მათთან ვარ სახლში. ბიძაჩემი შემოვიდა, დაჯდა და სადილობა დაიწყო. დეიდა ოთახიდან რომ გავიდა, მეუბნება: მიშამ დამაბარა, ხვალ სამ საათზე, რუსთაველზე, „ბორჯომის წყლებთან" ველოდებიო. ავფორიაქდი. ვფიქრობ, რა ვქნა. მივედი მამიდაჩემთან და ვეკითხები: მიშას დავუბარებივარ ხვალ „ბორჯომის წყლებთან" და რა ვქნა-მეთქი. წადიო. მივედი. იქვე, ბესიკის ქუჩაზე, მანქანა ეყენა. მეგობრისთვის გამოურთმევია, თვითონ არ ჰყავდა. ჩავსხედით მანქანაში და ვსაუბრობთ. გამომკითხა, რას შვრები, როგორ ხარ, როგორ მიდის შენი სწავლის საქმეებიო. მერე მითხრა, ვინმე რომ შეგიყვარდეს და შენს მშობლებს არ უნდოდეთ, რას იზამო. გამუდმებით ამას მეკითხებოდა. მე ვუთხარი: ქურდი და უხეირო არ შემიყვარდება და რატომ არ უნდა უნდოდეთ-მეთქი. ხვალ პარიზში მივდივარ და ისე ვერ წავიდოდი, რომ არ მენახეო. გავიდა დრო. გოგონებთან ერთად ქუჩაში ვდგავარ, ჩემს სახლთან. გაჩერდა მანქანა, გადმოვიდა მიშა. მე არც დამელაპარაკა, პირდაპირ სახლში შევიდა და დედაჩემთან მოვიდა ჩემი ხელის სათხოვნელად. ასე რამდენჯერმე მოვიდა და უარით გაისტუმრეს. მერე ნათესავები ჩაერივნენ. დედაჩემმა მითხრა: მასთან ერთად ასე სიარულს, ჯობია, გაჰყვეო. ახლა ვფიქრობ, რომ ამ ორი ადამიანის მსხვერპლი გავხდი. არ მინდოდა გათხოვება, ჯერ არ ვიყავი ამისთვის მზად, თუმცა, არც მიშას დაკარგვა მინდოდა...



მიშას ვაკეში მშენებარე ბინის ორდერი ჰქონდა. ვიდრე ჩვენს სახლში გადავიდოდით, ორი წელი დედაჩემთან ვცხოვრობდით. იქ შემეძინა მიშიკო, შემდეგ გაჩნდა მაკა. ვერ ვიტყვი, ვეჭვიანობდი-მეთქი, იმიტომ, რომ მართლა ძალიან ვუყვარდი. თუკი შეიძლებოდა, რომ მისი მხრიდან კიდევ ერთი ადამიანი ყოფილიყო იქ, სადაც თვითონ იყო, ყოველთვის თან მივყავდი. ჩემ





**შვილთან მიშკასთან ერთად**

მიმართ ძალიან ყურადღებიანი იყო. ისეთ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, რომ ყოველდღე მქონდა ლექციები. ის სულ შეკრებებზე იყო წასული, მე კი დღის დასწრებულზე ვიყავი და, აღარ ვიცოდი, რა მექნა, ორი ბავშვით სად წავსულიყავი. ბავშვებს დედაჩემს მივუყვანდი და მაშინვე ინსტიტუტში მივრბოდი. მერე წამოვიყვანდი, დილით კი ისევ დედაჩემთან მიმყავდა... თან, სულ წიგნი მეჭირა ხელში და გადავიღალე. ამან



ჯალმა სანტოსთან ერთად

დიდი როლი ითამაშა ჩვენს პირად ცხოვრებაში. მერე „დინამოდან" გამოუშვეს. მაშინ 29 წლის იყო. შეიძლება, რომ არ ეთამაშა, ჩვენი ცხოვრება სხვანაირად გაგრძელებულიყო. მძიმე, თავისებური ხასიათი ჰქონდა. ჩემზე და ჩემი შვილების თავზე გადაიარა მისმა წარმატებამ. ყველანაირად ვუწყოდი ხელს. სხვათა შორის, 60-იანი წლების ფეხბურთელები ნამდვილი რაინდები იყვნენ – მთელ იმ გუნდს, ვინც მაშინ მიშასთან ერთად თამაშობდა. ხალხის სიყვარულის გარდა არაფერი გააჩნდათ. არანაირი პირობები არ ჰქონდათ, მაგრამ, მაინც ენთუზიაზმით თამაშობდნენ. თავს იკლავდნენ, ისე თამაშობდნენ; საქართველო მსოფლიოში გაგონილიც კი არ ჰქონდათ და ბიჭებმა შეძლეს, ქვეყნის სახელი საზღვრებს გარეთ გაეტანათ. „მტკვრისპირელი მესხი და გარინჩა" – ასე მოიხსენიებდნენ უცხოეთში. მერე ჩვეულებრივად ცხოვრობდა და ჩვენი უსიამოვნებაც აქედან დაიწყო. ყველაფრის ატანა შეიძლებოდა, ფეხბურთიდან რომ არ გამოეშვათ. დიღომში სახლს აშენებდა. ბევრი გავლენიანი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც მშენებლობაში ეხმარებოდნენ. პარალელურად, ფეხბურთის სკოლას – „ავაზას" აშენებდა. ამის გამო მე და ბავშვებს ბევრი რამ მოგვაკლდა. დღეს კი „ავაზა" „ვისოლს" დარჩა. ათი წელი ვიცხოვრეთ ერთად და დავცილდით. ვიგრძენი, რომ დაღლილი ვიყავი და დასვენება მინდოდა. დაძაბული ცხოვრება მქონდა. რაც ადრე მიხაროდა, ის უკვე აღარ მახარებდა. ამიტომ მივიღე ასეთი გადაწყვეტილება და არც ვნანობ. ბოლოს პრობლემები რომ გვქონდა, ამბობდა: დიღომში ვიცხოვრებ, ძაღლები მეყოლება და ცოლს აღარასოდეს შევირთავო. მეც დარწმუნებული ვიყავი, რომ მარტო იცხოვრებდა, თუმცა...



სულ ქეიფი, ქეიფი... აღარ მთავრდებოდა. ასე დაამთავრებინეს კარიერა. ერთია, როცა სკოლის დირექტორი ხარ და მეორეა, როცა მოედანზე გამოდიხარ და ამდენი ხალხი ტაშს გიკრავს. აღარ მინდა ის ადამიანები დავასახელო, მაგრამ, პირდაპირ, შემოჩენილები ჰყავდა, არადა, იცოდნენ, რომ სახლში ამის გამო უსიამოვნება გვქონდა. მერე ბოდიშებს მიხდიდა, აღარ დავლევო, თუმცა, მაინც იგივე ხდებოდა.

ჩვენი ვაჟი, მიშიკო, სამ ფილმშია გადაღებული. ძალიან ლამაზი ბავშვი იყო. ნანა მჭედლიძეს მოეწონა და ორ ფილმში გადაიღო („დიდედები და შვილიშვილები" და „გელა"). შემდეგ რეზო ჩხეიძემ მიიწვია „ნერგებში". მერე ისე მოხდა, რომ ფეხბურთი აირჩია. სხვათა შორის, მამამისი ამბობდა, ჩემზე უკეთესი მონაცემები აქვს და მაგარი ფეხბურთელი იქნებაო. არ ვიცი, რა ხდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცას მესხები თვალში არ მოსდიოდა – მამამისიც ნაადრევად დაითხოვეს და ჩემი მიშიკოც არ დააყენეს. „სპარტაკში" წავიდა სათამაშოდ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ჩამოიყვანეს და ისევ სათადარიგო სკამზე დასვეს..."

უმცროსი მიშა მესხი რამდენიმე წლის წინ გულის შეტევით გარდაიცვალა. მას დარჩა მეუღლე, ქალიშვილი და ვაჟი – მსახიობი მიშა მესხი.

**ეკა პატარაია**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა
მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს
საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო
ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო
ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის
ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების
სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის
ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების
სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის
სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00
შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა
ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი
ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია
სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04



**დღეს უკვე სადავო არ არის, რომ გამძაფრებული ინტუიცია და წინასწარმეტყველების უნარი მეტ-ნაკლებად ყველას აქვს, გააჩნია, ვინ როგორაა მასზე ორიენტირებული. სხვათა შორის, ეს კვლევამაც ცხადყო, რომელშიც მოხალისე ადამიანები იღებდნენ მონაწილეობას და მსოფლიოში ცნობილი ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგთა წარმომადგენლები ახდენდნენ მათზე დაკვირვებას. უკვე წლებია, ქალბატონი ქეთი უცხოეთში ცხოვრობს და თანამშრომლობს მსოფლიოში ცნობილ პარაფსიქოლოგებთან. როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, არ არის გამორიცხული, ერთ დღესაც ადამიანმა საკუთარ თავში უცნაური ნიჭი აღმოაჩინოს. მაგალითად, მიხვდეს, რომ მას მოვლენების წინასწარ განჭვრეტა ან უცხო ადამიანის ფიქრის ამოკითხვა შეუძლია და ასე შემდეგ. ასევე, მისი თქმით, ეს უნარი გენეტიკურ კოდშია ჩადებული და, თუ რომელიმე წინაპარს გააჩნდა მსგავსი უნარი, არ არის გამორიცხული, ეს ნიჭი თქვენც გადმოგეცეთ შთამომავლობით.**

# რაზე მეტყველებს სახისა და ყურების უეცრად წამოხურება და რა ინფორმაციას ვიღებთ შეგრძნებებით „ზემოდან”

ქეთი: ადამიანები ვერ ერკვევიან საკუთარ შესაძლებლობებში. მთავარია, ყველაფერს კარგად დააკვირდეთ, ყველა მოვლენა გააანალიზოთ, მეტად იყოთ ორიენტირებული გარემოებებზე და მიხვდებით, რომ იმაზე მეტი შეგიძლიათ გააკეთოთ, ვიდრე დღეს აკეთებთ და ფიქრობთ. წინასწარმეტყველების უნარი ყველას აქვს. რასაკვირველია, ზოგს მეტად აქვს გამძაფრებული, ზოგს კი შედარებით ნაკლებად. უცხოელ ეზოთერიკოსთა ჯგუფმა, ჩაატარა კვლევა და, აღმოჩნდა, რომ „ზემოდან”, ანუ, სამყაროს ზედა ფენიდან, ადამიანი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ინფორმაციას წინასწარ იღებს. თუ დაკვირვებული თვალი გაქვთ, შეგრძნებებსაც ყურს დაუგდებთ და მეტად დაძაბავთ გონებას, მოსალოდნელი საფრთხის წინასწარ განჭვრეტა ნამდვილად არ გაგიჭირდებათ. შესაბამისად, ამ დროს უფრო ფრთხილად იქნებით და ასე ბევრ უსიამოვნებასაც აირიდებთ თავიდან.

**– ეზოთერიკოსები და პარაფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ წინასწარმეტყველური შეგრძნებები და გამძაფრებული ინტუიცია ადამიანს გენეტიკურად დაჰყვება თან. რეალურია ეს მოსაზრება?**

– გეტყვით, რომ მე ბევრ წარმატებულ ეზოთერიკოს-პარაფსიქოლოგთან მქონია შეხვედრა, მისაუბრია მათთან ამ თემაზე და ყველა ამტკიცებს, რომ გამძაფრებული ინტუიცია თუ წინასწარმეტყველური შეგრძნებები, სწორედაც რომ, გენეტიკურად გადაეცემა ადამიანს. კერძოდ, თუ თქვენს რომელიმე წინაპარს წინასწარმეტყველების ნიჭი ჰქონდა, არ არის გამორიცხული, გენეტიკური კოდის წყალობით, ის თქვენშიც ამოქმედდეს და, ერთ დღესაც, ეს ნიჭი საკუთარ თავშიც აღმოაჩინოთ.

**– საუბარში ახსენეთ, სამყაროს ზედა ფენებიდან წამოსული ინფორმაცია შეგრძნებების მეშვეობით წინასწარ გვამცნობს მომავალი საფრთხის შესახებ. ეზოთერიკოსები იმასაც ამბობენ, რომ, თუ ადამიანს უეცრად ასტკივდა რომელიმე ორგანო, არ არის გამორიცხული, ერთგვარი მინიშნება იყოსო. ამაზე რას იტყვით?**

– პირადად მე, ყოველთვის ვხვდები, როდის ჯობია, თავი შევიკავო გადაადგილებისგან, რადგან, ამ დროს მეწყება რომელიმე ორგანოს ტკივილი. ერთი ნაცნობი მყავს, რომელსაც აინტერესებს ეზოთერიკული საკითხები, ხშირად რჩევებსაც მეკითხება და, თქვენ წარმოიდგინეთ, მათი გათვალისწინებით, ბევრ ხიფათსაც აარიდა თავი. ეს ნაცნობი, რომელიც, ახალგაზრდა ბიზნესმენია, ერთ დღეს, მნიშვნელოვან შეხვედრაზე მიდიოდა. არადა, სწორედ ამ დროს ასტკივდა წელი. ვეღარც ადგა, ვეღარც დაჯდა, კარში გასვლისას გაშეშდა. იფიქრა, ცოტას შევყოვნდები და შეხვედრაზე დავაგვიანებო. შებრუნდა სახლში და ტახტზე წამოწვა. სწორედ ამ დროს, ქუჩაში სასწაული სროლა ატყდა. თურმე ქურდული სამყაროს წევრები დაერივნენ ერთმანეთს და ცეცხლი გახსნეს. ეს ზუსტად იმ დროს მოხდა, როცა ის სწორედ იმ ადგილას უნდა გასულიყო, სადაც აუცილებლად მოხვდებოდა ბრმა ტყვია. მერე ამბობდა, რომ არა ზემოდან გაფრთხილება, უხილავი ძალების დახმარება, სამყაროს

**როცა შვილს საფრთხე ელის, დედა ამას ქვეცნობიერად გრძნობს, ორგანიზმი კი მინიშნებებს აძლევს, მაგალითად, შეიძლება, უეცრად გული აუჩქარდეს, წნევა დაეცეს, საშინლად ასტკივდეს თავი და ასე შემდეგ**

ზედა ფენებიდან წამოსული ინფორმაცია, რომელიც ჩემს სხეულზე წელის ატკივებით გადმოვიდა, დღეს ცოცხალი არ ვიქნებოდიო. იცით, რა, ზოგი ამას დამთხვევას აბრალებს, მაგრამ, დამიჯერეთ, ასეთი დამთხვევები ნამდვილად არ ხდება. ეს გამიზნული, გამაფრთხილებელი და დამცველი ინფორმაციაა, რომელიც სამყაროს ზედა ფენიდან წამოვიდა კონკრეტული ადამიანის დასაცავად. ის რომ არ შეპყრობოდა ტკივილს და მაინც გასულიყო გარეთ, იმ სროლის შუაგულში აღმოჩნდებოდა და გაშეშებული წელით ვერც გაიქცეოდა და ვერც რამეს შეეფარებოდა. როგორ ფიქრობთ, არ ღირს მსგავს რამეებზე ფიქრი, თუ ეს შენს სიცოცხლეს ეხება? ამას, გნებავთ, ეზოთერიკული მოსაზრება დაარქვით, გნებავთ, ცრუმორწმუნეობა და გნებავთ, სულელური აზრი, მაგრამ, ფაქტი ფაქტად რჩება და მისი არდანახვა, ჩემი აზრით, საკუთარი თავის მტრობაა.

**– გამიგია, თითქოს მსგავსი საშიშროების დროს, დედას შვილის მიმართ უმძაფრდება ინტუიცია და ის წინასწარ გრძნობს საფრთხის მოახლოებასო. ასეა?**

– ნამდვილად ასეა. გამძაფრებული დედობრივი ინტუიცია ამოუცნობი ფენომენია. როცა შვილს საფრთხე ელის, ამას დედა ქვეცნობიერად გრძნობს – ორგანიზმი მინიშნებებს აძლევს, მაგალითად, შეიძლება, უეცრად გული აუჩქარდეს, წნევა დაეცეს, საშინელი თავის ტკივილი დაეწყოს და ასე შემდეგ. არ არის გამორიცხული, დედამ შვილის შესაძლო საფრთხე არა ტკივილის შეგრძნებით, არამედ, მოუსვენრობით შეიტყოს წინასწარ – აფორიაქდეს, ან, რომ იტყვიან, ადგილი ვერ იპოვოს. კიდევ ვამბობ, ამას ბევრი ცრურწმენას ეძახის, მე კი ვაღიარებ, რომ ცრურწმენებშიც გარკვეული წინასწარმეტყველური ელემენტებია ჩადებული. მათი არსებობა კი უძველესი დროიდან იღებს სათავეს და, გვინდა თუ არა, ეს უნდა ვაღიაროთ.

**– ძველი ხალხისგან გამიგონია, როცა სახე გიხურს, ესე იგი, შენზე ცუდად ჭორაობენ, ხოლო, თუ ყურები გაგიხურდა, დიდი ხნის უნახავი ახლობელი გახსენებსო. ამაში თუ არის სიმართლის მარცვალი?**

– დიახ, ესეც სიმართლეა. მაგრამ, თუ ყურები გაგიხურდათ და გაგიწითლდათ, ვისზეც ეჭვი გაქვთ, მათი სახელები უნდა ჩამოთვალოთ ხმამაღლა და დააკვირდეთ: რომელი სახელის წარმოთქმაზეც გაგივლით სიწითლე თუ გახურება, ესე იგი, სწორედ ის გახსენებდათ. თუ მარცხენა ყური გაგიხურდათ, ახლო ნაცნობი ან მეგობარი გახსენებთ, ხოლო, თუ მარჯვენა, მაშინ, შორეული ნათესავი. თუ ორივე ყური ერთდროულად გაგიწითლდათ ან გაგიხურდათ, არ არის გამორიცხული, ყოფილი შეყვარებული ან სასიყვარულო პარტნიორი გახსენებთ ან ფიქრობს თქვენზე.

**ნონა დათეშიძე**

## ქალური ბედნიერება

თითოეულ ქალში ცხოვრობს როგორც ზეციური, ისე მიწიერი არსება. რომელსაც ბედნიერებას და სიხარულს ანიჭებს უბრალო, ყოფითი წვრილმანები. თუ ქალს ეს არ შეუძლია, ვერასდროს იქნება ხალისიანი და გახარებული. ვერ შეძლებს, დატკბეს ყოველი დღით და თუნდაც, მზის ამოსვლით. ვერ მიიღებს სიამოვნებას გემრიელი კერძით და საყვარელი მამაკაცის კოცნით... ფიქრობთ, მთავარი მატერიალური კეთილდღეობაა? არ არის ასე. რამდენი ფულიც არ უნდა ჰქონდეს ქალს, სულაც ბრენდებში რომ გამოაწყო, სეზონების მიხედვით ძვირფას კურორტებზე დაასვენო, არც მადლიერი იქნება და არც ბედნიერი. მის სახეზე სიხარულსაც კი ვერ შენიშნავთ, თუკი წვრილმანებით ბედნიერება არ შეუძლია.

ზოგჯერ ჩვეულებრივი შხაპის ქვეშაც შეიძლება, იყოთ ბედნიერი და იგრძნოთ, რომ სიცოცხლე მშვენიერია. თუ ამას ახერხებთ, ქალური ბედნიერება თქვენთვის მისაღწევია. განა, ასე ბევრი უნდა ჩვეულებრივ ქალს ბედნიერებისთვის? – სიყვარული, ყურადღებიანი ქმარი, ჯანმრთელი, ჭკვიანი შვილები, მყუდრო სახლი... მგონი, გაგრძელება საჭირო არ არის, ისედაც ყველაფერი გასაგებია. კიდევ არსებობს ერთი ნიუანსიც – კმაყოფილი უნდა იყოთ საკუთარი თავით, სხეულით და საერთოდ, ყველაფრით... ესეც აუცილებელი პირობაა ბედნიერებისთვის.

## პიტერ პენის სინდრომი...

ვინ არიან ისინი? – ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მამაკაცები. სხვებისგან თითქოს არაფრით განსხვავებულები, მაგრამ, მაინც უცნაურები... საქმე ისაა, რომ ჩვენ, ყველანი – კაცებიც და ქალებიც, ბავშვობიდან მოვდივართ. მაგალითებზე ვიზრდებით და მაგალითებზე ვსწავლობთ... ან, ზოგჯერ, არც ვსწავლობთ... დავიწყოთ იმით, რომ თუ ბიჭუნას თვალწინ არ ჰყავს მამა პასუხისმგებლობის გრძნობით და შეუცნობლად არ მიიჩნევს ნორმად მის საქციელს, უკვე მოწიფულს პასუხისმგებლობის გრძნობა ნაკლებად ექნება. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ აუცილებელია, ბიჭს დედაც ოჯახში ჰყავდეს და მამაც. უპასუხისმგებლო მამაკაცი ოჯახის შიგნითაც რომ იყოს, ამით არაფერი შეიცვლება. კაცი უნდა ხვდებოდეს, რომ ის პასუხისმგებელია თავის პირმშოზე და როცა ეს პასუხისმგებლობა გულწრფელია, ის ავტომატურად გადადის ბავშვზე. მუდმივად დღესასწაულის რეჟიმში ცხოვრება, ბუნებრივია, ყველას მოსწონს. ანუ, თუ ეს გაგდის, რატომაც არა?! ეძებ მხოლოდ გასართობს და ზრუნავ საკუთარ სიამოვნებაზე. სურვილი არგაზრდისა, ანუ იმისა, რომ დარჩე მუდმივად პატარა, რომელსაც არავინ არაფერს სთხოვს, მამაკაცში ბავშვობისას ჩნდება და ამას ფსიქოლოგები „პიტერ პენის სინდრომს“ უწოდებენ.

თუ თქვენს პარტნიორ მამაკაცს მოსწონს მულტფილმები, კომპიუტერული თამაშები, ტკბილეული და ფულის გასართობებში ხარჯვა, ის სულით ისევ ბავშვია და მოსწონს ეს მდგომარეობა. მან ყველაფერი იცის: გააკეთებს იმას, რაც თავად სურს... მშობლების, ახლობლების აზრი არ აინტერესებს... სერიოზული ურთიერთობა მისთვის მძიმე ტვირთია და შეეცდება, გაექცეს. ასევე, მათ ახასიათებთ ეგოიზმი, ნარცისიზმი... ვალდებულება? – არავითარ შემთხვევაში. ის საკუთარი თავის ძიებაშია და ხელი არ უნდა შეუშალო.

## დედიკოს ბიჭები

ისინი ჩვენ გვერდით ცხოვრობენ... ზოგიერთი მათგანი სახლშიც გვყავს და გვიჭირს მათთან ურთიერთობა... ეგოისტია, საკუთარ პერსონაზე შეყვარებული, უპასუხისმგებლო და პრეტენზიული... რა ქნას, ასეთი გაზარდეს. თუ ბიჭს არ გაზრდი გარემოში, სადაც პასუხისმგებლობა პრიორიტეტია, თუ მას საკუთარ მაგალითზე არ დაანახებთ, რას ნიშნავს, იყო ვალდებული ოჯახის წევრების, გარშემო მყოფების წინაშე, მერე ნუღარ გექნებათ პრეტენზია, რომ ეგოისტია და საკუთარი თავის გარდა არავინ და არაფერი აინტერესებს. გარდა ამისა, „დედიკოს ბიჭები“ საკმაოდ უსუსურები არიან ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე. ასეთი ბიჭუნები ხშირად იზრდებიან ზედმეტად აქტიური დედებისა და მამების გვერდით. ისინი პირმშოს გასაქანს აღარ უტოვებენ. საკუთარ მხრებზე იღებენ ცხოვრებისეულ ყველა სიძნელეს და თავადაც ვერ ამჩნევენ, შვილს დათვურ სამსახურს რომ უწევენ... ზრდასრულ ასაკში მისი გადაკეთება საკმაოდ რთულია. თუმცა, კორექცია შესაძლებელია. ერთბაშად მას ვერ შევცვლით და ამისი იმედი არც უნდა გქონდეთ. ნელ-ნელა ასწავლეთ, რას ნიშნავს, იყო პასუხისმგებელი ახლობლების, ოჯახის წევრების წინაშე. დაიწყეთ იმით, რომ მიეცით პატარ-პატარა დავალებები. უთხარით, რომ მისი დახმარების გარეშე ძალიან გაგიჭირდებათ. შეაჩვიეთ იმას, რომ თვითონაც უნდა იყოს ჩართული ოჯახში, ყოფითი პრობლემების მოგვარებაში. ძალას ნუ დაატანთ, ამით მხოლოდ გამოიწვევთ მის აგრესიას და ყველაფერს გააფუჭებთ. გახსოვდეთ, „დედიკოს ბიჭები“ ყველა ასაკში მოფერებას არიან დაჩვეულები.

## ვართ კი ის, რაც ვართ?!ს

კუდიანები... ინკვიზიციამ, რომელიც შუა საუკუნეებში მძვინვარებდა და ლამის ორჯერ შეამცირა ევროპაში ქალთა სქესის რაოდენობა, სახელიც გვარიანად გაუტეხა ქალის მშვენიერებას. საქმე ლამის იქამდე მივიდა, რომ ლამაზ ქალს ღიმილი აუკრძალეს – აქაოდა, ესეც კუდიანების ერთ-ერთი ხერხია კაცის მოსაჯადოებლადო. შეიძლება, ეს მოსაზრება ცოტათი მართლაც იყოს სიმართლესთან ახლოს – ლამაზი ქალისგან გასულელებული მამაკაცების მეტი რა გვინახავს... ზოგს კარგი გარეგნობაც არ სჭირდება, ისე აშტერებს საპირისპირო სქესს... ანუ, გამოდის, ინკვიზიცია მთლად მტყუანიც არ იყო, როცა ამბობდა, ერთი პატარა კუდიანი ყველა ქალში ცხოვრობსო. მაგრამ ამაში ცუდი და საგანგაშო არაფერია. მამაკაცებს არ უნდა ეშინოდეთ, რადგან ჩვენ მათი კეთილი ფერიები ვხდებით, როცა გვიყვარს. ქალის სულის სიღრმეში, იქ, სადაც ყოველთვის ვერ აღწევს სალი აზრი, მართლაც შეიძლება, არსებობდეს „შავი ყუთი“ – განუხორციელებელი ოცნებები... სურვილები... მისწრაფებები... ინტუიციას ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ. ამაზე თავად დედა-ბუნება ზრუნავს. ქალს ეხმარებიან ამ სამყაროში... ტანსაცმელი, აქსესუარები... სილამაზის კორექციის სხვა საშუალება. ტანის ნელსაცხებლებიც კი არსებობს, საოცარი სურნელებით და ესეც ჯადოქრობაა. ჯადოქარი უნდა იყოს ქალი, რომ დღევანდელ სამყაროში ყველაფერი შეძლოს, ყველაფერი მოასწროს და ძალაც ეყოს ცხოვრების გასაგრძელებლად... ამიტომ, ნუ შეგეშინდებათ. ზოგჯერ გაიაქტიურეთ „თქვენი კუდიანი“... ის დაგეხმარებათ, თავიდან აირიდოთ კრიტიკული სიტუაციები და არ დაუშვათ შეცდომები. რაც მთავარია, არ გახდეთ სხვისი მსხვერპლი... ბევრი შეეცდება თქვენს მოტყუებას და ეს არ უნდა დაუშვათ. ბოლოს და ბოლოს თქვენ ხომ ცოტათი კუდიანი ხართ...



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ვარსკვლავური საიდუმლოებები

ალბათ, ათიათასობით ქალს შეშურებია მათი თეთრი შურით თუ შავი შურით, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი ისაა, რომ საკმაოდ „პატივსაცემ" ასაკში (ემა უოტსონის გარდა) ისინი ძალიან ახალგაზრდულად გამოიყურებიან და არც ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებთ. არადა, ეს, თურმე, არც ისე ძნელია – მათი გარეგნობა მხოლოდ და მხოლოდ რეგულარული ვარჯიშების, სწორი კვებისა და ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამსახურებაა.

ჰოლივუდის ვარსკვლავების შემხედვარე, ბევრს არასწორად ჰგონია, რომ მათი გარეგნობა, უპირველეს ყოვლისა, პლასტიკური ქირურგებისა და კოსმეტოლოგების დამსახურებაა, მაგრამ, მთლად ასეც არ არის საქმე. მათი უმრავლესობა უკვე დიდი ხანია, მიხვდა ჯანმრთელი ცხოვრების წესისა და სწორი კვების უპირატესობას. ამიტომაც, ისინი ყოველდღიურად საათობით „იკარგებიან" სატრენაჟორო დარბაზებში და დაუღალავად ითვლიან კალორიებს – სწორედ ეს შველით მათ, იყვნენ მუდმივად ფორმაში და გამოიყურებოდნენ გაცილებით ახალგაზრდულად, ვიდრე სინამდვილეში არიან.

თუ გსურთ, გამოიყურებოდეთ თქვენი საყვარელი მსახიობების მსგავსად, გაეცანით მათი ვარჯიშისა და კვების რეჟიმს და მიბაძეთ მათ.

**ჰაიდი კლუმი** *(40 წლის):* სიმაღლე – 177 სანტიმეტრი, წონა – 62 კილოგრამი.

მისი წარმატების საიდუმლოა ინტენსიური ფუნქციური ტრენინგი პერსონალურ ინსტრუქტორთან ერთად. მნიშვნელოვანი ღონისძიების წინა პერიოდში ჰაიდი ყოველდღე ვარჯიშობს, დანარჩენ დღეებში კი პილატესის (ვარჯიშების კომპლექსი) არის დაკავებული.

**კვება:** აღნაგობის შესანარჩუნებლად ჰაიდი მკაცრად იცავს რაციონს, რომლის პრინციპია: მეტი ცილები და მაქსიმალურად ნაკლები ცხიმები და ნახშირწყლები და კალორიების დათვლა.

**ჯენიფერ ლოპესი** *(44 წლის):* სიმაღლე – 165 სანტიმეტრი, წონა – 55 კილოგრამი.

ჯეი ლო სპორტდარბაზში დღეში ერთ საათს ხარჯავს: 30 წუთს კარდიოვარჯიშებისთვის (სირბილი, სახტუნაო) და 30 წუთს ძალოსანთა ვარჯიშებისთვის (შტანგა, ჰანტელები). სახეობებს მსახიობი ყოველი 10 ვარჯიშის შემდეგ ცვლის, რომ არ მობეზრდეს.

**კვება:** მისი მთავარი პრინციპია – არ იშიმშილოს და არ გამოტოვოს არც ერთი ჯერი, რათა ამით არ დაამუხრუჭოს ნივთიერებათა ცვლა. ჯეიც, ჰაიდის მსგავსად, ყურადღებას აქცევს მიღებული ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების რაოდენობას და ითვლის კალორიებს.

**კემერონ დიასი** *(41 წლის):* სიმაღლე – 175 სანტიმეტრი, წონა – 58 კილოგრამი.



კემერონი კვირაში ოთხჯერ ვარჯიშობს 1,5 საათის განმავლობაში. მისი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელია ნიჩბოსნობის ტრენაჟორი, რომელიც ახდენს ყველა სახეობის კუნთების ეფექტურ დატვირთვას და საათში დაახლოებით 500 კილოკალორიას წვავს.

**კვება:** მსახიობი იკვებება დღეში 6-ჯერ, პატარ-პატარა ულუფებით. მიუხედავად იმისა, რომ გიჟდება ფასტფუდის საჭმელებსა და შემწვარზე, მან მთლიანად ამოიღო რაციონიდან ყველა მავნე პროდუქტი, გამონაკლისის გარეშე.

**ემა უოტსონი** *(24 წლის).* სიმაღლე – 165 სანტიმეტრი, წონა – 50 კილოგრამი.

ახალგაზრდა და მომხიბვლელ ემა უოტსონს უყვარს ველოსიპედით სეირნობა, გიჟდება ჰოკეის თამაშზე და ყოველდღიურად 4 საათს უთმობს დარბაზში სხვადასხვა სახეობის ვარჯიშს, რომელთა შორის მნიშვნელოვანი დრო აქვს გამოყოფილი ინტენსიური ძალოსნური და კარიოდატვირთვებისთვის.

**კვება:** დარბაზში აქტიური და ხანგრძლივი ვარჯიშების გამო, ემას აღარ უწევს მკაცრი დიეტის დაცვა; უფრო მეტიც, ხანდახან თავს უფლებას აძლევს, მიირთვას ფასტფუდი ან გემრიელი მაღალკალორიული საკვები.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაინტერესებს, დიეტის დაწყების წინ საჭიროა თუ არა რაიმე პროცედურის ჩატარება და, საერთოდ, რა არის მთავარი იმისთვის, რომ დიეტა შედეგიანი გამოდგეს?**

**პასუხი:** დიეტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე უნდა გაიწმინდოს ორგანიზმი. ამისთვის, შეგიძლიათ, გამოიყენოთ სპეციალური გამწმენდი ან მწვანე ჩაი, ასკილის ნაყენი ან ჩაიტაროთ მექანიკური გაწმენდა (ყველა შემთხვევაში კონსულტაცია გაიარეთ თქვენს მკურნალ ექიმთან). სასურველი შედეგის მისაღწევად კი აუცილებელია, დაიცვათ რამდენიმე წესი დიეტის პროცესშიც და მისი დასრულების შემდეგაც:

ა) ჭამეთ ხშირად (ორ საათში ერთხელ) და მცირე ულუფებით;

ბ) გამორიცხეთ ცხიმიანი, ტკბილი, ცხარე, მწარე, შემწვარი კერძები; ასევე, ცომეული, ტკბილეული და გაზიანი საჭმლები;

გ) მიირთვით მცირე ზომის ლუკმებით და თითოეული ლუკმა ღეჭეთ დიდხანს; სითხე კი სვით პატარ-პატარა ყლუპებით, ჭამამდე ან ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ;

დ) არასდროს დაიმატოთ კერძი;

ე) სუფრიდან ადექით ნახევრად დანაყრებული;

ვ) არაფერი მიირთვათ 19 საათის შემდეგ;

ზ) ივარჯიშეთ ყოველდღიურად.

**კითხვა: გავიგე, რომ არსებობს საპონი მასაჟისთვის. რით არის ის განსხვავებული ჩვეულებრივი, მაგრამ ძვირად ღირებული სხვა საპნებისგან?**

**პასუხი:** მასაჟისთვის განკუთვნილი საპნის შემადგენლობაში შედის ციტრუსების ეთერზეთები, რაც აქტიურებს ცელულიტების დაშლას.

**კითხვა: მაქვს ცოტა მსხვილი ბარძაყები. ვიცი, რომ აუცილებელია სპეციალური ვარჯიშები, მაგრამ, დროის დეფიციტის გამო ვერ ვიცლი, რადგან ყოველდღიურად მიწევს ფიზიკური მუშაობა სახლში და ეზოშიც. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** პრობლემურ ზონებზე წაისვით ცელულიტის საწინააღმდეგო საშუალება, შემოიხვიეთ ცელოფანი, ზემოდან ჩაიცვით სპორტული შარვალი და ისე იმუშავეთ ფიზიკურად, როდესაც მუშაობას დაამთავრებთ, ცელოფანი მოიხსენით და მიიღეთ გრილი შხაპი.

**კითხვა: რამდენიმე დღეა, შვებულება ავიღე და აგარაკზე ვისვენებ. ისეთი დაღლილი ვარ, ყოველდღე ორ-ორი საათი მძინავს. დედაჩემი მეუბნება, რომ ყოველდღიურად დღისით ძილი ადუნებს ორგანიზმსაც და სახის კანსაც. მართალია თუ არა ეს?**

**პასუხი:** პირიქით, დღისით ძილი კოსმეტიკაზე არანაკლებ უკეთ აახალგაზრდავებს სახის კანს: დუნდება კუნთები, რის შედეგადაც კანის ზედაპირი სწორდება. უმჯობესია, თუ დაიძინებთ ბაღში, ჩრდილიან ადგილას. მავნებელი კი დღისით ძილი არის იმ შემთხვევაში, თუ ყოველდღიურად 2-3 საათზე მეტს იძინებთ, თანაც, დახურულ სივრცეში ან მზის გულზე.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რა წამოიძახა ბერიამ, როდესაც სტალინისგან ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების შესახებ დავალება მიიღო



დღევანდელ ქართველობას ჰგონია, რომ ილია ჭავჭავაძეს მთელი ცხოვრების განმავლობაში ხელის გულზე ატარებდნენ და ყველა მისი განზრახვა, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ხორციელდებოდა. სინამდვილეში, ეს ასე არ იყო. ყოველი წამოწყების განხორციელება ილიას უდიდეს ძალისხმევად უჯდებოდა. დიდი წინააღმდეგობა შეხვდა მას ახალი სალიტერატურო ენის დამკვიდრების საქმეში. ადამიანი, რომელმაც უსიტყვოდ შეიყვარა და შეითვისა ილიას ენა, იყო გორელი ყმაწვილი, შემდეგში საბჭოთა იმპერიის ერთპიროვნული მმართველი – იოსებ ჯუღაშვილი. სწორედ ამ თემაზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიკოს ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ გორის სასულიერო სასწავლებელში ყოფნისას კითხულობდა სტალინი ილიას ლექსებსა და მოთხრობებს. არ არის გამორიცხული, რომ მას ილიას გაზეთ „ივერიაზეც" მიუწვდებოდა ხელი. ყოველ შემთხვევაში, 1894 წელს თბილისში ჩამოსული სტალინი, უკვე შესანიშნავი მოქართულე იყო. სტალინის მიერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, პირველ კლასშივე დაწერილი თხზულება კარგი ქართულითაა შესრულებული. უკვე იმხანად სტალინი რუსულადაც შესანიშნავად წერდა და აზროვნებდა. სტალინი წერდა იმ ქართულით, რომლის დამკვიდრებასაც დაჟინებით ცდილობდა ილია მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან. მალე სტალინმა სხვა მხრივაც გამოიჩინა თავი. სემინარიის პირველკლასელმა პოეზიაში სცადა ბედი. თავისთავად ეს დიდ გამბედაობასთან იყო დაკავშირებული. კიდევ უფრო დიდი გამბედაობა კი ის იყო, რომ სტალინმა პირველი ლექსი გამოსაქვეყნებლად საქართველოში ყველაზე პოპულარულ გაზეთში, ილიას „ივერიაში" მიიტანა. იქ შეხვდნენ ერთმანეთს პირველად ილია ჭავჭავაძე და იოსებ ჯუღაშვილი.

1895 წლის 14 ივნისს „ივერიაში" პირველ გვერდზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას დაიბეჭდა სამსტროფიანი უსათაურო ლექსი, რომელიც იწყებოდა სიტყვებით: „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი"... მკითხველმა ლექსის ავტორის შესახებ ვერაფერი შეიტყო. ავტორი ვინაობას არ ამხელდა და ხელს აწერდა ფსევდონიმით – ი. ჯ-შვილი. ცნობილია, რომ ილია „ივერიაში" საეჭვო ღირებულების ლექსებს არ ბეჭდავდა და ამ შემთხვევაში უკომპრომისო იყო უკვე სახელგანთქმული პოეტების მიმართაც კი. მაინც რატომ დაბეჭდა მან სრულიად უცნობი ყმაწვილის ლექსი? ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ლექსი დაწერილია შესანიშნავი ქართულით – ილიას ქართულით. ამის დამადასტურებლად შეიძლება, მოვიტანოთ ის ფაქტი, რომ სტალინის ლექსი მოგვიანებით შეტანილი იქნა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაში" (1916 წლის გამოცემა).

ილია ჭავჭავაძე, საზოგადოებისთვის სრულიად უცნობ სემინარიელს დიდად სწყალობდა. 1895 წელს სტალინმა კიდევ 4 ლექსი გამოაქვეყნა – გაზეთის პირველ გვერდზე, ისევ თვალსაჩინო ადგილზე. ამჟამად ეს ლექსები „სოსელოს" ფსევდონიმით დაიბეჭდა. სტალინის ლექსი – „როდესაც ბადრად მნათობი მთვარე" ცნობილმა მოღვაწემ მ. კელენჯერიძემ შეიტანა თავის წიგნში (1899): „თეორია სიტყვიერებისა", როგორც ქართული სალიტერატურო ენის ქრესთომატიული ნიმუში.

1895 წელს საყოველთაო სახალხო ზეიმით აღინიშნა რაფიელ ერისთავის იუბილე. იუბილეზე პოეტს სიტყვით მიმართა მრავალმა გამოჩენილმა ქართველმა, მათ შორის იყო ერთად-ერთი უცნობი, ახლგაზრდა სემინარიელი – იოსებ ჯუღაშვილი, რომელმაც იუბილარს საკუთარი ლექსი წაუკითხა. ეს ლექსი: „თ.(იგულისხმება – თავად) რ. ერისთავს" მაშინვე „ივერიაში" გამოაქვეყნა ილიამ, ხოლო მ. კელენჯერიძემ, როგორც ქრესტომატიული ნიმუში შეიტამნა ზემოთ ხსენებულ წიგნში. დამწყები პოეტისთვის ეს ტრიუმფი იყო.

ყველასთვის მოულოდნელად, მეხუთე ლექსის გამოქვეყნების შემდეგ, სტალინმა ილიასთან და „ივერიასთან" ურთიერთობა გაწყვიტა და მეექვსე ლექსი უკვე „ივერიასთან" მკვეთრად დაპირისპირებულ, გიორგი წერეთლის გაზეთ „კვალში" გამოაქვეყნა. რა მოხდა, საქართველოს უგვირგვინო მეფესა და მომავალი საბჭოთა იმპერიის ასევე, უგვირგვინო მეფეს შორის, ძნელი სათქმელია. შეიძლება, მათ იკამათეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნათელია: სტალინმა ილიასადმი ღრმა პატივისცემა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა. სტალინი იმჟამადაც და შემდეგომაც, ბოლშევიკ (კომუნისტ) ლიდერთა შორის, ერთადერთი იყო, რომელიც ბოლომდე აცნობიერებდა ილიას ღვაწლს ქართველი ერის ისტორიაში.

1921 წლიდან საბჭოთა საქართველოში დაიწყო ილია ჭავჭავაძის აღვირახსნილი კრიტიკა, რომელსაც მიზანმიმართულად წარმართავდა ილიას მკვლელობის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ფილიპე მახარაძე. ასე გაგრძელდა – საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პირველ ყრილობამდე (1934). სრულიად მოულოდნელად, საბჭოთა იდეოლოგიის მიერ განქიქებული და უარყოფილი ილია ჭავჭავაძე, მისი ნააზრევი და ნაღვაწი მთელი სისრულით წარმოჩნდა საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაციის ხელმძღვანელის, ცნობილი ბოლშევიკის, მალაქია ტოროშელიძის მიერ ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში. ცხადია, ის ილიას ღვაწლის ობიექტურად წარმოჩენას ვერ გაბედავდა, მით უმეტეს, რომ მანამდე, მასზე ბევრი ცუდი ჰქონდა დაწერილი. სტალინს მალაქია ტოროშელიძის მომავალი მოხსენების ტექსტი არ მოეწონა, მოხსენების ახალი ვარიანტი დაიწერა სტალინის მიერ ნაკარნახევი გეგმისა და შეფასებების საფუძველზე. ამრიგად, მოხსენებაში გატარებულ იქნა სტალინის აზრი და არა მალაქია ტოროშელიძისა. ბელადმა 1934 წელს, ერთი ხელის დაკვრით აღადგინა ილია ჭავჭავაძე მისი უფლებებით, ერთბაშად გააცამტვერა ყოველივე ის ცილისმწამებლური, რასაც ფილიპე მახარაძე და მისი თანამოაზრეები თხზავდნენ წლების განმავლობაში. ტოროშელიძის მოხსენება სტალინმა მოსკოვში, რუსულ ენაზე ცალკე წიგნად გამოაცემინა დიდი ტირაჟით.

> **ფილიპე მახარაძის მიმართ სტალინს ეტყობა ძალიან დიდი ბოღმა ჰქონდა – როცა თბილისიდან შეატყობინეს, ფილიპემ თავი ჩამოიხრჩო, სტალინს უთქვამს: ძაღლივით ჩააგდეთ სადმე მიწაში**

სტალინის ასეთმა დამოკიდებულებამ ილიას მიმართ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია საქართველოში. პატრიოტ მწერლებს, ლიტერატურას მცოდნეებსა და ისტორიკოსებს, საშუალება მიეცათ, ობიექტურად ეწერათ ილიას შემოქმედების შესახებ. თუმცა, ფილიპე მახარაძე დანებებას არ აპირებდა. მან ბრძოლა საბოლოოდ წააგო 1937 წელს, როცა საქართველოში და საერთოდ, მთელ საბჭოთა კავშირში, ფართოდ აღინიშნა ილიას 100 წლის იუბილე. მისი ორგანიზება საქართველოში სტალინმა ლავრენტი ბერიას დაავალა. ბერიამ ძალ-ღონე არ დაიშურა და ღონისძიება ბრწყინვალედ ჩაატარა. მისი ინიციატივით ჟურნალ „მნათობში" დაიბეჭდა „ივერიაში" გამოქვეყნებული სტალინის ლექსები. მას სტალინის ლექსები შემთხვევით არ გამოუქვეყნებია – თუ ილია თავად-აზნაურული იდეოლოგიის ქომაგი და მშრომელი ხალხის მჩაგვრელი იყო, მაშინ რატომ დაულოცა გზა დამწყებ პოეტს გაზეთ „ივერიაში"? ამ კითხვაზე საზოგადოებამ პასუხი თავისთავად იპოვა.

სტალინმა კარგად იცოდა, რომ ილიას მკვლელობის ორგანიზატორები იყვნენ სერგო ორჯონიკიძე და ფილიპე მახარაძე, მაგრამ გარკვეულ დრომდე ამას არ ამჟღავნებდა. 1935 წელს ბელადმა ლავრენტი ბერიას დაავალა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის გამოძიება. მოსკოვიდან დავალების მიღების შემდეგ, თავის სამუშაო კაბინეტში მყოფ ბერიას გაოცება ვერ დაუმალავს და რამდენიმე ადამიანის თანდასწრებით უთქვამს: ილიას მკვლელობის საქმეს რა გამოძიება უნდა – ერთი მკვლელი სტალინს უზის მოსკოვში თავისთან, ხოლო მეორე ჩემთანაა თბილისშიო. ცხადია, ლავრენტი ბერია ორჯონიკიძესა და მახარაძეს გულისხმობდა. ამ დროიდან დაიწყო ორჯონიკიძისა და მახარაძის წამება. მაგრამ, სტალინი არ ჩქარობდა, ილიას მკვლელობის საქმის ძიება ნელ-ნელა მიიწევდა წინ. რით დამთავრდებოდა ყოველივე ეს ორჯონიკიძისთვის უცნობი დარჩა, რადგან სტალინმა ის, სასამართლო პროცესამდე რამდენიმე წლით ადრე მოაკვლევინა სხვა მიზეზების გამო. რაც შეეხება ფილიპე მახარაძეს, ის დიდხანს ეწამა და ბოლოს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა – ფსიქოლოგიურად განადგურებულმა, მას შემდეგ, რაც ცხადად დაინახა, რომ სასამართლო პროცესზე ილიას მკვლელობის ორგანიზატორთა შორის შეიძლებოდა მისი გვარიც ამოტივტივებულიყო. თავი ჩამოიხრჩო.

მართალია, სტალინმა ილიას მკვლელობის ორივე ორგანიზატორი საკადრისად დასაჯა, მაგრამ მაშინ ამის აფიშირება არ მომხდარა. ჩეკისტის ტყვიისგან კეფაგახვრეტილი ორჯონიკიძე (ოფიციალური ვერსიით მას გული გაუსკდა), მოსკოვში კრემლის კედელთან, რევოლუციის რაინდთა გვერდით დაკრძალეს. ფილიპე მახარაძის მიმართ სტალინს ეტყობა, ძალიან დიდი ბოღმა ჰქონდა – როცა თბილისიდან შეატყობინეს, ფილიპემ თავი ჩამოიხრჩოო, სტალინს უთქვამს: ძაღლივით ჩააგდეთ სადმე მიწაშიო. შემდეგ, მაინც გადაიფიქრა და ილიას მკვლელი, მთაწმინდაზე, ილიას საფლავთან სულ ახლოს დაკრძალეს.

**მოამზადა**
**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

# რა გავლენას ახდენს ასტროლოგიური ქვები ადამიანის ჯანმრთელობასა და ბედზე

*თითქმის ყველა ასტროლოგიური ქვა ძალიან დიდ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და ბედზე.*

*გამორჩეულად მაგიური ძალა აქვს ნატურალურ, დეკორატიულ და სამშენებლო ქვებს და ეს განსაკუთრებით საცხოვრებელი სახლის მოწყობისას უნდა გაითვალისწინოთ.*

*მარმარილო შეიწოვს უარყოფით ენერგიებსა და ნეგატიურ გრძნობებს; ძოწი ხელს უწყობს ინტელექტის განვითარებას; კვარცი ამაღლებს და აძლიერებს იმუნიტეტს, ასევე, იწვევს ადამიანის ორგანიზმის მედეგობას.*

*ასევე, ასტროლოგიურად, თითოეულ ძვირფას ქვას განსაკუთრებული მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის. ის, ვინც ყოველდღიურად ატარებს იმ ქვისგან დამზადებულ სამკაულს, რომელიც მისი დაბადების თვეს შეესაბამება, გაცილებით ბედნიერი და წარმატებული იქნება.*

**ვერძის** ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანებისთვის საბედისწერო და მნიშვნელოვანი ქვებია ალმასი, აკვამარინი და ამეთვისტო.

**კუროს** ნიშნის ქვეშ დაბადებულთა მფარველია ბრილიანტი, ოპალი და მთვარის ქვა.

**ტყუპების** ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანს თილისმად ალმასის ან ფირუზის ასტროლოგიური ქვებისგან დამზადებული სამკაული უნდა ეკეთოს.

**კირჩხიბის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის კარგია ოპალის, მთვარის ქვის ან ბროლის ტარება.

**ლომის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს უბედურებისა და ავადმყოფობისგან ალმასი, ლალი და ტოპაზი დაიფარავს.

**ქალწულებისთვის** თილისმის დატვირთვა აქვს ზურმუხტს, აქატსა და ტოპაზს.

**სასწორის** ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულთათვის დადებითი აურა აქვს ზურმუხტსა და მარგალიტს.

**მორიელის** ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს უბედური შემთხვევებისა და მძიმე დაავადებებისგან იცავს მთვარის ქვა.

**მშვილდოსნებისთვის** მაგიური დამცავი ასტროლოგიური ქვაა ამეთვისტო.

**თხის რქებისთვის** აუცილებელია ფირუზისა და მთვარის ქვის ტარება, რათა თავი აარიდონ შესაძლო უბედურ შემთხვევებს.

**მერწყულის** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულთათვის სიჯანსაღისა და დადებითი ენერგიის მომტანია ძოწი და ამეთვისტო.

დეპრესიისკენ მიდრეკილ **თევზების** ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულებს კი აუცილებლად უნდა ეკეთოთ საფირონის ან ამეთვისტოს ასტროლოგიური ქვის სამკაულები.

ასევე, ძვირფას ქვებს წარმატება მოაქვს სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანებისთვის, მაგალითად: მეზღვაურებს სტიქიური უბედურებებისგან იცავს ზურმუხტი; სასულიერო პირების მფარველია ამეთვისტო; მხატვრებს ლალი ეხმარება შემოქმედებაში, ხოლო, მწერლებს, პოეტებს, ჟურნალისტებსა და ასე შემდეგ – მთვარის ქვა.

ახალდაქორწინებულებისთვის ბედნიერების მომტანია ზურმუხტი; საყვარელ ადამიანს მთვარის ქვის სამკაულები უნდა მიართვათ; ფლირტის მოყვარულებს ალექსანდრიტი შველით, ფეხმძიმეებს კი – ზურმუხტი. სასმლის მოყვარულ ადამიანს ამეთვისტოს ქვა უნდა შეუძინოთ, ხოლო ნერვების დასაწყნარებლად ტოპაზი გამოგადგებათ.

მოზარდმა გოგონებმა და ახალგაზრდა ქალებმა კი ფირუზის ან მარგალიტის სამკაული უნდა ატარონ.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **დავიბადე 1997 წლის 30 იანვარს, ღამის 12 საათზე. რომელი პროფესია იქნება ჩემთვის წარმატების მომტანი და რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია?**

პასუხი: თქვენი კარმულ-კოსმიური მისია არის ის, რომ გამოავლინოთ ორგანიზებულობა, დისციპლინა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა, მოთმინება, შრომისუნარიანობა, პრაქტიკულობა. ხარჯეთ ფული ყაირათიანად, გაიათმაგეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, დაამყარეთ სტაბილური მეგობრული ურთიერთობები. ასევე, დაიცავით დემოკრატიული პრინციპები, დაეყრდენით დიპლომატიას – ეს თქვენი კოსმიური მისია, სწორი ევოლუციური გზა და წარმატებების მომტანი ფაქტორებია. რაც შეეხება პროფესიებს, თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია: საბანკო, ეკონომიკური, კომერციული, სავაჭრო, საფინანსო საქმიანობა; მედიცინის სფერო, ჟურნალისტიკა, ტელევიზია, პრესა, რადიო, სარეკლამო და საგამომცემლო საქმე, ლინგვისტიკა, უცხო ენები, მთარგმნელობითი საქმიანობა, პედაგოგიური მოღვაწეობა, სოციოლოგიის ფართო სპექტრი, სცენარისტობა, დრამატურგია, რეჟისურა, კომპიუტერული, აუდიო, მობილური სისტემების ბიზნესი ან საქმიანობა და სამეცნიერო-კვლევითი საქმე.

კითხვა: **დავიბადე 1994 წლის 19 იანვარს, რომელი პროფესიაა ჩემთვის მომავალში წარმატებების მომტანი?**

პასუხი: თქვენთვის მისაღები და წარმატებების მომტანია შემდეგი პროფესიები: სტომატოლოგია, პლასტიკური ქირურგია, კარდიოლოგია, სახელმწიფო ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციულ-ორგანიზატორული საქმიანობა, იურისპრუდენცია, საიუველირო საქმე, არქიტექტურა, პარფიუმერიულ-კოსმეტიკური საქმიანობა ან ბიზნესი, სადალაქო და სამასაჟო საქმიანობა, ჟურნალისტიკა, რადიო-ტელევიზია, პრესა, სარეკლამო, საგამომცემლო საქმიანობა, გასართობი ინდუსტრია, საბანკო, საფინანსო, კომერციული, სავაჭრო საქმე, პოლიტიკა, მშენებლობა და საინჟინრო საქმე.

კითხვა: **დავიბადე 1996 წლის 2 ივნისს, დილით, დაახლოებით 7 საათზე. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის განსაკუთრებით მისაღები?**

პასუხი: თქვენთვის მისაღები და წარმატების მომტანია შემდეგი ქვეყნები: გერმანიის ბავარიის მხარე, მაროკო, ნორვეგია, სირიის ჩრდილოეთი ნაწილი, თურქმენეთი, შვედეთის დასავლეთი ნაწილი, კუბა, უნგრეთი და მექსიკა.

კითხვა: **დავიბადე 1997 წლის 17 მარტს. რომელი პროფესიებია ჩემთვის მეტად მისაღები?**

პასუხი: თქვენთვის მისაღებია: სამეცნიერო-კვლევითი სფერო, ტექნიკა-მექანიკის ფართო სპექტრი, საბანკო, ეკონომიური საქმე, საგანმანათლებლო სფერო, ფსიქოთერაპია, ზემაღალ ეშელონებში ადმინისტრაციული საქმიანობა, სამხედრო სტრუქტურები, საკომუნიკაციო საქმე, კომპიუტერული პროგრამული სისტემები.

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 2007 წლის 9 თებერვალს. რა არის მისი კარმული მისია?**

პასუხი: მისი კარმული მისია უკავშირდება ისეთი თვისებების გამოვლენას, როგორიცაა: ორგანიზებულობა, დისციპლინა, შეუპოვრობა, მიზანსწრაფულობა, მოთმინება, შრომისუნარიანობის გამოვლენა, ნებისყოფა, ფულის ყაირათიანი ხარჯვა და გადანაწილება, სისუფთავე, წესრიგი, პატიოსნად მუშაობა. უნდა იყოს მართოხელა მებრძოლი, ჰქონდეს სერიოზული მიდგომა საქმისადმი და პასუხისმგებლობის გრძნობა; დაეყრდნოს დემოკრატიულ პრინციპებს, დიპლომატიასა და ინტუიციას.

**გასულ კვირას, რუსთაველის თეატრში, სანდრო ახმეტელის ბიუსტის თავზე, უცნაური ფაქტი დააფიქსირა იქ დამონტაჟებულმა სათვალთვალო კამერამ. ნათება კადრში კარგად ჩანს და ეს ამოუცნობი ობიექტი საეჭვოდ მიიჩნიეს. საქმეში სპეციალისტებიც ჩაერთვნენ. ამ თეატრის მსახიობები და იქ მომუშავე პერსონალი ადასტურებენ, რომ უცნაური ხმები მართლაც ესმოდათ თეატრში. ასევე, ეჩვენებოდათ, რომ თითქოს ვიღაც უთვალთვალებდათ გარკვეულ ადგილებში, თუმცა, ამაზე ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა. უბრალოდ, იმ ადგილას გავლას ერიდებოდნენ.**

**თავად, რობერტ სტურუაც წერდა სოციალური ქსელში, თავის „ფეისბუქის" გვერდზე: „თეატრის პატარა მოსაცდელში, სადაც მსახიობები და სტუმრები იკრიბებიან, სამ საათზე, სანდრო ახმეტელის მარმარილოს ბიუსტთან, რაღაც ნათება ჩამოეშვა. პატარა ღრუბელივით მოძრაობდა სამი წუთით და მერე გაუჩინარდა. კამერამ დააფიქსირა ეს უცნაური მოვლენა. ამბობენ, რაღაც ხმები ახლდა ამ უცნაურ ობიექტსო."**

**მსახიობები კი, ამბობენ, რომ უცნაურობები, იქ მართლაც ხდება და ეს არაერთხელ, საკუთარ თავზეც გამოუცდიათ.**

**დადიან თუ არა სულები რუსთაველის თეატრში, რა იყო ეს უცნაური ნათება და ვისი ხმები ისმის დროდადრო შენობაში, რთული სათქმელია, თუმცა ფაქტია. როგორც ამ საქმის სპეციალისტი, უფოლოგი ერეკლე შონია ამბობს, ეს ფაქტი ნამდვილად ანომალიური კვლევის საგანია და მსგავსი პარანორმალური მოვლენები, არ არის გამორიცხული, სწორედ იმ ადგილას ხდებოდეს, სადაც ადრე სასაფლაო იყო – შენობის ქვეშ უამრავი ადამიანის ნეშტია.**

# რა პარანორმალური ფაქტი დაფიქსირდა რუსთაველის თეატრში და დგას თუ არა ეს შენობა ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაზე

**ერეკლე შონია**: დამირეკეს და მითხრეს, რუსთაველის თეატრის შენობაში, უცნაური ნათება დააფიქსირა სათვალთალო კამერამო. რასაკვირველია, დავინტერესდი, მივედი და საკუთარი თვალით ვნახე ის მნათი სხეული, რომელიც კადრში მკვეთრად ჩანდა. უამრავი ვარაუდი დავუშვით, მაგრამ ფაქტია, ყველა გამოირიცხა და საქმე, მართლაც პარანორმალურ მოვლენასთან გვაქვს. კვლევები გრძელდება და შესაბამისად, წინასწარი დასკვნებისგან, თავს შევიკავებ. ეს სხეული, საკმაოდ ახლოს მოდიოდა კამერასთან და მისი ნათების დანახვა მკვეთრად არის შესაძლებელი. მისი მოძრაობა მდორეა, ნელი და გადაადგილდება ვიწრო დერეფანში, ახმეტელის ბიუსტის გარშემო, მარჯვნივ და მარცხნივ. სხვათა შორის, ამ დერეფნის ქვეშ, არის გვირაბი, რომელიც ბიოლოკაციური მეთოდით შევისწავლეთ. აღმოჩნდა, რომ საკმაოდ, უარყოფითი და მძიმე ველია.

**– გამოდის, რომ რუსთაველის თეატრის შენობა, გეოპათოგენურ ზონაში დგას?**

– თეატრის მხოლოდ ნაწილი დგას გეოპათოგენურ ზონაში და ეს გარკვეულწილად მოქმედებს მასში მომუშავე ადამიანებზეც. ერთ-ერთი იქ მომუშავე დავკითხეთ, რომელიც ყვებოდა: ამ გვირაბში მომიწია გავლა, უცნაური ხმები მესმოდა და ვიღაცის ლანდიც დავინახე. რომ მახსენდება, დღესაც ტანში მზარავსო. როგორც აღმოჩნდა, მსგავს უცნაურ ფაქტებს, ადრეც ხედავდნენ რუსთაველის თეატრში, უბრალოდ, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ, ან ეგონათ, მათი გამძაფრებული ფანტაზიის ბრალი იყო.

**– მართალია, რომ თეატრის შენობა ყოფილ სასაფლაოს ტერიტორიაზეა აშენებული და შესაძლოა, ეს იყოს ამ ყველაფრის მიზეზი?**

– დიახ, თეატრის ნაწილი მდებარეობს ძველისძველ სასაფლაოზე. მოგეხსენებათ, სასაფლაოს აქვს თავისი ინფორმაციული დატვირთვა. გარდა ფსიქოლოგიურისა, ეს ადგილი ინახავს გარდაცვლილი ადამიანის ძვლისა და ნეშტის ინფორმაციას, მის ემოციას და არ არის გამორიცხული, არასწორი ცხოვრების გამო, სული მიჯაჭვული იყოს სხეულთან, ანუ – გაჭედილი ამ ცხოვრებასა და იმ ცხოვრებას შორის. ბევრი ფაქტორია იქ თავმოყრილი, სადაც სასაფლაოა. მოკლედ, ქაშუეთის ეკლესიის და იქ მდებარე პარკის ტერიტორიაზე ადრე, დაახლოებით მეთვრამეტე საუკუნეში, იყო უძველესი სასაფლაო. შემდეგ, მოხდა ამ ტერიტორიის განაშენიანება, აიგო შენობები, გაშენდა პარკები. თუმცა, ეს ტერიტორია საშიშია იქ მცხოვრებლებისთვის. პარკში დასვენება კი უსაფრთხოა.

**– ერეკლე, უცნაური ნათება, რომელიც რუსთაველის თეატრში სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, სწორედ იმ დღეს დაემთხვა, როცა სანდრო ახმეტელი დახვრიტეს. თან, ის მისი ბიუსტის გარშემო მოძრაობდა. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ეს მისი სულია?**

– არ არის გამორიცხული, ეს კავშირში იყოს და სულის ზემოქმედება დაფიქსირდა. თუმცა, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, მას უნდა, ადამიანებთან შემოვიდეს კონტაქტში. ამიტომაც, ესმით მისი ხმა და ნაბიჯებიც არაერთხელ გაუგიათ. ჯერ არც კი ვიცით, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. თუმცა, არ არის გამორიცხული, მას კონტაქტი სურდეს ადამიანებთან. როცა მისტიკურ სამყაროსთან გაქვს შეხება, რთულია, ერთი ხელის მოსმით გააკეთო რაიმე დასკვნა. შეიძლება, წლები მოანდომო გარკვეული ფაქტის კვლევას და შედეგი ვერ დადო. ფაქტია, მისტიკური სამყარო რუსათველის თეატრში თვალშისაცემია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა ტერიტორიაზე დგას შენობა, მისი ენერგეტიკა რომ მძიმეა, ეს უდავოა.

**– რაც ეს ფაქტი დაფიქსირდა, მერე თუ განმეორდა მსგავსი ნათება კამერის ობიექტივში?**

– არა, იმ დღის შემდეგ მსგავსი ნათება აღარ დაფიქსირებულა. მანამდე კი, პატარ-პატარა ნათებები აშკარად ჩანდა. სულ ორჯერ არის ასეთი ნათება დაფიქსირებული.



**არ გამოვრიცხავ, რომ რომელიმე თანამშრომელთან კონტაქტში შევიდეს სული, რომელიც რუსთაველის შენობაში დადის**

თანამშრომლებთან ვსაუბრობ, მათ მონაყოლს ვისმენ, ადგილის შესწავლაც ხდება და იმედია, სულ მალე გავარკვევთ, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მე ვერაფერს გამოვრიცხავ. არც იმას, რომ რომელიმე თანამშრომელთან კონტაქტში შევიდეს სული, რომელიც ამ შენობაში დადის. ყველა გავაფრთხილეთ, რომ თუ ფეხის ხმას გაიგებენ, ან რაიმე ტკაცუნს, მუსიკის ბუნდოვან ჰანგებს, პულსი უეცრად აუჩქარდებათ ან წნევა დაეცემა, იგრძნობენ ახლოდან სითბოს ან სიცივის შეგრძნებას, უეცრად, ცხვირიდან სისხლი წასკდებათ და ასე შემდეგ, არ დატოვონ ყურადღების გარეშე და შეგვატყობინონ. გეოპათოგენური ზონები დედამიწაზე რომ არსებობს, ამაზე არავინ დავობს და ამ ადგილებში იცვლება ადამიანის წნევა, გუნება-განწყობა, შეგრძნებები, აზროვნება, ემოცია, ინტუიცია. ზონების შერჩევა კი, როცა შენობის აშენებას ვიწყებთ, აუცილებელია. გეოპათოგენურ ზონაში ხანგრძლივად ცხოვრება საკმაოდ საშიშია. თუმცა, ასეთ ადგილას ცოტა ხნით ყოფნა საფრთხეს არ შეგიქმნით. ის კი არა, არ არის გამორიცხული, აზრობრივი სამუშაოს შესასრულებლად, საკმაოდ წარმატებულიც კი იყოს. ასევე, ხშირად არ არის გათვალისწინებული, რომ ყოფილ სასაფლაოზე შენდება საცხოვრებელი სახლები. ასეთი მრავალსართულიანი სახლები საკმაოდ ბევრია თბილისში. მაგალითად, საირმის გაყოლებაზე, როცა მაღალსართულიანი შენობების საძირკვლის გათხრა დაიწყეს, ადამიანის ძვლები ამოჰქონდათ. ამ ტერიტორიაზე, ადრე, დაახლოვებით 70 წლის წინ, დასაფლავებული იყვნენ გერმანელი და იაპონელი ტყვეები. ასევე, ვაკის პარკის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, გასული საუკუნის 20-იან წლებში, ხდებოდა ადამიანების მასობრივი დახვრეტა. ეს ადგილიც იმ ინფორმაციის მატარებელია, რაც გარდაცვლილი ადამიანის ძვლებმა შემოინახა. ეს უარყოფითი ინფორმაცია კი იქ მცხოვრებლებზე აუცილებლად იმოქმედებს. თუმცა, კიდევ ვამბობ, თბილისში არსებული პარკების უმეტესობა, ყოფილი სასაფლაოს ტერიტორიაა, მაგრამ იქ დასვენება საშიში არ არის, რადგან ეს ადგილი ნიავდება, მწვანე ნარგავებია, მიწა მუშავდება.

**ნონა დათეშიძე**

## ორშაბათი 14 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.30** დ/ფ **14.50 წყალბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი: **საქართველო – რუმინეთი** (პ/რ) **16.25** "ტელებლოგი" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **2** სერ. **18.30** დ/ფ "იაოს წელიწადი" I" II ნაწ. **21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **1** სერ. **22.00** თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.30** მხ/ფ "**სრულყოფილი სამყარო**".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45**სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** მხ/ფ "**ტრანსპორტერი**" (ჯ.სტეტჰემი) **23.50** მხ/ფ "**ანგარიშსწორების დრო**" (ს.გუბანოვი) **01.25** მხ/ფ "**უნივერსალური ჯარისკაცი**" (დ.ლუნდგრენი).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" - დაწყება **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** ქ.მხ/ფ."**მისტერ ძიძა**" **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** მხ/ფ "**დიდედები და შვილიშვილები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**შერეკილები**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. I **15.30** სპექტაკლი - "**ნოდარ დუმბაძე და მისი მეგობრები**" **17.30** დ/ფ "მთა საყდარი" **18.05** განთიადის სტუმარი **18.35** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** რატომ არ ვართ ეკლესიაში **19.30** დ/ფ "ჰამლეტ გონაშვილი" **20.00** დ/ფ "მოქვი" **20.40** ძილი ნებისა **21.20** პატერიკი **21.25** სახლი ღვთისა **21.40** "თვენი" - წმინდა მეფე სოლომონ II, სამშობლოსათვის თავდადებული **22.25** დ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ვლაქერნას სამოსელი" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 13.02, 14.03 სერიალი "ასი" 16.02, 17.02 სერიალი "1001 ღამე" 18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30 სერიალი "სკანდალი" 0.30** ბრძოლა წესების გარეშე.

## სამშაბათი 15 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **13.20 წყალბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი: **საქართველო – საბერძნეთი** (პ/რ) **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **1-2** სერ. **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **3-4** სერ. **18.30** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **19.15, 03.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ "**და მოვა სიყვარული**".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **8** სერ. **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** თოქ შოუ — თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო **00.00** მხ/ფ "**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება რაილისთან**" (კ.სტიუარტი) **02.10** მხ/ფ "**ანგარიშსწორების დრო**" (ს.გუბანოვი).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **23.30** სოციალური ცელი **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ.

**06.10** სპექტაკლი - "**ნოდარ დუმბაძე და მისი მეგობრები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი"**10.05** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი**10.40** დ/ფ "ვლაქერნას სამოსელი"**11.05** დ/ფ "ხიდები სამშობლოსაკენ" **11.30** პატერიკი **11.35** სახლი ღვთისა **12.10** მხ/ფ "**მე,ბებია ილიკო და ილარიონი**"**13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. II**15.30** კონცერტი - ალექსანდრე ბასილაია "სიყვარულის ზღაპარი" **16.55** დ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში"**18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** მოკ./ფ. "**ბურთი და მოედანი**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** "ჩვენი ამბავი"**21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი**00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **7.40** "უცნობი ისტორიები" (გამ.) **8.05** გადაცემა "ურბანსპორტი"(გამ.) **8.20** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00,14.00, 16.00, 17.00, 19.00**, ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული" 12.30, 1.35** ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.02, 14.03 სერიალი "ასი" 16.02, 17.02 სერიალი "1001 ღამე" 18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა" 20.00** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო" 21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.30** TV **11** მაესტროზე **23.55 სერიალი "სკანდალი" 0.45** ბრძოლა წესების გარეშე.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# თეატრები

### საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 99-63-14.**

15 ივლისი, **სამშაბათი** 19.00 - **„წმინდა გიორგი”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***ხანგრძლივობა: 70 წუთი;***

18 ივლისი, **პარასკევი** 19.00 - **„ქრისტე”** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი. ***სპექტაკლის ხანგრძლივობა: 50 წუთი.***

### გაბრიაძის თეატრი
**შავთელის ქუჩა №13, ტელ: 790 98-65-91 (მაგთი ფიქსი), 298-65-90**

18-19 ივლისი, **პარასკევი-შაბათი** 20.00 - **„რამონა”** - (ბილეთის ფასი - 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;***

20 ივლისი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი გაზაფხულის შემოდგომა”** - (ბილეთის ფასი - 5, 10, 15, 20 ლარი), ავტორი და რეჟისორი: რეზო გაბრიაძე. 10 წლამდე ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი.***

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი“
**რუსთაველის გამზირი №5. ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**14 – 20 ივლისი**

*დარბაზი 1*

12.00, 15.30, 19.00, 22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 20.15, 22.30 - **„ზღვარი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

14.00, 16.00 - **„ხუთი ნახვით შეყვარება”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*

18.00 - **„ტაქსი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი.*

*დარბაზი 3*

12.00 - **„22 ჯამპ სტრითი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

15.00, 17.30, 19.45 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„მალეფისენტი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40წთ.;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30 - **„არეულები”**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

17.00, 19.45, 22.30 - **„22 ჯამპ სტრითი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.00 - **„22 ჯამპ სტრითი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

17.00, 20.00, 22.30 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი”
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 19.00 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

16.00 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

22.30 - **„22 ჯამპ სტრითი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

17.00, 20.00 - **„22 ჯამპ სტრითი”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

22.30 - **„ტრანსფორმერები: გადაშენების ხანა”** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი.*

*დარბაზი 3*

12.00, 17.00, 22.30 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში”**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.;*

14.30 - **„როგორ მოვარჯულოთ დრაკონი”** 3D (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

19.00 - **„მილიონი შესაძლებლობა მოკვდე დასავლეთში”** (ინგლისურად), *ხანგრძლივობა: 1სთ. 55წთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com. ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# სურნელოვანი დაბეგვილი კატლეტი „გაუჩო“





**საჭირო ინგრედიენტები:** 5 ნაჭერი ღორის რბილი ხორცი, 1 ცალი სტაფილო, 1 კონა ოხრახუში, 300 გრამი ნიახური ღერებიანად, 1 კონა მწვანე ხახვი, მარილი, შავი პილპილი, 1 ცალი კვერცხი, ზეთი, 3 თავი ხახვი, 1 ცალი პომიდორი, ნებისმიერი სუნელი.

**მომზადების წესი:** ხორცს რომ გარეცხავთ, ცოტა შეაშრეთ და თითოეულ ნაჭერში დანით ღრმა ჩანაჭერი – ჯიბე გააკეთეთ. ხორცი ოდნავ დაბეგვეთ. სტაფილო და ნიახური გაასუფთავეთ და დაჭერით. ოდნავ მოშუშეთ ზეთში. პომიდორი, მწვანე ხახვი, ოხრახუში დაჭერით წვრილად და დაუმატეთ ბოსტნეულს. შუშეთ კიდევ 5 წუთი. გააცივეთ და დაუმატეთ კვერცხი. აურიეთ კარგად. ხორცს უყავით მარილი და შავი პილპილი. ხორცის ნაჭრები გადაშალეთ, როგორც წიგნაკი, ამოავსეთ ბოსტნეულით და შეკარით კბილის საწმენდი ხის ჩხირით.

ტაფა გააცხელეთ და შეწვით მასში ხორცი ორივე მხრიდან. გადაატრიალეთ ფრთხილად, რომ სატენი არ გადმოიყაროს. შეგიძლიათ, ხორცის ნაჭრებს, მოასხათ ცოტა ზეთი და აირღუმელში „გამოაცხოთ“. მის მომზადებას დაახლოვებით 1 საათი დასჭირდება. გემო ისეთი აქვს, გაგაოცებთ. ზემოდან მოაყარეთ რგოლებად დაჭრილი, ზეთში მოშუშული, ხახვი. შეგიძლიათ, მოუმზადოთ სალათაც.



# ხორცის ღვეზელი

**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ქათმის მკერდი (ფილე), 1 ცალი კვერცხი, 3 სადილის კოვზი დაფხვნილი ყველი, 100 გრამი რბილი ყველი (კარგია ჰოლანდიური), სოუსი – თქვენი გემოვნებით, 1 ცალი პომიდორი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, მარილი, სურნელოვანი წიწაკა, უცხო სუნელი, ცოტა ქამა სოკო.

**მომზადების წესი:** ქათმის ფილე ჯერ დაჭერით, მერე დააქუცმაცეთ ბლენდერში. უყავით კვერცხი, მარილი, წიწაკა, უცხო სუნელი. სველი ხელებით თანაბარ ფენად გააბრტყელეთ ეს ფარში გამოსაცხობ ქაღალდზე. მოათავსეთ ეს „ცომი“ 180 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელში 18-20 წუთის განმავლობაში. გამოიღეთ, წაუსვით სოუსი (შეგიძლიათ, გამოიყენოთ ტომატ-პასტისა და მაიონეზის ნაზავი), მოაყარეთ დაფხვნილი და დაჭრილი ყველი, დააწყვეთ რგოლებად დაჭრილი პომიდორი და ბულგარული წიწაკა, ფირფიტებად დაჭრილი სოკო და 15 წუთით ისევ მოათავსეთ აირღუმელში. მიირთვით თბილი. მოგეწონებათ.



* თუ პოპკორნის დამზადებას გადაწყვეტთ, მარცვლები ჩაალბეთ წყალში 10 წუთით. გააშრეთ და შემდეგ ჩვეულებრივად დაამზადეთ. ასე პოპკორნი უფრო „ფუმფულა“ იქნება და „აუფეთქებელი“ მარცვლებიც ცოტა დარჩება.

ყოველკვირეული ჟურნალი
თბილისელები

# პანაკოტა „გარგარის სიგრილე“







**საჭირო ინგრედიენტები:** 400 მილილიტრი რძე, 4 სადილის კოვზი გარგარის მურაბა ან კონფიტიური (2 სადილის კოვზი – სუფლეში, 2 სადილის კოვზი – მოსართავად), 10 გრამი ჟელატინი, 2 სადილის კოვზი პიტნის ვაჟინი (სიროფი).

**მომზადების წესი:** ჟელატინი დაალბეთ მცირე რაოდენობით ცივ წყალში. რძე მიიყვანეთ ადუღებამდე. გადმოდგით ცეცხლიდან, ოდნავ გააცივეთ და შეურიეთ ჟელატინი. კარგად უნდა გახსნათ. გაყავით ჟელატინიანი მასა ორ ნაწილად. ერთს ჩაუმატეთ გარგარის მურაბა ან ჯემი. მეორეში – პიტნის სიროფი. ფართოპირიან ბოკალში ან პატარა ლარნაკში ჩაასხით პიტნიანი სუფლე და მოათავსეთ მაცივარში. ცოტა რომ გამაგრდება, გამოიღეთ და დაუმატეთ გარგარიანი სუფლე. ისევ გააცივეთ. როცა მზად იქნება, სუფლეიანი ჭურჭელი რამდენიმე წამით ჩაუშვით ცხელწყლიან აბაზანაში და სწრაფად გადმოაბრუნეთ ლანგარზე. მოასხით გარგარის ჯემი და მორთეთ პიტნის ცოცხალი ფოთლებით.

# კალმახი აზიურად







**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ჩაის კოვზი სოიის სოუსი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, 2 ჩაის კოვზი ზეთი, 1 ჩაის კოვზი თაფლი, 500 გრამი კალმახი, 1 კბილი ნიორი, 2 ჩაის კოვზი კუნჟუტი (მარცვლები).

**მომზადების წესი:** დაჭერით კალმახი ულუფებად, მოამზადეთ მარინადი. შეურიეთ ერთმანეთს მდოგვი, სოიის სოუსი, ზეთი, თაფლი, კუნჟუტი და დანაყილი ნიორი. აურიეთ კარგად. მოასხით ეს ნაზავი თევზს და გააჩერეთ 1-2 საათი. შებრაწეთ ცხელ, მშრალ ტაფაზე 5-7 წუთით თითოეული მხრიდან.

სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი. თევზი გემრიელია ცხელიც და ცივიც.

* თუ სოუსი დაგეწვათ, გადაასხით სხვა ქვაბში და განაგრძეთ მომზადება. დაუმატეთ შაქარი ისე, რომ დატკბეს, ის მიმწვრის სუნს გააქრობს.

# „ფრიკადელები“ ნინო ორდენიძისგან







*რაც ბავშვები მყავს, უფრო აქტიური გავხდი. სულ ვცდილობ, რამე გემრიელი მოვამზადო. მე თვითონ ძალიან მიყვარს ხორცეული. ეს კერძი რაღაც საშუალოა ბოსტნეულსა და ხორცს შორის. ვფიქრობ, მოგეწონებათ.*

**საჭირო ინგრედიენტები:** ცოტ-ცატა ოხრახუში, ნიახური, კამა, ქონდარი (სულ უნდა გამოვიდეს 1 საშუალო ზომის კონა), 300 გრამი ქათმის ფარში, 1 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 ცალი დაფნის ფოთოლი, 4 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი, 3-4 სადილის კოვზი საფანელი, 1 კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი მდოგვი, მარილი, შავი პილპილი, ცოტა როზმარინი.

**მომზადების წესი:** მწვანილს რომ გარეცხავთ, კარგად გააშრეთ და წვრილად დაჭერით. ხახვი და ნიორიც ძალიან წვრილად დაკეპეთ და მოშუშეთ დაფნის ფოთოლთან ერთად 1 კოვზ ზეთში, შემდეგ დაფნის ფოთოლი ამოიღეთ და გადააგდეთ. მოშუშული ხახვი და ნიორი შეურიეთ ფარშს. დაუმატეთ საფანელი, მდოგვი, კვერცხის გული და მწვანილი. უყავით მარილი და შავი პილპილი. ხელები დაისველეთ და ფარშისგან გააკეთეთ საშუალო ზომის ბურთულები. შებრაწეთ ტაფაზე, ძალიან ცხელ ზეთში, ყველა მხრიდან. მორთეთ როზმარინით. ისეთი გემრიელია, გარინირიც კი არ სჭირდება.

# ღვიძლი ვაშლითა და კონიაკით



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

**საჭირო ინგრედიენტები:** 350 გრამი საქონლის ღვიძლი, 2 თავი ხახვი, 2 ცალი ვაშლი, 7 სადილის კოვზი კონიაკი, ზეთი – შესაწვავად, მარილი და წიწაკა – გემოვნებით, გარნირად – მოხარშული ბრინჯი.



**მომზადების წესი:** ღვიძლი დაჭერით მოზრდილ ნაჭრებად და შეწვით ზეთში. ხახვი დაჭერით ალყა-ალყა, შეურიეთ შემწვარ ღვიძლს და კიდევ 3 წუთი გააჩერეთ ცეცხლზე. დაუმატეთ გათლილი ვაშლის ნაჭრები და ცეცხლზე გააჩერეთ კიდევ 3 წუთი. დაასხით კონიაკი, მოაყარეთ მარილი, წიწაკა და ურიეთ, სანამ კონიაკი ამოშრება. გარნირად უხდება მოხარშული ბრინჯი.

# ღორის ხორცი ლუდის სოუსში

**საჭირო ინგრედიენტები:** 2 ცალი სტაფილო, 2 თავი ხახვი, 1 კბილი ნიორი, 1 მსხვილი ღერი ნიახური, 4 ნაჭერი ღორის ხორცი (თავისი ძვლით), თითო ნაჭერი – 200-220 გრამი, 1 სადილის კოვზი ძირა, 2 სადილის კოვზი ერბო, 400 მილილიტრი მუქი ლუდი, 2 სადილის კოვზი წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მარილი და პილპილი – გემოვნებით.



**მომზადების წესი:** ნიორი დაკეპეთ, სტაფილო თხლად დაჭერით, ხახვი კი – სიგრძეზე, მსხვილად. ნიახურიც მსხვილად დაჭერით. ხორცი გარეცხეთ, შეაშრეთ, მოაყარეთ ძირა, მარილი და პილპილი. ტაფაზე გააცხელეთ ერბო და ხორცის ნაჭრები ორივე მხრიდან შეწვით. დაუმატეთ ბოსტნეული და 2 წუთი შუშეთ, შემდეგ დაასხით ლუდი, დაახურეთ სახურავი და 20 წუთის განმავლობაში საშუალო ცეცხლზე ხარშეთ. ხორცის ნაჭრები ამოიღეთ ტაფიდან, დარჩენილი სოუსი ცოტა ხანს ადუღეთ და მოასხით ხორცის ნაჭრებს.

ყოველკვირეული ჟურნალი თბილისელები

# მარტივი და სასარგებლო

## ხელნაკეთი, ორიგინალური ჭაღი



არ არის აუცილებელი, აგარაკზე ან თუნდაც ბინაში ძვირფასი ჭაღი გეკიდოთ. მით უმეტეს, როცა ფული არ გაქვთ, მაგრამ ნათურის ყურებაც არ გსიამოვნებთ.

დაგჭირდებათ პოლიეთილენის წყლის ან ღვინის ჩასასხმელი ჭურჭელი, ოთხკუთხა ფორმის – 3 ცალი. 3 ცალი „პატრონა“ თავისი ნათურებით. გაუმჭვირვალე თეთრი და წითელი საღებავი. ჭრელი, პატარა პლასტიკატის, მართკუთხა ფორმის ფირფიტა. შავი, შემოსაკვრელი რეზინი ან პლასტმასი.

დააკვირდით სურათებს. პლასტმასის ჭურჭელი შემოჭერით ისე, როგორც სურათზეა. მჭიდროდ დაახურეთ თავსახური და ამოაბრუნეთ. ჯერ შეღებეთ შიგნიდან თეთრი საღებავით, გარედან კი – წითლად. ან შეგიძლიათ, მხოლოდ წითლად შეღებოთ შიგნიდან. აცადეთ, კარგად გაშრეს. თავსახური გახვრიტეთ, რომ „პატრონის“ ზონარი გაეტიოს და დაამაგრეთ „პატრონა“ ნათურით. აიღეთ ჭრელი ფირფიტა. გახვრიტეთ სამ ადგილას თანაბარი დაშორებით და ამოუყარეთ განათების ზონარი (რომელზეც უკვე მიმაგრებულია „პატრონა“ და ჭაღი). დაამაგრეთ ჭერზე, თქვენთვის სასურველ სიგრძეზე. შეგიძლიათ, ჭაღი ერთი სანათითაც დაამზადოთ. მაშინ ერთი „პატრონა“ და ერთი ცარიელი ჭურჭელიც საკმარისი იქნება. ჭრელი ფირფიტა კი საერთოდ არ დაგჭირდებათ.

## ორიგინალური კედლის იკებანა

შეგიძლიათ, თქვენი ბინის კედლები მარტივად გაალამაზოთ. ნუ გადაყრით იმ მუყაოს, რომელზეც ტუალეტის თეთრი ქაღალდია დახვეული. დაჭერით თანაბარ ზომაზე – 2-3 სანტიმეტრი სისქის ნაჭრებად და ერთმანეთთან შეაწებეთ ჩვეულებრივი წებოთი ისე, რომ ყვავილების ფორმა მიიღოს (ნახეთ სურათები). შეწებებულ ადგილებს ცოტა ხნით გაუკეთეთ სარეცხის სარჭი, რომ კარგად დამაგრდეს. მერე სათითაოდ შეღებეთ ყვავილები ერთ ფერზე, ან ფერადად, როგორც თქვენს ინტერიერს მოუხდება. კარგად რომ გაშრება, წვრილი ლურსმნით დაკიდეთ კედელზე ტალღისებურად, ისე, როგორც სურათზეა.




* თუ სუპში ზედმეტი მარილი მოგივათ, ჩადეთ მასში გათლილი კარტოფილი. ის მარილს შეიწოვს.

38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 16 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" **14.30** "გურმანია" **15.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**"**2** სერ. **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **5-6** სერ. **18.30** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი"- **19.15, 03.00** "ჩვენი ეზო" **20.55 ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. საკვალიფიკაციო ეტაპი (პ/რ) **23.00** მხ/ფ "**ინფორმატორი**" (მ.დეიმონი).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.30** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) მ**14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ. "**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** EMERGENCY — სასწრაფო დახმარება **00.40** მხ/ფ "**კანი რომელშიც ვცხოვრობ**" (მ.პარედესი).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** კიმონო **01.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**06.20** დ/ფ "დები ტრევისის მხიარული სახლი" **06.45** "თვენი" - წმინდა მეფე სოლომონ II, სამშობლოსათვის თავდადებული **07.05** დ/ფ "ქართული მხედრობა პოლონეთში" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** თეთრიდან თეთრამდე **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** მოკ./ფ. "**ზურთი და მოედანი**" **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** "ჩვენი ამბავი" **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. III **15.30** დ/ფ "სიაუშ ქართველი" **16.30** ეთნოგრაფია **16.50** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.35** მხ/ფ "**ელისო**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** "ივერიის ეკლესია" **21.35** ეპოქის სახელები **22.00** სიახლენი **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გერგეთობა **23.20** დ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" რ. ინანიშვილი **23.45** ქვიშით ნაამბობი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** გადაცემა "ID"(გამ.) **8.15** TV **11** მაესტროზე (გამ) **8.40, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.02, 14.03 **სერიალი "ასი"** 16.02, 17.02 **სერიალი "1001 ღამე"** 18.25, 2.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00 "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "სკანდალი"** 0.30 ბრძოლა წესების გარეშე.

## ხუთშაბათი 17 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 00.30** "დღეს" **13.20 წყალბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი: **იტალია – საქართველო** (პ/რ) **15.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **7-8** სერ. **18.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **19.15, 02.30** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **3** სერ. **22.00** "არენა" (პ/ტრ) **23.00** "უცნობი მუსიკა".

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** კონცერტი: ჩარკვიანების ვარსკვლავის გახსნა **00.00** მხ/ფ "**მანოლეტე**" (პ.კრუსი) **01.55** მხ/ფ "**კეთილი ჯონი**" (ა.საიფრედი) (ტიტ.).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **22.00** პროფილი **00.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ. (ტიტ.).

**07.00** დ/ფ "სიაუშ ქართველი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დ/ფ "უჯარმის პატარა სახლი" რ. ინანიშვილი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**ელისო**" **13.15** ივერიის ეკლესია **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. IV **15.30** კონცერტი -აღდგომიდან ამაღლებამდე **17.10** დ/ფ "სიმღერით დარჩებიან" დები იშხნელები **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** "პორტრეტები" **20.15** მოკ./ფ. "**ქოჩორა**" **20.40** ძილი ნებისა **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** დ/ფ "ლოცვები სამშობლოსათვის" **21.40** დ/ფ "დატყვევებული გონიერი" **22.25** "დრო და ტრადიციები" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" მარო მაყაშვილი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **8.20** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი"(გამ.) **8.40, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები" ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.02, 14.03 **სერიალი "ასი"** 16.02, 17.02 **სერიალი "1001 ღამე"** 18.25, 2.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** 20.00 "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** 21.00 მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.30 **სერიალი "სკანდალი"** 0.30 ბრძოლა წესების გარეშე.

## პარასკევი 18 ივლისი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.30** "დღეს" **14.30** "შემოძახილი" (გ/ჩვ) **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **3** სერ. **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **9-10** სერ. **18.30** დ/ფ "იოჰანესბურგიდან გარნიეს სასახლემდე" **22.00** თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** მხ/ფ "**ეს საშინელი სიღარიბე!**" **02.30** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" (გ/ჩვ).

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.03** სერ. "**ბედის ანაბარა**" **11.20, 16.50** TV - მარკეტი **11.30** სერ. "**შურისმაძიებელი**" **12.30** დღის შოუ (პ/ე) **14.45** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** თოქ შოუ — რეაქცია **00.00** მხ/ფ "**გამარჯვებისთვის დაბადებული**" (ს.სიგალი) **01.55** მხ/ფ "**მანოლეტე**" (პ.კრუსი).

**06.30** სერ. "**არ დამივიწყო**" **07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**მათრობელა სიყვარული 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**ეზელი**" **18.45** სერ. "**სტამბოლის ცა**" **19.45** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** მთავარი თემა **22.30** ქერის უბანი **23.00** ვანოს შოუ **00.00** მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.35** დ/ფ "სიმღერით დარჩებიან" დები იშხნელები **07.10** დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი" მარო მაყაშვილი **07.50** "ჩვენი ამბავი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** "დრო და ტრადიციები" **10.05** სახლი ღვთისა **11.20** ისტორიის გაკვეთილი **12.10** პორტრეტები **13.00** მოკ./ფ. "**ქოჩორა**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. V **15.30** კონცერტი - რიჩარდ კლაიდერმანი **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "ხილული სასწაულები" მამა სოკრატე **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **7.50** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) (გამ.) **8.10** გადაცემა "ფული და სურვილები"(გამ.) **8.45, 17.45, 22.00, 1.45** "ყოველდღიური ა(მ)ბები"ვასიკო ოდიშვილისგან **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30, 12.30, 1.20** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.02 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** 13.02, 14.03 **სერიალი "ასი"** **16.02, 17.02 სერიალი "1001 ღამე"** **18.25, 2.20** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "თანაგრძნობა"** **20.00** "ინ-ფაქტი" **20.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30 სერიალი "სკანდალი"** **0.30** ბრძოლა წესების გარეშე.

## შაბათი 19 ივლისი

**08.00** საბ. ან "დათვი იოგი" **10.00** მხ/ფ "**ფანტომასი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "სპექტაკლის დრო" **14.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **4-5** სერ. **14.50 წყალბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი: **საქართველო – რუსეთი** (პ/რ) **16.30, 02.00** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **11** სერ. **18.00** დ/ფ "ჟან პოლ გოტიე" **19.00, 02.30** "ეტალონი" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ "**სცენები ოჯახური ცხოვრებიდან**".

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**სავსე მთვარის სამეფო**" **10.15** ეკოვიზია **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ვაკანსია **12.00** სერ."**მერლინი**" **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.50** სერ. "**სიყვარული ცა და მიწა**" **17.45** სერ. "**მინდა გახსოვდე**" **18.50, 19.03** სერ."**ბამბის ველი**" **21.00** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** შალვა რამიშვილის შოუ **23.00** ადრენალინი **23.45** მხ/ფ "**ოჯახური საიდუმლო**" (ჯ.ლუისი) **01.30** მხ/ფ "**გამარჯვებისთვის დაბადებული**" (ს.სიგალი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.00** კომედი შოუ (**3** თვის წინანდელი გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** იღბლიანი ბორბალი (კვირის გ/ჩ) **15.30** მხ/ფ. "**12 სკამი**" **18.45** "ექიმები" **19.45** "დაამარცხე ვასო" **22.00** განსხვავებული აქცენტები **22.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.30** გააცინე და მოიგე (ძველი გ/ჩ) **00.30** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**06.10** საგალობელი **06.15** დ/ფ "პლანეტა დედამიწა" **07.15** ეთნოგრაფია **07.30** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.50** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**პირველი მერცხალი**" **13.30** საღვთისმეტყველო საუბრები **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან - ილია ჭავჭავაძე გად. VI **15.25** ოპერა - "**სევილიელი დალაქი**" რ. ქემოკლიძე **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** "ჩვენი ამბავი" **22.30** "თვენი" წმინდა მეფე აშოტ კურაპალატი **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** სიმღერის კვალდაკვალ **00.35** დროის ჩანაწერები **01.20** მხ/ფ "**კასაბლანკა**".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.25** მულტფილმი **8.10** იუმორისტული შოუ -"4X4/ (გამ.) **9.10, 11.00, 13.05, 16.00, 19.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 2.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში" **15.30** NX სპიკერი **18.30** "უცნობი ისტორიები" **20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **21.30, 2.20** გადაცემა "ფული და სურვილები" **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 1.20** "თქვენი გადახდილია" **23.30** TV **11** მაესტროზე **0.00** "ინ-ფაქტი" (კვირის კოლაჟი) **0.15** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **0.45** გადაცემა "**60** კითხვა ინტერიერში"(გამ.).

## კვირა 20 ივლისი

**08.00** საბ. ან "მხიარული თითები" **10.00** მხ/ფ "**განრისხებული ფანტომასი**" **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **15.00, 21.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **5-6** სერ. **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **18.00** ქართული მხ/ფ "**მე ვხედავ მზეს**" **20.30** "ტელებლოგი" **22.00** მხ/ფ "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" **01.00** "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩვ.) **02.00** "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ.) **02.30** "ტელებლოგი" (გ/ჩვ.).

**07.30** ან/ფ "სპანჯბობი" **08.00** მხ/ფ "**სონედორი**" **10.10** ადრენალინი (გ/ჩ) **10.50, 16.50** TV - მარკეტი **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. "**მერლინი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) **17.30** სერ. "**სიყვარულის სეზონი**" **2** სერ. **20.00** პანორამა (**60** წთ) **21.00** ღამის შოუ **22.00** ადრენალინი **22.45** მხ/ფ "**შეუჩერებელი**" (კ.სლეიტერი) **00.25** მხ/ფ "**სამეფო კარის რომანი**" (მ.მიკელსენი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.25** ანიმაცია **08.30** მხ/ფ. **10.30** ეკი ვოკი **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **14.00** ქერის უბანი (**4** ივლისის გ/ჩ) **14.15** განსხვავებული აქცენტები (გ/ჩ) **15.30** პროფილი გ/ჩ **18.45** "ბრავო" გ/ჩ **19.45** იღბლიანი ბორბალი **21.00** P.S. **22.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **23.00** კომედი შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ.

**08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.55** დ/ფ "მოქვი" **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **13.25** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.55** ეპოქის სახელები **17.20** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** "ჩვენი ამბავი" **18.40** დროის ჩანაწერები **19.20** მხ/ფ "**ბესამე**" **21.25** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.30** კვირიაკე **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** წმინდა მოწამე დიმიტრი ყიფიანი **00.30** პორტრეტები **01.30** მხ/ფ "**ბიძაჩემი**".

**7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.20** მულტფილმი **8.00** "უცნობი ისტორიები"(გამ.) **8.20** "თქვენი გადახდილია"(გამ.) **8.50** TV **11** მაესტროზე (გამ.) **9.20, 11.00, 13.25, 16.00, 20.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **10.30** სამედიცინო გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 18.00, 0.50** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **12.30** გადაცემა "თეკუნას კულინარიუმი" **12.50, 0.00** გადაცემა "**ID**" **13.10** გადაცემა "ურბანსპორტი" **15.30** NX სპიკერი **18.30, 0.20** ჟურნალისტური გამოძიება ("მონიტორი") **19.00 სერიალი "თანაგრძნობა"** **21.00, 1.15** ვახო სანაიას რეპორტაჟი **22.00 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15** იუმორისტული შოუ -"4X4“ **23.45** "აბების" კვირის ანეკდოტები.

### ვერძი

საკმაოდ დატვირთული და არაერთგვაროვანი პერიოდია. ბევრ დროს წაართმევთ სახლის საქმეები და შემოქმედებითი მუშაობა. ნუ იქნებით კრიტიკული სხვების მიმართ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას. ეცადეთ ეს დრო გამოიყენოთ ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად და დასვენებისთვის.

### კურო

ნუ აჰყვებით ილუზიებსა და ოცნებებს, რათა არ დაკარგოთ მომავლის რეალური ხედვის უნარი. გაიზრდება გადაადგილებებისა და შეხვედრების რაოდენობა. სამსახურში წარმატებული მუშაობა მომავალში ფინანსურ უზრუნველყოფას გპირდებათ. იყავით თავისუფალი და თავდაჯერებული. არ დაარღვიოთ კანონი და იყავით მოწესრიგებული. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### ტყუპები

ნუ იზარმაცებთ, რათა შემოსავლები გაზარდოთ და ახალი სამუშაო ადგილიც იპოვოთ, თუმცა, ნუ დახარბდებით სწრაფ შემოთავაზებებს. კარგად დაფიქრდით და აწონდაწონეთ ყოველი გადაწყვეტილება. კარგია ახალი გეგმების ჩამოყალიბება. მოერიდეთ ნაჩქარევად საქმის დაწყებას.

### კირჩხიბი

პიროვნული თვისებების გამოვლენისა და შემოქმედებითი მუშაობის პერიოდია. ყურადღება მიაქციეთ საკუთარ ქცევებსა და იმიჯის მოწესრიგებას. მოერიდეთ საყვარელ ადამიანთან კამათს და, ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ მის გვერდით.

### ლომი

ადვილად მოახერხებთ ახალი ინფორმაციის მიღებას. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. ახლა გჭირდებათ გვერდით პარტნიორი, რომელიც დახმარებას გაგიწევთ პროფესიონალურ საქმიანობაში. გადაადგილებები და შეხვედრები ცხოვრებას მეტად საინტერესოს გახდის. კარგი იქნება თუ სასიყვარულო ურთიერთობაში ცვლილებებს შეიტანთ.

### ქალწული

გახშირდება მეგობრული შეხვედრები. პროფესიონალური საქმიანობა დამღლელი აღმოჩნდება, ამიტომ, დროდადრო შეისვენეთ. ვიწრო წრეში ლიდერობა უფრო მეტ პოპულარობას მოგიტანთ. ნუ მოატყუებთ საყვარელ ადამიანს, რათა ეს არ გახდეს სკანდალისა და თქვენი დაშორების მიზეზი.

### სასწორი

ენერგიული და შრომისუნარიანი იქნებით. გაიზრდება თქვენში ორგანიზებულობა და შემოქმედებითი უნარი. იყავით ერთდროულად გულღია და დიპლომატიური. ასევე, მეტად წინდახედული. ცხოვრებაში ცვლილებები ყურადღებით დაგეგმეთ და გააკონტროლეთ ემოციები და ქცევები – ასე ადვილად მოიპოვებთ ლიდერის პოზიციას.

### მორიელი

პარტნიორებთან ურთიერთობის დამყარების უნარზე იქნება დამოკიდებული თქვენი პროფესიონალური საქმიანობის წარმატება და წინსვლა. გაიზრდება მოლაპარაკებების რაოდენობა. კარგია სადმე გამგზავრება და დასვენება. უკეთესობისკენ შეიცვლება სოციალური სტატუსიც. პირად ცხოვრებაში თავს მშვიდად და ჰარმონიულად იგრძნობთ.

### მშვილდოსანი

საქმეებში შეფერხებები ნუ შეგაშინებთ. ეცადეთ, მინიმალური შეცდომები დაუშვათ ცხოვრებაში. კარგია ძველი საქმეების დასრულება, მოგზაურობა. ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს და გაუაზრებლად ნუ გარისკავთ. ასევე, ნუ გააბამთ რომანტიკულ ურთიერთობას უცნობებთან.

### თხის რქა

ეცადეთ, ისე მოაგვაროთ სახლისა და სამსახურის პრობლემები, რომ არ შეიქმნათ ზედმეტი პრობლემები. ნუ ეცდებით დიქტატორული თვისებების გამოვლენას. იყავით მომთმენი. არ ვარგა ახალი საქმის წამოწყება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება. დაშვებული შეცდომები დროულად გამოასწორეთ. საყვარელ ადამიანთან ნუ იქნებით უხეში.

### მერწყული

მეტი დრო გაატარეთ ხალხის გარემოცვაში. საქმეში იმოქმედეთ შემოქმედებითად და დაიცავით დისციპლინა. დამოუკიდებლად მუშაობა შედეგს ვერ გამოიღებს, ამიტომ, იმოქმედეთ თანამოაზრეებთან ერთად. ნუ წამოიწყებთ ახალ პროექტებს. გადაამოწმეთ ყველა საბუთი და ხელი ისე მოაწერეთ. პირად ცხოვრებაში კი ერთფეროვნება მომაბეზრებელი აღმოჩნდება.

### თევზები

რთული პერიოდია. ნებისმიერმა ცვლილებამ, შესაძლოა, დაგირღვიოთ შინაგანი წონასწორობა. აკონტროლეთ საკუთარი თავი, რათა კარიერული წინსვლა მოახერხოთ. დახმარებას გაგიწევენ ოჯახის წევრები. დაფიქრდებით შემოსავლის ახალ წყაროზე. სიფრთხილე გამოიჩინეთ გადაადგილებებისას, რადგან მაღალია ტრავმების ალბათობა.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 27 ივლისი, 22 სთ: 20 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

შეაფასეთ საკუთარი შესაძლებლობები რეალურად. ადამიანებში გამახვილდება მგრძნობელობა და კეთილგანწყობა. შესაძლებელია მატერიალური მდგომარეობის გამოსწორება. ატარეთ ვერცხლისფერი, ცისფერი, წითელი, ყვითელი ან ვარდისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აკვამარინი, საფირონი, ცირკონი, ციტრონი ან ფირუზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა ყვავილების დარგვა-გადარგა. კარგია სამეცნიერო კვლევა, დიეტის დაწყება, საზოგადოებრივი საქმიანობა, სახლის მშენებლობა. სუსტდება თვალები, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი

მოიმატებს საკუთარ ცხოვრებისეულ გარემოებებზე უკმაყოფილების გრძნობა. არ ვარგა საიდუმლო საქმეები. ატარეთ მწვანე, ფირუზისფერი, იისფერი, ვერცხლისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – გიშერი, მარგალიტი, ამეთვისტო, მარჯანი ან ალექსანდრიტი. ყურადღება მაიქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, სასიყვარულო შეხვედრები, ინტიმური ურთიერთობა, მოგზაურობა, იურისტებთან კონტაქტი, კაპიტალდაბანდება, მცენარეების დარგვა-გადარგვა. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

გამახვილდება ინტუიცია. ადამიანებში მოიმატებს სექსუალურობა, შემოქმედებითი უნარი, ოპტიმიზმი, რთულ სიტუაციებში გამოსავლის ადვილად პოვნა. კარგია საქმიანი კონტაქტები. ატარეთ ვერცხლისფერი, ფირუზისფერი, მწვანე, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიაცინტი, ამეთვისტო ან მარჯანი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა საიდუმლო საქმეები, სასიყვარულო კავშირები. სუსტდება ნერვული და ლიმფური სისტემები, ტერფები.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი

აკონტროლეთ ხასიათში ქედმაღლობა. იყავით მეტად კეთილშობილი და დამთმობი. გამოიჩინეთ მეტი სიფრთხილე და წინდახედულება. არ ვარგა თმის შეჭრა, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, საფინანსო ოპერაციები, ხელშეკრულებების დადება, კაპიტალდაბანდება. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, სარდიონი ან ძოწი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. კარგია ტექნიკასთან ურთიერთობა, ხელმძღვანელებთან კონტაქტი, მოგზაურობა. სუსტდება თავი, კბილები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი

სიყვარულის გამოხატვის, რომანტიზმის გამოვლენის დღეა. მოიმატებს თავისუფლებისადმი ლტოლვა. ატარეთ წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ფირუზი. ყურადღებას ნუ მიაქცევთ სიზმრებს. მოერიდეთ კამათს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს. კარგია ხელმძღვანელებთან ურთიერთობა, მოგზაურობა. სუსტდება თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

ყურადღება მიაქციეთ მინიშნებებს. მოერიდეთ გაღიზიანებასა და აგრესიას; ასევე, კონფლიქტებსა და კამათს. მოიმატებს ინტუიცია. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ყვითელი იასპი, ქრიზოპრაზი ან ამეთვისტო. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მაღალია ტრავმების და ავარიების ალბათობა. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამშენებლო მასალების ყიდვა, ვაჭრობა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ცვლილებების დღეა. კარგია პატიება, ურთიერთობების აღდგენა. მოერიდეთ თმის შეჭრას, სარისკო ქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მწვანე იასპი ან ონიქსი. საეჭვოა სიზმრების ახდენა, ამიტომ, ნუ მიაქცევთ მათ ყურადღებას. კარგია სასიყვარულო შეხვედრები, ახალი ნაცნობობა, შემოქმედებითი მუშაობა, გართობა, მოგზაურობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, ფარისებრი ჯირკვალი, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებიისთვის, სასწორებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**სოფრომაძე-სოფრომიძე**

**სოფრომაძეები** იმერლები არიან. მოიხსენიებიან სოფლებში: რუფოთი, ძევრი, ზარათი, კვალითი, ნერგეეთი, პერევისა, საირხე, ჩხარი, ძიროვანი, ხრეითი.

ზარათში **სოფრომაძეები** იყვნენ საბატონო გლეხები, კვალითშიც საბატონო გლეხები იყვნენ.

**სოფრომო** წინაპრებს ნასესხები აქვთ ბერძნებისგან; **სოფრომ**, იგივეა, რაც „საღად მოაზროვნე", „კეთილგონიერი".

„ვაჟიბედაი **სოფრომაძე** მეფემ შესწირა გელათის ულუხან (ლორთქიფანიძის) სიმწირველისთვის. ემართა ათი თეთრი, ორი კოდი ღომი, სამი კოკა ღვინო, ერთი ზვინი თაკა..." (1573 წელი).

**სოფრომაძე** ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარია. მეცამეტე საუკუნიდან ჩანს. **სოფრომაძე** და **სოფრომიძე** ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში ყველაზე დაწინაურებულ 1 000 გვარში **სოფრომაძეებს** 321-ე ადგილი უკავია.

საქართველოში 2 479 **სოფრომაძე** ცხოვრობს. ტყიბულში – 654, ქუთაისში – 458, თერჯოლაში – 374, არიან სხვაგანაც.

28 **სოფრომიძე**. ზესტაფონში – 8, თბილისში – 5, საჩხერეში – 3., არიან სხვაგანაც.

**შამრელაშვილი-მრელაშვილი**

**შამრელაშვილი** ართრონიზებული გვარია. სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: „ართრონი არიან ასოები, რომელნიმე წინა მიუბავები ან სიტყვათა და რომელიმე უკანა და გუარიან ჰყოფენ და დაატკბობენ".

ადრინდელი გვარი უნდა ყოფილიყო **მრელაშვილი** (აქედანვეა გვარი **მრულობელი**), მიგრაციის პროცესში დაემატა ართრონი – **შა**.

**„მრელა**-ს, ვილაცამ წაუმძღვარა **შამრელ** და წავიდა ახალი გვარი **შამრელაშვილი".**

**შამრელაშვილი** მცირერიცხოვანი ქართული გვარია.

საქართველოში 24 **შამრელაშვილი** ცხოვრობს. ახმეტაში – 17, თელავში – 4. ცხოვრობენ აწყურშიც.

373 **მრელაშვილია**. თელავში – 242, თბილისში – 56, ახმეტაში – 48, არიან სხვაგანაც.

**ზავრაშვილი**

**ზავრაშვილი** ქვემო ქართლში გაჩენილი და იქიდან კახეთში გადასული გვარია. ზოგჯერ გვარი მოიხსენიება **ზავარაშვილადაც**.

**ზავარაშვილები** და **ზავრაშვილები** იყვნენ აზნაურები. იოანე ბაგრატიონი, წიგნში „შემოკლებითი აღწერა, საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა ოჯახებისა" წერს: „აზნაური **ზავარაშვილი** მოიხსენიება მეფე როსტომის დროს 1655 წელს და არიან ესენი მოხსენიებულნი ტრაქტატსა შინაცა". ესება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს.

1721 წლის აღწერით, ქვემო ქართლში მებატონე-მემამულეებად ჩანან **ზავარაშვილი** იოთამი, კომლი – 5, თავი – 5, მოლაშქრე – 5. სოფლებში გილაგდაგი, ხინძირკუტი; **ზავრაშვილი** ზურაბა ცხოვრობდა გილაგდაგში.

საქართველოში 497 **ზავრაშვილი** ცხოვრობს. გურჯაანში 364, თბილისში – 73, რუსთავში – 19. არიან სხვაგანაც.

**მირიანაშვილი**

გვარის ფუძეა სახელი **მირიან**. სპარსულად ეს სახელი ნიშნავს „მითრახი" ანუ „მზისა" – „მითრა" მზის ღვთაების სახელია. მისგანვეა ნაწარმოები სახელი **მითრიდატე**. სახელი **მირიან** ქართულში უძველესი ხანიდან გვხვდება. **მირიანი** ერქვა ვახტანგ გორგასლის პაპას, ქართლის მეფეს.

სახელი **მირიანისგან** ნაწარმოებია გვარი **მირიანაშვილი.**

ქართულ სამართლის ძეგლებში ასეთი ინფორმაცია გვხვდება: „**მირიანაშვილი** გიგოლა, რუხს მცხოვრები, საამილახვროს დავთრის მიხედვით, მისი კომლიდან სამ კაცს ევალებოდა თოფით ლაშქრობა" (მეჩვიდმეტე საუკუნე). „**მირიანაშვილი** დათუნა იყო შვილი გახარა **მირიანაშვილისა**. ჰყავს შვილი ოთარ, მან მიჰყიდა თევდორე რაზმაძეს მიწა კლდის თავს, რაზმაძის მიწის გვერდით და იქვე, თავისი განაყოფისგან დახსნილი მიწა". (1960-იანი წლები).

ოთია **მირიანაშვილს** გამოჰყოფია შტო-




გვარი ბეჟანიშვილი. ეს მოხდა 1678 წელს.

საქართველოში 1 570 **მირიანაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 610, სიღნაღში – 498, გურჯაანში – 138. ცხოვრობენ სხვაგანაც.

**მახვილაძე**

**მახვილაძეები** ამირეჯიბთა გვარისანი არიან და ისინი იოანე ბაგრატიონს შეყვანილი ჰყავს „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა" სიაში. ის წერს: „აზნაურ **მახვილაძეთა** წინაპარი იყვნენ მონათესავენი ამირეჯიბთა და ესახლდნენ ჯავახეთის კერძო მთისა, **მახვილად** წოდებულსა, რომლისა გამო გაუგვარდათ ესე სახელი **მახვილეობა** და დროსა ერეკლე მეფისასა, წელსა 1621-სა ცედანს სოფელს მოვიდნენ და დაეშენნენ სურამის, კერძოდ და მუნიდგან გაუგვარდათ გვარი მისი სახელსა გამო და არიან მოხსენებული ტრაქტატსა შინა. ხოლო რომელნიმე ამათ გვარი ჰსცხოვრობდენ როსიისა შინა და სხვანი ქართლს."

„**მახვილაძე** ბათიაშვილების გაყრის დროს ერგო გერმანოზსა და მის ძმებს" (1523 წელი).

1840-იან წლებში **მახვილაძეები** ცხოვრობდნენ იმერეთის შემდეგ სოფლებში: გეგუთი, გოდოგანი, მანდიკოსი, ღვანკითი, ჭყეპი, ხონი, ჯონია.

საქართველოში 547 **მახვილაძე** ცხოვრობს. ქუთაისში – 175, თბილისში – 144, ტყიბულში – 125. ცხოვრობენ სხვაგანაც.

**ლელუაშვილი**

გვარის ფუძეა გამოყენებული ქალის საკუთარი სახელი **ლელა**. ამავე ძირისაა გვარები **ლელაშვილი, ლელაძე.**

**ლელა** „სწორთმიანს" ნიშნავს, ასევე მცენარის სახელისგან არის წარმოშობილი. მეჩვიდმეტე საუკუნიდანაა ცნობილი თეიმურაზ მეფის ასული **ლელა** ბატონიშვილი.

„**ლელუაშვილი** ნადირა, გარეჯვარს მცხოვრები, ის და მისი სახლიკაცი ქრისტესია **ლელუაშვილი** მამულებით წილში ხვდნენ მანუჩარ და ჯიმშიტა თუმანიშვილებს" (1656 წელი).

„**ლელუაშვილი**, ერთი კომლი, კათალიკოსმა იოვანე დიასამიძემ ის მამულით უწყალობა არქიმანდრატ ნიკოლოზ გაბადაძეს" (1698 წელი).

საქართველოში 276 **ლელუაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 138, მცხეთაში – 73, გორში – 31, არიან სხვაგანაც.

**უმეკაშვილი**

გვარის ფუძემდებელს სახელად **უმეკა** რქმევია. სამართლებრივ ძეგლებში მოიხსენიებიან „**უმეკაშვილი – უმეკაანთ – უმეკათ**"; „**უმეკა** მირტაშენს მცხოვრები, ის მამულით წილად ხვდა იოთამ ბარათაშვილს" (1537-1538 წლები).

„**უმეკაშვილი**, რუისში მცხოვრები, დავით მეფემ ის შესწირა ოქონას საყდარს" (1382 წელი).

„**უმეკაშვილის** შარასთან მდებარეობდა გივი სააკაძის მიერ ლიპარ თუმანიშვილისთვის მიყიდული მიწა" (1963 წელი).

„**უმეკაშვილი** ნასყიდა, მოწმე და შუამდეგი ბახუტა ელიოზისძის მიერ სახლთუხუცეს რევაზ მაღალაშვილისთვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1689 წელი), ბატატი მახალაშვილის მიერ სვეტიცხოვლის სახლთუხუცეს რევაზ მაღალაძისთვის მიცემულ ბაგის ნასყიდობის წიგნისა" (1690 წელი).

**უმეკაშვილი-უმიკაშვილი** ქართული გვარსახელია. წინაპარს **უმეკა** რქმევია. გვარს სულ ცოტა 7-8 საუკუნის ისტორია აქვს და ბევრი გამოჩენილი პიროვნებაც ჰყავდა.

საქართველოში 400 **უმეკაშვილი** ცხოვრობს. ქარელში – 221, გორში – 118, თბილისში – 26, ცხოვრობენ სხვაგანაც.

**სახვაძე – მსახურაძე**

გვარში ფუძეა საკუთარი სახელი **სახვა**. მათი წინაპრები დიდი მორწმუნეები იყვნენ – „პირჯვარს გამოსახავდნენ" (იწერდნენ) და „დროთა განმავლობაში „გამოსახვიდან" თავისით ჩამოცილდა და ფუძედ დარჩა **სახუა** (გამოსახვა).

როგორც ხვთის მოსამსახურეებს, გასჩენიათ მეორე გვარიც – **მსახურაძე** (ეს გვარი გვხვდება თავად დიასამიძეებთანაც). ზოგი მკვლევარი ამბობს, **სახვაძეები** წინათ გამრეკელები იყვნენო.

დღეს **სახვაძეები** ცხოვრობენ უბისაში, მდინარე ძირულას ორივე მხარეს. დაყოფილი არიან უბნებად, მათ შერქმეული აქვთ თავიანთი ახლო წინაპრის სახელი (ან მეტსახელი). **სახვაძეთა** თიკუნებია: ტატანაშვილები, ბუჭაშვილები, კვაჭაშვილები, მურმანიშვილები, ზაცანაშვილები, კვირიები.

საქართველოში 1 145 **სახვაძე** ცხოვრობს. თბილისში – 308, ხარაგაულში – 250, გორში – 116, ცხოვრობენ სხვაგანაც.

146 **მსახურაძე**: შუახევში – 51, ხელვაჩაურში – 32, ბათუმში – 31, არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მსახიობსა და დირიჟორ ირაკლი ჩოლოყაშვილს, ამჟამად, შეიძლება ითქვას, ახალი ცხოვრებისეული ეტაპი აქვს. ჩვენი ინტერვიუც სწორედ ამ სიახლით დავიწყეთ.**

# როდის მოევლინება ქვეყანას თეიმურაზ ირაკლის ძე ჩოლოყაშვილი და როგორ ცხოვრობენ მის მოლოდინში ირაკლი ჩოლოყაშვილი და მისი მეუღლე

**ირაკლი ჩოლოყაშვილი**: ერთი წლის წინ დავქორწინდი.

**– ვინ არის თქვენი რჩეული?**

– ჩემი რჩეული მუსიკოსია – მევიოლინე სალომე ბუკია. სკოლის მოსწავლე რომ იყო, იმ პერიოდიდან ვიცნობდი. სალომე ჩემზე 15 წლით უმცროსია. მე 41 წლის ვარ.

**– ერთმანეთს იცნობდით უკვე დიდი ხნის წინ... ახალი ეტაპი ურთიერთობაში როდის დაგიდგათ?**

– როდის და, როცა განვქორწინდი ჩემს ყოფილ მეუღლესთან. ჩვენი დაშორებიდან დაახლოებით ერთ წელიწადში ვიქორწინეთ მე და სალომემ.

**– სად და როგორ „გადაიკვეთეთ"?**

– მე ხომ მსახიობი და დირიჟორი ვარ. ადრე სალომეს ჩემთან, ორკესტრშიც დაუკრავს. ჩვენ ძალიან ბევრი საერთო მეგობარი გვყავს, კონცერტებზე ხშირად დავდივარ და, მოკლედ, ასე მოხდა ეს ამბავი. შარშან, დაახლოებით ამ დროს დავქორწინდით. ახლა, ფაქტობრივად, წლისთავზე, შვილს ველოდებით...

**– ოქროსთმიან ვაჟს?...**

– ჰო ***(იცინის).*** თმის ფერი არ ვიცი, მაგრამ, ისე, ვაჟს ველოდებით. არ გვინდოდა წინასწარ სქესის გაგება, თუმცა, ბოლოს მაინც წაგვძლია სულმა.

**– სახელიც ხომ არ შეურჩიეთ უკვე?**

– ვნახოთ, ალბათ მამაჩემის სახელს დავარქმევთ – თეიმურაზს.

**– როდის მოევლინება ქვეყანას თეიმურაზ ირაკლის ძე ჩოლოყაშვილი?**

– უკვე მალე. ვნახოთ, აგვისტომდე თუ გაჩერდება მუცელში ***(იცინის).***

**– როგორი ორსულობა აქვს სალომეს, მიზეზობს?**

– სალომეს უთხრეს, იმ იშვიათ ორ პროცენტში გადიხარ, რომელსაც ყველაზე მარტივი და უპრობლემო ორსულობა აქვსო. ჩვეულებრივად არის, არც მიზეზობს, არც არაფერი აწუხებს.

**– თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?**

– ამ მომენტში სალომე ჩემზე უფრო დაკავებულია, მაგრამ, იმედი მაქვს, მალე გაათავისუფლებენ, იმიტომ, რომ მაინცდამაინც ახლა მუშაობა არ არის მისთვის რეკომენდებული.

**– სად მუშაობს სალომე?**

– ჯანსუღ კახიძის სახელობის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში.

**– როგორ გაქვთ გადაწყვეტილი, ძიძა გინდათ, აიყვანოთ?**

– ყველანაირად ვეცდებით, რომ ავცდეთ ძიძის ინსტიტუტს. მე მგონია, მის გარეშე გავძლებთ; ყოველ შემთხვევაში, ბებიები ჰყავს ბავშვს და, იმედი გვაქვს, ხელს შეგვიწყობენ. ისედაც, არა მგონია, ერთი ბავშვის გაზრდა ისე რთული იყოს, რომ მაინცდამაინც ძიძა დაგვჭირდეს. სალომეს გრაფიკიც ისეთი აქვს, დილის თერთმეტიდან ორ საათამდეა სამსახურში – რეპეტიცია აქვთ მაგ დროს. ამ პერიოდში რაღაცას მოვახერხებთ. მეტი შვილები რომ გვეყოლება, მერე ვნახოთ, რას ვიზამთ.

**– რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?**

– რამდენსაც ღმერთი ინებებს. ჩემი ასაკიდან გამომდინარე – ახლა 41 წლის ვარ, თუ გავითვალისწინებ მამაჩემისა და პაპაჩემის გარდაცვალების ასაკს (ერთიც და მეორეც 63 წლის იყო), ბავშვი რომ გამიჩნდება, გზაზე ხომ უნდა დავაყენო?!

**– რა ცუდ რამეებზე ფიქრობთ...**

– ცუდზე არ ვფიქრობ, პასუხისმგებლობაა მეტი. ხომ არ შევაჩერებ ამ გოგოს, სალომეს ვგულისხმობ, შვილებს, მე კი დავიხურავ ქუდს და წავალ იმქვეყნად, ეგრე არ არის...

**– როგორც ვიცი, მეორე შვილიც გყავთ, უფრო სწორად – პირველი.**

– პირველი. დიმიტრი წლის და რვა თვის არის.

**– მაშასადამე, გაქვთ პატარების მოვლის პრაქტიკა.**

– მეტ-ნაკლებად. ჯერ დამოუკიდებლად ვერ ვნახულობ, მაგრამ, მალე ვნახავ, ალბათ, უკვე ამ დღეებში. ჩვენ რთული პროცესები გადავიტანეთ – მამისა და შვილის ურთიერთობის დასარეგულირებლად დაგვჭირდა ოფიციალური სტრუქტურის ჩართვა იმისთვის, რომ ყველას ინტერესები ყოფილიყო დაცული, როგორც მამის, ასევე – ბავშვის.



ვერ ვასწრებ შეგინებას, იმდენად ჩქარა ვმოძრაობ

**– ჩანს, ცოტა მტკივნეულად დაშორებიხართ ერთმანეთს.**

– საერთოდ, არა მგონია, დაშორება ვინმესთვის უმტკივნეულო იყოს, მით უმეტეს, როცა შვილი გყავს. თუ გრძნობ პასუხიმგებლობას, რასაკვირველია, მტკივნეულია.

**– რა იყო თქვენი დაშორების მიზეზი? ეჭვიანობა, ან, მესამე პირი ხომ არ არის გარეული?**

– არა, ნამდვილად არა. ვცადეთ, რომ ყველაფერი სხვანაირად წარმართულიყო. პირველადაც გვქონდა პრობლემები და გადავლახეთ, აი, მერე კი უკვე გაგვიჭირდა.

**– სულ რამდენ ხანს იყავით ერთად?**

– ოთხი წელიწადი.

**– დიმიტრისა და თეიმურაზს როგორი ურთიერთობა ექნებათ?**

– ალბათ, კარგი ურთიერთობა ექნებათ, ამის იმედი მაქვს. მათ შორის ასაკი დიდი არ იქნება, თან, ჩემს დას ჰყავს ტყუპი ბიჭები, ასაკით ყველანი ახლოს არიან და მე ერთ კალათბურთის გუნდს მაინც გავაკეთებ ***(იცინის).***

**– სპორტის თემა შემოვიდა და ბარემ შეგეკითხებით: ფეხბურთის ჩემპიონატს თუ ადევნებთ თვალს?**

– მე მხოლოდ დასკვნით ეტაპებს ვუყურებ ხოლმე. ყოველთვის გერმანიის ნაკრებს ვქომაგობ.

**– ტოტალიზატორებში დადიხართ?**

– არა. აზარტული კი ვარ, მაგრამ, ისეც არა, რომ ტოტალიზატორს მივაკითხო.

**– ჩოლოყაშვილებზე ვისაუბროთ.**

– ჩვენი შტო ახმეტიდან არის.

**– კახელისთვის საკმაოდ ღია ფერებში ხართ, ალბათ, თქვენს გარეგნობაში დედის გენი დომინირებს. ასეა?**

– მე მგონი, ბებიაჩემის – მამის დედის მხარე დომინირებს ჩემს გარეგნობაში. გულისაშვილები უფრო იყვნენ ჩემს ფერებში. დედა სვანი მყავს.

**– სვანისა და კახელის ნაჯვარი, რა თავისებურებებს პოულობთ თქვენს ხასიათში? მგონია, რომ ორივე კუთხის წარმომადგენლები ხასიათდებიან სიჯიუტითა და პირდაპირობით.**

– სხვათა შორის, ამ ორი კუთხის წარმომადგენელთაგან შემდგარი ოჯახი ნაკლებად შემხვედრია. მეგრელები და კახელები უფრო ხშირად ქორწინდებიან ერთმანეთზე.

**– როგორ იპოვეს ერთმანეთი თქვენმა კახელმა მამამ და სვანმა დედამ?**

– სკოლაში სწავლობდნენ ერთად, აქ, თბილისში. რაც შეეხება ხასიათის თავისებურებებს, ჯიუტი რომ ვარ, ეგ, გნებავთ, კახელებს მიაწერეთ, გნებავთ – სვანებს, მაგრამ, ნამდვილად ვარ ჯიუტი. პირდაპირიც ვარ და, ხშირად, მაინცდამაინც კარგი არ არის პირდაპირობა.

**– ცოტა უწმაწური სიტყვებით საუბარიც ხომ არ გიყვართ?**

– არა, ანეკდოტს რომ მოუხდება, მაშინ თუ ვიტყვი უწმაწურ სიტყვებს, ისე – არა.

**– დავიჯერო, საჭესთანაც არ იგინებით?**

– ძალიან ნაკლებად. ვერ ვასწრებ შეგინებას, იმდენად ჩქარა ვმოძრაობ. რაღაცეები რომ ხდება, მე უკვე იქ აღარ ვარ ხოლმე.

**– მგონია, სვანისა და კახელის ნაჯვარს მეგრელი ცოლი მართლა მალამოდ მოეცხობოდა.**

– ჰო, მართლაც ასეა. ჩემი მეუღლე იმდენად აუღელვებელი ადამიანია, რომ, თუ მე რამეზე აღელვებული ვარ, უსიტყვოდ მამშვიდებს. გადამდები სიმშვიდე აქვს.

**– საკეისროთი ხომ არ აპირებს ბავშვის გაჩენას?**

– საკეისრო არ უნდა, მაგრამ, თვალების პრობლემა აქვს და ურჩიეს, რომ საკეისრო ჯობიაო, რასაც ძალიან განიცდის. ეხვეწა ექიმს, იქნებ, ფიზიოლოგიურად მამშობიაროთო. ექიმმა – სხვები პირიქით მეხვეწებიან ხოლმეო ***(იცინის).***

**– ბევრ ქმარს აქვს სურვილი, რომ ცოლის მშობიარობას დაესწროს. თქვენ რას აპირებთ?**

– მე მაინც მირჩევნია, ჭიქა ავწიო, ვიდრე მშობიარობას დავესწრო ***(იცინის).*** ყოველ შემთხვევაში, ასე მირჩევნია და, ვნახოთ. ყველა თავისი საქმით იქნება დაკავებული და მე იქ ჩემს ადგილს ვერ ვიპოვი.

**– თქვენი საქმე ნერვიულობა იქნება...**

– კედლის აქეთ ვინერვიულებ. პირველ შვილზეც გარეთ ვნერვიულობდი.

**– რატომღაც, ისე გამოვიდა, რომ ორივე მეუღლე საკმაოდ ბევრით უმცროსია თქვენზე.**

– პირველ მეუღლეზე რვა წლით უფროსი ვიყავი.

**– მეორე ქორწინებისას კი თითქმის გაორმაგეთ ეს ზღვარი...**

– აი, მესამეზე ვნახოთ, რა იქნება ***(იცინის)...*** ხუმრობა იქით იყოს და, სალომეს მშობლებს შორისაც დაახლოებით ასეთივე ასაკობრივი სხვაობაა. დედაჩემი კი ერთი წლით უმცროსი იყო მამაჩემზე. ასე პირდაპირი რეცეპტი, ალბათ, არ არსებობს, მთავარია, ადამიანები ბედნიერები იყვნენ. ასაკობრივ მარაზმში არ გადახვიდე, მაგრამ, ვფიქრობ, როდესაც ზრდასრულია ადამიანი, ასაკს მაინცდამაინც მნიშვნელობა აღარ აქვს.

**ეკა სალაღაია**

# როგორ გაიტაცეს თბილისი-ქუთაისის ავტომაგისტრალიდან მილიონი მანეთით დატვირთული „ერაზი“

*პუბლიკაციის ზოგიერთი გმირის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მიმსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.*

### ფანტასტიკური ძარცვა

1977 წლის 30 დეკემბერი იყო. თბილისი-ქუთაისის საავტომობილო მაგისტრალზე ცენტრალური ბანკის ფურგონიანი „ერაზი“ მისრიალებდა. წინა სალონში მძღოლი და მთავარი ინკასატორი ისხდნენ. საბარგულში კი ოთხი გამცილებელი, რომლებიც „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტებით იყვნენ შეიარაღებულები. ბანკის ფურგონში ფულით სავსე ოთხი ტომარა ეწყო და თითოეულში 250-250 ათასი საბჭოთა მანეთი იყო. ეს თანხა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის თანამშრომლებისთვის გახლდათ განკუთვნილი.

დილის 7 საათი იყო და ტრასაზე ბნელოდა. მანქანები კანტი-კუნტად მოძრაობდნენ და თვით „გაის“ ავტოინსპექტორებიც არ ჩანდნენ.

– ნოდარ, ამ ტრაილერს გაასწარი, თორემ ასე მგონია, მთას ვასკდებით, – უთხრა მძღოლს მთავარმა ინკასატორმა, ჯონი მამრაძემ.

როგორც კი „ერაზის“ მძღოლმა მანევრი დაიწყო, ტრაილერმა მას გასწრების საშუალება არ მისცა. პარალელურად კი, ამ უზარმაზარი მანქანის საბარგული ავტომატურად გაიღო. იქიდან ოთხმა ნიღბიანმა ავტომატები მიუშვირეს სალონს. მეხუთე ნიღბიანმა კი უზარმაზარი, განათებული ტრანსფარანტი დაანახვა მძღოლს, რომელზეც ეწერა: „ბაგაჟნიკში ამოდი, თორემ ცეცხლს გაგიხსნით და აგაფეთქებთ“. ტრაილერიდან ფოლადის პლატფორმა ასევე ავტომატურად დაეშვა და „ერაზი“ მასზე შედგა. შემდეგ პლატფორმამ ბანკის მანქანა საბარგულში შეიტანა და უზარმაზარი კარიც დაიხურა. მძარცველებმა ჯერ ავტომატები დააწყვეს და ნიღბები მოიხსნეს. შემდეგ აირწინაღები გაიკეთეს და „ერაზის“ სალონში გაზი შეუშვეს.

### ექსპერტიზის დასკვნა

უზარმაზარი ტრაილერი, გორის მისადგომებთან აღმოაჩინეს. მანქანა გზის მარცხენა მხარეს იდგა. სალონში გაძარცვული ბანკის „ერაზი“ იყო მოთავსებული და ტრაილერის ფოლადის მოძრავ პლატფორმაზე ექვს ადამიანს ეძინა.

1977 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 16 საათზე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბანკის მანქანის ძარცვის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ჯემალ იაშვილი უძღვებოდა. თავდაპირველად მან გამოფხიზლებული მძღოლი და ინკასატორები დაკითხა. საბარგულში მსხდომებმა საგულისხმო ვერაფერი უთხრეს პოლდპოლკოვნიკს. მძღოლმა და მთავარმა ინკასატორმა კი რაც ნახეს, დეტალურად მოუყვნენ იაშვილს. ტრაილერი ექსპერტებმა დეტალურად შეამოწმეს და დაასკვნეს, რომ მოძრავი პლატფორმა და მექანიკური კარი მძლავრი ჰიდრავლიკური მოწყობილობით იმართებოდა, რომელიც საბარგულის შიგნით იყო დამონტაჟებული. მსგავს მოწყობილობებს ამზადებდა მოსკოვის მეორე მექანიკური ქარხანა და თბილისში ის თითქმის ყველა დიდ საწარმოს ჰქონდა. ექსპერტების დასკვნით, ამ მოწყობილობის დამონტაჟება მხოლოდ გამოცდილ ინჟინერს შეეძლო და დილეტანტი ამას ვერ იზამდა.

საინტერესო იყო თავად ტრაილერის ისტორიაც. ეს უზარმაზარი მანქანა ქალაქ როსტოვის №1 ავტოპარკს ეკუთვნოდა და მისი მძღოლი როსტოვის მკვიდრი, 41 წლის ვიქტორ კანტაუროვი გახლდათ. ის საქალაქთაშორისო რეისებზე მუშაობდა და საბუთების მიხედვით, 1977 წლის 16 დეკემბერს ერევანში გაემგზავრა. იქიდან როსტოვში ტუფის ქვები უნდა ჩაეტანა ერთ-ერთი სამშენებლო ტრესტისთვის. მძღოლი 31 დეკემბერს უნდა დაბრუნებულიყო როსტოვში. კანტაუროვი 1 იანვარს აღმოაჩინეს მცხეთის ტრასაზე. ის მანქანის გაჩერებას ცდილობდა და მილიციას განუცხადა, მხოლოდ ის მახსოვს, საკმაოდ დიდი დრო რომ გავატარე ბნელ სარდაფშიო. თუ სად? – არ იცოდა. მას არც სარდაფში მოხვედრისა და არც იქიდან გათავისუფლების ეპიზოდები ახსოვდა და ვერც პიროვნებებს ასახელებდა. მძღოლი დააკავეს და თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ციხეში მოათავსეს.

## საშკუნის ძარცვა ორი ცალი ასმანეთიანის მეშვეობით გაიხსნა

### სამხედრო ინჟინრის ჩვენება

მილიონი მანეთის ძარცვის საქმე ადგილიდან არ იძროდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ცნობილი მაძებარი იყო ჩართული, შედეგი, ფაქტობრივად, ნულს უტოლდებოდა. ძარცვა იმდენად უპრეცედენტო და უმაღლეს დონეზე ორგანიზებული იყო, გამომძიებლებს ხელჩასაჭიდი სამხილი არაფერი გააჩნდათ. გაუშვეს კანტაუროვიც, რომლის უდანაშაულობაშიც ასი პროცენტით დარწმუნდა ჯემალ იაშვილი და გამოძიება საბოლოოდ ჩიხში შევიდა.

როგორც ხშირად ასეთ შემთხვევებში ხდება, დანაშაულის გახსნას ბოროტმოქმედთა ელემენტარულმა წინდაუხედაობამ შეუწყო ხელი. ძარცვიდან ხუთი თვის შემდეგ, ქალაქ სვერდლოვსკის რესტორან „ურალის“ დირექტორმა სერგეი ლივანოვმა ადგილობრივი მილიციის სამმართველოს უფროსს ორი ცალი ასმანეთიანი კუპიურა მიუტანა და უთხრა:



– ამხანაგო პოლკოვნიკო, აი, ჩაიბარეთ და გადაამოწმეთ. ტკიცინებია და შეიძლება, გაგიმართლოთ კიდეც.

საქმე ის იყო, რომ ნაძარცვი ფულის ნაწილი ახლად დაბეჭდილი ასმანეთიანებისგან შედგებოდა. მილიციას მათი ნომრები ჩაწერილი ჰქონდა და მთელი კავშირის მასშტაბით დაუგზავნეს მილიციის განყოფილებებს. ადგილებზე კი მილიციას თითქმის ყველა სავაჭრო თუ კვების ობიექტების ხელმძღვანელები ჰყავდა გაფრთხილებული. ისინი ვალდებულნი იყვნენ, ასმანეთიანები გადასამოწმებლად მილიციაში მიეტანათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხუთი თვის განმავლობაში მილიციამ მთელი საბჭოეთის მასშტაბით მილიარდ მანეთზე მეტი ასმანეთიანი კუპიურა შეამოწმა და მხოლოდ ორი მათგანის ნომერი დაემთხვა...

1978 წლის 31 მაისს სვერდლოვსკის სისხლის სამართლის სამძებრომ 43 წლის როსტოველი სამხედრო ინჟინერი, პოდპოლკოვნიკი ივანე იოსებიძე დააპატიმრა. ის დაკითხეს და აღიარა, რომ ექვს თანამზრახველთან ერთად, 1977 წლის 30 დეკემბერს საქართველოს ცენტრალური ბანკის კუთვნილი „ერაზი“ გაძარცვა. მანვე თქვა, რომ ტრაილერის მექანიკა თავიდან ბოლომდე მისი დამონტაჟებული იყო. შემსრულებლები კი როსტოვის მოტომსროლელთა სამხედრო ნაწილის სამხედრო მოსამსახურეები გახლდნენ. პოდპოლკოვნიკის ჩვენებაში ვკითხულობთ: „ეს საქმე ჩემმა ცოლის მამიდაშვილმა, აკაკი ჩიტაიამ მომცა, რომელიც ბანკის საინკასაციო განყოფილების თანამშრომელია და „ერაზის“ ზუსტი მარშრუტი მისგან შევიტყვე. მძღოლი კანტაუროვი კი ჩემი როსტოველი მეზობელია. ის მცხეთასთან გავაბრუეთ და ერთ-ერთი კერძო სახლის სარდაფში ორი კვირა გვყავდა გამომწყვდეული...“

დანაშაულებრივი დაჯგუფება 1978 წლის 1-2 ივნისს აიყვანეს. დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს და მათ 15-15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. საგულისხმო ფაქტია, რომ გატაცებული მილიონი მანეთიდან მხოლოდ 200 მანეთი იყო დახარჯული და ფული სრულად ამოიღეს...

***P. S.** ივანე იოსებიძე დღესაც ცოცხალია, 80 წელსაა მიტანებული, თბილისში ცხოვრობს და დიდი ოჯახი აქვს.*

**ნიკა ლაშაური**

# სასიყვარულო სამკუთხედის ტრაგიკული დასასრული

46 წლის გიზო წ-ძე საყვარლის მკვლელობისთვის მას შემდეგ დააკავეს, რაც მის წინააღმდეგ ჩვენება მკვლელობის თვითმხილველმა მისცა. მისი არსებობის შესახებ კი დამნაშავეს წარმოდგენაც არ ჰქონდა. იქამდე ის ამ მძიმე დანაშაულს მეუღლეს აბრალებდა, რის გამოც ქალი ორი თვის განმავლობაში გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

მკვლელობა მარინე მ-შვილის კუთვნილ სახლში მოხდა, სადაც 38 წლის ქალი მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა. გამოძიების მასალებით, მარინე მ-შვილი მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გახლდათ. გარდაცვალებამდე ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი, რეგულარული ურთიერთობა ჰქონდა გიზო წ-ძესთან, რომელიც „მარშუტკის" მძღოლად მუშაობდა. ერთხანს მამაკაცმა საკუთარი ოჯახი, ცოლი და ორი შვილიც კი მიატოვა და საცხოვრებლად მარინე მ-შვილთან გადავიდა. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო კონფლიქტი მამაკაცის მეუღლესა და გარდაცვლილ ქალს შორის. გიზო წ-ძის მეუღლე, 46 წლის მანონი წ-ძე რამდენჯერმე მიუვარდა სახლში ქმრის საყვარელს და მისი სახლიდან გაგდება მოსთხოვა. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე თვე მამაკაცი ორ ქალსა და ორ ოჯახს შორის „ცხოვრობდა". მეუღლის და შვილების დაჟინებული თხოვნის შემდეგ კი, მან მარინე მ-შვილის ბინა დატოვა, თუმცა როგორც მოგვიანებით გაირკვა, დროებით და მალულად, მაინც აგრძელებდა ურთიერთობას ქალთან, რომელიც საბოლოოდ, მისი მსხვერპლი გახდა.

> **თვითმხილველი, ვინც მთლიანად შეცვალა გამოძიების მსვლელობა, აღმოჩნდა ხელოსანი, რომელიც მკვლელობას მალულად ადევნებდა თვალს**

როგორც საქმის მასალებით გახდა ცნობილი, მკვლელობის დღეს გიზო წ-ძე, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ესტუმრა საყვარელ ქალს. რამდენიმე საათის შემდეგ მის კვალს მეუღლეც მიჰყვა – მანონი წ-ძე ქმარს საყვარელთან დაადგა თავზე, რასაც ქალებს შორის ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე გამოძახებულ სამართალდამცველებსა და სამედიცინო სამსახურის წარმომადგენლებს ბინაში დანით გულ-მკერდის არეში დაჭრილი, მძიმე მდგომარეობაში მყოფი მარინე მ-შვილი დახვდათ, რომლის გადარჩენაც ექიმებმა ვეღარ შეძლეს. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და გარდაცვლილის მეზობლების დაკითხვის შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ მკვლელობის დროს გარდაცვლილის ბინაში იმყოფებოდა გიზო წ-ძე. შესაბამისად, ინციდენტის დეტალები მხოლოდ გარდაცვლილის მეგობარი მამაკაცისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი, რომელსაც მძიმედ დაჭრილი ქალი ბინაში მცირეწლოვანი შვილის ამარა მიეტოვებინა. გიზო წ-ძის დაკითხვის შემდეგ, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა, რომ ქალს მძიმე, სასიკვდილო დაზიანება მისმა მეუღლემ, მანონი წ-ძემ მიაყენა. ამონაწერი მოწმის ჩვენებიდან: „მარინასთან მთვრალი მივედი. სახლში მარინა და მისი შვილი იყო. ჩვენ აივანზე ვიყავით. მე ცოტა ხანში იქვე ჩამეძინა. არ ვიცი, რამდენი ხნის შემდეგ იყო ეს, მაგრამ ქალების წივილ-კივილმა გამაღვიძა. ხმაური ეზოდან ისმოდა. იქით წავედი. დავინახე ჩემი მეუღლე, რომელსაც ხელში სისხლიანი დანა ეჭირა და მარინა, რომელიც ძირს ეგდო. სანამ გამოვფხიზლდი და გონზე მოვედი, მანონიმ იქაურობა დატოვა და გაიქცა. მე ორ მეზობელს დავუძახე და სასწრაფოს გამოძახება ვთხოვე. თვითონ კი, შემთხვევის ადგილი მივატოვე, რადგან თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი".

მკვლელობას არ ჰყავდა თვითმხილველი. გარდაცვლილის მცირეწლოვანი შვილი მკვლელობის დროს სახლში იმყოფებოდა, თუმცა თავის ოთახში თამაშით იყო გართული და მოწმედ არ გამოდგებოდა. გიზო წ-ძის ჩვენების შემდეგ, სამართალდამცველებმა დაკითხეს მისი მეუღლეც, რომელსაც სახეზე ფიზიკური ძალადობის კვალი აღენიშნებოდა. ის ქმრის მიერ წაყენებულ „ბრალდებას" არ აღიარებდა. უფრო მეტიც, ამბობდა, რომ ფიზიკური შეხლა-შემოხლის დროს, ქალი მისმა მეუღლემ მოკლა. მანონი წ-ძის ჩვენების მიხედვით, ის ქმრის საყვარლის ბინაში ძალიან აღელვებული მივიდა, თუმცა ქალის მოკვლაზე არც უფიქრია. მისი განცხადებით, დანა მხოლოდ ქალის შესაშინებლად წაიღო სახლიდან. მას შემდეგ, რაც მასა და მარინე მ-შვილს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა, ჩხუბში ჩაერია მთვარლი გიზო წ-ძე, რომელმაც საყვარელს დანა გულ-მკერდის არეში დაარტყა. გამოძიებამ მანონი წ-ძის ბინიდან ამოიღო მისი ტანსაცმელი, რომელიც გარდაცვლილის სისხლით იყო მოსვრილი. მასთან ერთად აღმოჩნდა ნივთმტკიცება – დანაშაულის იარაღი, დანა, რომელზედაც გიზო წ-ძისა და მანონი წ-ძის ანაბეჭდები იყო შერჩენილი. ქალი არ მალავდა, რომ დანა მას ეკუთვნოდა, მამაკაცმა კი მასზე საკუთარი ანაბეჭდები იმ მოტივით ახსნა, მკვლელობის დროს აღელვებულმა დანა ავიღე და შორს მოვისროლეო. გიზო წ-ძის სამოსს სისხლის კვალი აბსოლუტურად არ ემჩნეოდა. მამაკაცი ღიად გამოხატავდა წუხილს საყვარელი ქალის გარდაცვალების გამო და ნანობდა, რომ ცოლის საქციელი ვერ აღკვეთა. როგორც ის ამბობდა, მანონი წ-ძე მარინე მ-შვილს მოკვლით ადრეც ხშირად დამუქრებია.

სამართალდამცველებმა მანონი წ-ძე მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. ის ჩადენილ დანაშაულში საკუთარ ბრალს არ აღიარებდა. თუმცა, იმას, რომ მკვლელობა სწორედ მისი ჩადენილი იყო, კატეგორიულად ამტკიცებდა მისი მგლოვიარე მეუღლე. გამოძიების მსვლელობა აბსოლუტურად შეცვალა უცნობმა მოწმემ, რომელიც პოლიციაში საკუთარი ნებით გამოცხადდა. მან განაცხადა, რომ დაინახა, თუ როგორ დაარტყა დანა ქალს მამაკაცმა. ინციდენტის უნებლიე მოწმე აღმოჩნდა ხელოსანი, რომელიც მარინე მ-შვილის მეზობლის ბინაში მუშაობდა. ამონაწერი მისი ჩვენებიდან: „ორი კვირა ვიმუშავე მარინე მ-შვილის მეზობლის კუთვნილ ბინაში. ამ დროს გავიცანი ეს ქალი და მისი მეგობარი მამაკაციც, რომელიც ხშირად მოდიოდა სტუმრად. იმ დღეს მარინეს ეზოდან უცნაური ხმები მომესმა. ყურადღებას არც მივაქცევდი, მაგრამ გავიგონე, რომ ჩემთვის უცნობი ქალი მარინეს და გიზოს საშინლად ლანძღავდა. სიტყვიერი დაპირისპირება ჩხუბში გადაიზარდა. უცებ მამაკაცის ხმაც გავიგონე – დანა დააგდეო, ვიღაცას ეუბნებოდა. ორ ეზოს შორის გამყოფ მესერში ფიცრები აკლდა, იქიდან გავიხედე და დავინახე, რომ უცნობ ქალს ხელში დანა ეჭირა და ხან გიზოს, ხან კი მარინესკენ იქნევდა დანიან ხელს. გიზოს ეტყობოდა, მთვრალი იყო. დავინახე, როგორ წაართვა დანა ქალს და სახეში მუშტი ჩაარტყა. დანა უკვე მამაკაცს ეჭირა ხელში, როცა ზურგიდან მარინე დაესხა თავს და ცემა დაუწყო. გიზომ ორჯერ მოუქნია დანა ქალს და პირდაპირ გულის არეში ჩაარტყა. მარინე ძირს დავარდა, ისიც დავინახე, უცნობი ქალი მისკენ როგორ დაიხარა. მის გადარჩენას, ხელოვნური სუნთქვის ჩატარებით ცდილობდა."

ამჯერად გიზო წ-ს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. დაკავებულმა მოგვიანებით აღიარა კიდეც ჩადენილი დანაშაული და განაცხადა, რომ ქალი მთვრალმა, აფექტურ მდგომარეობაში მყოფმა მოკლა. ამ ქალებმა ისე დამღალეს, ორივეს თავიდან მოშორება მინდოდაო, – აღიარა გიზო წ-ძემ. საქმის არსებითი განხილვის შემდეგ პროკურატურამ წაყენებული ბრალდება დადასტურებულად ცნო და გიზო წ-ძისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. სასამართლომ არ გაიზიარა პროკურატურის მოთხოვნა და განსასჯელს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 14 ივლისი

1099 – პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებმა, გოტფრიდ ბუიონელის სარდლობით, აიღეს იერუსალიმი.

1789 – ბასტილიის აღება – საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისი.

1845 – დიდი ხანძარი ნიუ-იორკში. დაიწვა 2 000-ზე მეტი სახლი.

1946 – გამოვიდა ბენჯამინ სპოკის ბესტსელერი „ბავშვი და მისი მოვლა". ეს წიგნი მეორე ადგილზეა მსოფლიოში გაყიდვების მიხედვით, ბიბლიის შემდეგ.

### 15 ივლისი

1669 – დასრულდა ვულკან ეტნას (სიცილია) უდიდესი ამოფრქვევა, რომელიც 4 თვეს გრძელდებოდა.

1869 – ფრანგმა იპოლიტ მეგა-მურიემ დააპატენტა მარგარინი.

1953 – ამერიკის შეერთებული შტატების ეკრანებზე გამოვიდა ფილმი „ზოგიერთებს უფრო ცხელი უყვართ", ჩვენში ცნობილია, როგორც „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია".

1970 – დანიის ნაკრები გახდა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ქალების ფეხბურთში.

### 16 ივლისი

1945 – ალამოგორდოში (ამერიკის შეერთებული შტატები) ისტორიაში პირველი ატომური ბომბი ააფეთქეს (საცდელი).

1979 – სადამ ჰუსეინი გახდა ერაყის პრეზიდენტი.

### 17 ივლისი

1453 – დასრულდა „ასწლიანი" ინგლის-საფრანგეთის ომი (1337-1453).

1754 – დაარსდა კოლუმბიის უნივერსიტეტი (ამერიკის შეერთებულ შტატებში).

1868 – იაპონიის დედაქალაქი ქალაქ კიოტოდან ქალაქ ედოში გადავიდა, რომელსაც სახელი შეუცვალეს და ტოკიო დაარქვეს.

1918 – ეკატერინბურგში კომუნისტმა კომისრებმა დახვრიტეს რუსეთის ბოლო იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და მისი ოჯახი.

1945 – დაიწყო პოდსტამის კონფერენცია სტალინის, ჩერჩილისა და ტრუმენის მონაწილეობით.

### 18 ივლისი

64 – რომში დაიწყო დიდი ხანძარი, რომელმაც ქალაქის 10 უბანი გაანადგურა. დადიოდა ხმები, რომ ხანძარი იმპერატორ ნერონის ბრძანებით გააჩინეს. თვით ნერონმა კი ის ქრისტიანებს დააბრალა.

1921 – საფრანგეთი გახდა პირველი ქვეყანა, სადაც შემოიღეს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო სავალდებულო აცრა ბავშვებისთვის („ბეცეჟე").

1925 – პირველად გამოქვეყნდა ადოლფ ჰიტლერის „მაინ კამფი".

### 19 ივლისი

1870 – დაიწყო საფრანგეთ-პრუსიის ომი, რომელიც სექტემბერში საფრანგეთის განადგურებით დასრულდა.

1886 – ლუქსემბურგში შედგა ფერენც ლისტის უკანასკნელი კონცერტი.

1900 – გაიხსნა პარიზის მეტრო.

1903 – ფრანგი მორის გარენი გახდა ველორბოლა „ტურ დე ფრანსის" პირველი გამარჯვებული.

1946 – ეპიზოდური როლით ერთ-ერთ უმნიშვნელო ფილმში შედგა მერლინ მონროს კინოდებიუტი.

### 20 ივლისი

1924 – დაარსდა საერთაშორისო საჭადრაკო ორგანიზაცია – ფიდე.

1944 – ფაშისტურ გერმანიაში განხორციელდა ჰიტლერის მკვლელობის წარუმატებელი მცდელობა.

1969 – ადამიანმა პირველად დადგა ფეხი მთვარეზე.

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.

**გოეთე**

**კითხვა: როგორ მოვუაროთ სუროს და რა პირობები შევუქმნათ მას?**

**პასუხი:** სურო კარგად გრძნობს თავს ოთახში, სადაც ცოტაოდენი სინათლეა. თუ დროგამოშვებით მორწყავთ, სათანადო პირობებს შეუქმნით და შესაბამისად მოუვლით, ჯანსაღ მცენარეს მიიღებთ. ამ მცენარის ჭრელ სახეობებს კაშკაშა სინათლე სჭირდება, სადა ფერის სურო კი ჩრდილსაც აიტანს. სიცხეში სურო ფორმას იცვლის და უშნოვდება. ამიტომ, მთელი წლის განმავლობაში სიგრილეში ამყოფეთ. ზაფხულობით მიწა მუდამ ტენიანი უნდა იყოს. ნიადაგს ნურც ზამთარში გამოაშრობთ, თორემ სუროს ფოთლები დაეჭმუჭნება. ის იოლად გასაზრდელი მცენარეა. მისი დიდი უპირატესობაა, რომ ჩრდილსაც იტანს და სიგრილესაც. კარგად ხარობს ჰოლშიც და ზამთრის ბაღშიც. მცენარე დაახლოებით 30 სანტიმეტრი იზრდება. ასე რომ, სურო სულაც არ არის პრეტენზიული მცენარე. თუ არ გაქვთ, აუცილებლად შეიძინეთ და გარწმუნებთ, მისი გახარება არ გაგიჭირდებათ.

**კითხვა: რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება კალანჰოეს?**

**პასუხი:** კალანჰოე ათასგვარი ფორმისა და ფერისაა. თუმცა, გარეგნული სხვაობის მიუხედავად, ყველა სახეობის კალანჰოეს თითქმის ერთნაირი გარემო და პირობები სჭირდება. კალანჰოე განათებულ ადგილას დადგით. რაც უფრო რუხი ან ბუსუსიანია, მით მეტი სინათლე სჭირდება. მოსწონს ოთახის ტემპერატურა. იტანს ზამთრის სიგრილესაც, არანაკლებ 10 გრადუსისა. მისთვის შესაფერისი ადგილი სააბაზანოა.

**კითხვა: ხშირი მორწყვა თუ სჭირდება იაპონურ არალიას?**

**პასუხი:** ზაფხულობით რეგულარულად მორწყეთ, ზამთრობით კი, შედარებით – იშვიათად. თუ ფოთლები მოიწყენს, მიხვდებით, რომ წყალი უნდა. ფოთლებს სიმუქეს შეუნარჩუნებთ, თუ მიწას რეგულარულად გაანოყიერებთ ფოთლოვანი მცენარისთვის განკუთვნილი სასუქით. ფოთლები სველი ნაჭრით გაუწმინდეთ.

**კითხვა: როგორ შევუნარჩუნო ციპერუსს მუდმივი ტენიანობა? როგორც ვიცი, თურმე ამ მცენარეს ძალიან უყვარს ნესტი...**

**პასუხი:** ის ერთ-ერთია იმ მცენარეთაგან, მუდმივად სველი ნიადაგი რომ სჭირდება. მუდმივი ტენიანობის შესანარჩუნებლად, ციპერუსიანი ქოთანი წყლიან ჯამში ჩადგით, რათა წყალი არასდროს მოაკლდეს. ასე, მცენარეს მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება და ფესვებიც სულ ტენიანი ექნება.

**კითხვა: იოლი მოსავლელია თუ არა ჯუჯა პალმა ოთახის პირობებში?**

**პასუხი:** ეს პალმა ძალიან გამძლე მცენარეა. კარგად იტანს ოთახის პირობებს, თუ კარგი დრენაჟი და ნოყიერი მიწა აქვს. არ უყვარს ბევრი წყალი, თუმცა ზაფხულში რეგულარულად მორწყეთ. ზამთარში კი, როცა პალმა ზრდას წყვეტს, მხოლოდ მაშინ მორწყეთ, როცა მიწა გამოშრება. თუ ეს მცენარე სიმშრალეშია, რამდენიმე გრადუს ყინვასაც აიტანს.

**კითხვა: გამძლეა თუ არა სოლია და როგორ პირობებში ხარობს ის უკეთ?**

**პასუხი:** სოლია გამძლე მცენარეა და 2-3 გრადუს ტემპერატურასაც იტანს. მოსწონს მზის გულზე ყოფნა. ზაფხულში საკმარისია ოთახის ნორმალური ტემპერატურა. ზაფხულობით მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო ზამთარში, როცა ტემპერატურა დაბალია, მორწყვაც უნდა შეამციროთ. ორ კვირაში ერთხელ ბალანსირებული თხევადი სასუქით მორწყეთ. დიდი მცენარე კარგად უნდა გასხლათ და გაზაფხულზე გადარგოთ, რათა კომპაქტურობა და სიჯანსაღე შეინარჩუნოს. მისთვის უკეთესია, თუ საკიდ კალათში მოათავსებთ და ზამთრის ბაღში დადგამთ.

**მოამზადა**
**თეონა გოგალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*

**ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, საქართველოში რომელი სახელმწიფო ორგანოები თუ ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ოჯახური ძალადობის საწინააღმდეგო პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები. ამასთან, ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებისას შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა შეიძლება ითანამშრომლონ ოჯახში ძალადობისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე დაინტერესებულ ინსტიტუტებთან და უზრუნველყონ შესაბამისი ერთობლივი პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის კონკრეტული სამართლებრივი მექანიზმების შესახებ, რომლებიც გამოიყენება ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და აღსაკვეთად.**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისთვის გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები. კერძოდ, სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის იმ ფაქტის შემთხვევაში, რომელიც შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი/დამცავი ორდერის გამოცემის სახით, აგრეთვე მაშინ, თუ სამართალდარღვევა თავისი ხასიათით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება ტურისტული მოგზაურობის მომწყობს მოვთხოვო ღირებულების შემცირება იმ მოტივით, რომ მის მიერ დაპირებული ტურისტული მოგზაურობის პაკეტი არ შეესაბამებოდა თავდაპირველად შეთავაზებულს და რეალურად არ იქნა მომსახურება დაპირებულის შესაბამისად გაწეული?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, თუ მოგზაურობა ხარვეზიანია, მაშინ მისი ღირებულება მცირდება იმ დროის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც არსებობდა ხარვეზები. ამასთან, ღირებულება არ შემცირდება, თუ ტურისტი თავისი მიზეზით არ შეატყობინებს მოგზაურობის მომწყობს ხარვეზის შესახებ.

# რა პრობლემები ექმნება საწვავ სისტემას და რატომ არის მისი დიაგნოსტიკა რთული



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

***როდის არის ავტომობილის შეფერხებებით, ეგრეთ წოდებული, „ჯიკაობით" სვლა გაურკვეველი? ავტომობილის ასე უცნაურად მოქცევის მიზეზი, მაშინ, როცა ყველა საჭირო დეტალი მწყობრშია, მძღოლებს დიდ საგონებელში აგდებს. მევლუდ მელაძე აგვიხსნის, რა მითითებები უნდა მივცეთ ხელოსანს, რომ ჩვენმა ავტომობილმა უცნაური ქცევა შეწყვიტოს:*** საწვავთან დაკავშირებით ავტომობილს ხშირად ექმნება ისეთი პრობლემა, რომლის მიზეზის დადგენა და პრობლემის აღმოფხვრა ხელოსნებს ძალიან უჭირთ. ყველა რაღაც ნაწილს ცვლის, შედეგი კი არ არის. 1990 წლის შემდეგ გამოსულ ავტომობილებს, რომლებიც არა კარბურატორით, არამედ ინჟექტორებიანი სისტემითაა აღჭურვილი, აქვთ კომპიუტერი, რომელიც არეგულირებს საწვავის მიწოდებას. 2000 წლის შემდეგ გამოშვებულ ავტომობილს კი, ასეთი მოწყობილობა აქვს: ხელსაწყოების დაფაზე ანთებს ეგრეთ წოდებულ „ჩეკ ენჯინს". ეს ნიშნავს, რომ კომპიუტერზე შეერთების დროს, უნდა იწერებოდეს, თუ რა სჭირს ავტომობილს, ანუ უნდა მოახდინოს მისი დიაგნოსტიკა. მაგრამ, საწვავის მოწოდებასთან დაკავშირებით, არის ისეთი პრობლემებიც, რომლებსაც კომპიუტერი არ იწერს – ვერ კითხულობს. შესაბამისად, ჩვენ მექანიკურად გვიწევს პრობლემის მოძებნა. მაგალითად, არის შემთხვევა, როცა გაზს ვაწვებით, მაგრამ ავტომობილი „ჯიკაობით", შეფერხებებით მიდის, თითქოს საწვავის გატანა უჭირს, ან, საწვავი იცლება და მალე ჩაქრებაო. ცოტა ხანში, ისევ კარგად გაივლის, მერე კი იგივე ეწყება. მოკლედ, გვაწვალებს. ასეთ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ცვლიან საწვავის ფილტრს. მიზეზი, რა თქმა უნდა, ესეც შეიძლება იყოს, მაგრამ, პრობლემა, ნებისმიერ შემთხვევაში, ნაპერწკლის მიწოდების მექანიკურ სისტემაშია, რომლის ერთ-ერთი ეტაპიც დაზიანებულია. სწორედ იმ კონკრეტულ დეტალს უნდა მივაგნოთ.

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
**მიხაილ შუმახერი**

**– მექანიკური პრობლემის ძებნას მხოლოდ მაშინ ვიწყებთ, თუ „ჩეკ ენჯინი" არ აანთო?**

– დიახ. თუ კომპიუტერი აანთო, პრობლემის დიაგნოსტირებას იოლად შეძლებთ, რაც, მაქსიმუმ, 25 ლარი ღირს. თუ არ აინთო, სწორედ მაშინ არის პრობლემა, რადგან, თავად უნდა იპოვოთ მიზეზი. ავტომობილი მიგყავთ ინჟექტორების გამწმენდ ხელოსანთან ან სერვისცენტრში. ხელოსანს, უპირველესად, ამოწმებინებთ ბენზინის წნევას. თუ წნევა დავარდნილია, შემდეგ უკვე ამოწმებთ წნევას ბენზინის ფილტრამდე. თუ წნევა ორივეგან დაბალია, მაშინ ფილტრი არაფერ შუაშია და ის არც უნდა შეიცვალოს. ამის მიზეზი ბენზინის „ნასოსია", რომელიც ინჟექტორიან მანქანებში ავზში ან მის გარეთ დგას, მაგრამ არა ძრავასთან ახლოს. თუ წნევა ფილტრამდე კარგია და მის შემდეგ დაბლდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში იცვლება ფილტრი. თუ წნევა ორივე მხარეს მწყობრშია, ხელოსანი აუცილებლად გეტყვით, მიზეზი მაინც „ნასოსი" იქნებაო, მაგრამ, არ დაუჯეროთ ***(იცინის).*** თუ წნევა გამოირიცხა, ამის შემდეგ მოწმდება ეგრეთ წოდებული „აბრატნი კლაპანი", ანუ უკან დამაბრუნებელი სარქველი, რომელიც უზრუნველყოფს საწვავის ძრავადან უკან, ავზში დაბრუნებას. „ბენზონასოსმა" რომ უკეთ იმუშაოს, ამისთვის სპეციალური მოწყობილობაა დამონტაჟებული, რომელიც ზედმეტ საწვავს უკან, ავზში აბრუნებს. შეიძლება, ის დაზიანებული იყოს და ამის გასაგებად, შეამოწმეთ, რამხელა წნევას იჭერს „აბრატნი კლაპანი". თუ ეს მოწყობილობაც მწყობრშია, მაშინ საწვავის სისტემას თავს დაანებებთ, რადგან ის ავტომობილის შეფერხებებით მუშაობის მიზეზი არ არის. ამის შემდეგ ამოწმებთ „სვეჩას" და თუ ისიც მწყობრშია, უნდა შემოწმდეს ჰაერის მზომი, ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი". ეს მოწყობილობა ჰაერის ფილტრის შემდეგ დგას. თუ აქამდე მიხვედით, ჰაერის ფილტრიც დაფერთხეთ. ჰაერის ფილტრი მწყობრიდან ხშირად გამოდის და მისი გამოცვლა ძალიან იოლია. ჰაერის ფილტრის გამოცვლის შემდეგ, თუ პრობლემა არ მოგვარდა, მიზეზი ერთი იქნება – ესე იგი, რომელიმე მილიდან ჰაერი იპარება. უნდა იპოვოთ ეს მილი და გამოცვალოთ. ამ თანმიმდევრობას და გამორიცხვის მეთოდებს იმიტომ გირჩევთ, რომ წვრილმანი გაუმართაობის პოვნა ხელოსნებს ძალიან უჭირთ. სიჩქარეთა კოლოფის ჩაშლას ყველა მიხვდება. ასეთი უცნაური მიზეზის გაგება კი, მართლა რთულია. ამიტომ, თუ გეცოდინებათ, გამორიცხვის რა მეთოდით მიჰყვეთ ავტომობილს, ხელოსანსაც გაუიოლებთ საქმეს და შეკეთებაც გაცილებით იაფი დაგიჯდებათ. ასე რომ, მიჰყვებით თანმიმდევრობას – სინჯავთ ბენზინის წნევას სამ ადგილას ფილტრამდე, ფილტრის შემდეგ და „აბრატნი კლაპანის" ჩართულობით; ნახავთ „სვეჩს", ჰაერის მზომს და ბოლოს – რომელიმე მილს.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: ჩემს ძაღლს ფეხზე კოჟრი გამოუვიდა. თუ შეიძლება, მითხარით, როგორ ხდება კოჟრების მკურნალობა?**

**პასუხი:** კოჟრების მკურნალობა ძირითადად კოსმეტიკური მოვლის საშუალებებით ხდება, მაგალითად: შამპუნებით, ანტისეპტიკური საშუალებებითა და მალამოებით; ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების მაპროვოცირებელი ფაქტორების, ანუ, კანზე ნაწოლების მოშორებას, რის შემდეგაც ძაღლს აუცილებლად უნდა დაუფინოთ რბილი ქვეშაგები. აღნიშნული სახის კოჟრების ქირურგიული მეთოდით მოშორება არაა რეკომენდებული, რადგან ამ დროს ხშირია შემთხვევები, როცა ჭრილობა ცუდად ხორცდება; ასევე, არსებობს მისი ხელახლა წარმოქმნის დიდი ალბათობა. ამ პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა, ცხოველი გყავდეთ სწორი მოვლა-შენახვის პირობებში, უზრუნველყოთ კარგი და რბილი ქვეშაგებით, სისტემატურად დაუთვალიეროთ კანის საფარველი, დაზიანების შემთხვევაში კი დროულად მიაქციოთ ყურადღება და მიიღოთ საჭირო ზომები.

**კითხვა: იმისათვის, რომ ძაღლის ჯანმრთელობა სათანადოდ დავიცვათ, როგორ უნდა შევუნარჩუნოთ იმუნიტეტი?**

**პასუხი:** იმუნიტეტის შენარჩუნებისთვის საჭიროა ყოველწლიური რევაქცინაცია. ცოფის საწინააღმდეგოდ ძაღლებს პირველად სცრიან 12 კვირის ასაკში და, შემდეგ – წელიწადში ერთხელ. ვაქცინაციის პერიოდში ლეკვის ორგანიზმი მეტად მგრძნობიარეა და არ უნდა დაუშვათ ისეთი სტრესის ფაქტორები, როგორიცაა: ფიზიკური დატვირთვა, დაავადებულ ძაღლებთან კონტაქტი, არასრულფასოვანი კვება, ტრანსპორტირება, რაც ხელს შეუშლის იმუნიტეტის გამომუშავებას და, შეიძლება, დაავადების პროვოცირებაც მოახდინოს. ვაქცინაცია უტარდებათ მხოლოდ კლინიკურად ჯანმრთელ, ანუ, დაავადების ნიშნების არმქონე ცხოველს, რომელსაც ჩატარებული აქვს დეჰელმინტიზაცია. ასევე, ცხოველი აუცილებლად უნდა გაასუფთაოთ გარეგანი პარაზიტებისაგან.

**კითხვა: დასაშვებია თუ არა ძაღლისთვის ანტიბიოტიკების მიცემა?**

**პასუხი:** ანტიბიოტიკების თვითნებურად გამოყენება დაუშვებელია. ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე მათი თვითნებური დანიშვნა ან ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის ხანგრძლიობის თვითნებური შეწყვეტა აუარესებს ძაღლის შემდგომ მდგომარეობას. განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო გენტამიცინისა და ბისეპტოლის თვითნებური გამოყენების დროს. აღნიშნული პრეპარატები იწვევენ ჰიპერსალივაციასა და ღებინებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგი სახის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია თვითნებურად, დიაგნოზის დაზუსტების გარეშე, მათი ტოქსიკურობისა და ზოგიერთი ჯიშის გენეტიკური თავისებურებების გამო. ამიტომ, ნურასდროს მისცემთ თქვენს ძაღლს ანტიბიოტიკს ექიმის დანიშნულების გარეშე.

*ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.*
**ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

ოპერის სიმღერა

გაფუება

არაბული ქვეყანა / ბუნების ძალა

ელდა / მარგალიტს შობს

დანიელი მოჭადრაკე

ავადმყოფობა



მაოხრებელი პერსონაჟი

ბგერა

ოფისის ძველი სახელი

გრამატ. კავშირი

დალაი (........)

მევიოლინე ვანესა

ვერცხლისწყლის შენაერთი

გრაფი სეგედის როლშია

ორგანიზმის სითხე

ინდოელი ჯავაჰარლალ..

ერევნის სტადიონი / საფრთხილო

ბოსტნეული კულტურა

ოთახის ნაწილი

ბევრი / მსახიობი მონიკა

ლომის კიდური

ელექტრო ძრავის ნაწილი

ქვეყნის ნაწილი

კვირის დღე / იხილე ფოტო

რეჟისორი (.....) ღოღობერიძე

ქიმიური პროცესი / სტოუნი არის...

ორგანული ნაერთი

ასოთა გამეორება

დიდი სათავსი / სამხედ. რაზმი

ნიუ-იორკის უბანი

მსახიობის საქმე

გამოიყენებოდა ასეთი დრეკადი სათავსი ღვინისთვის

სასწავლებელი / აზიის მომხრე

მომღერალი ბაიარ (........)

(.......) კალანდაძე

მე-19 ს ფრანგი მხატვარი

ყაზბეგის სოფელი / თითქმის ათი

(.......) მირიანაშვილი

გამოუწვავი აგური / ლითონი

მაუგლის გამზრდელი მგელი

ცანგალას პარტნიორი

ბოლნისის მდინარე

იუგოსლავიის ნაწილი

ჭადრაკის ჩიხი

ფიდელ კასტროს კუნძული

ევროპის ქვეყანა / ინდოეთის შტატი

პირუტყვის საკვები

ზემოთ / უეცარი შიში

ფენა, პლასტი

მდორე / უზბეკი პოეტი

(......) ამოს კომენსკი

„უფროსი" ძვ.ევროპულ ენებში

დიდი ტენორი მარიო....

გზავნილი / ახალი წლის ხე

სასმელი / ინგლისელი პოეტი

უკრაინ. პოეტი ......უკრაინკა

პატარა ანა / კამათი

„წავედით!" - ძველქალაქურად / თხელი ტალახი

ბორჯომის კურორტი

ჩინური ტანვარჯიში

ბრინჯის საკვები

მტაცებ. ფრინველი / რბილი სათავსი

ტანობი

მომღერალი რაფაელა....

მძიმე შრომა / მყარი საწვავი

ბევრი თხა

ბოროტი / შესრულების პირობა

ტიბეტური პირუტყვი

(.......) მატერი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | | | | | 7 | | | | | | | | | | | 10 | | | | | | | 8 | | |
| 2 | 2 | 3 | 6 | 8 | 12 | 13 | 12 | 7 | 3 | 14 | 12 | 10 | 10 | | 15 | 18 | | 13 | 12 | 6 | 17 | 15 | 12 | | 12 | 17 | 1 | | |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 12 | 1 | 2 | 24 | 1 | 4 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 1 | 2 | 4 | 5 | 4 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | 3 |
| | | 4 | 3 | 4 |
| | | 8 | 5 | 3 |
| | | 6 | 6 | 5 |
| | | | 5 | 13 |
| | | | 5 | 15 |
| | | | 5 | 17 |
| | | | | 25 |
| | | | | 25 |
| | | | | 26 |
| | | | | 25 |
| | | | | 25 |
| | | 18 | 3 | 1 |
| | | | 16 | 3 |
| | 3 | 4 | 2 | 2 |
| | 2 | 3 | 3 | 1 |
| | 2 | 2 | 3 | 1 |
| | 2 | 2 | 2 | 2 |
| | 1 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 2 | 1 |
| | 2 | 1 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 2 |
| | 2 | 1 | 1 | 1 |
| | | 3 | 4 | 2 |
| 6 | 5 | 3 | 4 | 3 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | 6 | | 3 | | 1 | 7 | |
| 4 | | 5 | 1 | | 2 | 8 | | 6 |
| | 1 | | 9 | | 4 | 2 | 5 | 3 |
| 2 | 6 | 3 | 4 | | 5 | | 1 | |
| | 5 | | | 9 | | 6 | 3 | 2 |
| 1 | | 7 | 3 | 2 | 6 | | 4 | |
| | 7 | | 8 | 4 | | 9 | 6 | 1 |
| 6 | | 9 | 2 | | 7 | 3 | | 5 |
| | 8 | 1 | | 5 | 9 | | 2 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | 5 | | | | | | 1 |
| | | | | | 5 | 6 | | 8 |
| | 1 | | 9 | 3 | | 7 | 5 | |
| | | 4 | 3 | | 1 | | | |
| 3 | | 7 | | | | 4 | 1 | 2 |
| 9 | 6 | | | 4 | | | 7 | 3 |
| | 7 | | | | 6 | 2 | | 5 |
| 1 | | | 5 | | 3 | | | |
| 2 | | 9 | 4 | 8 | | | 3 | |

# ცხოვრობს შენში ბავშვი?!

*თუ შენში ბავშვი ცხოვრობს, დიდხანს არ დაბერდები... შეამოწმე საკუთარი თავი ამ ტესტით...*

**1. ახლობელს ძალიან ეჩხუბეთ და ბევრი გულსატკენი სიტყვა უთხარით. როგორ მოიქცევით?**

ა) კარს გავიჯახუნებ და წავალ. არ დავეჩხაგვრინები;



ბ) გავიბუტები და დაველოდები, როდის მოიხდის ბოდიშს;

გ) ტაიმაუტს ავიღებ, რომ კარგად გავაანალიზო, რა ხდება.

**2. პარტნიორთან ერთად პირველად მიხვედით მისი მეგობრების წვეულებაზე:**

ა) ჩვეულებრივად გავიცნობ;

ბ) ყველას ვაჩვენებ, რომ ეს ადამიანი მარტო აღარ არის, მე ვყავარ;

გ) ჩუმად ვიჯდები და მათ მოვუსმენ, რომ გავიგო, რა ხალხია.

**3. პარკში სეირნობთ, სადაც უამრავი საბავშვო გასართობია:**

ა) შორიდან ვუყურებ, როგორ ერთობიან ბავშვები;

ბ) დავიწყებ ხტუნვას და თამაშს;

გ) ვგიჟდები საბავშვო გასართობებზე, სპეციალურად დავდივარ ატრაქციონებზე.

**4. შოპინგზე იმაზე მეტი დახარჯეთ, ვიდრე ვარაუდობდით. შეათანხმებთ პარტნიორთან ამ დანახარჯს?**

ა) კი და მოვინანიებ, მართლა შევწუხდები;

ბ) მოვიქცევი ბავშვივით, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა და რცხვენია;

გ) ვეტყვი, რომ მიყვარს ასეთი გულუხვობისთვის და ვაკოცებ.

**5. ტანსაცმელში როგორ სტილს და რომელ ფერს ანიჭებთ უპირატესობას:**

ა) საქმიან, მკაცრი სტილს, ელეგანტურ ტანსაცმელს;

ბ) მკვეთრი და კონტრასტული ფერები მომწონს, მხიარული ნახატებით;

გ) გააჩნია, რისთვის უნდა გამოვეწყო და სიტუაციის შესაბამისად ვიცვამ.

**6. როგორ პასუხობთ შეკითხვაზე: რამდენი წლის ხარ?**

ა) საერთოდ ჩუმად ვარ და ვბრაზობ, რა უტაქტობაა;

ბ) როცა ამას მეკითხებიან, ვფიქრობ, დღეს ცუდად გამოვიყურები-მეთქი და „ვიგრუზები";

გ) ვამბობ ასაკს, რა პრობლემაა.

**7. როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?**

ა) ვფიქრობ საქმეზე და ვალაგებ საქმიან დოკუმენტაციას;

ბ) მხიარულ კომედიებს ვუყურებ;

გ) რამე მელოდრამას ვნახავ ან გავისეირნებ.

**8. რას ფიქრობთ, როცა მოზარდებს უყურებთ?**

ა) ჩემი ბავშვობა მახსენდება;

ბ) ვფიქრობ, რომ სულით ისევ ახალგაზრდა ვარ;

გ) ვფიქრობ, რომ ბავშვობასთან დამაკავშირებელი ძაფი არასოდეს არ უნდა გაწყდეს.

**შედეგები**

***პასუხების უმრავლესობაა „ა":*** *სერიოზული ადამიანი ხართ და იცით, პასუხისმგებლობის ფასი. თქვენზე დაყრდნობა შეიძლება. მაგრამ, მოდუნება გიჭირთ და დროა, ზოგჯერ ცოტა წაიზარმაცოთ. სხვისი საკეთებელი სხვას დაუტოვეთ, თორემ ძალიან დაშორდით ბავშვობას.*

***პასუხებში სჭარბობს „ბ":*** *თქვენთან არავინ მოიწყენს. მხიარული და კომუნიკაბელური ხართ. მართალია, ხშირად ბავშვივით იბუტებით; მაგრამ ამას გაპატიებენ. ჰარმონიული კავშირი გაქვთ ბავშვობასთან და ეს განსაკუთრებულობას გძენთ.*

***პასუხებში სჭარბობს „გ":*** *თქვენში ბავშვი აქტიურობს. არ დაგიკარგავთ არც ერთი ბავშვური თვისება. აფასებთ საკუთარ თავს და ხართ მართლაც ბავშვივით გულღია, უბოროტო. ალბათ, ყველას უყვარხართ.*

## დამალე... ფული!

როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, პირველი საფულე მიწა იყო... ძველი სიბრძნე გვაუწყებს, რომ პრობლემები არ აქვს იმას, ვინც ფულს უფრთხილდება... იყო დრო, როცა ტანსაცმელს ჯიბეც კი არ ჰქონდა. მაშ, სად ინახავდნენ ადამიანები ფულს? სად და – მიწაში... ყველა, ვისაც ბევრი მონეტა ჰქონდა, მათ მიწაში ფლავდა და მოსახმარად მხოლოდ ცოტას იტოვებდა. ფულს, ასევე, ინახავდნენ ხის ფუღუროებში, ან – ჭაში ჩაუშვებდნენ ხოლმე ქსოვილში გამოკრულს, ან – ქვის კედლებში, პატარა ღრიჭოებში ტენიდნენ; ინახავდნენ თიხის ქოთნებშიც... მოგვიანებით, სავაჭროდ განკუთვნილ ფულს ახვევდნენ ოთხკუთხა ქსოვილში და ჯოხზე მიაბამდნენ ხოლმე. ძველ ევროპაში ფულის ჩასადებ ქსოვილის პატარა ტომსიკებს კისერზეც იკიდებდნენ. მალე მათი მოქარგვა, მორთვა და ძვირფასი ლითონების სამაგრებით შეკვრაც დაიწყეს – ასე, ნელ-ნელა მიიწევდა ევროპა საფულისკენ...



მეჩვიდმეტე საუკუნეში პირველი საფულე გაჩნდა. ყველაზე ძვირფასი, ოქროთი მორთული საფულეები ჰქონდათ თურქ დიდებულებს, რომლებმაც ბიზანტია დაიპყრეს და უზარმაზარი სიმდიდრე ჩაიგდეს ხელში. საფულის გამოგონება პრაქტიკულად დაემთხვა ქაღალდის ფულის დაბეჭდვას და ეს ბუნებრივიცაა – თქვენ რომ პირველი ქაღალდის ფული გენახათ, რომელიც ზომით მართლაც შთამბეჭდავი იყო, მიხვდებით, რომ ის ვერანაირ ტომსიკაში ვერ ჩაიდებოდა. გაცილებით კომფორტული გახდა კარკასზე გადაჭიმული, პრაქტიკული საფულე. მის არსს ყველაზე უკეთ ასახავს საფულის რუსული სახელწოდება – „ბუმაჟნიკ" – საქაღალდე, ანუ – ქაღალის ფულისთვისო...

## ეგვიპტური სტომატოლოგია

2 300 წლის წინათაც კი, ეგვიპტეში იყვნენ სტომატოლოგები. მეცნიერებმა გამოიკვლიეს 20-30 წლის ასაკის ქალების რამდენიმე მუმია. მათი სამარე საკმაოდ ძვირფასი და მდიდრული იყო. ერთ-ერთს ზედა ყბაზე კბილის ნაცვლად ჩადგმული ჰქონდა რკინის „შტირი" – ანუ, სპეციალური წკირი. როგორც ჩანს, მასზე იყო ჩამოცმული კბილის ეგრეთ წოდებული გვირგვინი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. არავინ იცის, შეიძლება, სწორედ ეს ხელოვნური კბილი გახდა ქალის სიკვდილის მიზეზი – თუკი ის სტერილიზაციის წესების დაცვით არ გაკეთდა, გამოიწვევდა სისხლის მოწამვლას. შეიძლება, ჩადგმული კბილი მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას ასრულებდა. სხვათა შორის, დეკორატიულ კბილებს მუმიებისთვის ეგვიპტეში ხუთი ათასი წლის წინათაც ამზადებდნენ.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

მის ემილი პროქტორი კონსიერჟი იყო იმ სახლში, სადაც ტოდ მეინსი თავის ახალშერთულ ცოლთან ერთად დაბინავდა და შინაბერა ცნობისმოყვარემაც მაშინვე დაასკვნა: ამ ქორწინებიდან არაფერი გამოვა, ეს მისტერ ტოდი მეტისმეტად ქარაფშუტაა, მისი ცოლი ენი კი – მეტისმეტად ჭკვიანიო. არადა, მეინსები, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი, ერთმანეთზე შეყვარებული ცოლ-ქმარი იყო. თუმცა, ემილის ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ მოსახდენი მოხდებოდა. ინტუიციამ არ უღალატა. საფრთხის პირველმა ნიშნებმა მაშინ იჩინა თავი, როცა სახლში ვინმე პატი პარი დაბინავდა. ოცდაათიოდე წლის, ვნებიანმა, ქერა, მიმზიდველმა პატიმ მეორე სართ-



ულზე თავისუფალი ოთახი დაიკავა. იმავე დღეს, საღამოს, ემილი პროქტორმა დაინახა, როგორ გულითადად ესაუბრებოდა ახალი მობინადრე ტოდს და ისე უღიმოდა, როგორც ძველ მეგობარს. „მდაა, – გაიფიქრა მის ემილიმ, – აქ უბედურება მოხდება...“ ორი თვის შემდეგ, ნოემბრის ცივ, მოღრუბლულ დილას, როცა ტოდ მეინსმა ხელი მოაწერა კონტრაქტს გამომცემლობასთან თავისი ახალი წიგნის დაბეჭდვის თაობაზე და ამ ამბის აღნიშვნას საღამოს ცოლთან ერთად, რესტორანში აპირებდა... მის პატის მანქანა გაუფუჭდა. მისი ძველი „შევროლე“ არა და არ დაიქოქა. ამ ამბავს აივნიდან უყურებდა ტოდ მეინსი და, როგორც ჭეშმარიტმა ჯენტლმენმა, მაშინვე შესთავაზა დახმარება. მიუხედავად იმისა, რომ ტოდს „შევროლესთვის“ ძალისხმევა არ დაუკლია, მანქანა მაინც არ დაიქოქა. მაშინ დოტმა, რადგან ის ჭეშმარიტი ჯენტლმენი იყო, ქალს შესთავაზა, თუ გადაუდებელ საქმეზე მიბრძანდებით, ჩემი მანქანით წაგიყვანთო. მის ემილი ყველაფერს ხედავდა და ყველაფერი ესმოდა... წყვილი მხიარული სიცილით ჩასხდა ტოდის „ფორდში“ და გაემგზავრა. ორი საათის შემდეგ სახლში ენი მეინსი დაბრუნდა. ქმარი სახლში არ დაუხვდა და ძებნა ჯერ გარაჟში, მერე კი ეზოში დაუწყო. მის ემილი თავისი ბინის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს. როგორც კი გადაწყვიტა, ახლა დავურეკავ ენს და მოვუყვები, როგორი არამზადა ქმარიც ჰყავსო, მის ბინაში ტელეფონმა დარეკა.

– მის პროქტორ, ენი მეინსი ვარ. შემთხვევით, ჩემი ქმარი ხომ არ გინახავთ? საღამოს რესტორანში უნდა წავსულიყავით, ის კი სახლში არ არის და, არც ვიცი, სადაა. ცოტა ვღელავ.

– ნუ იღელვებთ, ძვირფასო, მისტერ ტოდი არ დაკარგულა. მის პარმა თავისი მანქანა ვერ დაქოქა. ტოდმა ჯენტლმენურად შესთავაზა, წაგიყვანთო და წავიდნენ. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ...

– ყველაფერი გასაგებია, – მკაცრად თქვა ენმა და ტელეფონი გათიშა.

მის პროქტორი მიხვდა, რომ ქარიშხალი მოახლოვდა. ტოდი იმ ღამით სახლში საერთოდ არ დაბრუნდა. ენი ზემოთ, თავის ბინაში სცემდა ბოლთას – მისი ნაბიჯების ხმა გარკვევით ესმოდა მის პროქტორს, რომლის ბინაც ზუსტად მეინსების ბინის ქვეშ იყო. მეორე დილით ენმა სამსახურში დარეკა და უთხრა, რომ შეუძლოდ იყო, მერე თავისი ნივთები ჩაალაგა და, როცა კიბეზე ჩამოდიოდა, ტოდს გადაეყარა, რომელიც კმაყოფილი სახით შემოვიდა სადარბაზოში. მანამდე, ათი წუთით ადრე, ემილიმ დაინახა,

# ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი

## ჰარი ნილსენი

როგორ შემოიპარა სახლში მის პატი. ტოდი შეშფოთდა, როცა ცოლი ჩემოდნით ხელში დაინახა; მივარდა და, ცდილობდა, როგორმე წაერთმია. ენი გაუძალიანდა.

– მომეშვი, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია! შენს ადვოკატს დაურეკავს ჩემი ადვოკატი, გეყრები...

– ეს ხომ სიგიჟეა! ძველ მეგობარს შევხვდი და ბარში დავლიეთ. ისე დაგვათენდა, ვერც გავიგეთ, შენ კი ეჭვიანობ! – ყვიროდა კაცი.

– არა, არ ვეჭვიანობ. გნახეს და მოისმინეს. საკმარისია, წადი შენს ქერა ძუკნასთან, მე არ გიჭერ... – ენმა ჩემოდანი გამოჰგლიჯა ხელიდან და წავიდა. ტოდმა კბილები გაალრჭიალა და ისე ავად შეხედა მის ემილის, რომ ქალს ცივმა ჟრუანტელმა დაუარა სხეულში...

მთელი კვირა ტოდი მოღუშული დადიოდა. მის პატმა საერთოდ დაცალა ბინა და სხვა სახლში გადავიდა. მის ემილი ცდილობდა, გზაზე არ გადაყროდა, რადგან, ხვდებოდა, რომ კაცი საშინლად იყო გაბრაზებული მასზე. კონსიერჟი რამდენჯერმე წააწყდა მის გამანადგურებელ მზერას.

ერთ საღამოს, სწორედ იმ დროს, როცა მის ემილი ვარდებს ჭრიდა, ტოდი ეზოში ჩავიდა და მებაღეს, აბრამსს ჰკითხა, აქ კარგი ხერხის ყიდვა სად შეიძლებაო. მერე გავიდა და ერთ საათში თოკითა და ხერხით დაბრუნდა. ცოტა უფრო მოგვიანებით კი კონსიერჟს დაუკაკუნა კარზე.

– ემილი, ჩემო ძვირფასო, მე ვიცი, როგორი ყურადღებიანი და დაკვირვებული ქალბატონი ბრძანდებით. სწორედ თქვენი წყალობით, უკვე ერთი კვირაა, ცოლი აღარ მყავს, – უთხრა ისე გესლიანად, რომ კონსიერჟმა იფიქრა, ნეტავი კარი საერთოდ არ გამეღოო, – მინდა, ახლავე დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა: დღეს ენი მოვა ნივთების წასაღებად. ბინაში თავისი გასაღებით შევა და დიდ სკივრს წაიღებს. ძალიან დამავალებთ, თუ ზედმეტი შეკითხვებით არ შეაწუხებთ.

ორი საათის შემდეგ მის ემილიმ კიბეზე ნაბიჯების ხმა გაიგონა, ღია კარიდან გამოიჭვრიტა და დაინახა, როგორ ადიოდა მეორე სართულზე გრძელ ლაბადაში გამოწყობილი, სუსტი აღნაგობის ადამიანი. ლაბადა იცნო – მისის ენს ეკუთვნოდა....

მის პროქტორმა ყურადღება დაძაბა, თან, ტოდთან საუბარს იხსენებდა. უცებ მეორე სართულზე საშინელი ბრახუნი ატყდა, რაც ნახევარ საათს გაგრძელდა... მერე კიბეზე ვიღაცამ ხმაურით ჩამოირბინა. ემილის გონება გაუნათდა – თითქმის დარწმუნდა, რა ჩაიდინა ტოდმა. მან მოკლა თავისი ცოლი და გვამი ყუთში ჩადო. საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილი, უჩუმრად ავიდა მეორე სართულზე, კარი გასაღებით გააღო და ოთახში შევიდა. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო: კლიტით ჩაკეტილი სკივრი შუა ოთახში იდგა და ზედ უამრავი მარკა ჰქონდა დაკრული. აბაზანაში ორთქლისგან არაფერი ჩანდა. ეტყობა, ტოდმა აქ დაანაწევრა ცოლის სხეული და ცხელი წყლით მორეცხა კვალიო, – გაიფიქრა კონსიერჟმა. ის იყო, ონკანისკენ ხელი გაიწოდა, რომ, გაიგონა, როგორ ჩაიკეტა მის ზურგს უკან აბაზანის კარი და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მის ემილი ისტერიკაში ჩავარდნილიყო. კარს მივარდა და მთელი ძალით დაუშინა ხელები და ფეხები, თან ისტერიულად კიოდა და მშველელს უხმობდა. ტოდი, ალბათ, მიხვდა, რომ კონსიერჟმა შეიტყო მისი ზრახვების შესახებ და ქალის თავიდან მოშორებაც გადაწყვიტა, ანუ, განწირული იყო – ან ორთქლით გაიგუდებოდა, ან ტოდი მოვიდოდა და ბოლოს მოუღებდა. მობილური მაშინღა გაახსენდა, როცა ყვირილისგან დაიღალა. სასწრაფოდ პოლიცია გამოიძახა და უკვე ქოშინებდა, როცა გაიგონა, როგორ გაიჩხაკუნა საკეტმა... ოთახი სავსე იყო პოლიციელებითა და მობინადრეებით და, მათ შორის, ემილიმ ტოდისა და ენის გაოცებული სახეებიც დაინახა.

– რას აკეთებთ ჩემს ბინაში? – ჰკითხა ტოდმა. კონსიერჟმა მას ყურადღება არ მიაქცია. გონება თითქოს დაებინდა. პოლიციელებს მივარდა და ისტერიულად აკივლდა:

– ამან თავისი ცოლი მოკლა და ჩემი მოკვლაც უნდოდა... აქ, სკივრში გვამია...

– მის ემილი ჭკუიდან შეიშალა, – სინანულით თქვა ტოდმა, – აი, ჩემი ყოფილი ცოლი. სკივრს კი ახლავე გავხსნი...

სკივრი პოლიციელების თვალწინ გახსნა და შიგნით ქალის ტანსაცმლის მეტი ვერაფერი ნახეს. პოლიციელებმა მაინც გულდასმით დაათვალიერეს სახლი. ხერხი თაროზე იდო. მის ემილი აკვიატებულივით იმეორებდა: ტოდს ცოლის მოკვლა უნდოდა, რადგან, იჩხუბეს და ამას არ პატიობდა; ხერხიც იმიტომ იყიდაო.

– ღმერთო, ეს ქალი შეშლილია! ხერხი იმიტომ ვიყიდე, რომ ვარდის ერთი ტოტი აივანზე ისეა ამოსული, ლამის თვალი გამოვითხარე. შეგიძლიათ, თავად ნახოთ...

ერთი პოლიციელი მართლა გავიდა აივანზე და, გააღო თუ არა კარი, ვარდის მოზრდილი ტოტი პირდაპირ სახეში მოხვდა...

ნახევარი საათის შემდეგ პოლიციელების გამოძახებულმა სასწრაფომ საწყალი მის ემილი სპეციალურ კლინიკაში გადაიყვანა.

ტოდი ცოლს მიუბრუნდა:

– გეუბნებოდი, შეშლილია-მეთქი?! შენ კი მისი მონაჩმახის გამო მეყრებოდი.

– ჰო, დავრწმუნდი... საწყალი მის ემილი, ზედმეტად ცნობისმოყვარე იყო. ტოდმა ცოლს შეხედა და გაიფიქრა, რომ ახლა უკვე მოწმეც აღარ ჰყავდა, ანუ ხელ-ფეხი გაეხსნა...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

# ქალური შურისძიება

**● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-27(706)**

ძმები გააოგნა მოსმენილმა ამბავმა, განსაკუთრებით – დიმიტრი.

– მაშ, ნუცას დაწერილია ეს წერილი?! –



უკვე მერამდენედ იმეორებდა გაოცებული და სიტყვებს ველარ პოულობდა თავისი გულისტკენის გამოსახატავად. ბოლოს ისე აღელდა, მზია იძულებული გახდა, დასამშვიდებელი ნემსი გაეკეთებინა.

– რატომ გააკეთა ნუციკომ ეს? – დაეჭვებით ჰკითხა გიორგიმ მზიას, როცა დიმიტრის ჩაეძინა და ჩაის დასალევად გავიდნენ სამზარეულოში.

– თავისი ბავშვური ჭკუით, შური იძია, – მოკლედ უპასუხა მზიამ.

– ვის გამო? – ჩაეკითხა გიორგი.

– ძირითადად, დედის გამო; ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე მითხრა.

– რაღაც, საეჭვოდ მეჩვენება... – ჩაფიქრებით თქვა გიორგიმ, – დედ-მამის გაყრიდან რამდენიმე წლის შემდეგ?!. შენ რაღაცას მიმალავ, მზია!

გოგო გაწითლდა და თავი ჩაღუნა, მერე თვალებში შეხედა გიორგის და თამამად უთხრა:

– ეს რომ ჩემი საიდუმლო იყოს, ბატონო გიორგი, ანუ, მე რომ შემეხებოდეს, ალბათ, გეტყოდით, მაგრამ, უფლება არ მაქვს, სხვისი ცხოვრება ვინმესთან განვიხილო. ამიტომ, ნუ მთხოვთ იმის გაკეთებას, რასაც არასდროს გავაკეთებ...

– მაგრამ, ეს ხომ საქმეს სჭირდება?

– საქმეს არაფერი აღარ სჭირდება, ბატონო გიორგი. ჩვენი მიზანი იყო, წერილის ავტორი გვეპოვა და ამ წერილის დაწერის მიზეზი გაგვეგო. ორივე ამოცანა შესრულებულია, ამიტომ... – და მზიამ ჟესტით გამოხატა, რომ ამით დაასრულა ამ თემაზე საუბარი.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გიორგიმ გაიფიქრა, სწორედ ახლა არის ხელსაყრელი დრო, ჩემი სათქმელი ვუთხრაო. ადგა, სამზარეულოში გაიარ-გამოიარა, მერე ისევ დაჯდა, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და გაჩუმებულ გოგოს შეხედა.

– მზია... – უთხრა ჩუმად.

მზიამ თავი ასწია და, მისი ჩურჩულით გაკვირვებულმა, გაუბედავად შეხედა უხერხულობისგან დაბნეულ მამაკაცს:

– გისმენთ, ბატონო გიორგი, მაგრამ, თუ ახლა იმას ცდილობთ, რომ მაინც მათქმევინოთ რამე, სულ ტყუილად ირჯებით.

მთავარი სათქმელისთვის უკვე თითქმის მომზადებულმა გიორგიმ უცბად დაკარგა გამბედაობა და სულ სხვა რამ ჰკითხა:

– გუგას ნახვას მაინც აპირებ?

– ისე თუ ვნახავ, მოსაკითხად, თორემ, მასთან გასარკვევი აღარაფერი გვაქვს.

გიორგიმ გუნებაში ხელი ჩაიქნია, სიყვარულის ახსნა სხვა დროისთვის გადადო და გუგაზე საუბარი განაგრძო:

– როგორ არ გვაქვს. ჩვენ ხომ გვინდოდა, გაგვერკვია, რატომ უთხრა კომაში მყოფ დიმიტრის რეანიმაციაში, ერთით ერთიაო და ეს მერეც, მგონი, დაკითხვაზეც გაიმეორა?

მზიას კინაღამ წამოსცდა, ეს უკვე გავარკვიეო, მაგრამ, დროზე შეიკავა თავი.

– ეგ სიტყვები მის პირად ცხოვრებას ეხება, ამიტომ, არც უფლება გვაქვს და არც მიზანშეწონილად მიმაჩნია, ამაზე ჩავეძიოთ.

– შენ თუ გეუხერხულება, მე ვკითხავ, – თქვა გიორგიმ, მაგრამ, მზიას უკმაყოფილო სახეს რომ შეხედა, დაამატა: – ოღონდ, ძალიან ფრთხილად და ტაქტიანად.

– ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ბატონო გიორგი, არ გირჩევთ, მით უმეტეს – ახლა.

– „მით უმეტეს ახლა“ რას ნიშნავს?

– თქვენ ძალიან დაეხმარეთ გუგას ციხიდან გამოსვლაშიც და მერეც, იმდენი რამე რომ გამატანეთ მასთან. ჰოდა, ამ ყველაფრის მეორე დღესვე რომ მიხვიდეთ მასთან და მის სულში დაიწყოთ ხელების ფათური... მაპატიეთ, – გაწითლდა მზია, რადგან, საკმაოდ უხეშად გამოუვიდა ნათქვამი, მაგრამ, მაინც განაგრძო: – გამოდის, რომ, იმისთვის, რაც გაუკეთეთ, სანაცვლოს ითხოვთ, რაც არასწორად მიმაჩნია.

– ჰო, ალბათ, შენ მართალი ხარ, მაგრამ, ამ კითხვაზე ფიქრი სიცოცხლის ბოლომდე არ მომასვენებს, – დაფიქრებით თქვა კაცმა.

– თუ ღმერთს უნდა, მაგასაც გავიგებთ, – თბილად უპასუხა მზიამ და თანაგრძნობით შეხედა თვალებში.

მისი ხმითა და მზერით გულაჩუყებულმა გიორგიმ, თავისთვისვე მოულოდნელად, მზიას ხელი ხელისგულებში მოიქცია და უთხრა:

– რომ იცოდე, რა ლამაზი ხარ ამ წუთში...

დაბნეულმა გოგომ ხელის წართმევა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა და თითქმის ტირილით შეევედრა:

– არ გინდათ, ბატონო გიორგი... ძალიან გთხოვთ, გულს ნუ მატკენთ და ჩვენს მეგობრულ ურთიერთობას ნუ გადაუსვამთ ხაზს...

– არა, შენ ვერ გამიგე, მზია, – ოდნავ მოემატა სითამამე გიორგის, – მე შენ მიყვარხარ და, მინდა, მთელი ცხოვრება ერთად ვიყოთ...

– რა?! – ჩაიჩურჩულა მზიამ და თვალები მაგრად დახუჭა, რომ თავისი გაოგნება დაემალა.

– ჰო, ვიცი, რომ, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ზედმეტი თვითდაჯერებულობაა შენგან სამაგიერო გრძნობის მოთხოვნა, მაგრამ, გულს ვერ უბრძანებ. მართლა მიყვარხარ, მეც მომენატრა ბედნიერება და, მინდა, რომ შენც ბედნიერი იყო ჩემ გვერდით.

– ანუ, ცოლობას მთხოვთ? – ისევ ჩურჩულით თქვა მზიამ და თვალები ნელ-ნელა გაახილა, – მე, უპატრონო გოგო, უბრალო ექთანი, გინდათ, რომ თქვენი ცოლი გავხდე?

– ჰო, მინდა კი არა, ვოცნებობ ამაზე, – აღელდა გიორგი, – შენმა სიყვარულმა პატარა ბიჭად მაქცია და, მზად ვარ, მთები გადავდგა შენ გამო...

– ბატონო გიორგი, ჩემთვის ასეთი სიტყვები ჯერ არავის უთქვამს, – ცრემლი მოადგა თვალებზე მზიას.

– არც მე მითქვამს ასეთი სიტყვები არავისთვის, გეფიცები.

– თქვენ ხომ ცოლი გყავდათ და, როგორც ვიცი, ძალიან გიყვარდათ, – ფრთხილად თქვა მზიამ.



– ჰო, ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ, მაშინ ძალიან ახალგაზრდები ვიყავით და, როგორც ჩანს, ამდენი სიტყვის საჭიროება არ იყო, ან, უბრალოდ, ეს სიტყვები მაშინ არც კი ვიცოდი, – სევდიანად გაეღიმა გიორგის.

– თქვენ ის ახლაც გიყვართ, ხომ ასეა?

– ჰო, მაგრამ, ის აღარ არის. მე, ისევე, როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, ჩემი წარსული, ჩემი ახალგაზრდობა მიყვარს, მაგრამ, ეს სულაც არ მიშლის ხელს იმაში, რომ ისევ მიყვარდეს. თუ შენ დათანხმდები ჩემს წინადადებას, უბედნიერეს კაცად მაქცევ და, დარწმუნებული ვარ, ამით ნინოც გაიხარებს იმქვეყნად.

მზია თავდახრილი იჯდა მაგიდასთან და აწითლებულ სახეზე ხელები ჰქონდა აფარებული. სიჩუმე მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა, მაგრამ გიორგის საუკუნედ მოეჩვენა. ფრთხილად ჩამოაღებინა ხელები სახიდან, თვალებში ჩახედა და ძალიან ნაზად ჰკითხა:

– დავიჯერო, სულ არ გიყვარვარ? დავიჯერო, მეც და დიმიტრისაც მოგვეჩვენა, რომ გულგრილი არ ხარ ჩემ მიმართ?

მზია ფართოდ გახელილი თვალებით შესცქეროდა მის წინ მჯდარ კაცს და ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა სახეზე.

– მზია, მე პასუხს ველი, პასუხს ერთადერთ კითხვაზე და, ძალიან გთხოვ, გულწრფელად მიპასუხე: მე და დიმიტრის მოგვეჩვენა...

მზიამ წინადადება აღარ დაამთავრებინა, არც ტირილი შეუწყვეტია, მხოლოდ გაიღიმა, თავი ოდნავ გააქნია და ძალიან ჩუმად თქვა:

– არა...

– რა – „არა“? – შეკრთა გიორგი.

– არ მოგჩვენებიათ... – ძლივს ამოიჩურჩულა მზიამ.

– ესე იგი?! – გიორგიმ მზია სკამიდან წამოაყენა და თვალებში ჩააცქერდა, – ესე იგი, თანახმა ხარ, ჩემი ცოლი გახდე?

– თანახმა ვარ... – თქვა მზიამ და გიორგის მკერდზე მიაყრდნო თავი.

კაცმა გულში ჩაიკრა ბედნიერებისგან დაბნეული გოგო და ხმის ამოღებას ველარ ბედავდა. ალბათ, ასე იდგებოდნენ კარგა ხანს, სამზარეულოს კარზე დაკაკუნების ხმას რომ არ გამოეფხიზლებინა. გაოცებულებმა გაიხედეს და გაღებულ კარში ყურებამდე გაღიმებული დიმიტრი იდგა.

– ამათ უყურე, რა დღეში არიან! მე იქ მთელი ამბები ვიჩალიჩე, ამათ კი აღარც ვახსოვარ! აღარ აპირებთ ამ დახუთული სამზარეულოდან გამოსვლას?

სახეგაბრწყინებულმა გიორგიმ ხელი ჩაჰკიდა მზიას და ოთახისკენ წაიყვანა. წინ დიმიტრი მიუძღოდათ ეშმაკური ღიმილით. ოთახში შუქი იყო ჩამქრალი და ბნელოდა. ის იყო, გაოცებულ გიორგის უნდა ეკითხა ძმისთვის, რა ხდებაო, რომ დიმიტრიმ ტაში შემოჰკრა. მაშინვე გაჩახჩახდა ჭაღი და მზიას უცბად ეგონა, რომ ზღაპარში ამოყო თავი, ან, უცნაურ სიზმარს ხედავდა: მთელი ოთახი ულამაზესი თაიგულებით იყო სავსე, შუაში დადგმულ მაგიდაზე კი სადღესასწაულო ტორტი და შამპანურის ბოთლები ეწყო.

– შენ რა, ჯადოქარი ხარ? – გაოცებას ვერ მალავდა გიორგი, – წელან არ გაგიკეთა მზიამ დასაძინებელი წამალი?

– წელან კი არა, ორ საათზე მეტი გავიდა, რაც თქვენ იქ ჟღურტულებდით. ამასობაში, გამეღვიძა, თქვენი საუბარიც გავიგონე, მივხვდი, რითაც დასრულდებოდა ეს ყველაფერი და, გადავწყვიტე, სიურპრიზი მომეწყო.

– მერე, ამ შუაღამისას სახლიდან გაუსვლელად როგორ მოიტანე ამდენი ყვავილი?

– ღმერთმა მეგობრები გვიმყოფოს კარგად, – სიცილით თქვა დიმიტრიმ და დაიძახა: – დათკა, შემოდი!

უცებ აივნის კარის წინ ჩამოკიდებული სქელი ფარდა გადაიწია და გამოჩნდა გაღიმებული დათო, რომელსაც მარცხენა ხელი ზურგს უკან ჰქონდა წაღებული, მარჯვენა ხელის სამი თითით კი მრგვალი სინი ეკავა, რომელზეც შამპანურით სავსე ოთხი ფუჟერი იდგა. მან გამოცდილი ოფიციანტივით შესთავაზა სასმელი სამივეს, მეოთხე ფუჟერი თვითონ აიღო და დიმიტრის თვალით ანიშნა, პირველმა შენ უნდა დალოცოო.

ის იყო, დიმიტრიმ სადღეგრძელოს თქმა დააპირა, რომ უცებ გიორგიმ იყვირა:

– მოიცა, ჯერ არაფერი თქვა! ერთი წუთით დამელოდეთ, რაღაც დამავიწყდა! – მერე პატარა ბიჭივით ატაცებული გავარდა თავისი ოთახისკენ. მართლაც ერთი წუთის შემდეგ, ისევ სირბილით დაბრუნდა უკან, გაოცებული საზოგადოების თვალწინ ცალ მუხლზე დაეშვა მზიას წინ, ხავერდის პატარა კოლოფიდან ბრილიანტის ულამაზესი ბეჭედი ამოიღო და საზეიმო ხმით უთხრა:

– ოფიციალურად გთხოვ, გახდე ჩემი ცოლი! – მერე ბეჭედი თითზე გაუკეთა და ღიმილით თქვა: – ზუსტად მოგერგო, თუმცა, მაღაზიაში გამყიდველს შევუთანხმდი, თუ დიდი ან პატარა მოგივიდოდა, გამომიცვლიდა.

მთელი ღამე მხიარულ საუბარში გაატარეს.

– ხვალვე დავურეკავ ჩემს თინანოს და ქმარ-შვილთან ერთად დავპატიჟებ ჩვენს ქორწილში, – თქვა გიორგიმ, – დიდი ქორწილი უნდა გადავიხადოთ, მერე კი სამოგზაუროდ წავალთ, – უთხრა მზიას და გულში ჩაიკრა.

– მე მგონია, დიდი ქორწილი საჭირო არ არის. ჯვარს რომ დავიწერთ, მხოლოდ უახლოესი ადამიანები მოვიწვიოთ. არ მიყვარს ძალიან ხალხმრავალი ქორწილები, – მორიდებით თქვა მზიამ.

– კარგი, ეგ მერე გადავწყვიტოთ, – აღარ შეეკამათა გიორგი და იმ ადამიანების ჩამოთვლას შეუდგა, ვინც აუცილებლად უნდა დაეპატიჟებინათ.

– ბატონო დიმიტრი, შენ არ დალიო, მარტო გვადღეგრძელე! – ყოველ წუთში შენიშვნას აძლევდა მზია.

– გოგო, დღეიდან რძალი ხარ ჩემი და



დაანებე თავი ამ „ბატონოს“; თანაც, ამ საღამოს მაინც დაივიწყე, რომ შენი ავადმყოფი ვარ და თავი დამანებე! – ხუმრობით შეუწყრა დიმიტრი.

– მზია ნებისმიერ სიტუაციაში თავის ამპლუაშია, – გაეცინა გიორგის და აწითლებულ საცოლეს შუბლზე აკოცა.

მეორე დღეს გიორგი ადრე გავიდა სახლიდან – სამსახურში უნდა შევიაროო; შუადღისთვის კი უამრავი პარკითა და კოლოფით დაბრუნდა და მზიას წინ ნაყიდი ნივთების მთა დააყენა.

– რაც არ მოგეწონება, არ მოგერიდოს, მითხარი. მხოლოდ საქორწილო კაბა და ფეხსაცმელი არ მიყიდია. ფულს მოგცემ, ვინმე გაიყოლე და თვითონ შეარჩიე, შენი გემოვნებით.

მზია გაფართოებული თვალებით უყურებდა ამდენ საჩუქარს და ხმას ვერ იღებდა.

– რა იყო, მოხდა რამე? – შეწუხდა გიორგი.

– არა, არაფერი, – ჩაფიქრებით თქვა მზიამ.

– აბა, რა მოგივიდა, რატომ უყურებ ამ ყველაფერს ასე დაფიქრებული?

– იცი, მე მგონი, კონკიას ზღაპარი ჩემზეა დაწერილი, – გაეღიმა მზიას.

***

საღამოს ირაკლი ქებაძემ დაურეკა მზიას, დიმიტრის შესახებ გამოჰკითხა ყველაფერი და შეჰპირდა, კლინიკიდან პირდაპირ თქვენთან წამოვალო.

პროფესორს კარი დიმიტრიმ გაუღო და ოთახში შეუძღვა.

– ოჰო, როგორ მოგირთავთ ოთახი! – აღნიშნა ქებაძემ, – რამე ხდება?

– დიახ, ბატონო ირაკლი, გიორგი ცოლს ირთავს, მალე ქორწილი იქნება და, იცოდეთ, რომ აუცილებლად უნდა მობრძანდეთ. დღე-


## მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც); შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი; გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან; ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ და სწრაფად გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა; „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა; ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. საჭირო გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლოესი აპარატურით, ანონიმურობის დაცვით, მყარი, 100-პროცენტიანი შედეგით.

**599-90-54-78; 2-34-02-38. – ოფისი. ქ-ნი მარიამი**



სა და საათს უახლოეს დღეებში გაცნობებთ.

– მართლა? გილოცავთ, აუცილებლად მოვალ. მერე ტუმბოდან მზიას ჩანაწერების რვეული აიღო, ყურადღებით გადაავლო თვალი და მხოლოდ შემდეგ იკითხა გაკვირვებულმა:

– მზია სად არის?

– მზია საქმროს გაჰყვა რაღაც საქმეების მოსაგვარებლად.

– ვის გაჰყვა?! – ყურებს არ დაუჯერა ქებაძემ.

– დიახ, არ მოგესმათ. მზიაც გავათხოვეთ, – გაეცინა დიმიტრის, – და მალე ქორწილი ექნება.

– ძალიან მიხარია. ესე იგი, ორ ქორწილში მომიწევს ქეიფი?

– არა, ბატონო ირაკლი, ერთ ქორწილში, – ძალით დაისერიოზულა თავი დიმიტრიმ.

– როგორ, მზია არ მპატიჟებს ქორწილში?! – გაუკვირდა პროფესორს.

– რა თქმა უნდა, გპატიჟებთ.

– მერე, ორი ქორწილი არ გამოდის?

– არა, მაინც ერთი გამოდის, – ღიმილი ველარ შეიკავა დიმიტრიმ.

– ანუ... – მიხვდა ქებაძე და გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა.

– დიახ, „ანუ“, – დაეთანხმა დიმიტრი სიცილით.

– რას მელაპარაკებით! – სიხარულით წამოიძახა პროფესორმა, – მართლა ძალიან გამიხარდა. ეს გოგო ნამდვილად იმსახურებს ბედნიერებას. სწორედ მასზეა ნათქვამი: „ობლის კვერი ცხვაო, ცხვაო და გვიან გამოცხვაო“. ისე, ძალიან ჭკვიანი კაცი ყოფილა თქვენი ძმა, მზია ნამდვილი განძია მამაკაცისთვის.

– დიახ, გიორგიც ასე ფიქრობს. პატარა ბიჭივით არის შეყვარებული, ბედნიერებისგან დაფრინავს.

– თუ დღეს ვერ მომისწრეს, ჩემ მაგივრად ორივეს მიულოცეთ, თუმცა, მე თვითონ დავურეკავ, – თქვა პროფესორმა, მერე დიმიტრი გასინჯა, ახალი მითითებები ჩაუწერა მზიას რვეულში და წავიდა.

***

მზია და გიორგი თითქმის მთელი თვე საქორწილო სამზადისში იყვნენ და გუგასთან დარეკვა აღარ გახსენებიათ, მით უმეტეს, რომ ნახვასა და მასთან საუბარს აღარ აპირებდნენ, რადგან, პრაქტიკულად, გასარკვევიც აღარაფერი ჰქონდათ. მაგრამ, დიმიტრის არ ასვენებდა ერთი საკითხი – რატომ უთხრა გუგამ, ერთით ერთიაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ რევანში აუღო, სამაგიეროო გადაუხადა, მაგრამ, რით? ისე აეკვიატა ამაზე ფიქრი, რომ მთელი ღამეები არ ეძინა და თავის და გუგას წარსულში იქექებოდა, იქნებ რამე ისეთი გაეხსენებინა, რაც პასუხს აპოვნინებდა ამ კითხვაზე.

ნანიტას შერთვის შემდეგ გუგასთან დაკავშირებული თითქმის ყოველი დღე გაიხსენა, მაგრამ საინტერესოს ვერაფერს მიაკვლია; ერთ ღამეს კი, როდესაც ამ საკითხზე ფიქრში ჩაეძინა, უცნაური სიზმარი თუ ჩვენება ნახა: სამსახურში სერიოზული უსიამოვნება შეხვდა და სახლში განერვიულებული დაბრუნდა. გაუხარდა, ნანიტას წერილი რომ დახვდა – დედაჩემთან ვართ და ხვალ საღამომდე არ მოვალთო. მაშინვე კონიაკი გამოიღო ბარიდან და პირდაპირ ბოთლით მოიყუდა. რომელიღაც ნაძირალა თანამშრომლის წყალობით, ფირმას დიდი ვალი დაედო, რაც დიმიტრის ერთ კვირაში უნდა დაეფარა. ეს ისეთი მოულოდნელი შოკი იყო ყველასთვის, რომ დიმიტრიმ ეჭვიც კი ვერავიზე მიიტანა. ჭკუიდან გადასულმა, თანაშემწეებს დავალებები მისცა მომხდართან დაკავშირებით, იმ ნაძირალას ვინაობის გარკვევა კი მეორე დღისთვის გადადო, რადგან, ძალიან ცუდად გრძნობდა თავს და, შეეშინდა, რამე არ დამემართოსო. ბოლმისგან გული გახეთქვაზე ჰქონდა. თითქმის მთელი ბოთლი კონიაკი დაცალა, მაგრამ შვება ვერ იგრძნო, მხოლოდ მსუბუქად მოეკიდა ალკოჰოლი. ის იყო, დაწოლა გადაწყვიტა, რომ კარზე ზარის ხმა გაისმა. არავის ელოდა და გაუკვირდა – ვერ მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო. ჯერ იფიქრა, არ გავაღებო, მაგრამ, ზარი რამდენჯერმე განმეორდა და იძულებული გახდა, კარი გაეღო. ბოლომდე გამოხსნაც ვერ მოასწრო, რომ ბინაში გუგა შემობანცალდა, თან უცნაურად აკანტურებდა თავს და მთელი სხეულით თრთოდა. დიმიტრი უცბად მიხვდა ყველაფერს და საშინლად გაბრაზდა, რადგან, დარწმუნებული იყო, რომ, გუგამ, როგორც თვითონ ამბობდა, „გადააგდო წამალი“ და საქმიანი კაცი გახდა.

– როგორ გაბედე ჩემთან მოსვლა, თანაც, ასეთ მდგომარეობაში? – უყვირა გაცოფებულმა, ქურთუკში ხელი ჩაავლო და კარისკენ უბიძგა, – ახლავე წაეთრიე აქედან და ჩემმა თვალებმა აღარ დაგინახოს, გათავისუფლებული ხარ სამსახურიდან!

მაგრამ გუგას არანაირი რეაქცია არ ჰქონია ასეთი „გულითადი“ მიღების გამო, ჯიბეებში დაიწყო ფათური და მიკნავებული ხმით შეეხვეწა:

– აუ, ძმურად, ახლა არ გამაგდო, რა! უცბად გავიკეთებ და ხუთ წუთში წავალ. ამ ერთხელ, რა, ძმურად! – მერე ისე, რომ პასუხს არ დალოდებია, ჩაბღუჯული ქურთუკი დიმიტრის ხელში შეატოვა, ძლივს მიაგნო სამზარეულოს, გაზქურა გაჭირვებით აანთო და აკანკალებული ხელებით დაიწყო „წამლის“ მომზადება. დიმიტრი ისე გააოცა გუგას თავხედობამ, რომ ხმა ველარ ამოიღო, მექანიკურად გაჰყვა უკან და დაძაბული უყურებდა, როგორ მოხერხებულად მოიჭირა მკლავზე „ჟგუტი“ მისმა დაუპატიჟებელმა სტუმარმა და რო-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შ | რ | ო | მ | ა |  | | | | | | გ | რ | ა | ფ | ი |
| | | ს | | თ | | | | | | | | | ი | | რ |
| ხ | მ | ა | ლ | ა | | | | | | | შ | ა | შ | ხ | ი |
| ბ | | კ | | ს | | | | | | | | ი | რ | ო | ბ |
| ო | ჯ | ა | ხ | ი | | | | | | | ა | ს | ა | მ | ი |
| | | | ა | | | | | | | | | ა | | ლ | |
| ს | ფ | ე | რ | ო | | | | | | | ი | ტ | ი | ი | შ |
| მ | ა | ნ | ი | ა | კ | ი | | | ა | ს | ა | | | | ე |
| ე | | დ | | ზ | ა | ლ | პ | ი | | ა | | მ | ე | | ფ |
| რ | უ | რ | კ | ი | | უ | | ლ | ო | მ | ბ | ა | რ | დ | ი |
| ჩ | | ი | | ს | ა | ნ | დ | ი | | ა | რ | ფ | ა | | |
| ი | ს | უ | ტ | ი | ლ | ა | | შ | ე | ს | ა | შ | უ | რ | ი |
| | ი | | ა | | ა | რ | ა | მ | | ი | ლ | ა | ნ | | ნ |
| ა | ნ | ა | ნ | ი | | ი | რ | ი | ლ | | ი | ლ | | | დ |
| გ | ი | ვ | ი | | ი | | ი | შ | ი | შ | | ი | გ | ლ | უ |
| ნ | | ლ | | ი | ლ | ო | ზ | | მ | ა | დ | ა | მ | | რ |
| ი | ნ | ე | დ | რ | ო | | ო | მ | ა | რ | ი | | ი | | ი |
| | ა | | ე | კ | ნ | ა | ნ | ა | | ა | კ | ი | რ | ე | |
| ა | უ | ტ | ნ | ა | გ | რ | ა | გ | | | ე | ნ | ო | რ | ფ |
| | რ | | თ | | | ბ | | ნ | ა | ც | ნ | ო | ბ | ი | |
| პ | უ | ტ | ი | ნ | ი | | ს | ა | რ | ო | ს | ტ | ა | ნ | ი |
| უ | | ო | | ი | ლ | ე | ვ | | ი | დ | ი | ს | | ი | |
| მ | ო | ლ | ა | რ | ე | | ი | ზ | ა | ნ | | ი | ნ | ა | ვ |
| ა | | ი | ნ | ი | ნ | | ა | | ნ | ა | კ | ლ | ი | | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 7 | 1 | 9 | 4 | 5 | 8 | 3 | 6 |
| 4 | 6 | 8 | 2 | 3 | 1 | 5 | 7 | 9 |
| 9 | 5 | 3 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 1 |
| 8 | 9 | 6 | 1 | 5 | 3 | 4 | 2 | 7 |
| 3 | 1 | 4 | 7 | 8 | 2 | 6 | 9 | 5 |
| 7 | 2 | 5 | 6 | 9 | 4 | 3 | 1 | 8 |
| 5 | 8 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 3 |
| 6 | 3 | 9 | 5 | 2 | 7 | 1 | 8 | 4 |
| 1 | 4 | 7 | 3 | 6 | 8 | 9 | 5 | 2 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 7 | 3 | 5 |
| 7 | 2 | 3 | 5 | 6 | 4 | 1 | 9 | 8 |
| 9 | 5 | 8 | 3 | 7 | 1 | 6 | 4 | 2 |
| 8 | 3 | 5 | 6 | 4 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 1 | 7 | 6 | 9 | 8 | 2 | 4 | 5 | 3 |
| 4 | 9 | 2 | 1 | 3 | 5 | 8 | 6 | 7 |
| 3 | 6 | 7 | 4 | 5 | 8 | 9 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 4 | 7 | 9 | 3 | 5 | 8 | 6 |
| 5 | 8 | 9 | 2 | 1 | 6 | 3 | 7 | 4 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. გოლი ხელით გაიტანა. 2. თბილისი-ფოთი – რკინიგზა. 3. მშვილდოსნები. დასველებული ლარით ისრის სროლა შეუძლებელი იყო. 4. ჭიამაიას. 5. აქცენტი. 6. უნიტაზი (უნიტა – ერთობა). 7. მერლინ მონრო. 8. გლეხები ბრძოლის ველზე აგროვებდნენ მათ და მცირე დამუშავების შემდეგ ცელად ან ნამგლად იყენებდნენ. 9. პაპარაცებს. 10. პოლონიუმი.**

გორ ექიმისთვის შესაშური სიზუსტით გაირჭო ვენაში ინსულინის შპრიცი. ორი წუთის მერე გუგას კანკალმა გაუარა, სახე დაუმშვიდდა და რაღაცნაირი ცხოველური გამომეტყველება მიიღო – უაზროდ მშვიდი და აბსოლუტურად უემოციო. რამდენიმე წამის შემდეგ კი მიბლეტილი თვალები სანახევროდ გაახილა და დიმიტრის მიმართა:

– თუ გინდა, ნახევარი დოზა კიდევ მაქვს, შენ გეყოფა, მაგრამ, მერე უნდა გადამიხადო, ძმაო, მეც ვალით მაქვს წამოღებული...

... და, დიმიტრიმ ველარ გაიხსენა, რა და როგორ მოხდა. გაახსენდა მხოლოდ ერთი ეპიზოდი: როგორ აიღო მაგიდაზე დაგდებული სისხლიანი შპრიცი; როგორ ეყარნენ იატაკზე ზრდასრული, ქაღარაშერეული კაცები და გაურკვეველ ფრაზებს ლუღლუღებდნენ. განსაკუთრებით გუგა დადგა ლაპარაკის ხასიათზე და, უკვე კარგად „ჩაკაიფებულ" დიმიტრის თითქოს სხვა სამყაროდან ნაწყვეტ-ნაწყვეტად ესმოდა გუგას სიტყვები:

– იყო დრო, როცა მართლა გულით მიყვარდი, მაგრამ შენ მე მიღალატე... ნანიტა შენზე მეტად მიყვარდა, თუმცა, არაფერი გამომივიდა – შენ მე საცოლე წამართვი, მერე კი მე „წამალზე" შევჯექი... ნანიტა ახლაც მიყვარს... „წამალმა" დამღუპა... ვერა და ვერ შევეშვი... ამის გამო დიდ ვალებში გადავვარდი და სხვა გზა არ მქონდა, მაგრამ, ნუ გეშინია, მალე დავაბრუნებ... არ ვიცი, როგორ, მაგრამ, დავაბრუნებ... შენ კი ნანიტას ღირსი არ იყავი... მეც კაი ქაქი ვარ, მაგრამ, შენისთანა გოთვერანი კაცი ჯერ არ შემხვედრია... შენ მე ცხოვრება დამინგრიე, მეც და ნანიტასაც... ჩემთან ბედნიერი იქნებოდა და მეც არ გავხდებოდი ნარკომანი... ახლაც კი შემიძლია, გავაბედნიერო, ყველაფრის მიუხედავად...

ნირვანაში წასულ დიმიტრის ბუნდოვნად გაახსენდა, რომ ნანიტაზე ძალიან გაბრაზებული იყო და გაგულისებულმა უთხრა:

– არც ახლაა გვიან... შეგიძლია, დაეპატრონო, მე ნებას გაძლევ... მაგრამ, ვერაფერს მიაღწევ – შენისთანა ტიპები ნაღდად არ ევასება...

– შენ არ გაგიტყდება? ესე იგი, დაბროს მაძლევ? – თითქმის გამოფხიზლდა, ისე გაუკვირდა გუგას.

– არაფერი გამოგივა-მეთქი. თუ არ გჯერა, სცადე. საწოლამდე მიყვანაზე კი არა, კოცნაზეც ვერ დაითანხმებ... თუმცა, თუ რამე გამოგივიდა, ისიამოვნე, ძმაო, მე მაინც აღარ მიყვარს... – სვენებ-სვენებით ამბობდა დიმიტრი.

– სერიოზულად მეუბნები?

– ჰო... მაგრამ, ჩემი ცოლი მარალნა უსტოიჩივი ტიპია და ვერ აცდუნებ.

– მოდი, მაზიანი! – შესთავაზა გუგამ და სახეზე საშინელი ღიმილი გამოესახა.

– რაზე? – ჰკითხა დიმიტრიმ მექანიკურად.

– თუ მოგიგე, ფირმის ვალს გამიქვითავ.

– კარგი, – უაზროდ უპასუხა დიმიტრიმ, გულში კი გაიფიქრა, ნეტავი რა ფირმის ვალზე მელაპარაკებაო. იმ მომენტში ბოლომდე ვერ აღიქვა გუგას უნებლიე აღსარების შინაარსი, მაგრამ, გონზე რომ მოვიდა, ყველაფერს მიხვდა, თუმცა, ნანიტასთან დაკავშირებული „გარიგება" საერთოდ აღარ გახსენებია, რადგან მთელი მისი გონება იმ ინფორმაციამ მოიცვა, რაც გუგასგან შემთხვევით გაიგო. მეორე დღესვე თავიდან ბოლომდე გადაამოწმა ბოლო ერთი თვის განმავლობაში გადადგმული მისი ყოველი ნაბიჯი და გაარკვია, რომ „წამლის" გამო გუგამ ძალიან დიდი ვალი აიკიდა, ფულის საშოვნელად კაზინოში ითამაშა, მაგრამ, მოგების ნაცვლად, ორი იმდენი ვალი დაიმატა, რომელსაც, თვის ბოლომდე თუ არ დააბრუნებდა, მოკლავდნენ. ამანაც, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, რაღაცნაირად მოახერხა და სეიფიდან 50 ათასი დოლარი მოიპარა – ის თანხა, რომელიც დიმიტრის ერთ-ერთი პარტნიორი ფირმისთვის უნდა გადაერიცხა.



დიმიტრი ისე გააცოფა ამ ენით აუწერელმა ნაძირლობამ, რომ, აღარაფერს მოერიდა და აღარავინ დაინდო: გუგას ორ დღეში გააყიდვინა სამოთახიანი ბინა საბურთალოზე და მოპარული ფული უკან დააბრუნებინა, თვითონ გუგა კი ყველა თანამშრომლის თვალწინ, სამარცხვინოდ კინწისკვრით გააგდო სამსახურიდან.

ასეთმა მოპყრობამ თვით ჩაშვებულ ნარკომანშიც კი გააღვიძა უკვე თითქმის გარდაცვლილი თავმოყვარეობა – საშინლად გაბოროტებული გუგა დიმიტრის ოფისში მიუვარდა და, სერიოზული გაწევ-გამოწევის შემდეგ, თანამშრომლების თანდასწრებით დაემუქრა:

– რა, მარტო მე ვკაიფობ? შენც ჩემ გვერდით არ ეგდე იმ დღეს? ფული არჩიე კაცობას? ჩემი კაი მოვ..., თუ მაგრა არ განანო! ბოზიშვილი ვიყო, თუ არ გაგანადგურო!

– რას მიზამ, მესვრი? – აფეთქდა დიმიტრი, – ფეხებსაც ვერ მომჭამ, ნაბიჭვარო, იმიტომ, რომ, იცი, მე მართალი ვარ! შენს კაიფსა და „წამლებს" ვერ გადავაყოლებ ჩემს სიმწრით აწყობილ საქმეს! წუმპიდან ამოგათრიე, ექიმებთან გატარე, საქმეში ჩაგაყენე, მაგრამ, ვერაფერი დაგანახვე! მილიონჯერ დაგეხმარე, მილიონჯერ დავხუჭე თვალი შენს ნაბიჭვრობებზე, მილიონჯერ გაგაფრთხილე, მაგრამ, სულ მატყუებდი, თავს მაცოდებდი, პირობას დებდი... მართალი ვარ და ენა ჩაიგდე! გინდა „შავებთან" გავარჩიოთ საქმე და გინდა „თეთრებთან"! იცი, რომ ყველა შენ გაგამტყუნებს და ამიტომაც ხარ გაგიჟებული! აქამდე მართლა მეცოდებოდი, მაგრამ, შენ თუ ყ... ზე დამიკიდე, მეც მკიდიხარ და ასი წელი არ მაინტერესებს, სად ჩაკვდები და ვინ გამოგჭრის ყელს! ახლა კი გაეთრიე აქედან და ერთ კილომეტრზე ნაკლები რადიუსით აღარ მოუახლოვდე აქაურობას, ბარიგები და ნაძირლები არ მჭირდება საქმეში!

გუგა ასეთ შემოტევას მაინც არ ელოდა, თანაც – სახალხოდ. სიბრაზისგან ლამის თვალის გუგები გაუთეთრდა, ხრიალით ჩაისუნთქა ჰაერი და ბოროტად ამოისისინა:

– წუმპიდან ამომათრიე? მერე, ვისი წყალობით აღმოვჩნდი იმ წუმპეში?

– შენი უტრაკობის წყალობით! – ბოლომდე არ დაინდო დიმიტრიმ.

მთლად განადგურებულმა გუგამ მოულოდნელად ძალიან მშვიდად უთხრა:

– არა, დიმიტრი, არ გესვრი; არც ოფისს აგიფეთქებ და არც საწამლავს ჩაგიყრი საჭმელში, მაგრამ, ისე გაგსრეს, ისე გაგანადგურებ, რომ ეს ყველაფერი სანატრელი გაგიხდეს. იცოდე, ყველას ყველაფერი მოეკითხება! არ დაგავიწყდეს დღევანდელი დღე და ჩემი სიტყვებიც კარგად დაიმახსოვრე! ჩაო! – და დამცინავი სახით დაიძრა გასასვლელისკენ. კარამდე რომ მივიდა, მოულოდნელად შეჩერდა, დიმიტრისკენ შემობრუნდა და საშინლად უსიამოვნო ღიმილით გამოცრა:

– ნანიტას რომ ნახავ, ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეცი და, კარგად დაიმახსოვრე, რომ ჩვენი მაზიანის პირველი ნაწილი მაინც ძალაში რჩება! – და გავიდა.

დიმიტრის ყურადღება აღარ მიუქცევია გუგას ბოლო სიტყვებისთვის, მხოლოდ სხვათა შორის გაიფიქრა, ნეტავი, რა მაზიანზე ლაპარაკობსო. მერე ძალიან ბუნდოვნად, თითქოს გაახსენდა თუ მიხვდა, რომ ეს სიტყვები რაღაცნაირად ნანიტას ეხებოდა, მაგრამ, ვერაფრით ვერ გაიხსენა, რასთან დაკავშირებით და, ამიტომ, თავის მეხსიერებას აღარ ჩასძიებია...

... დიმიტრიმ დაფეთებულმა გაახილა თვალები. გული მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. მთლად ოფლში ცურავდა. თვითონაც უკვირდა, ასე დეტალურად როგორ აღიდგინა თავისი ცხოვრების თავიდანვე მივიწყებული ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდი.

„მაშ, შეასრულა მუქარა, მივიდა ნანიტასთან და ამით იძია შური ყველაფერზე?.. ამიტომაც გაიძახოდა, ერთით ერთიაო. ეტყობა, ძალიან ეცადა, რომ ღალატზე დაეთანხმებინა, მაგრამ, ნანიტა როგორ წავიდა ამაზე, მაშინ ხომ ჯერ კიდევ ჩემი ცოლი იყო?!" – გაიფიქრა დიმიტრიმ და იგრძნო, რომ გონებას კარგავდა. დაძახება რომ ვერ შეძლო, საწოლის გვერდით, ტუმბოზე დადგმულ ჭიქას გაჰკრა ხელი და ძირს გადააგდო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ავტორიზებული თბილისის ტურიზმის აკადემია**
აგრძელებს მიღებას გიდის; ინტერნეტტექნოლოგის (კომპიუტერი); კორესპონდენტისა და მუსიკოს–რეპეტიტორის პროგრამებზე.
დიპლომი სახელმწიფოა, სწავლის ღირებულება ხელმისაწვდომი.
**მისამართი: კოსტავას N 47 (ფილარმონიასთან)**
**ტელ.:2936603; 599188924; 2935430; 2999626.**

# როცა ქალს უყვარს...

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №27(706)**

სიბნელე გაიცრიცა... ან, შეიძლება, თვალი შეაჩვია და ნელ-ნელა უფრო აღსაქმელი გახდა ოთახში განლაგებული საგნების კონტურები. მამაკაცის ზორბა სხეული საათის ქანქარასავით მძიმედ ქანაობდა თოკზე, თანაბრად და შემაძრწუნებლად... როგორც საშინელ კოშმარში, ცივმა ოფლმა მთელი სხეული დაუსველა და კიდურები გაუშეშდა... პირი გააღო... უნდოდა, დაეყვირა, როგორც მაშინ, მაგრამ საკუთარი ხმა არ გაუგონია... გაქცევა გადაწყვიტა, უნდოდა, შორს გასცლოდა ამ საშინელ ადგილს, მაგრამ უჩინარმა ხელმა თითქოს იატაკს მიალურსმა... სხეული კი ქანაობდა... მონოტონურად, უხმაუროდ... ისევ სცადა დაყვირება – ყრუ ხავილისმაგვარი ბგერები აღმოხდა.

– დეა, დეა, გაიღვიძე! გემუდარები, თვალი გაახილე, ნუ მაშინებ! – შორიდან ჩაესმა ქალის სასოწარკვეთილი ხმა. თავზე ლინა ადგა და ანჯღრევდა.

– რა გინდა? – იკითხა დაბნეულმა და წამოჯდა.

– კიდევ მე რა მინდა? გული გამიხეთქე. იცი, როგორ ყვიროდი? კოშმარი დაგესიზმრა?

– არა... უფრო სწორად, არ მახსოვს. მართლა არ მახსოვს... ვყვიროდი?

– ჰო... იცი, როგორ შემეშინდა? თან ხელებს იქნევდი და რაღაც გაუგებარ სიტყვებს გაჰკიოდი.

– რა სიტყვებს? – დეამ შუბლზე მოისვა ხელი...

– რა ვიცი, მე მაგდენი ქართული ჯერ ვერ ვისწავლე... უჰ, შენ რა გითხარი. მართლა არაფერი გახსოვს? – დაეჭვებით შეხედა ლინამ.

– არა... – დეამ მზერა მოარიდა თვალებგაფართოებულ ლინას – ცრუობდა და არ უნდოდა, გოგოს ეს შეენიშნა. თუმცა, ლინა ისე იყო დამფრთხალი, მაინც ვერ შეამჩნევდა დეაში მომხდარ ცვლილებას, რომელსაც თავისი სიზმრის კონკრეტული ფრაგმენტების გახსენება არ შეეძლო, მაგრამ ის კი ზუსტად იცოდა, რომ პირველად არ დამართნია ასეთი რამ. პირიქით, სტაბილურად მეორდებოდა. თუმცა, სრულიად მოულოდნელად... ერთი სიტყვით, არაპროგნოზირებადი იყო მისი კოშმარი და ყოველ ჯერზე სულ უფრო შემაძრწუნებელი, სისხლის გამყინავი.

– რომელი საათია? – ჰკითხა ლინას.

– დილის ექვსი საათია. ახლა რაღა დამაძინებს, აწუწუნდა გოგო, წავალ, წყალს ავადუღებ და ჩაი დავლიოთ... ნეტავი ვიცოდე, რა ნახე ამისთანა – ეტყობა სერიოზული კოშმარი იყო... სანდრო ხომ არ დაგესიზმრა ვამპირის როლში? – გამოიდარა ლინამ და აკისკისდა, – მართლა არ დაურეკავს.

– ტელეფონის ნომერი რომ არ მიმიცია, დაგავიწყდა? შენ დაგირეკა იმ ტომასმა?

– უჰ, ამიკლო მესიჯებით. „ფეისბუქზეც“ მომძებნა და დამიმეგობრა. შევხვდეთო. დარწმუნებული ვარ, მარტო არ იქნება, ალექსანდრესაც მიუძღვის წვლილი მის აქტიურობაში. ამიტომ, არც „ჰოს“ ვეუბნები და არც „არას“. შენ გელოდები.

– წადი, წადი, ჩაიდანი დადგი... მაგაზე ჯერ არ მიფიქრია.

ლინამ დააპირა, რაღაც კიდევ ეთქვა, მაგრამ მხრები აიჩეჩა და ბარისკენ გაემართა.

დეა ადგა. შიშველ სხეულზე ხალათი შემოიცვა და საწოლზე ჩამოჯდა. არ ცდილობდა, ნანახის დეტალები აღედგინა მეხსიერებაში – იცოდა, ამას აზრი არ ჰქონდა... ისიც იცოდა, რომ ერთადერთი შანსი ამ კოშმარიდან გათავისუფლებისა მხოლოდ მის ხელში იყო; სხვა ვერავინ დაეხმარებოდა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა წარსულის აჩრდილებთან ბრძოლაში...

– ჩაი მზად არის, მოხვალ თუ მანდ მოგიტანო? – გამოსძახა ლინამ.

– არა, მოვალ... – დეა ადგა და სასტუმრო ოთახში გავიდა. ლინამ ჩაით სავსე ფინჯანი მიუჩოჩა, – ბალახების მოგიმზადე, ცოტას დაგამშვიდებს.

– უკვე მშვიდად ვარ... მაგრამ ჩაის დავლევ, მიყვარს... ახლა ჩავიცვამ და ქალაქში გავისეირნებ ფეხით.

– ასე დილაუთენია? აუ, მე ვერ წამოვალ. დავწვები და ცოტას კიდევ წავუძინებ. ხომ არ გეწყინება, თუ არ გამოგყვები?

– პირიქით, მარტო მირჩევნია კიდეც, – გაუღიმა დეამ.

– ყოველდღე მაოცებ – დილის შვიდ საათზე მარტო მიდიხარ სასეირნოდ. ყოველთვის ასეთი უცნაური იყავი?



– რას გულისხმობ?

– რა ვიცი, აბა?! ზოგადად, შენი ასაკის გოგოები სხვანაირები არიან, – ბრძენი ქალივით ჩაილაპარაკა ლინამ.

– ოჰ, ისე ლაპარაკობ, თითქოს ძალიან დიდი იყო, – დეა მეგობრისკენ გადაიხარა და ლოკაზე აკოცა.

– დიდი რომ არ ვარ, იმიტომაც ვამჩნევ შენს განსხვავებულობას. იცი, როგორი გამოხედვა გაქვს? უკვე არაერთხელ შევნიშნე...

– მაინც, როგორი? – ჩაიცინა დეამ.

– დიდტკივილგადატანილი ქალის, ცხოვრებამ მძიმე დაღი რომ დაასვა და არაერთხელ გაუცრუა იმედები. მითხარი, ვინმე გიყვარდა და თქვენი ურთიერთობა არ აეწყო? ოღონდ, არ გეწყინოს ჩემი ასეთი ცნობისმოყვარეობა.

– ეგ რა შუაშია. რატომ უნდა მეწყინოს... როდის უნდა მომესწრო შეყვარება და იმედგაცრუება? ცხრამეტი წლის ვხდები, ამაზე არ იფიქრე?! ჯერ სწავლის მეტი არაფერი მიკეთებია.

– ეგ ვიცი და იმიტომ მიკვირს. ისიც ხომ ვიცი, მშობლებს როგორ უყვარხარ და უარს არაფერზე გეუბნებიან. მამაჩემი სულ ამბობს, რომ მათთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს – იდეალური.

– ჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს, როგორც შვილს უნდა ჰქონდეს მშობლებთან, – გულგრილად აიჩეჩა მხრები დეამ, – ისეთი, როგორიც, მაგალითად, შენ... მშობლები ხომ გიყვარს?

– კარგად იცი, რასაც ვგულისხმობ, – ტუჩი აიბზუა ლინამ, – მე მამაჩემთან ისეთი გულახდილი ვერასდროს ვიქნები, როგორც შენ, აღარაფერს ვამბობ დედაზე...

– იმიტომ, რომ დედაჩემი ქართველია, – რაღაცნაირად, მექანიკურად უპასუხა დეამ, – ქართველი დედები განსაკუთრებული სინაზითა და მზრუნველობით გამოირჩევიან შვილების მიმართ. დევიდი კი, უბრალოდ, ასეთი ადამიანია – განსაკუთრებული.

– დევიდი... როგორ უბრალოდ ახსენებ მამას – როგორც მეგობარ ბიჭს.

– არ ვიცი, მე მეგობარი ბიჭები არ მყავს. დევიდი კი მართლაც არაჩვეულებრივი ადამიანია. ძალიან გაუმართლა ანას...

– ჰო... შენც, ალბათ, დევიდისნაირს ეძებ, ხო?

– რას ნიშნავს – ვეძებ? რისთვის უნდა ვეძებდე?

– ხომ ამბობენ, გოგოებს თავისი მამის მსგავსი მამაკაცები უნდათ ქმრებადო.

– ყოჩაღ, ეგ სად წაიკითხე? – ყასიდად შეაქო დეამ, – არ მეგონა, ასეთი ფილოსოფიური სიღრმეებით თუ იყავი გატაცებული.

– მე? რას ამბობ! შენსავით კი არ ვარ, ანეკდოტის წაკითხვაც კი მეზარება. დედაჩემმა მითხრა... შემჭამა თავისი სტერეოტიპებით.

– პოლონელ ქალს სტერეოტიპები აქვს?

– ვის, მარას? გაგიჟდები, ისეთი. მამაჩემი კი ნამდვილი ირლანდიელი ველურია. არ იცი, როგორ უნდოდა, მედიცინა შემესწავლა. დღესაც ვერაფრით ვერ შეეგუა იმას, რომ სწავლაზე არ ვგიჟდები და მხოლოდ ხელოვნება მაინტერესებს.

– სულ ტყუილად. მშვენიერი პროფესია გაქვს არჩეული. მე ძალიან მომწონს.

– რა ვიცი, ვილი კი თავს იგიჟებს. სულ შენ მოჰყავხარ მაგალითად: სერიოზული გოგოა. იურისპრუდენციას კაცები ვერ სწავლობენ. სამართლის ცოდნას სერიოზული გონებრივი მონაცემები სჭირდებაო.

– ჰა, ჰა, ჰა, ესე იგი, მე შენთვის პრობლემა ვყოფილვარ.

– არა, რას ამბობ... – ლინა მხარზე მიეხუტა დეას, – იცი, როგორ მიხარია, რომ გადაწყვიტე და ჩემთან ჩამოხვედი? მართალია, ვიცი, ამისთვის სხვა მიზეზი გქონდა, მაგრამ ამას

მნიშვნელობა არა აქვს. ოდესმე ხომ მეტყვი, რატომ დაინტერესდი იმ სანდროთი?

– კი, ოდესმე აუცილებლად გეტყვი. მაგრამ განსაკუთრებული არაფერია, დამიჯერე. უბრალოდ, მაინტერესებს, როგორები არიან ქართველი ბიჭები – მე ხომ საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ.

– როგორ? ერთხელაც არა?

– არა. ანა მპირდებოდა, წაგიყვანო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა პატარა ვიყავი, მაგრამ, როგორღაც, არ გამოვიდა

– რატომ? იქ ნათესავები არ გყავს?

– მგონი, მყავს, თუმცა მე არ ვიცნობ. ქართულად კი ვლაპარაკობ, მაგრამ საქართველოს შესახებ ბევრი არაფერი ვიცი.

– იცი, მე და შენ რა ვქნათ? – ერთად წავიდეთ... შენ საქართველოში დამპატიჟე, მე პოლონეთში წაგიყვან. მოგეწონება კრაკოვი. ბაბუა მაგარი ტიპია, თან გადაგყვება. იცი, რა სიმპათიურები არიან პოლონელი ბიჭები? ეგ შენი სანდრო აღარც კი გაგახსენდება, – მხიარულად აკისკისდა ლინა, – იმხელა მხრები აქვთ... ცისფერი თვალები.

დეა მოიღუშა:

– ხომ გთხოვე, „ჩემი სანდრო“ – ასეთი არ არსებობს და მეტად აღარ მითხრა.

ლინამ მხრები აიჩეჩა:

– კარგი. ისე ვთქვი, ვიხუმრე... არ გადაიფიქრე გასეირნება.

– არა, კიდევ უფრო მომინდა. შენ თუ გინდა, დაიძინე.

– მეეჭვება, ახლა დამეძინოს, მაგრამ გარეთ გამოსვლა ძალიან მეზარება. შენს მოსვლამდე თავს რამით შევიქცევ, მერე წავიდეთ და სადმე გემრიელად ვისადილოთ...

***

ქალი სარკის წინ იჯდა და სახეზე თითოეულ ნაკვთს ყურადღებით აკვირდებოდა... შედეგით კმაყოფილმა, ბოლოს გაიღიმა. პატარა მაგიდიდან სიგარეტი აიღო, მოუკიდა და სავარძელში ნერვიულად გადაწვა... ოთახში მამაკაცი შემოვიდა, მაგრამ ქალს მისკენ არ გაუხედავს. ისე იჯდა, თითქოს არც შეუნიშნავს, ოთახში მარტო რომ აღარ იყო.

– შენ სახლში ხარ? – გაიოცა კაცმა, – უკვე მოხვედი?

– დიახ. აბა, რა გეგონა, პროცედურებზე დილამდე დავრჩებოდი და შენც გაილაღებდი სახლში მარტო მყოფი? – გესლიანად მიუგო ქალმა. გაღიზიანებული, აგრესიული ტონი ჰქონდა, ჩხუბისთვის რომ მზად არიან ხოლმე, ისეთი.

კაცმა ხელი ჩაიქნია:

– მოკლედ, შენთან ლაპარაკი შეუძლებელი ხდება. დღითი დღე გემატება აგრესია.

– მერე, იქნებ გეკითხა, რა არის ამისი მიზეზი? – იმავე ტონით განაგრძო ქალმა, – თუ, არ გაინტერესებს?

– რომც მაინტერესებდეს, ამით რა შეიცვლება? მუდმივად უკმაყოფილო ხარ, რა არ გყოფნის, ვერ გავიგე. ყოველდღე უამრავ ფულს გაძლევ და არც გეკითხები, რაში ხარჯავ. კიდევ რას ითხოვ ჩემგან?

– ყურადღებას! მე ქმარი მჭირდება და არა საფულე! – ხმას აუწია ქალმა.

– აჰა, დაიწყო ისევ! – უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა კაცი, – რა გინდა, გამაგებინე. თექვსმეტი წლის ბიჭი ხომ აღარ ვარ, ფანჯრის წინ სერენადები გიმღერო და ვარდის ფურცლებით გულები დაგიხატო? კარგი, რა, ლენუკა, ნუ დამღალე!



– თურმე დავღალე... მე დავღალე, აღარ შეუძლია, კაცს, ისეთი პრეტენზიული ცოლი ჰყავს... ვაიმე, როგორ მეცოდები!..– ყასიდად გაინაზა ქალი, – გინდა, გითხრა, ფულს დაუნანებლად რატომ მაძლევ?! ამით ჩემს მოთმინებას ყიდულობ, რომ, ერთხელაც, ჭკუაზე არ გადავიდე და არ გაგიფრინო.

– ჰო, ეგ არ შეგეშლება, ისტერიჩკა რომ იყავი, ყოველთვის ვიცოდი, – ამოიოხრა კაცმა, – გეხერხება ჩემთვის ცხოვრების გამწარება.

– ცხოვრებას შენ თვითონ იმწარებ. როგორ არ გრცხვენია ამხელა კაცს, შვილის ტოლ გოგოებში რომ დაწანწალებ? ფუი, გული მერევა, ამას რომ წარმოვიდგენ, – ქალმა სიგარეტი საფერფლეზე დაასრისა და ქმარს ავად შეხედა, რომელმაც სწრაფად მიიღო მიამიტი, შეურაცხყოფილი ადამიანის გამომეტყველება და თეატრალურად ამოიოხრა.

– ეგ შენი იდიოტური ეჭვიანობა ორივეს ბოლოს მოგვიღებს. საიდან მოიტანე, რომ დავწანწალებ? უამრავი საქმე და საზრუნავი მაქვს, რომ შენ და შენს შვილს არაფერი მოგაკლდეთ... ეტყობა, ადვილი გგონია ფულის შოვნა. წაბრძანდი, სცადე და მაგ შენი „ბოტოქსების“ საკეთებელი ფული მაინც იშოვე. მერე მიხვდები, მე რა დღეში ვარ... „ნაშებისთვის“ მიტოვებთ დროს?

ქალმა გადაიხარხარა:

– ღმერთო! რომ არ გიცნობდე, დავიჯერებდი! საწყალი, დაჩაგრული ბიჭი ეჭვიანი, ანჩხლი ცოლის ხელში... მართლა, ბავშვს დაურეკე, დაელაპარაკე?

– ბავშვია ოცდასამი წლის ბიჭი?! მიდი, მიდი, ჩვილივით მოექეცი და გააფუჭე ეგეც.

– შენი საქმე არ არის. ეგოისტი ხარ და ვერ აგიტანია, სანდროს შენზე ძალიან მე რომ ვუყვარვარ.

– ეგ საიდანღა მოიტანე, რატომ უნდა მაღიზიანებდეს ის, რომ უყვარხარ? დედა ხარ და უნდა უყვარდე. მგონი, პირიქით, შენ გიჟდები, როცა ბიჭი ჩემ მიმართ სითბოს იჩენს.

– ამიტომაც გადახვეწე, ხომ, იმ ცივ, წვიმიან ქვეყანაში?! გვერდიდან მოიგლიჯე და მარტოდმარტოა ბავშვი... მეც არ მიშვებ, რომ წავიდე და მივხედო! – თვალები აუცრემლდა ქალს. კაცმა ბრაზით შეხედა:

– ჰმ, უყურე ახლა ამას! თავი გადამჭამე უცხოეთში უნდა მიიღოს ბიჭმა განათლებაო და, ახლა უკმაყოფილო ხარ? იცი მაინც, რამდენი მიჯდება მაგისი იქ შენახვა?

– არ ვიცი და არც მაინტერესებს.

– ჰო, რატომ დაგაინტერესებს?! შენ მარტო პრეტენზიებს მიფრქვევ და ფეხებზე გკიდივარ. ბოლოს სადილი როდის მომიმზადე, გახსოვს?

– კარგი რა, მაგისთვის მზარეული გვყავს. შენ თუ გახსოვს, სექსი როდის გვქონდა ბოლოს? – სარკასტული ღიმილით მიუბრუნდა ქალი, – სხვათა შორის, ამ სფეროში მომსახურე პერსონალიც არ დაგიქირავებია ჩემთვის.

– სულ გაუბერე, ხომ? – მოიღუშა კაცი, – ლენუკა, გეყოფა, ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი!

– მაგრად ჩაკეტე ეგ საზღვარი, ნაშები არ შემოგიცვივდნენ, – დასცინა ცოლმა, – გეკითხები, ელაპარაკე ბავშვს?

– არა. ეტყობა, კარგად არის და არც ფული შემოლევია ჯერ, თორემ, დარეკავდა თვითონ.

– ეგ ირონია რომ არ გქონდეს, რა გეშველებოდა. ფულზე გამახსენდა: ათასი დოლარი მჭირდება, გარდერობი მაქვს გასაახლებელი.

კაცმა უსიტყვოდ ამოიღო საფულე და რამდენიმე ტკიცინა ასდოლარიანი გაუწოდა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ძვალ-სახსართა პათოლოგიების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპაროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა; მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით; წონის დაკლება თვეში 5-18 კილოგრამამდე, დიეტების, აკრძალვებისა და ვარჯიშების გარეშე, მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით; ასევე, სიმაღლეში ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსის განმავლობაში 3-5 სანტიმეტრის მომატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით; ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა – დანიშნულებით+ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

**599-91-37-65 – ქ-ნი ქეთევანი; 2-47-58-83 – ოფისი.**

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. თავით დაიწყეთ ბუს ხატვა



2. მიახატეთ თვალები და ნისკარტი



3. დაასრულეთ თავის ხატვა



4. მიახატეთ ტანიც



5. შემდეგ – ფრთა



6. დაასრულეთ ნახატი



7. გააფერადეთ



ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
ტელ.: 272 9191
თამარაშვილის №36

# იპოვეთ 10 განსხვავება





## იპოვე შესაბამისი ჩრდილები




## დაეხმარე გზის გაკვლევაში



# ყვავი და ჰერმესი
## (იგავ-არაკი)

ყვავი ბადეში გაება და აპოლონს შეევედრა: ოღონდაც ახლა დამიხსენ და სულ გუნდრუკს გიკმევო. ხიფათს რომ გადაურჩა, პირობა დაივიწყა. გავიდა ხანი, ყვავი ისევ გაება ბადეში, ახლა აპოლონის მაგიერ ჰერმესს შეჰღაღადა და ზვარაკს შეჰპირდა.

– აი, შე მასხარავ, შენ კაცი როგორ უნდა გენდოს, როცა პირველ მხსნელს ასე უშალე პირიო, – უთხრა ჰერმესმა.

შეგონება: ვინც ერთხელ ბოროტად გადაუხდის სიკეთის მქნელს, მეორედ ნუღარავისგან მოელის შველას.

## რიცხვრებუსი

17, , , , , , , , , , 2 , 2



# მაფიის შვილობილი

***რომანი ეძღვნება დამნაშავეთა სამყაროსთან ბრძოლაში დაღუპულ, ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომელთა ხსოვნას.***

***ნაწარმოების სიუჟეტი აგებულია რეალურ ამბავზე და მასში მხოლოდ მთავარი გმირების სახელებია შეცვლილი. ამიტომ, მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.***

## I თავი

– ოპერატიული თათბირი დასრულებულია, თავისუფლები ხართ, – თქვა გენერალმა. კაბინეტი რომ დაცარიელდა, თანაშემწეს სელექტორით უბრძანა:

– ვაჟა ზვიადაური შემოვიდეს ჩემთან!

შინაგან საქმეთა მინისტრმა წითელი საქაღალდე გადაშალა და თვალიერებას შეუდგა. მასში ჩოჩიანების კრიმინალური დაჯგუფების საქმიანობაზე იყო მოთხრობილი. ეს ბანდა მრავლის მნახველ გენერალს ყელში ჰქონდა ამოსული. მის მეთაურს კი კარგად იცნობდა.

მერაბ გამრეკელს რუზგენ ჩოჩიანი ორჯერ ჰყავდა დაპატიმრებული. ჯერ კიდევ კაპიტანი იყო, როდესაც პირწავარდნილი ყაჩაღი მარტომ აიყვანა ლოტკინზე. მეორედ ძლივს გადაურჩა სიკვდილს. ციხიდან გაქცეულ ბოროტმოქმედს გაგრაში „კუდზე დააჯდა," ბოლომდე მისდია და მაინც გაიმარჯვა.

მეტოქეებმა ჯერ მანქანებით იქროლეს. ჩოჩიანმა გატაცებული „ვილისი" ტყის პირას მიაგდო და მთისკენ აიღო გეზი. კაპიტანი დაედევნა. ორი კილომეტრი ირბინეს, მიტოვებულ სამხერხაოსთან ბანდიტმა ცეცხლი გაუხსნა მდევარს. ცეცხლითვე უპასუხა მილიციელმაც. ურთიერთსროლისას, კაპიტანს ასხლეტილმა ტყვიამ გულთან ახლოს გაუარა. ჭრილობა მძიმე არ იყო, მაგრამ მერაბს თქრიალით მოსდიოდა სისხლი.

თითო ტყვია რომ დარჩათ, სროლა შეწყვიტეს – ვაზნებს გაუფრთხილდნენ. კაპიტანი ძალას კარგავდა. გრძნობდა, რომ მალე გაითიშებოდა. მან ნებისყოფა მოიკრიბა, რის ვაი-ვაგლახით შემოუარა სამხერხაოს და ბოროტმოქმედს ზურგში მოექცა.

რუზგენ ჩოჩიანი უზარმაზარ, დაჟინგულ ფოლადის ხერხთან იყო ჩასფრებული. მას ვერც კი წარმოედგინა, რომ მილიციელი მის ზურგსუკან, სულ რაღაც ოთხიოდე მეტრში იმყოფებოდა.

ბანდიტის მოკვლა არც კი უფიქრია მერაბს, არც მისი დაჭერა უცდია. ძალები ელეოდა და, ბოლო ტყვია რომ დაეხარჯა, ჩოჩიანი მას არ დაინდობდა.

მერაბმა პისტოლეტის ტარი მაგრად ჩაბღუჯა მარჯვენა ხელში. ზამბარასავით შეიკუმშა და წამიერი პაუზა გააკეთა. შემდეგ ვეფხვივით ისკუპა ჩასაფრებული ბოროტმოქმედისკენ და თავზე დააცხრა.

ჩოჩიანი ასეთ სვლას არ ელოდა და შუბლით ხერხის დისკს შეასკდა. კაპიტანმა ამით ისარგებლა, ბანდიტს იარაღის ტარი კეფაში ჩასცხო და გონება დააკარგვინა.

გამრეკელმა ჩოჩიანის ხეზე მიბმა სცადა, მაგრამ ბანდიტის მოკლე ხელები უზარმაზარ ფიჭვს ვერ შემოაწვდინა. ამიტომ, ხელბორკილის ნაწილი მარჯვენა მაჯაზე მიაბა, მეორე კი თავად ჩაიბა მარცხენაზე. შემდეგ პისტოლეტები დაცალა და ქვევით მოისროლა. ამ დროს თვალებში ბინდი ჩაუდგა და გონებაც დაკარგა.

გადაჯაჭვულ მეტოქეებს მეტყევემ მიაგნო. მას ასთამურ შამბა ერქვა.

სწორედ მან იხსნა სიკვდილისგან ახალგაზრდა კაპიტანი. მერაბი მხოლოდ სამი დღის შემდეგ მოვიდა გონს და იკითხა, ჩოჩიანი სად არისო...

– მე ვარ, დედა გენაცვალოს, ჩემო ვაჟკაცო, – მოესმა მერაბს დედის ხმა.

– დედი, ჩემო დედი.

– მე ვარ, შვილო, მე. მოგიკვდეს დედა. როგორ შემაშინე ჩემო ვაჟკაცო. როგორ ხარ?

– შენ როგორ ხარ, დედი?

– კარგად ვარ, შვილო, ახლა უკვე კარგად. რადგან ცოცხალი გადამირჩი, რაღა მიჭირს, – მიუგო დედამ და აცრემლებული თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა. მერაბს შუბლზე მიეფერა და დაამატა, – მადლობა ღმერთს და ექიმებს, რომ შენი თავი მაჩუქეს.



მერაბი გაგრის საავადმყოფოში იწვა, ექიმებმა ის ძლივს გამოჰგლიჯეს ხელიდან სიკვდილს. გონზე მოსულ კაპიტანს მთავარი ექიმი თავზე წამოადგა, გაუღიმა და ჰკითხა:

– როგორ ხარ, გმირო?

– კარგად ვარ, ექიმო. გმადლობთ, რომ სიკვდილს გადამარჩინეთ.

– მადლობა ძია ასთამურს უთხარი. ის რომ არა, ჩვენ ვერაფერს ვილონებდით.

– ძია ასთამური ვინ არის?

– მალე მოვა და გაიცნობ. ახლა კი გადასხმა უნდა გაგიკეთოთ და არ გაინძრე, – მიუგო მერაბს მთავარმა ექიმმა. შემდეგ ეშმაკურად გაუღიმა კაპიტნის დედას და იქვე მდგარ, ტანწერწეტა, ლამაზ, ქერათმიან გოგონას უთხრა:

– თამარ, სისტემა დაუდგი ამ ვაჟკაცს და, სანამ არ დაიცლება, გვერდიდან არ მოშორდე. ამასობაში კი ძია ასთამურიც მოვა.

მთავარი ექიმი და მერაბის დედა პალატიდან გავიდნენ, თამარმა კი მთავარი ექიმის მითითება შეასრულა და, სისტემა რომ გამოცვალა, მოღიმარი სახით ავადმყოფს სასთუმალთან ჩამოუჯდა.

– გმადლობთ, თამარ, რა მსუბუქი ხელი გქონიათ, სულ არ მტკენია, – გაუღიმა მერაბმა ექთან გოგონას.

– თქვენ კი ნამდვილი გმირი ხართ. ძია ასთამურმა მითხრა, ჩემს სერგის მაგონებსო.

– თამარ, ძია ასთამური ვინ არის?

– მეტყევეა, ჩემი ნათესავი. მან მოგაგნოთ ტყეში, ჯერ სისხლდენა შეგიჩერათ, შემდეგ კი თქვენ და ის ბანდიტი მხარზე მოგიკიდათ და ჩამოგიყვანათ. ის, თურმე, ემუქრებოდა, გამიშვი, თორემ, მოგკლავო. მთელი მკლავი დაუკბინა. რომ არ მოეშვა, ძია ასთამურმა მას მუშტი ჩაარტყა თავში, გონება დააკარგვინა და ტვინიც შეურყია. ძლივს მოვასულიერეთ და ერთი დღე იწვა აქ, შემდეგ კი წაიყვანეს.

– მართლა? – სიცილი აუტყდა მერაბს და სისტემა ამოძრავდა.

– სიცილი არ შეიძლება, თორემ წვეთოვანი ამოგივარდებათ, – თამარმა მაჯაზე ხელი დაადო ავადმყოფს და მერაბს სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა სხეულში...

მერაბს პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა თამარი. შემდგომში, როდესაც ისინი დაქორწინდნენ, თამარიც იმავეში გამოუტყდა ქმარს და ბედნიერი წყვილი ხშირად იხსენებდა ხოლმე თავიანთ პირველ საუბარს.

– გემორჩილებით. აღარ გავიცინებ, – თქვა მერაბმა და თამარს ჰკითხა: – ძია ასთამური, ალბათ, გოლიათია, ხომ?

– ადრე უნდა გენახათ, როგორი იყო. სერგის დაღუპვის შემდეგ კი განახევრდა. ერთადერთი ვაჟი ჰყავდა და ორი წლის წინ მოუკლეს.

– რატომ? რა შეემთხვა?

– სერგი თქვენსავით მილიციელი იყო. ერთხელ, ღამით, მორიგეობის დროს ბანდიტებს გადააწყდა. მათ კი ტყვიები დაუშინეს და გაიქცნენ.

– მკვლელები დაიჭირეს?

– სამწუხაროდ, ვერა. ამბობენ, აქაურები არ იყვნენო.

– სამწუხაროა, – თქვა მერაბმა და ჩაფიქრდა.

– აი, ძია ასთამურიც მოვიდა, – თამარი სკამიდან წამოდგა და ახალმოსულს ადგილი დაუთმო.

ასთამურ შამბა ორმოცდაათიოდე წლის გოლიათური აღნაგობის მამაკაცი იყო. ხშირი თმა ცარცივით ჰქონდა გათეთრებული, თვალებში კი სევდა ჩასდგომოდა. ის საწოლს მიუახლოვდა, მერაბს შუბლზე უზარმაზარი ხელის გული გადაუსვა და ჰკითხა:

– როგორ ხარ, მერაბ?

– გმადლობთ, ძია ასთამურ. თქვენი წყალობით, კარგად ვარ. თქვენ მე სიკვდილისგან მიხსენით. შვილად მიგულეთ.

ბოლო ფრაზის გამო მერაბმა ენა მოიკვნიტა – მას თამარის მონათხრობი გაახსენდა და, არ უნდოდა, რომ ძია ასთამურის სულიერ ჭრილობას შეხებოდა. გოლიათმა კი მერაბს გაუღიმა და უთხრა:

– თანახმა ვარ. მე – მამა, შენ – შვილი.

ორი კვირის შემდეგ მერაბი თბილისში გადაიყვანეს სამკურნალოდ, ერთ თვეში კი საავადმყოფოდან გაწერეს. სარეაბილიტაციოდ ორთვიანი შვებულება მისცეს და სოლიდური პრემია გამოუწერეს. განსაკუთრებით საშიში ბოროტმოქმედის დაკავებისთვის კი რიგგარეშე ჩინი უბოძეს და მაიორის პაგონები დააკრეს.

ფეხზე რომ დადგა, მაიორი მერაბ გამრეკელი გაგრაში გაემგზავრა თავისი მხსნელის მოსანახულებლად. მას თამარიც ძალიან ენატრებოდა და მისი ნახვის უზომო წყურვილი კლავდა.

– ჩემი მერაბი ჩამოსულა, ჩემი ვაჟკაცი შვილი! როგორ ხარ? – შეეგება სტუმარს გოლიათი მეტყევე და გადაეხვია.

– კარგად ვარ, ძია ასთამურ. თქვენ როგორ ხართ?

– ჯანმრთელს რომ გხედავ, მეც კარგად ვარ. ნამგზავრი ხარ, მოშიებული იქნები. ვისადილოთ და თითო ჭიქაც წავუქციოთ.

სუფრაზე მერაბმა სერგის მოსაგონარი შესვა და მასპინძელს უთხრა:

– ძია ასთამურ, რაღაც უნდა გთხოვოთ და ნუ მიწყენთ.

– გისმენ, შვილო.

– თუ შეგიძლიათ, სერგის ამბავი მომიყევით.

ასთამურმა რამდენიმე ნაფაზი დაარტყა და მოყოლა დაიწყო:

– ჩემი სერგი სოხუმის მილიციის სამმართველოში მუშაობდა. სისხლის სამართლის სამძებროს ოპერმუშაკი იყო და უფროსი ლეიტენანტის ჩინი ჰქონდა. იმ ღამეს გულბათ მარგიანთან ერთად მორიგეობდა სოხუმში. გულბათის მამა ჩემი ბავშვობის ძმაკაცი იყო. ისიც მილიციაში მუშაობდა და ოცი წლის წინ, ყაჩაღებთან შეტაკების დროს, ოჩამჩირეში მოკლეს. გულბათი ჩემი ნათლულია და სერგისთან ერთად ჩემს ოჯახში გაიზარდა. იმ პერიოდში მისი ცოლი ფეხმძიმედ იყო და წუთი-წუთზე უნდა ემშობიარა. ბიჭები შეუვლიდნენ ხოლმე, დახედავდნენ და ისევ სამორიგეოდ ბრუნდებოდნენ. დაახლოებით ღამის პირველ საათზე ისინი კვლავ ორსულის სანახავად მივიდნენ. გულბათი სწრაფად შესულა სახლში, სერგი კი სიგარეტს ეწეოდა და ქუჩაში შეყოვნდა. ამ დროს „ჟიგულის“ გაუვლია. მანქანა იმავე დილით გუდაუთაში ყოფილა გატაცებული. როგორც ჩანს, სერგიმ ის ნომრით იცნო და დაედევნა. ბოტანიკურ ბაღთან გამტაცებლებს ბენზინი გამოელიათ. ისინი მანქანიდან გადმოხტნენ და წამოწეულ სერგის ცეცხლი გაუხსნეს, შემდეგ კი სერგის მანქანით გაიქცნენ და თან მისი ტაბელური იარაღიც გაიტაცეს. ჩემს შვილს ორი იარაღიდან რვა ტყვია ჰქონდა მოხვედრილი და ადგილზევე გარდაიცვალა. იმ ღამეს გულბათ მარგიანს ტყუპი ვაჟი შეეძინა. ერთს ბუდუ დაარქვა, მამამისის სახელი, მეორეს კი – სერგი.



გოლიათ მეტყევეს თვალები აუცრემლდა და დადუმდა.

მერაბს უფრო დაწვრილებით აინტერესებდა სერგის ამბავი, მაგრამ ასთამურს მეტი შეკითხვა ვეღარ შეჰბედა. პაუზა რომ შეევსო, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

მასპინძელმა ცრემლი შეიმშრალა, შემდეგ ჭიქები ღვინით შეავსო, სასმისი ასწია და თქვა:

– პატარა ბუდუს და სერგის თამადობით სიცოცხლეს გაუმარჯოს!

მერაბმაც დალია და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

მასპინძელმა სტუმარს გაუღიმა და უთხრა:

– თამარი გკითხულობდა ხშირად, ნეტავ ჩვენი გმირი როგორ არისო.

მერაბს ძალიან ესიამოვნა ასთამურის სიტყვები და მიუგო:

– კარგი გოგოა თამარი, კეთილშობილი და ლამაზი. თქვენი ნათესავია, ხომ?

– დედამისი, მართა და მე მკვიდრი ბიძაშვილები ვართ. ჩვენი მამები ღვიძლი ძმები იყვნენ. ცხონებული მამამისი კი – ბონდო ანჩაბაძე, სახელგანთქმული ექიმი იყო მთელ აფხაზეთში. მასზე კეთილშობილი ადამიანი მეორე არ მოიძებნებოდა აქ. სამწუხაროა, რომ უდროოდ და ასე ტრაგიკულად წავიდა ჩვენგან.

– რა შეემთხვა?

– დიდი ღელვის დროს ერთი დამსვენებელი გამოიყვანა წყლიდან და გადაარჩინა, თვითონ კი წვეტიანი ლოდი მოხვდა საფეთქელში და დაიღუპა. თამარი მაშინ თხუთმეტი წლის იყო. ძალიან განიცადა მამის სიკვდილი. შემდეგ სერგის ამბავიც დაერთო და, ხუთ წელზე მეტია, შავები არ გაუხდია. ჩემი სერგი ძმასავით პატრონობდა მას. ნესტორ პესკასელთან შელაპარაკებაც კი მოუვიდა თამარის გამო.

– ნესტორ პესკასელი ვინ არის?

– მილიციის კაპიტანი. თავდაპირველად სწორედ ნესტორი იძიებდა სერგის მკვლელობის საქმეს.

– მას, ალბათ, თამარი მოსწონდა.

– ცოლად უნდოდა. სახლშიც კი მივიდა მასთან და დედამისს თამარის ხელი სთხოვა. მართამ უარით გამოისტუმრა. ასე უთხრა, ბავშვია და რა დროს მისი გათხოვებაა. სწორედ ამის გამო შელაპარაკდნენ სერგი და ნესტორი. ჩემი ვაჟი ბრაზობდა, როგორ გაბედა უჩემოდ იქ მისვლაო. სერიოზული გაწევ-გამოწევა ყოფილა. ნესტორი გულბათმა, ჩემმა ნათლულმა გადაარჩინა ცემას – შუაში ჩადგომია მოჩხუბრებს და სერგი დიდი ხვეწნა-მუდარით გაუჩერებია. ერთი სიტყვით, სერგის შიშით თამარს გაღიმებასაც კი ვერავინ უბედავდა. დღესაც ბევრი უტრიალებს, მაგრამ თამარი სათოფეზეც კი არავის იკარებს. შენი ნახვა ძალიან გაუხარდება. ნამგზავრი ხარ და დღეს დაისვენე, ხვალ კი თამარსა და მართას ვესტუმროთ.

მერაბი და ასთამური მეორე დღეს ეწვივნენ ანჩაბაძეებს. მართამ გულღიად მიიღო სტუმრები და საკადრისი სუფრა გაუშალა. თამარს ღიმილი არ მოსცილებია სახიდან. აშკარად ეტყობოდა, რომ მერაბის სტუმრობით უზომოდ გახარებული იყო.

– ახლა როგორ ხართ, მერაბ, ჭრილობა აღარ გაწუხებთ? – ჰკითხა მართამ მერაბს.

– უკვე აღარ მაწუხებს. შემიხორცდა და მუშაობაც შემიძლია, მაგრამ, ორთვიანი შვებულება მომცეს, დაისვენეო, – მიუგო მერაბმა.

– ბეწვზე ხართ გადარჩენილი. თქვენი ამბავი თამარმა მომიყვა და ძალიან ვინერვიულე, – თქვა მართამ, თამარმა კი დაამატა:

– ექიმმა თქვა მაშინ, ტყვია რომ ოდნავ მარჯვნივ წასულიყო, ვერ გადავარჩენდითო. თუმცა, მაინც ძლივს გამოჰგლიჯეს სიკვდილს ხელიდან. უამრავი სისხლი ჰქონდა დაკარგული. ძია ასთამურს რომ არ ეყოჩაღა და ტყეშივე არ აღმოეჩინა დახმარება, სისხლისგან დაიცლებოდა.

– ყოჩაღ, ასთამურ, – თქვა მართამ და მერაბს მიუბრუნდა: – ჩემი ასთამურის თავი ღმერთმა გამოგიგზავნათ იმ დღეს.

– მართალს ბრძანებთ. ძია ასთამური ჩემი მხსნელია და ამ ვალს ვერასდროს გადავუხდი.

– დედათქვენი როგორ არის? თამარი მიყვებოდა, სანამ უგონოდ იყავით, იმ საბრალოს თვალი არ მოუხუჭავს და არ დამჯდარაო.

– გმადლობთ, ახლა უკვე კარგად არის. თუმცა, ძალიან ვანერვიულე.

– მამა გყავთ, მერაბ?

– არა. მამა ფრონტზე დამეღუპა.

– ჩემი უფროსი ძმაც ფრონტზე დაიღუპა, სმოლენსკთან მოკლეს. ეეჰ, სიცოცხლე ერთია, უბედურება კი ათასი. ვის სად რა მოელის, მხოლოდ ღმერთმა უწყის. ჯერ ბონდო გამოგვეცალა ხელიდან, შემდეგ – სერგი. ექვსი წელია, შავები არ გაგვიხდია, – თქვა მართამ. თამარს შეხედა და მაშინღა

შენიშნა, რომ მის ოცი წლის ქალიშვილს ძალიან ლამაზი, წითელი ყვავილებით მოჩითული კაბა ეცვა.

ორი დღის შემდეგ სწორედ ეს კაბა ეცვა თამარს, როდესაც მერაბთან ერთად გაგრის ცენტრალურ ქუჩაზე დასეირნობდა.

ლამაზ წყვილს უყურადღებოდ არავინ ტოვებდა. გამვლელ-გამომვლელები თვალს აყოლებდნენ მათ და ულიმოდნენ. თუმცა ისეთებიც ხვდებოდნენ, ვინც მერაბს მტრულად უმზერდა. მაიორმა მათში თამარის თაყვანისმცემლები შეიცნო.

კოლონადას რომ მიუახლოვდნენ, თამარმა მერაბს უთხრა:

– ამ ღია კაფეში დავსხდეთ. მამას აქ ხშირად მოვყავდი ნაყინის საჭმელად.

წყვილი მაგიდას მიუჯდა, ნაყინი შეუკვეთეს და საუბარი გააბეს.

უცებ მერაბმა ბოროტი მზერა იგრძნო – ასე მას დაპატიმრებული დამნაშავეები უყურებდნენ ხოლმე. ასეთი ზიზღით უმზერდა მას რუზგენ ჩოჩიანი, როდესაც ის მერაბმა პირველად დაიჭირა.

მაიორმა მარჯვნივ გაიხედა. ფიჭვნარში საეჭვო არაფერი ჩანდა. მერაბის მახვილ თვალს მტერი არ გამოეპარებოდა. თუმცა ის ბევრად შორს, ხუთსართულიანი შენობის ერთ-ერთ ფანჯარასთან იდგა და გამრეკელს საზღვაო დურბინდიდან ადევნებდა თვალყურს.

მოთვალთვალემ ერთხანს კიდევ უყურა მერაბს. შედეგ ფანჯარას მოშორდა. დურბინდი მაგიდაზე დადო და ჩაილაპარაკა: „ჩაგაძაღლებ, მოგსპობ, გაგანადგურებ!“

– ეგ ძუკნა გაგარეკინებს. მოვიტაცოთ და ვიხმაროთ, – უთხრა მოთვალთვალეს სახენაიარევმა, რომელიც ტახტზე იყო წამოწოლილი და ბოთლიდან ლუდს სვამდა.

– აღარ გაიმეორო, თორემ ჩაგაძაღლებ, შენს დამპალ ხორცებს კი ვირთხებს შევაჭმევ! – შეუღრინა სახენაიარევს მოთვალთვალემ.

სახენაიარევმა პისტოლეტი დააძრო და ტახტიდან წამოხტა, მოთვალთვალეს მუცელზე მიაჭირა და კბილებში გამოსცრა:

– ვის ჩააძაღლებ, შე ბოზო! საცერივით გაგიხდი ტანს და მატლების შესაჭმელად დაგტოვებ აქ.

– მესვრი და, ორმოცი მეტრის გავლასაც ვერ მოასწრებ, ისე გაგქაჩავენ „ძაღლები“. ან, სულაც, მოგკლავენ, თუ წინააღმდეგობას გაუწევ. ეგ იარაღი შეინახე, აქ ეგდე და ფეხი არსად მოიცვალო. შენი კრეტინი ბიძაშვილის შეცდომა არ გაიმეორო, იცოდე! ჩემთვის რომ დაეჯერებინა, დღეს გარეთ იქნებოდა. ახლა კი ხეხოს ტრაკით კოიკები. იქნებ ჭკუა ისწავლოს!

სახენაიარევმა პისტოლეტი შეინახა და ტახტს დაუბრუნდა. მოთვალთვალემ კი ისევ დურბინდი აიღო და ღია კაფეში მსხდომ წყვილს გახედა, რომლებიც ნაყინს მიირთმევდნენ...

ჭამა რომ დაასრულეს, თამარი და მერაბი კაფედან გამოვიდნენ და სეირნობა განაგრძეს.

ქუჩაში იგივე სურათი განმეორდა: გამვლელ-გამომვლელები თვალს არ აშორებდნენ ლამაზ წყვილს, მერაბი კი ისევ გრძნობდა იმ უხილავ, ბოროტ მზერას.

ძველ გაგრაში რომ მივიდნენ, თამარმა ვიღაცას ხელი დაუქნია და დაუძახა:

– გულბათ, გულბათ!

მხარბეჭიანი ახალგაზრდა მანქანაში ჩაჯდომას აპირებდა. თამარის ხმა რომ გაიგონა, კარი მიხურა და წყვილისკენ გაემართა.

– როგორ ხარ, თამარ? – მხარბეჭიანმა თამარს ლოყაზე აკოცა.

– გაიცანი, გულბათ, ეს მერაბ გამრეკელია, – უთხრა თამარმა მხარბეჭიანს.

– გულბათ მარგიანი, – მხარბეჭიანმა ხელი ჩამოართვა მერაბს და დაამატა, – ბოლოს რომ გნახეთ, საავადმყოფოში უგონოდ იყავით. შემდეგ მივლინებაში გამგზავნეს. უკან რომ დავბრუნდი, თქვენ უკვე თბილისში იყავით გადაყვანილი. მოხარული ვარ, რომ გაგიცანით.

მეც მოხარული ვარ. თქვენზე ძია ასთამური მიყვებოდა, – უთხრა გულბათს მერაბმა.

ასთამურის ხსენებაზე გულბათ მარგიანს სახეზე ღიმილი შეეყინა, თავი ჩაღუნა და დაღონებულმა თქვა:

– ნათლია ასთამურს თვალებში ვერ ვუყურებ. დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის, რომ იმ მომენტში სერგის გვერდით არ ვიყავი.

– გულბათ, თქვენთან ერთი თხოვნა მაქვს, – უთხრა მერაბმა მარგიანს.

– გისმენთ, მერაბ.

– სერგის საქმე მაინტერესებს და, არ შეგიძლიათ, რომ დეტალურად მომიყვეთ?

– საქმეს ნესტორი იძიებდა და დეტალურად ის ჩაგაყენებთ საქმის კურსში. მეც მოგიყვებით, რაც ვიცი.

– ნესტორ პესკასელი, კაპიტანი, ხომ?

– დიახ, დიახ, კაპიტანი ნესტორ პესკასელი. მე თქვენ მას შეგახვედრებთ, მაგრამ, ხვალ რომ იყოს? ახლა ერთი ინფორმაცია უნდა გადავამოწმო და ძალიან მეჩქარება.

– კი ბატონო, ხვალ იყოს.

– მაშინ, ხვალ დილის 10 საათზე სასტუმრო „ინტურისტთან“ შევხვდეთ ერთმანეთს და სოხუმში წავიდეთ ჩემი მანქანით.

– გულბათ, ასე შორს რატომ უნიშნავ შეხვედრას. ძია ასთამურთან ცხოვრობს მერაბი და იქ მიაკითხე, – უთხრა გულბათ მარგიანს თამარმა.

– ხომ იცი, თამარ, რომ იქ მისვლა ჩემთვის სიკვდილია, ნათლია ასთამურს თვალებში ვერ შევხედავ, – თქვა გულბათმა.

– გთხოვ, გულბათ, მიდი. ძია ასთამური არაფერში გადანაშაულებს. ძალიან ენატრები და შენი ნახვა გაუხარდება. მიხვალ?

– მივალ, – მიუგო გულბათმა და თამარს და მერაბს მიუბრუნდა:

– დილის ათ საათზე ასთამურ ნათლიასთან მოგაკითხავთ. ახლა კი ბოდიშს გიხდით, ძალიან მეჩქარება და უნდა დაგტოვოთ. ხვალამდე!

გულბათ მარგიანი წავიდა. წყვილმა სეირნობა განაგრძო და თამარმა მერაბს ჰკითხა:

– მერაბ, ნესტორ პესკარელს იცნობ?

– არა. მასზე ძია ასთამურმა მომიყვა.

– რა მოგიყვა?

– ის, რომ სერგის ცემისგან გულბათმა გადაარჩინა.

– ცოლობას მთხოვდა. ჩვენთან სახლში იყო მოსული და ეს ვერ აიტანა სერგიმ.

– უყვარდი, ალბათ.

– ალბათ. მაგრამ, მე არ მიყვარდა.

– რატომ, ცუდი ტიპია?

– ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია, პირიქით, ყოველთვის ყურადღებით მეპყრობოდა. სერგის ემმაკაცებოდა და, საერთოდ, ყველასთან კარგი ურთიერთობა აქვს. მაგრამ, მე არ მომწონდა.

– გარეგნულად?

– გარეგნულად, ვერ დაიწუნებ. უბრალოდ, გული არ მიმდიოდა. ინტუიციით ვგრძნობდი, რომ ნესტორი ჩემი წყვილი არ იყო. თანაც, არც მილიციელის ცოლობა მინდოდა. ქმარი სულ გარეთაა, ხიფათში. უნდა ელოდო, ღამეები ათენო, ინერვიულო...

თამარმა ენა მოიკვნიტა და წამოწითლდა, მერაბს კი გაეღიმა და უთხრა:

– მეც ხომ მილიციელი ვარ.

თამარმა არაფერი უპასუხა.

ერთხანს ჩუმად იარეს. თამარის სახლთან რომ მივიდნენ, მერაბი ხელზე ეამბორა გოგონას და უთხრა:

– ნახვამდის. თუ წინააღმდეგი არ იქნები, სოხუმიდან რომ ჩამოვალ, სამსახურში გამოგივლი.

– კარგი, გამომიარე. ჩემი თანამშრომლები ხშირად გახსენებენ ხოლმე და შენი დანახვა ძალიან გაუხარდებათ.

მერაბი ფეხით დაბრუნდა სახლში და მთელი გზა თამარზე ფიქრობდა. საკუთარ თავზე ბრაზობდა, რომ სიყვარულის გამხელას ვერ უბედავდა. მერაბს უარის ეშინოდა. ცოლობა რომ ეთხოვა და თამარს უარი ეთქვა, მაიორის სულს მძიმე ჭრილობა მიადგებოდა. ამდენი იარისთვის, შეიძლება, მასაც კი ვერ გაეძლო და ამიტომ იკავებდა თავს.

– როგორ ხარ, შვილო? – ჰკითხა ასთამურმა სახლში მისულ მერაბს.



– ვერ ვარ რაღაც, ძია ასთამურ, – გაეღიმა მერაბს.

– მოხდა რამე?

– რაღა დაგიმალოთ და, თამარი მიყვარს.

– სიყვარულს რა ჯობია, შვილო. ამან გაგიფუჭა გუნება?

– თქმას ვერ ვუბედავ.

– რატომ?

– უარი რომ მითხრას?

– დასაწუნი რა გაქვს?

– რა ვიცი, ძია ასთამურ, კაცია და გუნება.

გოლიათს გაეღიმა და მიუგო:

– ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ თამარსაც მოსწონხარ, თუ მეტი არა...

– ასე ფიქრობთ?

– ვერ ნახე, როგორ გამოეწყო შენს დასახვედრად? ხუთი წლის მერე პირველად გაიხადა შავი კაბა.

– დღესაც ის კაბა ეცვა და მთელი გაგრა მას უყურებდა. ძალიან ლამაზი იყო.

– კარგი წყვილი ხართ და კარგ ოჯახსაც შექმნით. მართასაც ძალიან მოეწონე, მას კი ასე ადვილად ვერ მოაწონებ თავს. არც ნესტორია ხელწამოსაკრავი, მაგრამ, მართას ის არ მოეწონა.

– პესკასელს ხვალ უნდა შევხვდე. სერგის საქმეს ხომ ის იძიებდა და, მინდა, დაველაპარაკო.

– ესე იგი, ხვალ სოხუმში მიდიხარ?

– დიახ. გულბათ მარგიანი გამომივლის დილის ათ საათზე. მისი მანქანით წავალთ.

– სერგის შემდეგ გულბათი სათოფეზეც აღარ მეკარება. არც მე ვაწუხებ, რომ უხერხულობაში არ ჩავაგდო. მიკვირს, აქ მოსვლა რომ გადაწყვიტა.

– ჯერ სასტუმრო „ინტურისტთან" დამინიშნა შეხვედრა, მაგრამ, თამარმა გადააფიქრებინა. გულბათმა თქვა, ნათლია ასთამურს თვალს ვერ ვუსწორებო.

– მაგისი რა ბრალია, ალბათ, ასე ეწერა სერგის. სამწუხარო ის არის, რომ მკვლელები ვერ იპოვეს. არადა, აფხაზეთის მთელი მილიცია ფეხზე იდგა.

– სწორედ ამიტომაც მინდა პესკასელთან შეხვედრა, იქნებ ეს საქმე როგორმე წინ წავწიოთ.

– სერგის საქმე გენერალურმა პროკურატურამ წაიღო და ვალიკო ჟღენტი იძიებს. ორჯერ აფხაზეთშიც იყო ჩამოსული და ბიჭებს ელაპარაკა. ჩემთანაც მოვიდა და დამკითხა.

– ვიცნობ ვალიკოს, ჩემი თანაკურსელი იყო. კარგი გამომძიებელია და მასთანაც მივალ.

– რა ვიცი, შვილო. გამოვა რამე? ისე არ მინდა მოვკვდე, რომ იმ ნაძირლებს თვალებში არ ჩავხედო, – თქვა ასთამურმა და თამბაქო გააბოლა.

გულბათ მარგიანი ზუსტად დილის ათ საათზე მივიდა ასთამურის სახლში. მერაბს ხელი ჩამოართვა, ნათლიას კი გადაეხვია და ჰკითხა:

– როგორ ხარ, ნათლია ასთამურ?

– კარგად ვარ, შვილო. შენ როგორ ხარ, როგორ გყავს ცოლ-შვილი. როგორ არიან ბუდუ და სერგი?

– მაგათ რა უჭირთ, კარგად არიან. მე კი სერგის მერე კარგად როგორ ვიქნები.

– კარგად უნდა იყო, შვილო. სერგის სიკვდილში არანაირი ბრალი არ მიგიძღვის. ეტყობა, ასე ეწერა ჩემს ვაჟს. მამაშენი რომ მოკლეს, კარგა ხანს ვერც მე მოვდიოდი გონს, დედაშენს თვალს ვერ ვუსწორებდი, რადგან მის სიკვდილში საკუთარ თავს ვადანაშაულებდი.

– რატომ, ნათლია ასთამურ? – დაინტერესდა გულბათი.



– ბუდუს დაღუპვის წინა დღეს მე და მამაშენი თბილისში ვიყავით – ჩვენს ძმაკაცს შვილი შეეძინა და მისალოცად ვესტუმრეთ. ღამით სოხუმის მატარებელს გამოვყევით. სამტრედიაში მატარებელი გაფუჭდა და გამოგვიცხადეს, შუადღემდე ვერ გაემგზავრებითო. დილის ოთხი საათი იყო და ბუდუმ მითხრა, ჩემს დეიდაშვილს ვესტუმროთ, ღამეს გაგვათენებინებს და დილით გავემგზავროთო. მე გავჯიუტდი – ასეთ დროს უცხო ოჯახში სტუმრობა მომერიდა. აფხაზეთისკენ მიმავალი მანქანა გავაჩერე და გავემგზავრეთ. მძღოლი ლესელიძეში მიდიოდა. დილის რვა საათზე სოხუმში ვიყავით. ბუდუმ მძღოლს მანქანა გააჩერებინა და ჩავიდა. ასე თქვა, – ბარემ აქ ვარ და სამსახურში შევივლიო. მე ვუთხარი, კიდევ ერთი დღე გაქვს თავისუფალი. დაღლილი ხარ, დაისვენე და ხვალ წადი-მეთქი. ბუდუმ კი არ ქნა – ბიჭებს რამე არ უჭირდეთო და სოხუმში დარჩა, საღამოს კი მისი დაღუპვის ამბავი შევიტყვე. ოჩამჩირეში ბანდის ასაყვანად წასულან და შეტაკების დროს დაიღუპა. ეს რომ გავიგე, მუხლებზე დავეცი და მიწას თავი ვურტყი. ბუდუსთვის რომ დამეჯერებინა და სამტრედიაში დავრჩენილიყავით, მამაშენი ცოცხალი გადარჩებოდა.

– ეტყობა, ასე ეწერა მამასაც, – თქვა გულბათმა.

– ასე ეწერა სერგისაც. ამიტომ, შვილო, თავს ნურაფერში იდანაშაულებ. ხშირად მოდი ხოლმე ჩემთან. ცოლ-შვილით მესტუმრე. ბუდუ და სერგი უკვე დიდები იქნებიან და შვილიშვილები ხომ უნდა გამაცნო.

– აუცილებლად გესტუმრებით, ნათლია ასთამურ და ბიჭებსაც გაგაცნობ. ახლა კი უნდა წავიდეთ. ნახვამდის.

გულბათმა მანქანა დაძრა და სოხუმისკენ აიღო გეზი. ერთხანს უხმოდ იარეს. მარგიანი ნათლიის მონათხრობზე ფიქრობდა, ბოლოს კი მერაბს უთხრა:

– რა არის ბედისწერა!.. რომ დაფიქრდე, სულ ადვილად შეიძლება მისი შეცვლა: ერთი წამია ამისთვის საკმარისი, სულ მცირე მოძრაობა, გადაწყვეტილების შეცვლა და – გადარჩენილი ხარ. მამაჩემი და ნათლია ასთამური რომ სამტრედიაში დარჩენილიყვნენ, მამა ცოცხალი გადარჩებოდა. იცოცხლებდა სერგიც, სიგარეტის მოსაწევად რომ არ დარჩენილიყო ქუჩაში. ის სიგარეტი სწორედ მე შევაჩეჩე ხელში – ფეხმძიმე ცოლთან მეჩქარებოდა და მოკიდებული სიგარეტით შესვლა არ მინდოდა. რას იტყვი, მართალი არ ვარ? ხომ ჩვენი ბრალია, რაც მოხდა?

– თუ ბედისწერა არსებობს, არსებობს მწერალიც, რომელიც ამ ბედს წერს. ჩვენ კი ამ შემთხვევაში ბედისმწერლის იარაღები ვართ და არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია. კალამი კი არ ჰკარნახობს მწერალს, რა დაწეროს. არამედ, მწერალი აწერინებს კალამს. ასე რომ, თუ ეს ყველაფერი დაწერილი იყო, მაშინ, სწორედ ისე იყო დაწერილი, როგორც მოხდა. თქვენ ვერაფერს შეცვლიდით და დამნაშავეებიც არ ხართ. ისე კი, რაზეც ახლა ვლაპარაკობთ, უფრო ფილოსოფიური სფეროა. ფილოსოფია სხვა დროისთვის გადავდოთ და ფაქტებზე გადავიდეთ. შეგიძლია, მომიყვე, რაც სერგის დაღუპვის შესახებ იცი?

– რაც ვიცი, გეტყვი. ჩემი ცოლის სანახავად რომ მივედი, პირველს ოცდახუთი წუთი აკლდა. სიგარეტი სერგის მივეცი და სახლში შევედი. ლონდა აფორიაქებული დამხვდა, რომ დამინახა, მითხრა:

– რა კარგია, რომ მოხვედი. წყლები დავღვარე, მშობიარობა მეწყება და სამშობიაროში წამიყვანე.

– ნუ გეშინია, სერგიც ამოვა და წაგიყვანთ, – ვუთხარი მეუღლეს და ჩანთაში თეთრეული და სამშობიაროში საჭირო ნივთები ჩავალაგე.

სერგი არ ჩანდა. ლონდას ტკივილები გაუძლიერდა. მე ფანჯარაში გადავიხედე, მაგრამ, არც მანქანა ჩანდა და არც მისი პატრონი. თეთრი „ფიატი" სერგის იყო და მორიგეობის დროს იმით ვმოძრაობდით.

– გულბათ, რას უდგახარ, ჩქარა წავიდეთ, ძალიან მტკივა! – კიოდა ლონდა.

სახლიდან გიჟივით გავვარდი. ქუჩა ცარიელი იყო და ჩემს ბედზე ერთი მანქანაც არ ჩანდა. იძულებული გავხდი, ჩემი მეზობელი, ტიტე ბუკია გამეღვიძებინა და ლონდას სამშობიაროში წაყვანა მისთვის მეთხოვა.

– ხომ მშვიდობაა, გულბათ? – დაფეთდა მეზობელი.

– ტიტე ბიძია, ლონდას მშობიარობა დაეწყო, მანქანა მჭირდება და სამშობიაროში უნდა წამიყვანო, – ვუთხარი ბუკიას.

– აი, ბიძიკო, გასაღები და შენ თვითონ წაიყვანე. სანამ მე ჩავიცმევ და გამოვფხიზლდები, შენი ბავშვი ინსტიტუტს დაამთავრებს. აბა, შენ იცი, ყოჩაღად! სუფრა არ აგვცდება და თამადა მე უნდა ვიყო, – მითხრა ტიტე ბიძიამ და გასაღები მომცა.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**ზაფხული ის პერიოდია, როცა ორგანიზმი სწორად უნდა გამოკვებოთ, მიიღოთ ის ხილი, რომელიც ამ სეზონზეა აუცილებელი და სვათ ის წვენები, რომელიც თქვენს დაავადებებს სამკურნალოდ წაადგება. ჩვენი ორგანიზმი, ჩვენსავე ხელშია და თუ მას სწორად ვმართავთ, ისიც დიდხანს და ჯანმრთელად გვემსახურება. თუ რატომ უნდა ვჭამოთ აუცილებლად ის ხილი, რომელიც ჩვენს გენეტიკაშია, რომელი ხილის წვენი არეგულირებს წნევას და აჯანსაღებს ორგანიზმს, ამაზე ექიმი-დიეტოლოგი ასმათ კევლიშვილი მოგვაწვდის სასარგებლო რჩევებს.**

# როგორ გავისუფთაოთ ორგანიზმი ზაფხულში სეზონური ხილის სწორი ჭამით და რომელ დაავადებას შველის მათი წვენები და ფოთოლთა ნახარში

**– ზაფხულში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ძალიან ცხელა, ადამიანის ორგანიზმი ადვილად იღლება, დაბალია სასიცოცხლო ტონუსი და ამ დროს, შრომისუნარიანობაც, თავისთავად ქვეითდება. როგორ ავიცილოთ ეს ყოველივე თავიდან და რომელ საკვებს მივაქციოთ მეტი ყურადღება?**

– სიცხეში აუცილებელია მსუბუქი კვება, რათა ორგანიზმი არ გადავტვირთოთ და ვიყოთ, მეტად შრომისუნარიანი და თავიდან ავიცილოთ ადვილად დაღლა. ამ პერიოდში, საგრძნობლად ფერხდება ნივთიერებათა ცვლა, სისხლი გაბლანტებულია, დარღვეული და შენელებულია მისი მოძრაობა სისხლძარღვებში. ამიტომ, მძიმე საკვების მიღება, ისედაც დამძიმებულ ორგანიზმს, კიდევ უფრო ამძიმებს. თავი შეიკავეთ ხაფხულში ხორცისგან და მეტი რაოდენობით მიიღეთ ის ხილი, რომელსაც ამ სეზონზე ბუნება გვაძლევს. ორგანიზმს არ უნდა დაადგეს ისეთი ძალა, რომ დიდი ენერგია დახარჯოს საკვების მონელებაზე. ამ პერიოდის ხილი და ბოსტნეული კი ადვილად მოსანელებელი პროდუქტებია. მაგალითად, მარწყვის მიღება ბევრმა არ იცის სწორად. ბევრი უარსაც კი ამბობს მის ჭამაზე, რადგან ამბობს, ალერგიული ხილიაო. ამ დროს მარწყვი ალერგიული პროდუქტი არ არის, რადგან ალერგენი მის წიპწებშია. ამიტომ თუ მას გამოწურავთ, წიპწებს გადაყრით და წვენს კი დალევთ, მაშინ, არც ალერგია შეგაწუხებთ და თქვენს ჯანმრთელობასაც სასიკეთოდ წაადგება. ყველა საკვებს გააჩნია სამკურნალწამლო დანიშნულება და ის სწორად უნდა მიიღოთ, ანუ დანიშნულებისამებრ. ხილიც და ბოსტნეულიც, გარკვეული რაოდენობით უნდა მიაწოდოთ ორგანიზმს.



**ერთი ჭამის წინ ერთი სახეობის ხილი მიიღეთ, მაგალითად ვაშლი, მეორე ჭამის წინ – მსხალი, მესამე ჭამის წინ კი მაგალითად, ნესვი და ასე შემდეგ, ასე მოამარაგებთ იმ ფერმენტებით და მინერალებით ორგანიზმს, რაც მისი საზრდოობისთვის აუცილებელია**

**– ამ პეიროდის კონკრეტულ ხილს, რა სამკურნალწამლო დანიშნულება აქვს?**

– მაგალითად, მარწყვი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება. ის ორგანული შარდმდენია და დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. როცა მედიკამენტურ შარდმდენებს სვამს ადამიანი, ამ დროს ორგანიზმიდან შარდთან ერთად დიდი რაოდენობით გამოიდევნება კალიუმი და ის მინერალური მარილი, რომელიც ორგანიზმს სასიცოცხლოდ ესაჭიროება. მაგრამ, როცა ორგანულ შარდმდენზე ვსაუბრობთ და კერძოდ, მარწყვზე, ის მხოლოდ ცუდს გამოდევნის ორგანიზმიდან და ავსებს იმ ფერმენტებით, რაც მის შემადგენლობაშია. დიდი რაოდენობით C ვიტამინის გამო კი, ის აუცილებელი ხილია მწეველებისთვის. ზოგადად, კი C ვიტამინი მთელი წლის განმავლობაში სჭირდება ადამიანის ორგანიზმს. თუმცა, ამ სეზონზე ციტრუსებით მას ვერ შეივსებთ, რადგან ახლა ციტრუსი უფრო ტოქსიკურია, მარწყვი კი – უვნებელი. ასევე, უებარი ხილია მარწყვი ანემიების დროს, კუჭის მოქმედებისთვის, პერისტალტიკის ნორმალური მუშაობისთვის და ასე შემდეგ. ასე რომ, ვისაც კუჭ-ნაწლავის პრობლემა, კერძოდ კი, ყაბზობა, ანუ შეკრულობა აწუხებს, მათთვის მარწყვი, მხოლოდ გემრიელი ხილი კი არა, წამალიცაა – უფრო სწორად, მარწყვის წვენი. მაგალითად, წნევიანი ადამიანისთვის მისი მიღება აუცილებელია, თუმცა ზომიერების ფარგლებში. აქვე მოგცემთ ერთ სასარგებლო, სამედიცინო რჩევას, კერძოდ, მარწყვის მხოლოდ ნაყოფი კი არა, მისი ფოთლებიც სამკურნალო დანიშნულებისაა – გამოდევნის არაორგანული კალციუმის მარილებს ორგანიზმიდან, რომელსაც მარილების დაგროვებას უწოდებენ. ბევრი ფიქრობს, რომ მარილების დაგროვება ორგანიზმში საკვები მარილისგან ხდება. არადა, ეს ხდება ნივთიერებათა ცვლის დარღვევის შედეგად, არაორგანული კალციუმის მარილების დანალექია. სწორედ, არაორგანული მარილების დაგროვებისგან გვიცავს და გამოაქვს ის მარწყვის ფოთლების ნახარშს. ის ასე უნდა მოამზადოთ: აიღეთ ათი გრამი მარწყვის ნედლი ფოთოლი, დააქუცმაცეთ და დაასხით 200 გრამი წყალი, თავდახურული ხარშეთ ათი წუთი და შემდეგ გადმოდგით. თავდახურული გააგრილეთ ოთახის ტემპერატურაზე. დღეში 4-ჯერ, მხოლოდ ერთი სუფრის კოვზი უნდა მიიღოთ, ჭამამდე. ერთი თვე სვით ეს ნახარში, ერთი კვირა დაისვენეთ და მერე ისევ გაიმეორეთ. თავად მიხვდებით, კიდევ გჭირდებათ თუ არა მისი მიღება. ერთი სიტყვით, გამოიყენეთ ეს ზაფხული, თქვენი ორგანიზმის გასასუფთავებლად. ზოგადად, ორგანიზმს არც უნდა დააკლოთ რაიმე და არც ზედმეტი მიაწოდოთ. ასევე, წვენი უნდა დალიოთ ჭამის წინ, ნახევარი საათით ადრე და ის, არავითარ შემთხვევაში, არ უნდა მიაყოლოთ, ან დააყოლოთ საკვებს. ხილიც კი, ჭამამადე უნდა მიირთვათ და ისიც ერთი სახეობის და არა ნარევი. ჭამიდან ჭამამდე, ანგარიშმიუცემლად ხილის ჭამა, არ შეიძლება. მოკლედ, ერთი ჭამის წინ ერთი სახეობის ხილი ჭამეთ, მაგალითად, ვაშლი, მეორე ჭამის წინ – მსხალი, მესამე ჭამის წინ კი – ნესვი და ასე შემდეგ. ასე მოამარაგებთ იმ ფერმენტებით და მინერალებით ორგანიზმს, რაც მისი საზრდოობისთვისაა აუცილებელი. გირჩევთ, რომელი ხილიც წიპწებს შეიცავს, წვენის სახით მიიღოთ, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიპწები ალერგენია, სისხლის რეაქციას ცვლის და ძნელი მოსანელებელია კუჭისთვის.

**– ზაფხულში სისხლი შესქელებულია, რომელი ხილის მიღებით შევძლებთ მის გათხელებას საჭირო დონემდე?**

– ამ დროს ალუბალი აუცილებელი ხილია. ზაფხულში ის ადამიანის ორგანიზმში, შესქელებულ სისხლს ათხელებს. ასევე, ალუბლის ფოთლებშიც და ნაყოფშიც არის ნივთიერება კუმარინი, რომელიც სისხლს ათხელებს და თრომბის წარმოქმნას ებრძვის. შესაბამისად, მას პრევენციული ხასიათი აქვს და ინფარქტებისგან გვიცავს. ალუბლის ფოთლების ნახარში ზუსტად ისე უნდა მოამზადოთ, როგორც მარწყვის ფოთლების ნახარში. შეგიძლიათ, 2 კვირა ალუბლის ფოთლების ნახარში სვათ, 2 კვირა კი მარწყვის ფოთლების, მონაცვლეობით.

**– მარწყვის ან ალუბლის ნაყოფის მურაბის სახით, ზამთრისთვის შენახვას თუ აქვს რაიმე სამკურნალო დანიშნულება?**

– მარწყვის და ალუბლის მურაბის სახით, ზამთრისთვის მოხუფვას და შენახვას, არანაირი სამკურნალო დანიშნულება არ გააჩნია, გარდა იმისა, რომ ადამიანი გემოვნების რეცეპტორებს იკმაყოფილებს ცივ სეზონზე. ჯობია, ახლად მოკრეფილი ალუბალი, გაურეცხავი და გამოუკურკავი, პოლიეთინელის პაკეტებში ჩაყაროთ და მაცივარში შეინახოთ, გაყინოთ. ნებისმიერ დროს კი, გამოიღეთ მაცივრიდან და გაყინულ მდგომარეობაში გარეცხეთ, დადეთ საწურზე და გაადნეთ. შეგიძლიათ, მისგან ახალი კომპოტი ან კისელი მოამზადოთ, ან უბრალოდ, ხილი და მისი ახლადგამოწურული წვენი მიირთვათ, ნებისმიერ სეზონზე. ეს უფრო სასარგებლოა. ასეთი წესით შეგიძლიათ გაყინოთ, ნებისმიერი კენკროვანი ხილი.

**– ხილის წვენებიდან რომელს აქვს გამაგრილებელი ეფექტი?**

– გეტყვით, რომ მხოლოდ იმ ხილის წვენია სასარგებლო, რომელსაც წიპწები აქვს, ხოლო კურკოვანებისგან წვენის მიღება, კატეგორიულად მიუღებელია, რადგან ამ დროს ირღვევა კუჭის წვენის მჟავიანობა. ჯობია ვაშლი, მსხალი, ქლიავი და ასე შემდეგ, ჭამოთ, ხოლო, მაყვალი, ჟოლო ან მარწყვი – გამოწუროთ და წვენი სვათ. დღეში სამჯერ კვებით, რომელსაც წინ უძღვის სეზონური ხილი ან მისი წვენი, მეოთხე კვების ჯერზე კი – კეფირი ან მაწონი – აი, ასეთი წესით დეპრესიასაც დაძლევთ, სასიცოცხლო ენერგიასაც შემატებთ ორგანიზმს და ქრონიკული დაღლილობისგანაც დაიზღვევთ თავს.

**– ამბობენ, რომ ცხელ სეზონზე, ცივი მაწონი, რომელშიც სეზონური ხილია არეული, ძალიან სასარგებლოა ორგანიზმისთვის. მას აგრილებს და თან დიდხანს გვანაყრებს. ასეა?**

– ეს არ არის სწორი, რადგან მაწონი რძის პროდუქტია და მასში ნებისმიერი ხილის არევა, რეკომენდებული არ არის. არც ორგანიზმისთვისაა ასეთი ხილისა და რძის ნაწარმის, ნარევის სახით მიღება სასარგებლო. ჯობია, ისინი ცალცალკე მიირთვათ. ის, რომ მშობლები პატარებს მაწონში არეულ ხილს სთავაზობენ, თან ატყუებენ, თითქოს ის ხილის ნაყინი ან იოგურტია, რომელიც მათ ძალიან უყვართ, არასწორია და ბავშვის ორგანიზმის სწორად ჩამოყალიბებისთვის, საშიშიც კი. ამით, ბავშვის გულს მოიგებთ, სამაგიეროდ მომავალში მის კუჭ-ნაწლავს სერიოზულ საფრთხეს უქმნით და პატარას კუჭის წვენის ბალანსს არღვევთ, რომელსაც მთელი რიგი დაავადებები მოჰყვება თან. მაწონი და ზოგადად, რძის პროდუქტი არ შეიძლება, მიიღოთ არც ხილთან, არც პურთან, არც ნამცხვართან და არც ორცხობილასთან ერთად. ის ცალკე, დამოუკიდებლად, სხვა დანამატების გარეშე უნდა მიირთვათ.

**– ბევრი ადამიანი, საღამოს თავს იკავებს ჭამისგან და მხოლოდ ხილს მიირთმევს. გამიგია, რომ ეს უფრო საშიშია ორგანიზმისთვის, რადგან ნაწლავებში ხილი დუღილს იწყებს და დისკომფორტს გვიქმნის. ეს სწორი მოსაზრებაა?**

– ხილი, ნაწლავებში იწყებს დუღილს, თუ მას ჭამის შემდეგ მიირთმევთ. ჭამამდე, სუფთა ნაწლავებში მათი მოხვედრა კი, პირიქით, სასარგებლოა, თუმცა, მხოლოდ ერთი სახეობის ხილზეა საუბარი და არა მათ ასორტზე. ასევე, უნდა ჭამოთ ის ხილი, რომელიც ჩვენს გენეტიკაშია და არა უცხოეთიდან შემოტანილი, ბანანი, ანანასი ან კიდევ სხვა.

**ნონა დათეშიძე**

**სანდრო ახმეტელის სახელობის მუნიციპალური თეატრის მსახიობს, ბექნუ ქაფიანიძეს მსახიობის პროფესიისადმი სიყვარული ბავშვობიდან გაუჩნდა. მიუხედავად ამისა, რადიკალურად განსხვავებული პროფილით გეგმავდა უმაღლესში ჩაბარებას, თუმცა გენმა მაინც თავისი ქნა და გამოცდებამდე ერთი თვით ადრე, გადაიფიქრა და ბედი თეატრალურ უნივერსიტეტში მოსინჯა. ცდა წარმატებული აღმოჩნდა და ჩვენი რესპონდენტი დღემდე მამის, ზურა ქაფიანიძის კვალს ღირსეულად მიჰყვება.**

# როგორ გახდა ზურა ქაფიანიძის ნაბოლარა შვილი მსახიობი და რა სტრესი გადაიტანა ბექნუ ქაფიანიძემ 14 წლის ასაკში

**– ბექნუ, ახმეტელის თეატრის მსახიობი უკვე რამდენიმე წელია ხარ. საუბარი სწორედ ამ თემით მინდა დავიწყო, რა ხდება თეატრში?**

– ბევრი კარგი პროექტი გაკეთდა და ბევრიც იგეგმება, იდგმება ახალ-ახალი სპექტაკლები ნიჭიერ რეჟისორებთან ერთად. შემოდგომაზე 3-4 ქვეყანაში გავემგზავრებით გასტროლებზე. მოკლედ, თეატრი აქტიურ ცხოვრებას ეწევა.

**– ძალიან ნიჭიერი მსახიობის, ზურა ქაფიანიძის ნაბოლარა შვილი ხარ და ფაქტია, მსახიობის პროფესია გენეტიკურად გადმოვიდა შენში. სამი შვილიდან მხოლოდ შენ ხარ მსახიობი.**

– ასე გამოვიდა. ლელა ქაფიანიძე, ჩემი და, ფილოლოგია და სკოლაში ასწავლის, ბერდიაც (ძმა) სხვა პროფესიის არის, რომელიც ამჟამად ახალციხეშია და ეკლესიას აშენებს. მე კი, ასე ვთქვათ, დაუგეგმავად გავყევი მსახიობის პროფესიას. საერთაშორისო ურთიერთობებზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ გამოცდებამდე ერთი თვით ადრე, გადავწყვიტე თეატრალურ, ახლა უკვე უნივერსიტეტში ჩაბარება.

**– ხშირ შემთხვევაში, მსახიობი მამები წინააღმდეგი არიან, შვილებმა მათი პროფესია აირჩიონ. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მათ ყველაზე კარგად იციან ამ პროფესიის კარგიც და ცუდიც. იციან ისიც, რომ თუ არ გაგიმართლა, რაც არ უნდა ნიჭიერი იყო, შრომა დაუფასებელი იქნება. შენს შემთხვევაში როგორ იყო?**

– ყველაზე მთავარი მაინც გამართლებაა და არა მხოლოდ ჩვენს პროფესიაში. პროფესიის არჩევაში კი, მამის მხრიდან წინააღმდეგობა ნამდვილად არ მქონია, პირიქით, მითხრა, როგორც ჩათვლი საჭიროდ, ისე მოიქეციო. მე ვერავის ვერაფერს ვთხოვ და დანარჩენი შენ იციო.

**– ვის ჯგუფში სწავლობდი?**

– გიორგი შალუტაშვილის ჯგუფში. ოთხი, მართლაც საოცარი წელი გავიარე საოცარ გარემოში. დღემდე თეატრალურ უნივერსიტეტს, როგორც საკუთარ ოჯახს, ისე ვუყურებ.

**– ხშირად ცნობილი მსახიობი მამის შვილები თუ ისინიც იგივე პროფესიის წარმომადგენლები არიან, კომპლექსდებიან და ჰგონიათ, რომ მამის ჩრდილში არიან მოქცეული. შენ?**

– მამა ისეთი პიროვნება და ნიჭიერი მსახიობი იყო, რომ მადლობა უფალს, ყოველთვის მჩრდილავს მისი სახელი.

**– ძალიან ჰგავხარ მამას, როგორც ვიზუალურად ასევე, ხმით.**

– მე კი ვგავარ მამას, მაგრამ თქვენ რომ ჩემს ძმას იცნობდეთ, მაშინ იტყვით, ზედ გამოჭრილი ზურააო. ბერდია ძალიან ჰგავს მამას.

**– იშვიათი და ჟღერადი სახელი გქვია.**

– ეს არის სვანური სახელი, რომელიც



ძნელია რაჭველი კაცის მდგომარეობიდან გამოყვანა, მაგრამ თუ გამოვიდა, მერე ველარ წყნარდება

ჩემმა მშობლებმა საერთო გადაწყვეტილებით დამარქვეს. ალბათ, იმ კუთხის მიმართ სიყვარული მათ ასე გამოხატეს. მეც მინდოდა, ჩემი შვილისთვის ლილე დამერქმია, მაგრამ ბევრი რამ ისე დაემთხვა, რომ მარიამი დავარქვით.

**– ორი შვილის მამა ხარ.**

**პროფესიაში ზურა საერთოდ სხვა ტიპაჟი იყო, მე საერთოდ სხვა ვარ. ჩემი აზრით, ეს არ არის ცუდი, რადგან მიმბაძველობა ყოველთვის წამგებიანია**

– ორი არაჩვეულებრივი ქალბატონი მყავს – ნინო და მარიამი.

**– მკაცრი მამა ხარ?**

– მკაცრი, ალბათ, ფერებაში ვარ, რადგან ველარ ვზომავ და შეიძლება „შემომეჭამოს" ან რამე დამემართოს. ფერებაშიც კი გული მიჩუყდება მათი სიყვარულით.

**– თავად თუ იქნები მომხრე, შენმა გოგონებმა მამისა და ბაბუის პროფესია გააგრძელონ?**

– ჯერ საერთოდ, რა დროს ამაზე ლაპარაკია, თუმცა ისინი არ მემეტებიან ამ პროფესიისთვის, მაგრამ არც ამ პროფესიის გარეშე მემეტებიან, რადგან ეს მართლა საოცარი გარემო და საოცარი სამყაროა. აქ შეიძლება, ყველაფერი შექმნა და ყველა ადამიანის პროფილს მოერგო. ეს კარგი მხრივ არანორმალური სამყაროა. სხვა პროფესიის კარგი წარმომადგენლები და ამ პროფესიის კარგი მაყურებლები თუ იქნებიან, ეს საერთოდ გადასარევი იქნება.

**– ახლა კი წარსულშიც გადავინაცვლოთ. როგორი ბავშვობა გქონდა?**

– არაჩვეულებრივი, საოცარი ბავშვობა მქონდა, რომელსაც ყოველთვის კარგად ვიხსენებ. ვსწავლობდი პირველ სკოლაში, რომელიც დღემდე ძალიან მიყვარს. ძალიან კომუნიკაბელური და მოუსვენარი ბავშვი ვიყავი, ერთ ადგილზე ვერ მაჩერებდნენ. კლასში თუ რამე ფუჭდებოდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი ქაფიანიძის ბრალი იყო. არაჩვეულებრივი პედაგოგები მყავდა. 14 წლის ვიყავი დედა რომ გარდამეცვალა, რაც ჩემთვის უზარმაზარი სტრესი იყო. მამის თანადგომამ და თავზე გადაყოლამ, როგორღაც გადამატანინა ეს მძიმე პერიოდი. მასთან ერთად ასევე, მამიდებმა.

**– დედის გარდაცვალების შემდეგ, როგორც ვიცი, მამიდებთან იზრდებოდი.**

– კი, მამიდებთან ვიზრდებოდი, რომლებიც მართლაც საოცარი ადამიანები არიან. ზურას და ორივე მამიდის ურთიერთობა ხომ, საერთოდ სხვა თემაა. ზურა მათზე ასაკით ბევრად უფროსი იყო. მახსოვს, ყვებოდნენ, თურმე ზურას, მამიდაჩემის ფაჩუჩები გულის ჯიბით დაჰქონდა. ქურთუკს გაიხსნიდა თურმე და პატარა მამიდას გულთან ახლოს ჩაისვამდა. საოცარი ურთიერთობა ჰქონდათ. არაჩვეულებრივი ქალბატონები არიან, ასევე არაჩვეულებრივი ადამიანია ჩემი მამიდაშვილი, ბექა ძიძიგური. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ორი უფროსი ძმა მყავს, ბერდია და ბექა. მას საკუთარი ძმისგან ვერ განვასხვავებ ნამდვილად.

**– ხასიათით თუ ჰგავხარ მამას?**

– ეს შეიძლება სხვამ მითხარას. რა თქმა უნდა, ვემსგავსები, შვილი მშობელს ჰგავს. პროფესიაში, მაგალითად, ის საერთოდ სხვა ტიპაჟი იყო და მე საერთოდ სხვა ვარ. ჩემი აზრით, ეს არ არის ცუდი, რადგან მიმბაძველობა ყოველთვის წამგებიანია.

**– ფიცხი ხასიათი გაქვს? მამა თითქოს გარედან ასეთი ჩანდა და ამითაც თუ ჰგავხართ ერთმანეთს.**

– ფიცხი ვარ, მაგრამ ზომაზე მეტად არა. ზურა უფრო ფიცხი ჩანდა, ვიდრე ცხოვრებაში იყო. ძალიან თბილი იყო, თუმცა ნერვები თუ მოეშლებოდა, პირადად მე, ვერ ვუჩერდებოდი გვერდით, რადგან ცოტა მეშინოდა. ერთადერთი, რაზეც შეიძლება, მდგომარეობიდან გამოსულიყო, ეს იყო ისევ თავის ქვეყანაში განვითარებული მოვლენები და არასწორად გადადგმული ნაბიჯი. საერთოდ ძნელია, რაჭველი კაცის მდგომარეობიდან გამოყვანა, მაგრამ თუ გამოვიდა, მერე ველარ წყნარდება.

**მარიკა ხიდურელი**

**თვითნასწავლმა მუსიკოსმა, ნუკრი მენთეშაშვილმა, ხალხის სიყვარული მაშინვე დაიმსახურა, როგორც კი სატელევიზიო პროექტ „ახალ ხმაში“ გამოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკა მისთვის უმთავრესია, ნუკრი შემოქმედებით ექსპერიმენტებს არ ერიდება – ლექსებსაც წერს და მსახიობობაც სცადა ერთ-ერთ მოკლემეტრაჟიან ფილმში. რა გზა გაიარა სატელევიზიო პროექტიდან დღემდე, ამჟამად რითია დაკავებული, რატომ ითვლება ჯერ კიდევ ქუჩის მოსიკოსად და რა შეიცვალა მის პირად ცხოვრებაში, ამის შესახებ თავად გიამბობთ.**

# როგორ გაატარა მძიმე ბავშვობა ბავშვთა სახლში „ახალი ხმის“ კონკურსანტმა ნუკრი მენთეშაშვილმა და რატომ ვერ აეწყო მისი პირადი ცხოვრება

– ბავშვობიდან ვმღერი. დაახლოებით 13 წლიდან კი, საკუთარ სიმღერებს ვქმნი. 18 წლის ვიყავი, მე და ჩემს მეგობარ გოგოს მიწისქვეშა გადასასვლელში სიმღერის იდეა რომ მოგვივიდა. თავიდან სიამოვნებას მანიჭებდა ეს ყველაფერი, მერე ცოტა მომწყინდა, მაგრამ ჩემი სიამოვნების ძირითად წყაროდ მაინც მუსიკა რჩება. მანამდე ფიზიკურ სამუშაოს არ ვერიდებოდი. ფინანსური პრობლემების გამო, სასწავლებლიდან წამოვედი, საპატრიარქოში ბაღების დეკორაციასა და დიზაინს ვსწავლობდი, მაგრამ ვერ დავამთავრე.

**– რა სირთულეები ახლავს ქუჩის მუსიკოსობას?**

– – ზოგი მოდის და მეუბნება, ის დაუკარი, ეს დაუკარი... ელემენტარული პატივისცემა არ აქვთ ადამიანის. იმდენჯერ მოგვსვლია ჩხუბი ამის გამო. ერთხელ ამიშარდნენ, გინდა თუ არა, ქართულად იმღერეო. იქამდე არ მომეშვნენ, სანამ კამათი ფიზიკურ დაპირისპირებაში არ გადაიზარდა. შევარდნაძის დროს მე არ ვუკრავდი, მაგრამ ვიცი, რომ უფრო ბევრ სირთულეს აწყდებოდნენ ქუჩის მუსიკოსები. ახლა შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

**– მე როგორც ვიცი, ბავშვთა სახლში გაიზარდე. მიამბე, როგორ ცხოვრობდი.**

– თითქმის ყველა ბავშვთა სახლი მაქვს შემოვლილი. წყნეთის, ლაგოდეხისა და ძეგვის ბავშვთა სახლებში ჩემს ძმებთან ერთად ვცხოვრობდი. დედა, დაახლოებით, 11 წლის რომ ვიყავი, მაშინ გავიცანი, მანამდე მარტო მამა მყავდა ნანახი. ამიტომ, მათ მიმართ მონატრების გრძნობა არ მქონია. კონტაქტური ბავშვი ვიყავი, მიყვარდა მეგობრებთან თამაში, მაგრამ ბოლომდე გულახდილი არავისთან ვყოფილვარ. კარგად მახსენდება ლაშქრობებზე სიარული, ტყე-ღრეში დავხეტიალობდით და ეს ძალიან მომწონდა. მაგრამ, საერთო ჯამში, არ იყო ადვილი იქ ცხოვრება. ერთხელ, მახსოვს, „ჟეშტისგან“ თვითმფრინავი გავაკეთე და ამის გამო დირექტორმა დამსაჯა, არ შეიძლებაო, მითხრა. ყველაზე ცუდად ის დამამახსოვრდა, რომ ქურდობა დამაბრალეს და სახელი გამიტეხეს. საერთოდ, წყნარი ადამიანი ვარ, მაგრამ თუ გავბრაზდი, ცუდი რაღაცეების გაკეთება შემიძლია. ცილისწამებამ ისე გამაბოროტა, რომ მართლა დავიწყე ქურდობა, ალუმინს ვიპარავდი და ვაბარებდი. მერე პაატა ბურჭულაძის ფონდის დახმარებით, 1 500 ლარად ფოლადაანთკარში სახლი ვიყიდეთ, სადაც ახლა ჩემი ძმა ცხოვრობს ოჯახით. ჩვენ პირველები ვიყავით, ვისაც „იავნანამ“ სახლი უყიდა.

**– რა გასწავლა ბავშვთა სახლში ცხოვრებამ?**

– ახლა ბევრ რამეს სხვანაირად ვუყურებ. ფიქრის უნარი გამომიმუშავდა, რაც მთავარია. უფრო ფრთხილი ვარ და არავისზე ვარ დამოკიდებული. თუ ადამიანში ნიჭს ვხედავ, აუცილებლად მხარში დავუდგები. ამის გამო რამდენჯერმე დავზარალდი კიდეც, მაგრამ ძალიან მიყვარს ნიჭიერი ადამიანები. ჩემი ოცნებაა ფულს რომ ვიშოვი, საქართველოში მეცნიერება განვავითარო.

**– ქართული როკი რატომ ვერ ვითარდება?**

– ქართველ როკ-შემსრულებლებშია პრობლემა, ალბათ. თავიდან ყველა ფიქრობდა, რომ როკ-სიმღერები ქართულად არ უნდა ემღერათ. ჯერ რუსულად მღეროდნენ, მერე – ინგლისურად. სინამდვილეში, თუ ხასიათში ჩასვამ, მუსიკას და ტექსტს ერთმანეთს შეუსაბამებ, ქართულადაც არაჩვეულებრივი გამოდის. ისე, როკი თავისუფლებას მოითხოვს, რაც ჩვენ გვაკლია. საერთოდ, თავისუფლება ისეთი რამეა, შეიძლება, ერთ ოთახში ან საკანში იყო გამოკეტილი, მაგრამ ასეთი იყო შინაგანად. შეიძლება, უშველებელი კარ-მიდამო გქონდეს, ფულიც, მაგრამ არ იყო თავისუფალი. ბევრ რამეში ხელი მეშლებოდა უფულობის გამო, მაგრამ ყოველთვის თავისუფალი ვიყავი, ბავშვთა სახლში რომ ვცხოვრობდი, მაშინაც.

**– „ახალი ხმის“ მერე რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში?**

– ხანდახან ბარებში ვუკრავ ხოლმე, ხან შემოთავაზებები გვაქვს მერიიდან. ახლა „ლიდერბეთს“ და „კრისტალბეთს“ ვუკეთებთ რეკლამას და საქართველოს მასშტაბით გვაქვს დაგეგმილი კონცერტები. ძალიან მომწონს „ერთი-ერთში“ და დიდი სიამოვნებით გამოვცდიდი საკუთარ შესაძლებლობებს. სხვა მუსიკალურ კონკურსში მონაწილეობის მიღებას აღარ ვაპირებ, აზრი არ აქვს.

**– გულდაწყვეტილი ჩანხარ... მიგაჩნია, რომ უსამართლოდ მოგექცნენ, როცა „ახალი ხმიდან“ გამოგიშვეს?**

– როგორ გითხრა, შოუ-ბიზნესს თავისი კანონები აქვს, როგორც ჩათვალეს საჭიროდ, ისე მოიქცნენ. მაგრამ, ჩემი აზრით, პროექტს ვჭირდებოდი. თუ სტეფანე გადაწყვეტდა, ვიცოდი, რომ გამომიშვებდნენ და ასეც მოხდა. სტეფანესთან და მაიასთანაც ჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს: გამარჯობა-გაგიმარჯოს, მაგრამ საქმე არ გვაკავშირებს. მარტო ჭამა-სმაში მეგობრობა, არ მესმის, სამუშაო რეჟიმში კიდევ შეიძლება. სხვათა შორის, ნინი (ცნობილაძე) კარგი გოგოა. იშვიათად, მაგრამ მაინც ვურთიერთობთ. მაგდა ვასაძესთან ახლაც ვმეგობრობ.

**– მიუხედავად იმისა, რომ პროექტი სტეფანეს გადაწყვეტილებით დატოვე, ამბობდა, რომ ყველანაირად დაგეხმარებოდა სიმღერების ჩაწერასა და გავრცელებაში...**

– მარტო ილაპარაკა, არაფერი გაუკეთებია. ზოგადად, მე ვინც დამეხმარება, ის პროდიუსერი იქნება, რომელიც ჯერ არ მყავს, მაგრამ გამოჩნდება ვინმე, იმედია.

**– პირად ცხოვრებაში რა ხდება? რამე შეიცვალა, თუ მე მაქვს არასწორი ინფორმაცია?**

– დაახლოებით ნახევარი წლის წინ ცოლს დავშორდი. მერე ისევ შევრიგდით, კიდევ ერთხელ ვცადეთ ურთიერთობის აწყობა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩემი შემოქმედების თაყვანისმცემელი იყო, ვუყვარდი და ვიფიქრე, ასეთ სიყვარულს აუცილებლად სჭირდება დაფასება-მეთქი და ცოლად მოვიყვანე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საერთო არ გვაქვს. კარგად არც ვიცნობდით ერთმანეთს, როცა დავქორწინდით. ახლა უკვე საბოლოოდ, კონფლიქტის გარეშე გადავწყვიტეთ, რომ ცალ-ცალკე გვეცხოვრა. მე უფრო წმინდა ურთიერთობა მჭირდება, ერთი სული რომ გავხდეთ ორივე, ისეთი.

**– ახლა როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

– ნორმალური, მაგრამ მაინც ვერ დავლაგდით, მეგობრობაც არ გამოგვდის თითქოს. წლის და ცხრა თვის ულამაზესი იაკო გვყავს, ამიტომ არაფერს ვნანობ. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან კარგი მამა ვარ, მაგრამ ვცდილობ, ყურადღება არ მოვაკლო და მატერიალურადაც უზრუნველვყო.

**– შენი შემოქმედების მუზა არ გამოჩენილა ჯერ?**

– არა, სერიოზული ურთიერთობა ჯერ არავისთან მაქვს.

**ნათია არსენაშვილი**








**ყველაზე ცუდად ის დამამახსოვრდა, რომ ქურდობა დამაბრალეს და სახელი გამიტეხეს. საერთოდ წყნარი ადამიანი ვარ, მაგრამ თუ გავბრაზდი, ცუდი რაღაცეების გაკეთება შემიძლია. ცილისწამებამ ისე გამაბოროტა, რომ მართლა დავიწყე ქურდობა**

**ასულ კვირას ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი პოპ-არტით გატაცებული საინტერესო ქალბატონის, ქეთი შარაბიძის გამოფენის მასპინძელი გახლდათ. ცხოვრების პასიური პერიოდის დასაძლევად მიგნებული არტ-თერაპია, სულაც არ აღმოჩნდა დროებითი. ქალბატონი ქეთი საყვარელმა საქმემ ისე გაიტაცა, რომ დღეს მის „ანგარიშზე" უკვე ბევრი საინტერესო ნამუშევარი და ასევე, საინტერესო სამომავლო გეგმებია. როგორ გახსნა სახლში „იატაკქვეშა" სახელოსნო და რაში ჩართო მეუღლე, ავტოსპორტის ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელის და „დემოკრატიული მოძრაობის" წევრი, შალვა ოგბაიძე, ამის შესახებ, თავად ჩვენი რესპოდენტისგან შეიტყობთ.**

# რატომ დაუცარიელა შალვა ოგბაიძეს ცოლმა სახლი და როგორ ასცდა ის გინესის რეკორდების წიგნს

**ქეთი შარაბიძე**: პროფესიით ინჟინერი ვარ, მაგრამ ისე მოხდა, ცხოვრება შემოქმედებას, ხელოვნებას დავუკავშირე. წლების განმავლობაში ჩემი პროფესიით მიწევდა მუშაობა, მაგრამ წელიწად-ნახევრის წინ, როცა გაუქმდა აუდიტორული საქმიანობის საბჭო, საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ადამიანისთვის, რომელიც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობს და ცხოვრების აქტიური რეჟიმი აქვს, სახლში უქმად ყოფნა ძნელია. სასწრაფოდ არტ-თერაპია მჭირდებოდა. იმის ფიქრში, თუ როგორ უნდა გამეგრძელებინა ცხოვრება, გავიხსენე პოპ-არტი – საყვარელი ჰობი, რომლითაც მაშინაც კი ვიყავი დაკავებული, როცა ვმუშაობდი. თავიდან ეს გატაცება დაიწყო ნამუშევრებით, რომელთაც ქაღალდებით, მაქმანებით, ღილებით, სამოსის ბირკებითა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთით ვამზადებდი. ფართო აუდიტორიისთვის მათ ჩვენებას ვერ ვბედავდი, სამაგიეროდ, ჩემს მეგობრებს ვასაჩუქრებდი, რომელთაც ძალიან მოსწონდათ ჩემი ნახელავი. იმ პერიოდში ოთხმა ახლო მეგობარმა გადავწყვიტეთ, საკუთარი ხელით გაგველამაზებინა სახლში ინტერიერი და აქტიურად დავიწყეთ მუშაობა პოპ-არტში. ჩემს სახლში ძალიან ბევრი რამ საკუთარი ხელით მაქვს გაკეთებული.

**– მეუღლე მშვიდად ხვდებოდა თქვენს შემოქმედებით ექსპერიმენტებს?**

– არა თუ მშვიდად ხვდებოდა, შალვა ჩემი პირველი შემფასებელია. უფრო მეტსაც გეტყვით, ყველაფერში მხარში მედგა – თავიდან, როგორც კი ნახავდა ჩემს ნამუშევარს, მეტყოდა: უი, რა ლამაზია, კიდევ გააკეთე. ეს იყო ჩემთვის დიდი სტიმული. ჩემი პირველი „შემკვეთები" იყვნენ ჩემი მეუღლე და მამაჩემი, რომელთაც რამდენჯერმე დასჭირდათ ჩემი შექმნილი აქსესუარები საჩუქრად. ერთმა ჩემთვის ახლობელმა ადამიანმა, რომელიც ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში მუშაობდა, იქ გამოფენის მოწყობა შემომთავაზა. ძალიან დავიბენი, ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში გამოფენის მოწყობა, იოლია? თუმცა, ამ მაცდურ წინადადებაზე უარს ვერ ვიტყოდი. დავსხედით, მე და ჩემმა მეგობრებმა მოვხსენით სახლიდან ყველაფერი, რაც ჩვენი ხელით იყო გაკეთებული; დროებით დავიბრუნეთ გაჩუქებული ნამუშევრები და მოვაწყვეთ გამოფენა, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა. იმ ჯადოსნურ ატმოსფეროში ჩვენი გამოფენის ემოციები უფრო მძაფრი და გაათმაგებული იყო. მაშინ, ჯერ კიდევ არ მქონდა ნახატები, მოგვიანებით, მეგობრის რჩევით, უფრო სერიოზულად მივუდექი ამ საქმეს. მომავალი გამოფენის სამზადისში მე და ჩემი მეგობრები საკუთარ სახლებში გამოვიკეტეთ და დავიწყეთ ინტენსიური მუშაობა. ერთმანეთთან ურთიერთობა ავკრძალეთ, რათა ყველას ნამუშევარი ინდივიდუალური ყოფილიყო და შემთხვევით, ერთმანეთის გავლენით, იდეები არ გადაკვეთილიყო. იმ პერიოდში საკმაოდ ბევრი ნამუშევარი შევქმენით. მე აქტიურად დავიწყე მუშაობა თექაზეც. ძალიან მინდოდა, ჩემი ნამუშევრები თექაზეც ორიგინალური ყოფილიყო. ამიტომ, მოვიმარჯვე აკრილის საღებავებიც. ჯერ თექას ვაკეთებ, მერე მასზე ვხატავ, ან სხვადასხვა ელემენტით ვაფორმებ. ჩემი სახლი დაემსგავსა სახელოსნოს. ერთი სული მქონდა ხოლმე, ჩემები სახლიდან წასულიყვნენ. როგორც კი გავიდოდნენ, მაშინვე მუშაობას ვიწყებდი. რომ გავიგებდი, უკან ბრუნდებოდნენ, ავალაგებდი მაშინვე ჩემს სამუშაო „მოწყობილობებს". იდეები თავისით მოდიოდა, თან ერთ ნამუშევარს დავასრულებდი თუ არა, ვიწყებდი მეორეს. ჩემი შვილიშვილი მირეკავდა და მეუბნებოდა, შენ თუ ასე, ამ ტემპით გააგრძელე, გინესის რეკორდებში მოხვდებიო *(იცინის)*.





**შალვა ამბობდა, კარგი მასწავლებელი მაშინ ვიქნები, თუ ჩემს ცოლს მანქანის მართვას ვასწავლიო, მაგრამ არ გამოუვიდა**

**– ფოლკლორის ცენტრში საინტერესო გამოფენა გაქვთ და პროფესიონალებმა ძალიან კარგად შეაფასეს.**

– ეს ჩემთვის ძალიან დიდი პატივია. როცა შენს ნამუშევარს აფასებს ქალბატონი ქეთი მატაბელი, მისი მეუღლე გია გუგუშვილი და საქებარ სიტყვებს გეუბნებიან, უფრო მეტი სტიმული გიჩნდება. ახლა უკვე გადავწყვიტე, პროფესიონალურად დავეუფლო ცოდნას ყველა იმ მიმართულებით, რაც მე მჭირდება. ამ გამოფენისთვის ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ფოლკლორის ცენტრის ხელმძღვანელობას და მთელ გუნდს, რომელთაც ასეთი საინტერესო გამოფენის მოწყობის საშუალება მომცეს.

**– გახდა დროებითი არტ-თერაპია თქვენთვის შემოსავლის წყარო?**

– არა, ასე ვერ ვუდგები. ყველაფერს მაინც იმისთვის ვაკეთებ, რომ ადამიანებს სიამოვნება მივანიჭო. ბუნებით ესთეტი ვარ, ამ ნამუშევრებში სული და გული მაქვს ჩადებული. ვმუშაობ მინის მხატვრულ დამუშავებაზეც – ჩვეულებრივი, უბრალო მინისგან, დაძველების ეფექტით არაჩვეულებრივ მინის ჭურჭელს ვაკეთებ, რომელიც თავისი დახეთქილი ბზარებით, ულამაზესი სანახავია. ჩემს მეუღლეს კარგი იუმორი აქვს, როგორც კი ჩემს ახალ ნამუშევარს ნახავს, მოიხსნის სათვალეს და ისეთ პროფესიონალურ რეზიუმეს აკეთებს, ნამდვილ ხელოვანს შეშურდება.

**– მეუღლე აქტიურად გყოლიათ ჩართული თქვენს შემოქმედებაში, თავად თუ ხართ ავტოსპორტის ან ექსტრემალური რბოლების მოყვარული?**

– მოყვარული ნამდვილად ვარ, თუმცა თავად ვერ ვარ ექსტრემალი. შალვამ რამდენჯერმე სცადა ჩემი ჩათრევა და აყოლიება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ჩემი ექსტრემი ჩემს სახელოსნოშია. თუმცა, რასაკვირველია, ყველანაირად თანავუგრძნობ შალვას როგორც ავტოსპორტში, ასევე პოლიტიკაშიც. ადრე, ძალიან ხშირად ვესწრებოდი ხოლმე რბოლებს, შეჯიბრებებს, რომელთაც შალვა უწევდა ორგანიზებას. მერე, როცა ჩვენი შვილი – გიორგი ჩაერთო ამ სპორტში და შეჯიბრებებზე გამოდიოდა, უფრო მეტი ემოციები გამიჩნდა. ძალიან კარგი გულშემატკივარი ვიყავი, ჩემი მშვიდი ბუნების მიუხედავად, ოვაციებსაც უხვად გამოვხატავდი. მისი ყოველი გამოსვლის შემდეგ, ორი კილო მქონდა დაკლებული. პირადად მე, მანქანის მართვა ვერ ვისწავლე. ისეთი დაბნეული ვარ, საჭესთან რამე რომ შემეშალოს, გზას ველარ გავაგრძელებ, ან ყველას დავუთმობ გზას და საათობით ვიდგები სადმე. არა, არ იყო ეს ჩემი საქმე *(იცინის)*.

**– და შალვა ოგბაიძე ამას როგორ შეეგუა?**

– სხვა რა გზა ჰქონდა. ადრე, როცა ეტყოდნენ, ბატონო შალვა, თქვენი გამოცდილების გაზიარება რამდენს ნიშნავს, არაჩვეულებრივი მასწავლებელი ხართო, ხშირად იცოდა თქმა: კარგი მასწავლებელი მაშინ ვიქნები, როცა მანქანის მართვას ჩემს ცოლს ვასწავლიო. მაგრამ, ეს ვერ შეძლო. შეიძლება, არც მქონდა ამის საჭიროება, ისეთი პროფესიონალი მყავდა გვერდით. მთლად ისეც არ ვარ, აკუმულატორი მანქანის საბარგულში ვეძებო *(იცინის)*.

**თამუნა ნიჟარაძე**

# ვისთან ღალატობდა აშოტ კურაპალატი მეუღლეს და რა მოიმოქმედა გრიგოლ ხანძთელმა ამის აღსაკვეთად

აშოტ პირველ კურაპალატს დიდი ღვაწლი მიუძღვის არაბების მიერ განადგურებული საქართველოს სამხრეთი რეგიონების ხელახლა ათვისებაში, იქ ეკლესიებისა და ქალაქების მშენებლობაში, სოფლების აღორძინებაში...

ის გახლდათ ერთ-ერთი ინიციატორი, დამწყები, საქართველოს კვლავ გაერთიანებისა. მისმა შთამომავალმა ადარნასე მეორემ მიიღო კიდეც ქართველთა მეფის წოდება, 888 წელს, თუმცა აშოტ კურაპალატიც მეფე გახლდათ – „მეფეთა ტახტზე მჯდომი“.

786 წლიდან ქართლის ერისმთავარი იყო. ერისმთავარნი „მეფის ტახტზე მჯდომებად“ ითვლებოდნენ. 810 წელს მან ტფილისიდან განდევნა არაბები. თუმცა, დამხმარე ჯარების მეშვეობით, 813 წელს, არაბებმა კვლავ დაიჭირეს ტფილისი. აშოტი გადავიდა სამხრეთ საქართველოში და იქ გახელმწიფდა. აღადგინა არტანუჯის ციხე-ქალაქი და იქ დაიდგა ტახტი.



აშოტ პირველი დიდი დაუკავშირდა ბიზანტიის კეისარს, მიიღო მისგან, პატივისცემის ნიშნად, კურაპალატის ტიტული და გახდა ბიზანტიის მოკავშირე, რაც მტრებთან ბრძოლაში შეიძლება, გამოდგომოდა. 818 წელს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფე თეოდოსი პირველთან ერთად დაამარცხა გრიგოლ კახთა მთავარი და მისი მოკავშირე ტფილისის ამირა, რის შედეგადაც, დაიბრუნა ქსნის ხეობა. შემდეგ ბარდავიც დაიმორჩილა.

აშოტ პირველი დიდი დიდად ეხმარებოდა გრიგოლ ხანძთელს ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში. სწორედ აშოტ პირველისადმი მიმართვაში გრიგოლ ხანძთელმა აღიარა აშოტ კურაპალატის გვარი – ბაგრატიონი, ბიბლიური დავით მეფის შთამომავლებად. მანამდეც, ალბათ ცნობდნენ ქართველები ბაგრატიონებს ქრისტეს ნათესავებად, ვინაიდან პირველი ერისმთავარი, არჩეული 575 წელს – გვარამი, ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი იყო. აშოტ კურაპალატი მისი შთამომავალია.

როგორც ვთქვით, აშოტ კურაპალატმა სამხრეთ საქართველოში კვლავ აღადგინა ციხე-ქალაქი არტანუჯი, ოდესღაც დიდი ხელმწიფის, ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული, რომელიც არაბთა შემოსევის გამო, გაუკაცრიელებული და დანგრეული იყო. წლების განმავლობაში ის ბედნიერად ცხოვრობდა არტანუჯის ციხეში თავის ცოლთან და შვილებთან ერთად.

მაგრამ, ერთხელაც ერთი ლამაზი ქალი შეუყვარდა კურაპალატს, ძალიან. ახალგაზრდა ქალიც შეყვარებული იყო ვაჟკაც ხელმწიფეზე.

სარწმუნოებრივი თვალსაზრისით ხელმწიფის ამგვარი ქმედება მიუღებელი გახლდათ, ცუდად იმოქმედებდა ქვეშევრდომებზე. ეს სახელმწიფოსთვის ხიფათად ითვლებოდა, რადგან ქვეყნის მმართველისთვის ქვეყნის სამსახური უპირველესი უნდა ყოფილიყო და არა გართობა.

წმინდა გრიგოლ ხანძთელმა გაიგო ამის შესახებ და გადაწყვიტა, ხელმწიფე, სამეფო ოჯახი და ქვეყანა განსაცდელისგან ეხსნა.

კურაპალატი შეჰპირდა, მაგრამ ვერ შეძლო საყვარელ ქალთან განშორება.

წმინდა გრიგოლ ხანძთელმა მარჯვე დრო გამოძებნა, როდესაც მეფე არ იყო არტანუჯში, შატბერდის მონასტრიდან წავიდა და საღამოს მიადგა არტანუჯის ციხეს. აშოტის საყვარელ ქალს კაცი მიუგზავნა და აცნობა, რომ იქ იყო. ასეთი წმინდა ადამიანის სტუმრობით გახარებულმა ქალმა „მრავალფერი სანოვაგე“ გაუგზავნა მამა გრიგოლს და მის მოწაფეებს.

რომ გათენდა, გრიგოლ ხანძთელმა შეუთვალა კურაპალატის ლამაზმანს, მასთან მისულიყო.

გახარებული ქალი მსწრაფლ მივიდა წმინდანთან, თან თავისი ორი მხევალი იახლა. ფიქრობდა, ასეთი წმინდა კაცი დამლოცავსო. მაგრამ, მამა გრიგოლმა არ დალოცა და უბრძანა, მოშორებით დამდგარიყო. შემდეგ „უდაბნოს ვარსკვლავმა“, როგორც თანამედროვენი უწოდებდნენ, ანიშნა თავის მოწაფეებსა და ხელმწიფის საყვარელი ქალის მსახურებს, გასულიყვნენ. ყველა დაემორჩილა, რადგან მისი ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო.

მერე კი მიმართა დაბნეულ ქალს:

– საწყალობელო, რატომ ჩადექი ცოლ-ქმარს შორის? რატომ სწირავ სულს წარწყმედისთვის? რატომ იქეცი დიდი ხელმწიფისთვის საფრთხედ?

მეფის საყვარელი ქალი ატირდა:

– წმიდა მამაო, მე თავისუფალი არ ვარ ჩემს ქმედებებში, რადგან გარდარეული სიყვარული აქვს ჩემდამი კურაპალატს. არც ვიცი, რა ვქნა, რადგან შემაძრწუნა შენმა სიტყვებმა.

– შვილო, დაემორჩილე ჩემი, ღვთის გლახაკის ნათქვამს და თავმდები ვიქნები ღმერთთან, რათა გეპატიოს ცოდვები.

– წმიდა მამაო, შენს ხელთ ვარ, იზრუნე ჩემი სულისთვის, უპასუხა მორჩილად აშოტ კურაპალატის გულისსწორმა.

მაშინ დალოცა მამა გრიგოლმა ქალი, ჯვარი გადასწერა. მოიხსნა ფეხსაცმლის საბელი (თასმა), მისცა აშოტის საყვარელ ქალს და უთხრა, ქმრად შემორტყა წელზე. ისიც დაემორჩილა.

შემდეგ აუწყა, რომ ის დღე მისი სულის ცხონების დღედ იქცა, რადგან თავის მეგობართან, წმინდა ფებრონიასთან წაიყვანდა მერეს მონასტერში, რომელიც მდინარე იმერხევის მარჯვენა შენაკადის, კირჩხალის წყლის ხეობაში მდებარეობდა.

**მხილებისგან სირცხვილეული ხელმწიფე გაჩუმდა და ვეღარაფერი თქვა, მხოლოდ ეს წამოსცდა, აწ უკვე უიმედოდ შეყვარებულს: ნეტავ იმას, ვინც ცოცხალი არ არისო!**

ძალიან გაუხარდა ხელმწიფის საყვარელ ქალს და გაემართნენ მერესკენ. დედა ფებრონია გაფრთხილებული ჰყავდა ნეტარ გრიგოლს. მას ჩააბარა მეფის საყვარელი ქალი და სთხოვა, ეზრუნა მასზე. ხედავდა, რომ შემუსვრილი, მორჩილი გული ჰქონდა ქალს, კურაპალატი კი ძებნას დაუწყებდა. შემდეგ ჩვეულებისამებრ, როგორც სჩვეოდათ, დიდხანს ისაუბრეს მეგობრებმა. წმიდა ფებრონია ძალიან ავტორიტეტული დედაო იყო და ყველა ეთათბირებოდა მას.

ამ დროს მათთან ახლოს გაიარა ერთმა დამ და შემთხვევით მოესმა, როგორ ჰკითხა წმიდა გრიგოლმა წმიდა ფებრონიას: რა გითხრაო ანგელოზმა?

ასეთი წმინდა ადამიანების ხელში აღმოჩნდა აშოტ დიდის მხურვალე სიყვარულის ობიექტი.

როცა ხელმწიფე დაბრუნდა არტანუჯში და ვერ ნახა საყვარელი ქალი, ძალიან შეწუხდა. მიხვდა, რაც მოხდა.

იმდენად უყვარდა ის ქალი დიდ მეფეს, რომ დაივიწყა თავმოყვარეობა და მერეს გაემგზავრა.

დედა ფებრონიამ არ გამოაჩინა ახალი მორჩილი.

რომ ილოცა ხელმწიფემ მერეს მონასტრის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში და მიიღო წინამძღვრის დალოცვა, ჰკითხა წმიდა ფებრონიას:

– იცი დედაო, რატომ მოვედი აქ?

– ღმერთმა იცის, რისთვისაც მობრძანდი, – უპასუხა მონასტრის წინამძღვარმა.

– გვყავდა მეჭურჭლე ქალი, რომლის ხელშიც იყო მთელი ჩვენი ქონება და მამა გრიგოლს აქ წამოუყვანია. ბევრი რამ დაგვაკლდა. გამოუშვი, ერთხელ მოვიდეს ციხე-სიმაგრეში, მოგვითვალოს ყველაფერი და უკან დაბრუნდება, როცა მოუნდება, – იცრუა შეყვარებულმა კურაპალატმა.

დედა ფებრონიამ კი მკვახედ მიუგო სიტყვები აშოტ კურაპალატის დიდი წინაპრის, ისრაელის წმინდა მეფის დავითის ფსალმუნიდან:

- „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უსჯულოებასა“ (ფს. 140, 4), რაც ნიშნავს, ადამიანები ცოდვის გამართლებას ცდილობენო.

მხილებისგან სირცხვილეული ხელმწიფე გაჩუმდა და ვეღარაფერი თქვა. მხოლოდ ეს წამოსცდა, აწ უკვე უიმედოდ შეყვარებულს: ნეტავ იმას, ვინც ცოცხალი არ არისო!

სასწრაფოდ ადგა უიმედო სიყვარულისა და სირცხვილისაგან დათრგუნული მეფე და წავიდა მონასტრიდან, მიუხედავად იმისა, რომ წმიდა ფებრონია სტუმრად დარჩენას სთხოვდა.

როგორც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ გენიოსი ავტორი, გიორგი მერჩულე გადმოგვცემს, აშოტ კურაპალატს წმინდა გული ჰქონია, რომელიც წმიდა ფებრონიას და წმიდა გრიგოლისადმი პატივისცემით იყო სავსე. ისინი შეიქმნენ მისი სულის გვირგვინისმყოფლებიო, ანუ მისი წმიდანად მქცეველნი.

მართლაც, გავიდა ხანი, აშოტ დიდი კვლავ ღირსეულად ემსახურა სამშობლოს. აგებდა ტაძრებს, ეხმარებოდა გაჭირვებულებს და ასახლებდა გაუდაბურებულ სოფლებს, ებრძოდა დამპყრობლებს...

კავკასიაში კვლავ შემოიჭრნენ არაბები ურიცხვი ჯარით და დაიპყრეს სომხეთი, ქართლი და ჰერეთი...

აშოტ დიდი დიდი ომისთვის ემზადებოდა, მაგრამ ქვეშევრდომთა შორის მოღალატენი აღმოჩნდნენ, რომლებიც მიემხრნენ საქართველოში შეჭრილ არაბებს. ესენი ყოფილან ვინმე ოროზ-მოროზის ძენი, რომელთაც მოულოდნელად შეუტიეს ხელმწიფეს. მეფემ თავი ტაძარს შეაფარა, მაგრამ მოღალატეებმა არ დაინდეს სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ბაგრატიონი და მოკლეს საკურთხეველში.

ეს მოხდა 826 წლის 29 იანვარს.

ვერ გაასწრეს მოღალატეებმა შურისძიებას. ხალხმა შური იძია წმიდა აშოტ მეფის მკვლელებზე და დახოცა ისინი.

**გიორგი მახოზეშვილი**

**მეოთხე ათასწლეულის ბოლოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ენეოლითის ეპოქის დასასრულს, შუამდინარეთში (ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე ტერიტორია) მოსული ხალხი – შუმერები გამოჩნდნენ, რომლებიც თავიანთ თავს „შავთავიანებად“ მოიხსენიებდნენ. საიდან მოვიდნენ ისინი ამ მიწაზე, დღემდე უცნობია, მაგრამ „შავთავიანები“ ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ და დიდი შუმერული ცივილიზაცია შექმნეს. დაახლოებით მესამე ათასწლეულის შუა ხანებში შუმერი მეზობელმა აქადმა დაიპყრო, მაგრამ „შავთავიანებმა,“ ბრძოლის ველზე დამარცხების მიუხედავად, დამაჯერებელი სულიერი გამარჯვება იზეიმეს დამპყრობლებზე – აქადებმა მნიშვნელოვანწილად გადაიღეს და გაითავისეს შუმერების კულტურა და ტრადიციები. ამ ტრადიციებიდან ერთ-ერთი იყო მეფის (შეიძლება, ასევე, სხვა წარჩინებულ პირთა) დაკრძალვის ცერემონიალი, რომელსაც თან ახლდა ადამიანთა მასობრივი მსხვერპლშეწირვა.**

# რატომ მიჰყვებოდნენ თავისი ნებით საფლავში მოსამსახურეები მდიდარ მეპატრონეებს

ქალაქ ურის გათხრებისას არქეოლოგმა ლეონარდ ვულმა აღმოაჩინა სასაფლაო, სადაც შუმერები და შემდგომში აქადებიც, თავიანთ მიცვალებულებს კრძალავდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე თითქმის მთელი მესამე ათასწლეულის განმავლობაში. ვულმა დაახლოებით 1 500 საფლავი გამოიკვლია და, ნათელი გახდა, რომ ურის ძველი მცხოვრებნი საიქიოში დაახლოებით ისევე აპირებდნენ ცხოვრებას, როგორც დედამიწაზე: საფლავებში მათთან ერთად ჩამარხული იყო შრომის იარაღები, ჭურჭელი საკვებით, საბრძოლო იარაღი... ხშირად მიცვალებულები გვერდზე იწვნენ და პირთან ახლოს ედგათ კათხა რაღაც სასმლით. ბევრ საფლავში აღმოჩენილია ნავების მოდელები – შუმერთა მიწის ქვეშ მდებარე საიქიო სამეფო ცოცხალთა სამყაროსგან ხომ მიწისქვეშა მდინარით იყო გამოყოფილი და შუმერებს სწორედ ნავებით სურდათ, საიქიოს მბრძანებელ ერეშკიღალთან მიეცურათ.

არქეოლოგებმა, გარდა ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო საგნებისა, შუმერთა საფლავებში აღმოაჩინეს ფუფუნების საგნები: მუსიკალური ინსტრუმენტები, ლარნაკები, ძვირფასი ქვებისგან გამოქანდაკებული ცხოველთა ფიგურები. ბუნებრივია, შუმერ მბრძანებლებს „არ სურდათ” საიქიოში თავიანთი მოსამსახურეების, კარისკაცებისა და სეფექალების გარეშე ცხოვრება. მაგრამ, არქეოლოგთა გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ, როგორც გამოკვლევები ამტკიცებდა, ეს მსახურები თავიანთ მბრძანებლებს ნებაყოფლობით მიჰყვებოდნენ იმქვეყნიურ სამყაროში: მათ სხეულზე ძალდატანებითი (ძალისმიერი) სიკვდილის არანაირი ნიშანი არ აღმოაჩნდათ და დაკრძალული იყვნენ სრულიად ბუნებრივ, თავისუფალ პოზაში.

ურის პირველი დინასტიის მეფეების (ქვეყანას მართავდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე ათასწლეულის შუა ხანებში) აკლდამები მოგვაგონებს არა საფლავებს, არამედ დიდ სანადიმო დარბაზებს, რომლებსაც სიკვდილის სუნთქვა ყველა იქ მყოფისთვის მოულოდნელად შეეხო: როგორც ჩანს, მუსიკოსები თვალის ბოლო დახამხამებამდე განაგრძობდნენ არფაზე დაკვრას, ხოლო მანდილოსნები – თავიანთი დედოფლის მხიარული მუსაიფით გართობას. ამასთან, ეს მანდილოსნები იყვნენ არა მონა ქალები, რომლებიც საიქიოში უნდა მომსახურებოდნენ თავიანთ მბრძანებელს, არამედ, მდიდრულად ჩაცმული, ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკული მდიდარი და წარჩინებული ქალბატონები. არსებობს ვერსია იმის შესახებ, რომ შუმერი მბრძანებლების მსახურები, კარისკაცები და სეფექალები ნებაყოფლობით ჩადიოდნენ მდიდრულ აკლდამებში, რათა იმქვეყნადაც გაეგრძელებინათ უზრუნველი ცხოვრება. ისინი იღებდნენ ნარკოტიკულ შხამს, რომელიც მათ სიკვდილისწინა ტანჯვისგან ათავისუფლებდა, შემდეგ კი სამუდამოდ იძინებდნენ ისეთივე ნებაყოფლობითი სიკვდილისთვის განწირული მუსიკოსების მიერ აჟღერებულ არფის ჰანგებზე; ანდა, მათ ძილში განგმირავდნენ სტილეტის წამიერი და უმტკივნეულო დარტყმით.

ლეონარდ ვულის მიერ ნაპოვნ საფლავებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინმე აბარგის აკლდამა, რომელიც, შესაძლოა, მეფე ან წარჩინებული ქურუმი ყოფილიყო, რომლის აკლდამაშიც მასთან ერთად დაკრძალული იყო 60 მამაკაცისა და ქალისგან შემდგარი ამალა – მცველები, მსახურები და დაახლოებული პირები...



სწორედ აბარგის საფლავის თავზე, ვულმა სხვა სამარხიც, ლეც აღმოაჩინა, რომელიც ეკუთვნოდა ქალს, სახელად შუბადს. (ის აბარგზე რამდენიმე წლით გვიან იყო დაკრძალული). შესაძლოა, შუბადი იყო აბრაგის მეუღლე, ესე იგი – დედოფალი, ან, წარჩინებული ქურუმის ცოლი. როგორც აბარგის, ასევე შუბადის აკლდამა მდიდრულად გახლდათ მოწყობილი და, გარდა საყოფაცხოვრებო ნივთებისა, ოქრო-ვერცხლის საგნებითა და სამკაულებით იყო მორთული. აბარგის აკლდამაში აღმოჩენილია ხარებშებმული ოთხთვალა. ვულმა დაადგინა, რომ აბარგის აკლდამა გაძარცული იყო, მაგრამ, მძარცველებს აბარგის აკლდამაში ჩაღწევა მხოლოდ შუბადის აკლდამის გავლით შეეძლოთ, შუბადის აკლდამა კი ხელუხლებელი ჩანდა. ვულის დასკვნით, მძარცველები შუბადის აკლდამის მშენებლები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებმაც, შუბადის აკლდამის შენებისას, აბარგის აკლდამაში გარეშე თვალისგან შეუმჩნეველი ჩასასვლელი გააკეთეს.

შუბადის აკლდამაში მის ნეშტთან ორი მოახლე იჯდა: ერთი – თავთან, მეორე – ფეხებთან, მუსიკოსი არფას აჟღერებდა... სულ, შუბადთან დაკრძალული იყო ოცდახუთი ადამიანი, ნაწილი – უშუალოდ მის გვერდით, ხოლო დანარჩენი – დიდ საფლავში, რომელიც დედოფლის აკლდამას ესაზღვრებოდა.

**ყველა თავისი ფიალიდან სვამდა საწამლავს, რომელიც თან მიჰქონდათ ან საფლავის ფსკერზე პოულობდნენ**

ლეონარდ ვულმა აღადგინა მოვლენები, რომლებიც მიცვალებული მბრძანებლის აკლდამის დაბეჭდვის შემდეგ ხდებოდა:

„მას მერე, რაც აკლდამაში შესასვლელს აგურით ამოქოლავენ და შელესავენ, დაკრძალვის რიტუალის პირველი ნაწილი მთავრდება და იწყება ცერემონიის ყველაზე დრამატული ნაწილი, რაზეც ნათელ წარმოდგენას ქმნის დედოფალ შუბადისა და მისი მეუღლის აკლდამები. ვეებერთელა, ზემოდან ღია, ცარიელ საფლავში, რომლის კედლებსა და იატაკზე ჭილოფები იყო მოფენილი, სამგლოვიარო პროცესია ეშვებოდა. მათ შორის იყვნენ: წეს-ჩვეულების აღსრულების ხელმძღვანელი ქურუმები, კარისკაცები და მსახურები; ხოლო ქალები – სხვადასხვა ფერის მბრწყინავი ტანსაცმლით, ასევე, სარდიონით, ლაზურიტითა და ოქრო-ვერცხლით შემკული ფაფუკი თავსაბურავებით; მხედართმთავრები – წარჩინების ნიშნებით, მუსიკოსები კი – ლირებითა და არფებით. მათ უკუსვლით მიჰყვებოდნენ ოთხთვალა ურმები, რომლებშიც ხარებს ან ვირებს აბამდნენ. ოთხთვალებზე ისხდნენ მეეტლეები, წინ, ქვეითად კი, მესაზიდრეები მიუძღვებოდნენ ლაგამამოდებულ პირუტყვს. ყველას წინასწარ მიჩენილი ადგილი ეკავა საფლავის ფსკერზე. პროცესიას ბოლოში ოთხი ჯარისკაცი კეტავდა და იცავდა გასასვლელს. ყველას, მამაკაცებსაც და ქალებსაც, თან ჰქონდათ თიხის, ქვის ან ლითონის ფიალა – რიტუალის დასრულებისთვის აუცილებელი ერთადერთი საგანი.

შემდეგ, როგორც ჩანს, იწყებოდა რაღაც ცერემონიალი, ყოველ შემთხვევაში, მას ბოლომდე თან ახლდა არფისტების გაჟღერებული ჰანგები. ბოლოს ყველა თავისი ფიალიდან სვამდა საწამლავს, რომელიც თან მიჰქონდათ ან საფლავის ფსკერზე პოულობდნენ. ამის შემდეგ ყველა თავის ადგილზე ეწყობოდა და ელოდებოდა სიკვდილს, ვიღაც კი უნდა ჩასულიყო საფლავში და დაეხოცა ცხოველები. ჩვენ აღმოვაჩინეთ მესაზიდრეების ჩონჩხებზე ზემოდან შემოწყობილი მათი ძვლები – მაშასადამე, ცხოველები სულ ბოლოს იხოცებოდნენ. იგივე ადამიანები, როგორც ჩანს, ამოწმებდნენ, რომ საფლავში ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო. მათვე უნდა დაეწყოთ არფები დახოცილი მუსიკოსების სხეულებზე, ბილოს კი, ამქვეყნიდან გასული ადამიანების სხეულებს ზემოდან მიწას აყრიდნენ...“

მაგრამ, ტრადიციული დაკრძალვის საწესჩვეულებო რიტუალი ამით არ მთავრდებოდა: მას შემდეგ, რაც გიგანტურ ორმოს, რომელშიც მოთავსებული იყო მბრძანებლის აკლდამა და მისი ამალისა და დაახლოებულ პირთა საფლავები, სანახევროდ იყო მიწით ამოვსებული, მასში ალიზით კიდევ ერთ სათავსს აშენებდნენ. აქ განათავსებდნენ ახალ, სულის მოსახსენიებელ შემოწირულობას და აქვე ხდებოდა კიდევ ერთი ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რომელსაც ზემოდან ისევ აყრიდნენ მიწას, კიდევ ერთ სათავსს აშენებდნენ და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ორმო პირთამდე არ ამოივსებოდა. ბოლო, ზედა სათავსში დგამდნენ კუბოს ადამიანის ნეშტით, რომელიც, როგორც ჩანს, იყო მთავარი, ყველაზე ღირებული მსხვერპლი, რის შემდეგაც სამარეს საბოლოოდ აყრიდნენ მიწას და ზემოთ აგებდნენ ერთგვარ სამგლოვიარო ტაძარს.

შუმერ მეფეთა იმქვეყნიური ამალა თანდათანობით მცირდებოდა, მაგალითად, ურის ბევრად გვიანდელი მბრძანებლების (ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით ოცდამეოთხე საუკუნეში) იმქვეყნიურ საცხოვრისში „წაყვანილი“ ამალა 20 ადამიანს არ აღემატებოდა. თუმცა, ძნელი სათქმელია, რით იყო ეს გამოწვეული – საიქიო ცხოვრებაზე შეხედულებების ცვლილებით თუ მატერიალური პრობლემებით. შესაძლოა, მათ, უბრალოდ, საჭიროდ აღარ მიაჩნდათ მეფეებისთვის დიდი ამალის თანხლება.

**რევაზ ტომარაძე**

**გელა გნოლიძის სახელი და გვარი წლების წინ ჰიტად ქცეულ ბევრ სიმღერასთან ასოცირდება. იმ დროს, როცა ქართული შოუ-ბიზნესი ყველაზე აქტიური იყო, გელა გნოლიძის დაწერილმა თუ გაკეთებულმა სიმღერებმა, ბევრ მომღერალს მოუტანა პოპულარობა და წარმატება. თუმცა, გელა იმ დროს მაინც ჩრდილში ამჯობინებდა ყოფნას, თუ არ ჩავთვლით მის რამდენიმე სიმღერას, რომლებსაც ის სხვა მომღერლებთან ერთად ასრულებდა. დღეს გელა ტელევიზია „აფხაზეთის ხმაზე“ მუშაობს, ასევე „შალვა რამიშვილის შოუში“, პარალელურად, „ქუჩის ბიჭების“ მუსიკალური ხელმძღვანელია. ასევე, ზაზა ხუბუკელაშვილთან ერთად „სეუს“ ბაზაზე აკეთებს საპროდიუსერო ცენტრსა და სტუდიას, რომელიც ბევრ ნიჭიერ ადამიანს დაეხმარება და ხელს შეუწყობს.**

# რატომ დაუძახეს შალვა რამიშვილმა და დათო ფორჩხიძემ გელა გნოლიძეს პოლიტიკოსების მუსიკალურად გასაშარჟებლად და რისთვის ჰქონდა მას აღებული პაუზა

**გელა გნოლიძე**: დღეს, ძველი პერიოდისგან განსხვავებით, ბევრი რამ შეიცვალა, მუსიკაც შეიცვალა, ახალი მიმდინარეობები გაჩნდა. თუმცა, ძველის განახლება ყოველთვის მოდაშია. ძველი პერიოდი კარგად მახსოვს, იმ დროს არაფერი ხდებოდა – არ იყო ინტერნეტი, ინფორმაცია არ შემოდიოდა, მხოლოდ კასეტას თუ ვინმე ჩამოგიტანდა უცხოეთიდან, ან ბაზრობაზე ვიყიდდით „ემტივის“ კასეტებს. ამის ფონეზე ახლის კეთება, იმხელა ბუმი იყო, რომ ყველა იტაცებდა. შემდეგ რადიოები გაჩნდა და უფრო ადვილი გახდა პოპულარობის მოხვეჭა. ნელ-ნელა ჩვენც დავიხვეწეთ, კარგი ინსტუმენტები შემოვიდა და ჩვენი საქმის უკეთ კეთების საშუალება მოგვეცა. ამ ყველაფრის განვითარებაში ძალიან დიდი წვლილი შეიტანა მამუკა ღლონტმა. „მაესტრომ“ მისცა გასაქანი მომღერლებს და მიეცათ სტიმული, უფრო და უფრო მეტი სიმღერა ეწერათ. ეს სიმღერები კი ჰიტდებოდა, მომღერლები პოპულარულები ხდებოდნენ. დღეს, სამწუხაროდ, სულ სხვა სიტუაციაა, ფაქტობრივად, მომღერლებს სტიმული აღარ აქვთ, არაფერში აღარ სჭირდებათ ეს სიმღერები, აკეთებენ – მაგრამ უდევთ, ვერ აჰიტებენ.



**დაგვიანება გოგონებს ეპატიებათ, ოღონდ ნახევარი საათით, მერე, უნდა წახვიდე**

**– რა პროფესიის ხარ?**

– მუსიკოსი ვარ პროფესიითაც, სულითაც, ხორცითაც. თუმცა, „სდასუში“ უცხო ენების ფაკულტეტი დავამთავრე. ეს, უბრალოდ, ცხოვრებაში მადგება, თორემ, როგორც პროფესია, არასდროს მქონია. ჩემი მშობლები მუსიკოსები არიან, მათი მშობლებიც მუსიკოსები იყვნენ. მათ თავიდანვე მომცეს ბიძგი, ფაქტობრივად, არჩევანი არც დამიტოვეს. ათწლედში რომ მივედი, გამოცდაც არ ჩამიბარებია. დავუკარი ჩემი შექმნილი მუსიკა, ვიმღერე და ეგრევე მიმიღეს.

**– როგორი ბავშვი იყავი?**

– კარგი ბავშვი ვიყავი, წყნარი, კარგად ვსწავლობდი, ვმღეროდი. მერე გარდატეხის ასაკში დამიბოხდა ხმა, ვერ ვმღეროდი საერთოდ. მუსიკის გარეშე ხომ არ შემეძლო და ზუსტად იმ დროს დავიწყე არანჟირება, სხვებისთვის სიმღერების კეთება. ჩემი პირველი მენტორი, ვინც ტექნიკური მხარე მასწავლა – დათო ფორჩხიძე იყო.

**– გახსოვს შენი გაკეთებული პირველი სიმღერა?**

– პირველი სიმღერა მე და სტეფანემ ერთად გავაკეთეთ – „ფეთხუმი ქალი“, მერე დათო ხუჯაძეს გავუკეთე სიმღერა, რომლითაც „Славянский базар” მოიგო. იმ დროს იმდენ რამეს ვაკეთებდი, ყველაფერი არც მახსოვს. ლექსსენის პირველი ალბომი გავაკეთე, აგნესას – რამდენიმე სიმღერა და თითქმის ყველა პოპულარული გახდა... თამთა გოგუაძე იყო, დუეტები...

**– ამ ყველაფრის მიუხედავად, შენ მაინც ჩრდილში ამჯობინებდი ყოფნას.**

– ასე მინდოდა. უფრო ზარმაცი ვარ, ვიდრე მორიდებული. იმდენად დაკავებული ვიყავი სხვებისთვის სიმღერების კეთებით, რომ იშვიათად ვაკეთებდი რამეს ჩემთვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს სიმღერას გავუკეთებდი და ვერ მოირგებდა, დარჩებოდა და მერე მე ვმღეროდი. საბოლოო ჯამში, ყველაზე კარგი სწორედ ის სიმღერები გამოდიოდა. ძველი პერიოდი იმდენად კარგი იყო, ისე კარგად მახსენდება... კვირა არ გავიდოდა, ვინმეს სიმღერის ან კლიპის პრეზენტაცია არ ყოფილიყო. ყოველ კვირა პრეზენტაციობა იყო, ყველა ერთმანეთს ვხვდებოდით და მერე ისე ამოგვივიდა ყელში, რომ აღარ მივდიოდით.

**– როდესაც სიმღერაზე მუშაობდი, თავიდანვე ხვდებოდი, რომელი გაჰიტდებოდა და რომელი – არა?**

– ყოველთვის ისეთ სიმღერებს ვაკეთებდი, რომელიც გაჰიტდებოდა. დამკვეთი რომ მოდის, ის პირდაპირ გაძლევს დავალებას – ყველას ჰიტი უნდა. რა თქმა უნდა, ყველა არ გაჰიტდება, მაგრამ ისე აკეთებ, რომ ჰიტი იყოს. მე ვფიქრობ, რომ, რაც გამიკეთებია, ყველაფერი გაჰიტებულა. მადლობა ამისთვის ხალხს, რომ კარგად მიიღეს ჩემი სიმღერები. თუმცა, იყო სიმღერები, რომლებიც მეგონა, გაჰიტდებოდა, მაგრამ არ გაჰიტებულა.

**– ბევრი მომღერლის წარმატებაში ძალიან დიდია შენი წვლილი.**

– ბევრის წარმატებაში მიმიძღვის წვლილი და დიდ მადლობას მიხდიან ამისთვის. ამის გამო ბევრთან მაქვს ყოველდღიური მეგობრობა. თუნდაც „ქუჩის ბიჭებთან“ – ჩვენ განუყრელი მეგობრები ვართ, თან მათი მუსიკალური ხელმძღვანელი ვარ.

**– როგორი ხარ მუშაობის პროცესში?**

– თუ სიმღერას ვქმნი ან არანჟირებას ვაკეთებ, იქ მარტო უნდა ვიყო. ჩაწერის პროცესი ძალიან მხიარულია: ყირაზე გადავდივართ, კარგად ვერთობით.

**– გარკვეული პერიოდის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდი.**

– იმ დროს სიტუაცია ძალიან ჩავარდა, პოლიტიკური სიტუაცია პირდაპირ ურტყამს ჩვენს საქმიანობას. ხალხს უჭირდა, გლობალური კრიზისი იყო, არავის უნდოდა სიმღერის გაგონება. ჩემი მეწყვილე – კოტე ნონიკოვი მოსკოვში წავიდა, მარტო დავრჩი და დავშალე სტუდია. ცოტა ხნით უცხოეთში წავედი, რომ ახალი რაღაცები მესწავლა. საფრანგეთში ძალიან დიდი გამოცდილება მივიღე, ცოტა ხანს უკრაინაშიც ვიყავი. მუსიკოსებთან, სტუდიებთან მქონდა ურთიერთობა, ბევრი რამ ვისწავლე. ზოგადად, ასეთი პაუზა აუცილებელია. გავერთე, რაღაცეები ვისწავლე, გადავიტანე კრიზისი და მერე, რომ დავბრუნდი, ახალი ემოციებით, ახალი ენერგიითა და იდეებით შევუდექი საქმეს. მოვნახე სტუდია, პაატა ფაცურიასთან ვთანაშრომლობდი. დავიწყეთ სიმღერების კეთება. „ქუჩის ბიჭები“ იმ დროისთვისაც შეიკრიბნენ, ახალი ტალღა წამოვიდა. ჩემს მეგობარს, ნინო ჩხეიძესაც ვეხმარებოდი. „ვოისზე“ ერთად მივიყვანეთ ბავშვები ფინალამდე. უკიდურესად მეგობრული ვიყავი მათთან, მაგრამ ცოტა მომთხოვნიც. ვერ ვიტან არაპუნქტუალურობას, დაგვიანებას და თუ რამეს დაგავალებ, ის უნდა გააკეთო.

**– საკუთარი თავის მიმართაც მომთხოვნი ხარ?**

– არა, ძალიან ზარმაცი. თუმცა, პუნქტუალური ვარ. სამაგიეროდ, არ მიყვარს, როცა მე მალოდინებენ. საერთოდ, დაძაბვები არ ვიცი, უფრო გალაითებული სიტუაციები მიყვარს.

**– გოგონებსაც არ ეპატიებათ დაგვიანება?**

– გოგონებს ეპატიებათ, ოღონდ ნახევარი საათით, მერე, უნდა წახვიდე.

**– რაში გამოიხატება შენი სიზარმაცე?**

– ძალიან მიყვარს ძილი და სამ საათამდე არ ვდგები. თუ საქმე მაქვს და შემიძლია, ორ დღეში მოვრჩე, ერთი კვირა ვაკეთებ, ნელ-ნელა, ბოლოს მივაყრი და მზად არის.

**– კრიტიკული ხარ საკუთარი თავის მიმართ? რაღაცეები, ალბათ, არ მოგწონს.**

– მაგრამ ამას მხოლოდ საკუთარ თავთან ვამხელთ და ხმამაღლა არასდროს ვამბობთ. ყველაზე კრიტიკული მაშინ ვარ, როცა ვიღვიძებ და წინა ღამეს რაც მოხდა, არაფერი მახსოვს. რომ გირეკავენ: ეს მოხდა, ეს რა გააკეთე, როგორ იგიჟეო, მერე ვირტყამ ხელს თავში. ხანდახან, ხომ შეიძლება, ცოტა მეტი მოგივიდეს დალევა და მეორე დღეს რაღაც არ გახსოვდეს. ჩემთან რაღაც ნაწილი სულ ამოვარდნილია თავიდან. რამეს ცუდს კი არ ვაკეთებ: ვმღერი, ვოხუნჯობ, ვცეკვავ, ვერთობი. როცა მეგობრები ერთად ვართ, არ გვიყვარს: დალიე, დაჯექი და წადი სახლში. უნდა ვიმღეროთ, ვიცეკვოთ. დოლი იქნება თუ გიტარა, ყველაფერი მოდის – ვუკრავთ და გუგუნით მივდივართ. ცოტა ხნის წინ „ქუჩის ბიჭებთან“ ერთად საარჩევნო ტურნე გვქონდა. მთელი საქართველო მოვიარეთ. ჩვენი ოხუნჯობები გადავიღეთ ტელეფონით, დავამონტაჟეთ და ისეთი კარგი საყურებელი გამოვიდა... ჩვენც რომ ვუყურებთ, ვკვდებით სიცილით.

**– ახლა მითხარი, როგორ მოხვდი „შალვა რამიშვილის შოუში“?**

– ტელევიზია არ ყოფილა ჩემთვის უცხო. ადრე „მაესტროს“ ბაზაზე იყო ხმის ჩამწერი სტუდია და იქ ვმუშაობდით მე და კოტე ნონიკოვი. მანამდე, პირველ არხზე ვიყავი შოუ-გადაცემა „ოქროს გასაღების“ მუსიკალური ხელმძღვანელი. ახლა ვმუშაობ ტელევიზია „აფხაზეთის ხმაში“, მაქვს გადაცემა „სოციალური ხუთეული“, რომელიც კვირაობით გადის. შალვას შოუში დათო ფორჩხიძემ დამიძახა: მოდი, მჭირდებიო, არც მითხრა რა უნდოდა. ასე იცის მაგან, რომ გეტყვის: მოდიო, უნდა მიხვიდე, ზედმეტი კითხვები არ უნდა დაუსვა. იცი, კარგ საქმეზე გეძახის, ცუდზე არასდროს დაგიძახებს. შალვამ, დათომ დამიძახეს და მომცეს ტექსტი: იმღერეო და ვიმღერე. მოკლედ, ეს რუბრიკა გამოვიდა მხიარული. პოლიტიკაში არ ვერევი, არ მაინტერესებს. რასაც მამღერებენ, ჩვეულებრივი ხუმრობაა და იმედია, არავის ეწყინება. თვითონ რასაც ლაპარაკობენ, იმის გაშარჟებაა მელოდიით – მეტი არაფერი. მე ტექსტებში არ ვერევი, მომწონს, რადგან შალვას ძალიან კარგი გუნდი ჰყავს, ამის დიდი გამოცდილება აქვთ. საკმაოდ საინტერესოა მათთან, დათოს ბენდთან ერთად მუშაობა. თან, კლავიშთან ბატონი დავითი ზის. მასთან ერთად ხუმრობა და სიმღერა კი, სასიამოვნოა.

**ნათია უტიაშვილი**

**როგორც კი თორნიკე ყიფიანი „X ფაქტორში” გამოჩნდა, მაშინვე დაიმსახურა მაყურებლის დიდი ნაწილის მოწონება და სიყვარული. ამიტომაც, ალბათ, არავის გაჰკვირვებია მისი გამარჯვება და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ამას ნამდვილად იმსახურებდა. სცენაზე საოცრად ემოციური, ენერგიული თორნიკე, ცხოვრებაში საკმაოდ მორიდებული და სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. მე კიდევ ერთხელ ვულოცავ თორნიკეს გამარჯვებას და უამრავ წარმატებას ვუსურვებ.**

# როგორ გადაჭრა ახალდაბადებული შვილის ჭიპლარი თორნიკე ყიფიანმა და წლების წინ დაწყებული რა პროცესი გრძელდება მეუღლეებს შორის

**თორნიკე ყიფიანი**: პირველი მიზეზი, რატომაც გადავწყვიტე ამ პროექტში მონაწილეობა, მეუღლის თხოვნა იყო.

**მარიამ სოსელია** *(თორნიკეს მეუღლე):* გამარჯვებას არ ველოდი, თუმცა, მჯეროდა, რომ ფინალში იქნებოდა და გაიცნობდა ხალხი.

– **მეუღლის თხოვნას ითვალისწინებ ხოლმე?**

**თორნიკე**: თითქმის ყოველთვის ვითვალისწინებთ ერთმანეთის თხოვნას.

– **აზრს?**

– აზრი, შეიძლება, ზოგიერთ შემთხვევაში არ გავითვალისწინო, თხოვნა სხვა რამეა. ისე, აზრიც თუ მომეწონება, აუცილებლად გავიზიარებ, თუ არ მომეწონება არ გავითვალისწინებ. ხანდახან ჩვენი აზრები ემთხვევა ხოლმე.

– **თორნიკე ყოველთვის ასეთი თავშეკავებული და წყნარია?**

**მარიამი**: დიახ, ძალიან თავშეკავებული და წყნარია, ემოციებს არ გამოხატავს. მე უფრო აქტიური და ემოციური ვარ.

**თორნიკე**: არც ისეთი მშვიდი და წყნარი ვარ, როგორიც ვჩანვარ. სიტუაციას გააჩნია: ხან ისეთი ვარ, ხან – ასეთი.

**მარიამი**: თუ მეგობრებთან ერთად ხარ და სახინკლეში მიდიხარ ლუდის დასალევად, ვერ იქნები წყნარი და მშვიდი.

**თორნიკე**: ადრე უფრო მიყვარდა დალევა, ახლა აღარ. საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ბევრის დალევა არ არის კარგი, ცოტასი – კი.

– **როგორ დიწყო შენი სამუსიკო კარიერა?**

– დედაჩემი, მამაჩემი, მამიდაჩემი, დეიდაჩემი, ბიძაჩემი – ყველანი ექიმები არიან. ბავშვობაში კი მატარებდნენ ფორტეპიანოზე და ვიოლინოზე, მაგრამ მერე შევეშვი – არ მომწონდა. სპორტზეც დავდიოდი – დედაც და მამაც ცდილობდნენ, ყველაფერზე მევლო, მომესინჯა ძალები. დაახლოებით 17 წლის ვიყავი, როდესაც გადავწყვიტე, გიტარა მეყიდა და სიმღერები დამეწერა. პირველი გიტარა ჩემი ფულით ვიყიდე. იმ დროს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, არქიტექტურულზე. აბანოთუბნის აღრიცხვა გავაკეთეთ, ფული გადაგვიხადეს და ვიყიდე გიტარა. მერე მამა დამეხმარა ნორმალური გიტარის ყიდვაში. სიმღერებს თვითონ ვწერდი – მუსიკასაც და ტექსტებსაც.

– **მომავალში არქიტექტორად მუშაობას აპირებ?**

– არქიტექტორი ვარ, ოღონდ, მუსიკაში. ძალიან გამიტაცა მუსიკამ და ამიტომ ყველაფერს შევეშვი. „X ფაქტორამდე“ „მაგთი ფანში“ ვიყავი, ჩემმა ძმაკაცმა გამიყვანა ძალით, რადგან, არ ვფიქრობდი კონკურსებში მონაწილეობას და ჩემით ვფიქრობდი წარმატების მიღწევას. თუმცა, კონკურსში გამოსვლა თურმე სულაც არ ყოფილა ცუდი, პირიქით, ძალიან კარგი აღმოჩნდა. „მაგთი ფანში“ ფინალში გავედი და ზარებში დავმარცხდი გიორგი ბერიძესთან. დიდი ხანია, ჩემი ჯგუფი მყავს, ჩვენი სიმღერები გვაქვს. მაგრამ, იმის გამო, რომ არ გვაქვს კარგი შემოსავალი, ვერ მოვახერხეთ, ხარისხიანად ჩავწეროთ მუსიკა და, ამიტომ, მხოლოდ პატარ-პატარა კონცერტებზე ვუკრავდით. გვაქვს ჩანაწერები ოღონდ, უხარისხო, ჩვენით, სახლში ნაჩალიჩარი. სანამ „X ფაქტორი“ დაიწყებოდა, ჩემს მეგობრებთან ერთად პროექტი გავაკეთე – „ასტეროიდი,“ თურქეთში ვიყავით სამუშაოდ წასულები და, პრინციპში, იქიდან მომიწია პროექტისთვის ჩამოსვლა, რაც ნამდვილად ღირდა.



**მარიამი: „ჩუმი იყო მაშინაც და, იმიტომაც მომხიბლა და შემიყვარდა, ცანცარა და თავში ავარდნილი რომ არ იყო“**

– **იქიდან წამოსვლაზე არ შეგექმნა პრობლემები?**

– ექვსთვიანი კონტრაქტი გვქონდა და ჩემი მეგობრები ისევ იქ არიან. ძალიან დამიდგნენ გვერდში. თავიდან მენეჯერი „მიხურებდა“ – არ წახვიდეო და, მათ უთხრეს: თუ ამას გააგდებ, ჩვენც წავალთო. ახლა მეუბნებიან: აღარ ჩამოხვიდე, ჩვენ ჩამოვალთო. ჩემი მეგობრების გამო მინდოდა თურქეთში ჩასვლა, მიტოვება რომ არ გომომსვლოდა, მაგრამ, იქიდან მეუბნებიან, არ გვიჭირსო. ხუთმა კაცმა განაგრძო მუშაობა, მენეჯერმაც შეცვალა კონტრაქტი.

– **ამ ეტაპზე რით იქნები დაკავებული?**

– „მაგთიმ“ მომცა იმის საშუალება, რომ 30-ათასიანი დაფინანსება პროფესიონალური საქმიანობისთვის გამოვიყენო. სტუდიაში მუშაობა საკმაოდ ძვირი ღირს და, ალბათ, დამიფინანსებენ ალბომზე მუშაობას. გარდა ამისა, „მაგთი კლუბში“ წლის ბოლომდე ოთხი კონცერტის გამართვის უფლება მოვიპოვე.

– **როგორ ფიქრობ, ის ფაქტი, რომ თამთა იყო შენი მენტორი, დაგეხმარა გამარჯვებაში?**

– გამიმართლა. თამთა ისეთი ადამიანია, ყველას შეაყვარა თავი და ამანაც იმოქმედა. თან, ადვილად გამიგო – გაითვალისწინა ის, რომ განსხვავებული შეხედულებები მაქვს მუსიკაზე და, ამიტომაც, ადვილად ვთანხმდებოდით. რამდენიმე ვერსიას მე ვამბობდი, რამდენიმეს – ის და შემდეგ ვარჩევდით, რომელი უფრო კარგი იქნებოდა. უპრობლემოდ ვთანხმდებოდით. იმ სიმღერის შესრულება, რომელსაც ყველაზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა, თამთას იდეა იყო – ქაილი მინოუგის სიმღერის რემეიქი.

– **თამთასთან ერთად არ ამბობ ექსპერიმენტებზე უარს, რაც, ვფიქრობ, მუსიკოსისთვის აუცილებელია.**

– კი, მივდიოდი ექსპერიმენტებზე. ზოგადად, მუსიკა თავისუფლებაა და ექსპერიმენტებიც უნდა იყოს, ოღონდ, თავგასული რაღაცეები – არა. ასე რომ, კარგია ექსპერიმეტები, განსაკუთრებით – მუსიკაში.

– **ამდენი პრიზი ერთად, მგონი, არავის არსად მოუგია.**

– სიმართლე რომ გითხრათ, შემრცხვა კიდეც – რა ხდება-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა და, მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო დიდი მადლობა ყველას. ხალხის გარეშე ამ ყველაფერს ვერ მივაღწევდი.

– **მართვის მოწმობა გაქვს, რომ მოგებული ავტომობილით იარო?**

– არ მაქვს მართვის მოწმობა, მაგრამ მომიწევს აღება. სახლი მოვიგე გუდაურში; ამსტერდამის საგზური მაჩუქეს და, კიდევ – პარიზის. გარდა ამისა, ყველა მონაწილე წავალთ ერთი თვით სასწავლებლად ლონდონში, რაც ძალიან გამიხარდა.

– **ალბათ, ორივეგან მეუღლესთან ერთად წახვალ.**

– ერთად ვაპირებთ წასვლას. შარშანაც ვიყავი თურქეთში და იქ იყო მარიამიც. მაგრამ, ასე ერთად, გასართობად და დასასვენელებლად, ჯერჯერობით არსად ვყოფილვართ.

– **მართალია, ჯერ ცოტა დრო გავიდა გამარჯვებიდან, მაგრამ, ალბათ, გარკვეულწილად, უკვე შეიცვალა შენი ცხოვრება.**

– მშვიდად ვარ, არ გავგიჟებულვარ. მიხარია, რომ, ვინც მხვდება, ყველას გულწრფელად უხარია ჩემი გამარჯვება და გულით მილოცავენ.

– **მარიამ, შეყვარებულიც ასეთი წყნარი და სიტყვაძუნწი იყო?**

**მარიამი**: დიახ, მაშინაც ჩუმი იყო და, იმიტომაც მომხიბლა და შემიყვარდა, ცანცარა და თავში ავარდნილი რომ არ იყო.

– **როგორი გაიცანით ერთმანეთი?**

– ერთი წელი ვიყავით შეყვარებულები. ერთ დღეს, ჩემს დას გავყევი სარეპეტიციოში. თორნიკე მაშინ დრამზე უკრავდა და როგორც დრამერი, ისე გავიცანი. იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, „სასტავი“ სხვადასხვა სიტუაციაში ვხდებოდით. მერე, თებერვალში ზემფირას კონცერტზე წავედით „ნაით ოფისში“.

**თორნიკე**: სად წავედით, მე ვერ შემოვედი!

**მარიამი**: თორნიკე ვერ შემოვიდა, რადგან ბილეთი არ ჰქონდა, ადგილზე კი ვერ ვიყიდეთ. ეს გარეთ იდგა, მეც გამოვედი და ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

– **რომ დაინახე მარიამი, მაშინვე მოგეწონა თუ მერე ურთიერთობისას?**

**თორნიკე**: მაშინაც და მერეც. ეს პროცესი სულ გრძელდება. ისე არ არის: მოხდა და დამთავრდა.

– **როგორი მამაა თორნიკე?**

**მარიამი**: ძალიან ყურადღებიანია. როდესაც ვსწავლობდი, უნივერსიტეტში რომ მივდიოდი, თორნიკეს ვუტოვებდი ბავშვებს და, ისიც უვლიდა: ფაფებს უმზადებდა, აჭმევდა, აძინებდა, აბანავებდა. პირველი ბავშვის ჭიპლარიც თორნიკემ გადაჭრა. მშობიარობას დაესწრო – თვითონ უნდოდა და მეც მინდოდა, შემოსულიყო.

**თორნიკე**: მეორეზე ვერ მოვასწარი მისვლა და არ შემიშვეს.

– **ოჯახის გვერდში დგომა ყველაზე მნიშვნელოვანია.**

– ეს ძალიან დიდი სტიმულია და, გარდა იმისა, რომ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა გამიჩნდა, ოჯახის წევრები იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც დიდ სტიმულს მაძლევდნენ. რამდენჯერმე აუტსაიდერებშიც ხომ ვიყავი და, მაშინაც მეუბნებოდნენ: არა უშავს, შემდეგზე უფრო კარგად გამოხვალო – სულ გვერდში მედგნენ.

**მარიამი**: მე დარბაზში ვიყავი და ძალიან ვნერვიულობდი ყველა კონცერტზე. ვცდილობდი, უფრო მეტად არ მოშლოდა ნერვები და მშვიდად ყოფილიყო.

**ნათია უტიაშვილი**

# ბრძნული აზრები

**ნიცშე**: მომავალი ისეთივე ზემოქმედებას ახდენს აწმყოზე, როგორც წარსული.

**კასტრო**: რევოლუცია არის ბრძოლა წარსულსა და მომავალს შორის.

**აბდელნოუსი**: აკეთე ფული ყიდვით და არა გაყიდვით; ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა ყველა ინვესტიციისთვის – იქნება ეს უძრავი ქონება, ბიზნესი თუ სააქციო ბირჟა.

**ბრუტოსი**: ახალწვეულის მამაცად ქცევა უფრო ადვილია, ვიდრე შეშინებული გამოცდილი მეომრის.

**ფილომელოსი**: ჩათვალე ბედნიერება თავისუფლება, ხოლო თავისუფლება – ვაჟკაცობად.

**ფილოსტრატე**: არც ერთ სიტყვას ისეთი დიდი მნიშვნელობა არ აქვს, როგორც პირში ნათქვამს.

**ლაროშფუკო**: ჭეშმარიტად თბილი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ მტკიცე ნებისყოფის კაცს; დანარჩენების მოჩვენებითი სირბილე კი სხვა არა არის რა, თუ არა სისუსტე, რომელიც ადვილად გადადის სიავეში.

**ჰიპოკრატე**: ღირსეულ კაცს უღირსთაგან კიცხვა არაფრად უღირს.

**ჰეგელი**: ზნეობრიობა სილამაზით უნდა გამოიხატებოდეს.

**ბოკაჩო**: ისე გამოიყენე მიმდინარე დრო, რომ ტყუილად დახარჯული დროის გამო სიბერეში თავი არ დაისაჯო.

**გოგებაშვილი**: ზურგის შექცევა დედა-ენისა დიდად ვნებს ხალხსა, აქვეითებს და უკან სწევს.

**ბალზაკი**: საკუთარი თავის სიყვარული მეგობრობის მტერია.

**კონსტანტინე**: გონიერი ადამიანი ყოველთვის უარესის ვარაუდიდან უნდა გამოდიოდეს.

**პასკალი**: გონებისა და ვნებების გაშმაგებული ბრძოლაა ადამიანში: მარტო გონება რომ ჰქონდეს და არა ვნებები... მარტო ვნებები რომ ჰქონდეს და არა გონება... მაგრამ, რაკი ერთიც აქვს და მეორეც, ამიტომ, გამუდმებით ეომება საკუთარ თავს, რადგან, გონებას მხოლოდ მაშინ უზავდება, როცა ვნებებს ებრძვის, ანდა – პირუკუ. ამრიგად, ის ყოველთვის გაორებულია, გათიშული, შინაგანი წინააღმდეგობებით გაწამებული.

**რუზველტი**: გაგება ორმხრივი მოძრაობის ქუჩაა.

**ციცერონი**: ბუნების ხელმძღვანელობით შეცდომა შეუძლებელია.

**გოეთე**: გმირობა ყველაფერია დიდების გარდა.

**ტოლსტოი**: ქალებს მხოლოდ ქმრები იცნობენ. მარტო ქმარი ხედავს ცოლს კულისებში. ამიტომ, ყველა ქმარი ფიქრობს, რომ ცოლად დედამიწაზე ერთადერთი ცუდი ქალი ერგო.

**უაილდი**: ქალები უჩვეულო უნარით არიან დაჯილდოებულნი: ყველაფერს ხედავენ, გარდა იმისა, რაც ცხვირწინ აქვთ.

# თუ გაქვთ იცნობთ

1. 2007 წლის 10 ივნისს ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში „ბარსელონასა" და „ესპანიოლას" შორის, დღეს ასე ცნობილმა და გულშემატკივრებისთვის საყვარელმა ფეხბურთელმა მესიმ ისეთი რამ ჩაიდინა, რითაც კიდევ უფრო დაემსგავსა მარადონას, რომელსაც მაშინ ადარებდნენ. **რა ქნა მან?**

2. გერმანიაში პირველი იყო ნიურნბერგი-ფიურტი, ინგლისში – ლივერპული-მანჩესტერი, რუსეთში – მოსკოვი – სანკტ-პეტერბურგი. საქართველოში – **?**

3. ჯონგ ლოი, ანუ „ბრძოლა ტალახში", მონგოლებსა და და თემურ ლენგის მეომრებს შორის ისეთ შეუსაბამო პირობებში მიმდინარეობდა, რომ ჯარის ერთ-ერთმა ნაწილმა ბრძოლაში მონაწილეობის მიღება ვერ შეძლო. **დაასახელეთ, ჯარის რომელი სახეობა გამოეთიშა ბრძოლას ძლიერი წვიმის გამო?**

4. ინგლისში მას „ღვთისმშობლის ფრინველს" ეძახიან, ჰოლანდიაში – „ღვთის ქმნილებას," საფრანგეთში – „ღმერთის მხეცს", რუსეთში – „ღვთის ძროხას." **რას?**

5. ომისშემდგომმა ემიგრაციამ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი მსახიობი ჩაიყვანა, თუმცა, მათ მხოლოდ ერთი მიზეზის გამო ვერ შეძლეს ღირსეული ადგილის დაკავება თეატრსა და კინოში და ამიტომ ისინი საარსებო ფულს აქტიორული ოსტატობის სწავლებით შოულობდნენ. **დაასახელეთ მიზეზი, რის გამოც იწუნებდნენ მათ ამერიკაში.**

6. **დაასახელეთ** საყოფაცხოვრებო ნივთი, რომელიც ფირმა „ერთობამ" გამოუშვა და ეს მის სახელშიცაა ასახული.

7. ნორმა ჯინ მორტინსონმა 1946 წელს ხელშეკრულება დადო 20th Century fox-თან და ის კინოსტუდიაში სტატისტად აიყვანეს. 1956 წელს ნორმა ცოლად გაჰყვა მწერალ არტურ მილერს... მიუხედავად იმისა, რომ მას სხვა რომელიმე ქმრის გვარიც შესანიშნავად გამოადგებოდა, სტუდიაში „კეროლ ლინდი" და „კლერ ნორმანი" შესთავაზეს, მან კი მაინც სხვა სასცენო სახელი აირჩია. **რა?**

8. შუა საუკუნეების ვიეტნამში მებრძოლები იყენებდნენ მოღუნულ ხმალს, რომელიც მხოლოდ ერთი მხრიდან იყო ალესილი... თუმცა, არქეოლოგიურ აღმოჩენებში მისი არც ერთი ნიმუში არ აღმოჩნდა. მეცნიერებმა შეიმუშავეს ჰიპოთეზა მათი გაქრობის შესახებ. **როგორ ხსნიან ისინი ამ მოვლენას?**

9. აინშტაინი მათ მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი და უწოდებდა „მაიმუნებს, რომლებიც სინათლით არიან გატაცებულები". თუმცა ეს დამოკიდებულება მათდამი არცთუ უსაფუძვლო იყო, რადგან ისინი ხშირად ცუდად ზემოქმედებენ ადამიანების პირად ცხოვრებაზე და, ზოგჯერ, მათდაუნებურად, ადამიანების სიცოცხლეც კი შეუწირავთ. **ვის?**

10. ქიმიურ ელემენტს, რომელიც პირველად 1910 წელს გამოყვეს, სახელი 1911 წელს ამ ქვეყნის პატივსაცემად დაარქვეს, თუმცა, ეს არჩევანი საკმაოდ სარისკო იყო, რადგან ეს ქვეყანა იმ დროს რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. **დაასახელეთ ელემენტი.**

***პასუხები იხილეთ 58-ე გვერდზე***

# გენია და სიგიჟე

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გეომეტრ **ბოლიეს** ერთი მეტად უცნაური ქცევა: მან სხვადასხვა დროს დუელში გამოიწვია 13 ახალგაზრდა და ორთაბრძოლებს შორის თავს ირთობდა ვიოლინოზე დაკვრით. საკუთარი პენსიით დაბეჭდა თავის დასაფლავებაზე მოსასვლელ ხალხთა სია, თავად გაიკეთა კუბო და მემკვიდრეებს სთხოვა, მის საფლავზე დაერგოთ ხე ევას, პარისისა და ნიუტონის სახსოვრად.

**ნიუტონს** 1693 წელს დაეწყო ფსიქიკური აშლილობა და არქიეპისკოპოსის თანდასწრებით ისეთ უაზრო მოსაზრებებს გამოთქვამდა, რომ მეგობრები იძულებული იყვნენ, სრულ იზოლაციაში ჰყოლოდათ. პაპისადმი გაგზავნილ წერილში ნიუტონი წერდა ასეთ უცნაურ ფრაზებს: „ზამთრის მოახლოებისას ყველა ჩემი ჩვევა აირია. შემდგომ ავადმყოფობამ ეს უთავბოლობა იქამდე მიიყვანა, რომ ორი კვირის განმავლობაში არ მეძინა. ვიცი, რაღაც მოგწერეთ; მახსოვს, მაგრამ, არ ვიცი, სახელდობრ რა. თუ თქვენ გამომიგზავნით წერილს, მე აგიხსნით ამას".

ნიუტონი ამ დროს ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ, თუ სთხოვდნენ, განემარტა თავისი თხზულების რომელიმე ადგილი, ის პასუხობდა: „მიმართეთ მავრს, მას ჩემზე მეტი გაეგება".

პასკალის მსგავსად, მანაც მიმართა ღმერთს წერილით, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ეს წერილი მან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში საკურთხევლის ქვეშ ამოდო.

საინტერესო ეპიზოდი არსებობს უნგრელი განმანათლებლისა და მადიარული აკადემიის დამაარსებლის, **სეჩენის** ცხოვრებიდან. ის 1848 წელს რევოლუციის მთავარი მოღვაწე და მინისტრი იყო. მას უკვე განჭვრეტილი ჰქონდა სამშობლოს ბევრი არასასიამოვნო მომავალი. ამის შემდეგ მას დაეუფლა დევნის მანია, რაც თვითმკვლელობის ჟინში გადაუვიდა, ორმოცდაათი წლის ასაკში კი განუახლდა გატაცება ჭადრაკისადმი და ისეთ აზარტში გადაეზარდა, რომ დაუქირავებს სტუდენტი, რომელიც 10-12 საათის განმავლობაში ეთამაშებოდა. სეჩენი მდგომარეობიდან გამოვიდა, სამაგიეროდ, გაუარესდა სტუდენტის ჯანმრთელობა.

**შოპენჰაუერი** ლეპემანიაკი იყო. 1831 წელს ის აიტანა შიშის ახალმა შეტევამ: მცირე ხმაურზეც კი დაშნას დასტაცებდა ხელს; მოსამსახურეს არ აძლევდა წვერის გაპარსვის უფლებას, შეიძულა ქალები, ებრაელები და ფილოსოფოსები, ხოლო ძაღლები იმდენად შეიყვარა, რომ თავისი ქონების დიდი ნაწილი ანდერძით მათ დაუტოვა. მას მუდმივად ჰქონდა ეჭვი, რომ ფილოსოფოსები მის წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებას და ამბობდა: „ჩემთვის უფრო ადვილია, ჭიებმა დაიწყონ ჩემი სხეულის ჭამა, ვიდრე მეცნიერებმა ჩემი ფილოსოფიის ღრღნა".

50 წლის ასაკში მან დედას ბრალი დასდო მამის ღალატსა და მისი ხსოვნის უპატივცემულობაში. ის უარყოფდა მონოგამიას (ერთცოლიანობას) და პატივს სცემდა ტეტრაგამიას (ოთხცოლიანობას), თუმცა, მიუღებლად მიაჩნდა, ერთდროულად ოთხი სიდედრი ჰყოლოდა.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლc4-d4!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– თემა შესანიშნავად გაქვს დაწერილი, გრამატიკული შეცდომებიც არ გაქვს, მაგრამ მაინც 9 ქულას გიწერ ტავტოლოგიისთვის: „იყო ერთი მოხერხებული მეგრელი“...

***

ავტობუსში სათნო მოხუცი ამოვიდა. წინ მჯდომმა ორმა გოგონამ, ვითომ ვერ დაინახეს, განაგრძეს ლლაბუცი. ვერ მოითმინა ერთმა მამაკაცმა და გოგონებს მიმართა.

– იქნებ ადგილი დაგეთმოთ ასაკოვანი ქალბატონისთვის.

– იქნებ მე ფეხმძიმედ ვარ, – ცინიკური ღიმილით უპასუხა ერთმა.

– შენ არ შეიძლება, ფეხმძიმედ იყო – ნიანგები კვერცხებს დებენ.

***

გადავწყვიტე, გამეკეთებინა ხორცი ღვინ-




ით... უკვე ერთი ლიტრის შემდეგ მივხვდი, რომ გაზქურასთან ჩემი ადგილი არ იყო...

***

მოსემ თქვა: ყველაფერი ღვთისგანაა.

სოლომონმა: ყველაფერი ჭკუისგანაა.

ქრისტემ: ყველაფერი გულისგანაა.

მარქსი: ყველაფერი მოთხოვნილებისგანაა.

ფროიდმა: ყველაფერი სექსისგანაა.

აინშტაინმა: ყველაფერი შეფარდებითია.

რამდენი ებრაელიცაა – იმდენი აზრია.

***

აბაზანაში ზედმეტად ცხელმა წყალმა ბავშვს




ნახევარი წლით ადრე დააწყებინა ლაპარაკი.

***

კონკურსი ქილერის ვაკანტურ ადგილზე. ბოლო დავალება: „ოთახში შეხვალ და პისტოლეტით მოკლავ საკუთარ ცოლს“.

პირველმა კონკურსანტმა მაშინვე უარი განაცხადა.

მეორე შევიდა და თხუთმეტ წუთში უკან გამოვიდა – ვერ შევძლებ საყვარელი ადამიანის მოკვლას.

მესამე შევიდა – ატყდა ხმაური, ყვირილი... და 5 წუთში გამოვიდა.

– რა „ხალასტოი“ ტყვიებით დამიტენეთ... ძლივს მოვახრჩვე...

***

– აიჩემეს – ელგებეტე, ელგებეტე... ჩვენთან რახანია ერთსქესიანი წყვილია გაბატონებული – ცოლი და სიდედრი...

***

– იმდენი სწრაფი გახდომის ხერხია, გასაგებია, 25 წლისამ რომ დიეტით 40 კილო დაიკლო, მაგრამ ის მიკვირს, როდის აიკრიფა ეს წონა?!

***

სიყვარულის ახსნა:

– გოგონა, ცხოველები გიყვარს?

– ძალიან?

– გამომყევი, მე ისეთი საქონელი ვარ...

***

მოსამართლემ დამნაშავეს განაჩენი გამოუტანა:

– 25 წელი – ციხე...

– რას ამბობთ, წელს მე 80-ის ვხდები...

– მერე რა, ჩვენ ხომ შეუძლებელს არ გთხოვთ, იჯდებით, სანამ შეძლებთ.

***

– რა ვქნა, მიხო, მიტუა ფულზე მთავაზობს... პირობა ასეთია, უნდა გავიხადო, წინ დამიგდებს ორი ათას ლარს, მე გადავიხრები და... 2 ათასი ჩემია...

– 2 ათასი?! არა უშავს... მიდი...

გადის ორი საათი, სამი, ოთხი... შემოდის მარო, მძიმე ჩანთებს ძლივს მოათრევს...

– მეხი კი დავაყარე, სად შააგროვა ამდენი ოცკაპიკიანები, იმ ჩასაძაღლებელმა მიტუამა...

***

ახალგაზრდა აფთიაქის ვიტრინასთან დგას, ჩაფიქრებული...

– ნუ გრცხვენიათ... რომელი პრეზერვატივი გნებავთ, – გამოელაპარაკა აფთიაქარი.

– უკვე გვიანაა, პამპერსი და ბავშვის საკვები...

***

– გოგონა, რამდენი წლის ხარ?

– დაგიჭერენ, ბიძია, დაგიჭერენ!

***

– რა არის მრავალფეროვნება?

– ეკა, ლიკა, მაკო... – აი, ეს არის მრავალფეროვნება.

– აჰა, გასაგებია – ზუკა, გუკა, კაკი...

– ეეე... შენ ბოზობას მრავალფეროვნებაში ნუ ურევ.

## ცნობილ ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

თავადი გიორგი ერისთავი სოფლიდან თბილისში ჩამოვიდა. ერთხელ ბულვარზე სიარულის დროს შემოხვდა ერთი მოქალაქე და ჰკითხა:

– კნიაზო, ისეთი რა საქმე გაქვსთ, რომ ამდენი ხანი აქ არ იმყოფებოდითო?

– მე ქართველი ვარ და, მაშასადამე, ან ფული მაქვს და იმის დახარჯვასა ვცდილობ, ან აღარა მაქვს და დავეძებ შინ წასასვლელადაო, – მიუგო ერისთავმა.

***

ქუთაისში აკაკის მონაწილეობით საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილენი მეორე თუ მესამე დღეს სურათის გადასაღებად ბაღში შეიკრიბნენ და ერთი ახალგაზრდა შეეკითხა პოეტს:

– რა აზრისა ხართ, პატივცემულო აკაკი, ახალგაზრდა მგოსნებზე?

– რა გითხრათ, – მიუგო აკაკიმ, – სტუდენტობის დროს ერთი პროფესორი გვყავდა. დიდად განათლებული კაციაო, ამბობდნენ, მაგრამ ჩვენ, სტუდენტები, მისი წაკითხულიდან ვერას ვგებულობდით. ეგევე ითქმის ზოგიერთ ახალგაზრდა მგოსანზე: შესაძლებელია, ძალიან კარგებიც იყვნენ, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ – როგორც მე, აგრეთვე ხალხს არა გაეგება-რა მათი.

***

ერთი გრძელიცხვირისა და გრძელი პირის პატრონი არწმუნებდა აკაკის:

– ბევრ ცუდს ამბობენ ჩემზე ხალხში, მაგრამ ტყუიან და ნუ დაუჯერებთო.

– მეც ვხედავ, რომ ტყუიანო, – მიუგო პოეტმა, მთელი ქვეყანა, ერი და ბერი, სულ იმას ამბობს შენზე, უცხვირპიროაო და შენ კი, რომ უნდა, იმაზე მეტიც გქონია ორივეო.

***

ირაკლი აბაშიძეს მუდამ საყვედურობდნენ მთავრობასთან სიახლოვეს. ერთ მანდილოსანს უთქვამს კიდეც:




– რა არის, სულ ხელისუფლების წარმომადგენლებთან რომ მეგობრობ?

– ახლა შოთა რუსთაველის იუბილეს ჩატარება მინდა, მომეცი 2 მილიონი მაგ საქმისთვის და ხელისუფლებას აღარ გავეკარები, სულ შენთან ვიქნებიო, – უპასუხია ბატონ ირაკლის.

# შეკითხვა ექიმს



***კითხვებს პასუხობს „კუზანოვ დენტის" ხელმძღვანელი, იმპლანტოლოგი რობერტ აგამირიანი.***

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ზაფხულში, როცა ცხელა, იმპლანტაცია და საჭიროა თუ არა, წინასწარ მოემზადოს პაციენტი ამ ოპერაციისთვის?**

**პასუხი:** სეზონურობას იმპლანტაციისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. თამამად შეგიძლიათ, ზაფხულშიც გაიკეთოთ იმპლანტაცია, თქვენთვის საჭირო რაოდენობით.

**კითხვა: რა ჯდება ხარისხიანი იმპლანტი თავისი კბილით? ფასიანია თუ არა კონსულტაცია?**

**პასუხი:** კლინიკა „კუზანოვ დენტში" კეთდება მხოლოდ უმაღლესი ხარისხის იმპლანტები, რომლებიც აპრობირებულია მსოფლიო ბაზარზე. ფასები იწყება 600 ლარიდან. რაც შეეხება გვირგვინის ღირებულებას, 300 ლარიდან იწყება – გააჩნია კონსტრუქციას და გააჩნია იმპლანტს. კონსულტაცია კლინიკაში უფასოა.

**კითხვა: საშუალოდ რა პერიოდი სჭირდება, ერთი იმპლანტის გაკეთებას და ხომ არ აქვს რაიმე უკუჩვენება ამ ოპერაციას?**

**პასუხი:** ერთი იმპლანტის ჩასმას სჭირდება 15-20 წუთი პაციენტის სავარძელში ჩაჯდომიდან. გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, პაციენტის ზოგადი მდგომარეობა.

**კითხვა: როგორ უნდა მოემზადოს პაციენტი იმპლანტაციისთვის, ხომ არ არის აუცილებელი რამე პრეპარატის მიღება?**

**პასუხი:** იმპლანტაციამდე პაციენტს უტარდება ყბის ძვლის ტომოგრაფიული კვლევა. რის მიხედვითაც დგინდება იმპლანტების რაოდენობა და შეირჩევა ზომა – შესაბამისი სიგრძე და დიამეტრი. ხუთი საათით ადრე იმპლანტაციამდე პაციენტს ენიშნება ანტიბიოტიკური თერაპია.

KUZANOV DENT

**P.S. თქვენთვის საინტერესო შეკითხვით შეგიძლიათ მიმართოთ კლინიკას ტელეფონის ნომერზე: 233 33 01 ან მისამართზე: ასლანიდის №14.**

## რატომ ჩავარდა ეკალ-ბარდებში კახელი „შეუფშტვინე" და როგორ გადაარჩინა ის ზაქრუამ ცეცხლით

ბეჟან შავყულაშვილი ბავშვობიდან პანტა მსხლის მოყვარული ჯეელი გახლდათ. ცოტა „შეუფშტვინე" ტიპი იყო და ეგრეც დაარქვეს – „შეუფშტვინე".

მოსული იყო, მსხვილი და მხარბეჭიანი. ჭკუაც რომ იმდენი ჰქონოდა, რაც წონა, ასეთ ამბავში არ გაეხვეოდა, მაგრამ ღმერთი, ის დალოცვილი, ყველაფერს ზუსტად განაგებს. ღმერთს რომ ცოტათი „მოვეფერე," არ მიწყენს, რადგან წინ ამბავი მაქვს მოსაყოლი და წესით, უნდა დამაცადოს, ვენაცვალე მის განგებას.

სახლიდან ერთ-ორ კილომეტრში ყანა-ვენახი ჰქონდათ ბეჟანიანთა. ეს თავს არ იკლავდა თოხნა-ბარვით, მაგრამ მსხლის მწიფობაზე გადაირეოდა ხოლმე – აიდა და დაა!

პაპანაქება ზაფხულია და ეს საზაფხულო მსხალიც შემოსულა რა... მწიფობს და არც მწიფობს, მაგრამ შეუფშტვინეს რომ უნდა?!

დილაადრიან აიღო თოხი და ამ თავის ნაკვეთში არ გასწია მძიმე ნაბიჯებით?! ვენახის მოშორებით მსხლის ხე ეგულება, თორემ რისი თოხი, რა ბარი...




დათვივით აბობღდა ხეზე და გიყვარდეს! – თხლაშ – ერთი მსხალი, თხლაშ – მეორე, თხლაშ – მესამე... თხლაშ, თხლაშ... თქვლიფინებს რა!

ერთი ტოტი რომ მოილია და მოასუფთავა, ახლა მეორეზე გადაიბლოტ-გადაძონძორდა მძიმე-მძიმედ. იქაც მოიმსხალ-მოისიყვარულა და... დამძიმდა, კაცო! მესამეზე რო გადაიბლოტა, ტოტმა ველარ გაუძლო, ერთი დაიწკიპინ-დაიჭრიალა და „ზღართ"... ჩამოეშვა „სამოთხი ბაღიდან" ჩვენი შეუფშტვინე.

წინასწარ გული ნუ გაგისკდებათ. კარგის მაცნე ვარ, ბეჟანა გადარჩა იმ უბრალო ჭეშმარიტების გამო, რომ მსხლის ქვემოთ უზარმაზარი ბარდ-შამბნარი და ეკლიანი ბუჩქები იყო და ნარნარად დავარდა.

დავარდა, მაგრამ გაიხლართა. გაანძრია ხელფეხი და გვარიანადაც დააბოყინა „მსხალგატენილმა", მაგრამ (ერთი პრეზიდენტის არ იყოს) „ნურას უკაცრავად"! ველარ გამოდის. გაინძრევა და ჭაობში ჩაფლულივით უფრო და უფრო ესობა ეკლები და იხლართება შამბნარ-ლელიანში.

პირველად, გალიაში მოხვედრილი ლომივით დაიბდღვინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მერე დათვივით დატრიალდა, მაგრამ ეკლები მთელ ტანზე მოედო. გაიხლართა და გაიხლართა. ამომწარდა და ამოშხამდა მსხალი უბედურს.

კიდევ გაიბრძოლა, მაგრამ უარესად გაეხვია ამ უბედურებაში და სასოწარკვეთილმა იყვირა: მიშველეთ, ხალხო!

მუდამ მშრომელი კახელების ყურებსაც მისწვდათ ხმა მეზობელ ვენახ-ყანებში.

ვაიმეო, შეუფშტვინე გასაჭირშიაო. დაიძრნენ და დაიძრნენ... თოხებითა, ფიწლებითა, ნიჩბებითა, მაგრამ ამის საშველი არაა. ძალიან ღრმადაა „დაბუქსავებული" და იქამდე ვერანაირი ადგილობრივი ტექნიკით ვერ მიდიან. არადა, ესეც მონდომებულად იწმაწნება. უარესი და უარესი... სულ გაიხლართა.

– მიშველეთ, ხალხო! – ისევ მოუწოდა ისედაც მონდომებულ თანასოფლელებს. ამათაც რაღა ქნან?

კახელები უალალესები არიან და მაქსიმალურად შევიდნენ მდგომარეობაში, მაგრამ არაფერი გამოდის. შეიძრა დიდი და პატარა.

– გოლავ, – მიმართეს ბუღალტერ კარუკუღმართაშვილს – შენ თუ უშველი, ჯო!

– ეაა, მე ამი და იმისიც დედა რა ვთქვი, – როგორა, როგორა, ჯო? კაცი ეკალბარდებშია გახვეული. განა მშობიარობს? გინდაც მშობიარობდეს, მე რა შემიძლიან?!

სოფელი სასოწარკვეთილებაშია, ბეჟანა – ბარდი-ბურდებში.

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს, კაცსა შენგან განაწირსა".

ტრაქტორისტი ზაქრუა მოგრუხუნდა თავი ტრაქტორითა.

– ე რა ხდება, ხალხო!

– ეგე, ჩვენი შეუფშტვინე იგრეთ დღეშია, რო მეტი არ შაიძლებაო, – ამათმაც.

– იიი, შენ კი რა გითხარ, ჯოო! – ჩამოქვეითდა ტრაქტორისტი... აბა, ეს საქმეა? არა, ეს საქმეა? რა გინდოდა, ჯო, მანდა?! – გასძახა ეკალბარდებში გახლართულ, დასისხლიანებულ მსხალნალმურძლს.

ბეჟანას „ქვევრი" ჰქონია „ნაყურები" და „ბალღობიდან აქა ვზივარო", – გამოსცრა გამწარებულმა. კახელებსაც მეტი რა უნდათ, – ხაა, ხა, ხააოო!

– უხ, მე შენი დედა კი რა ვთქვი, შენი, აჰა!

– „წაუნიავა" დედამისს ტრაქტორისტმა.

– შენ თუ გვიშველი, ზაქროვ! – შენ მარჯვენას ვენაცვალეთ, განა! – თაფლად იქცნენ კაცის საცოდაობაში შესული ალალი კახელები.

– ახლა მაცათ თქვენაა! – ხელები დაიკაპიწა ტრაქტორისტმა.

– რას აპირებ, ჯო? – ცუდად ენიშნა ერთს.

– ფსიქოლოგიჩესკი ტრიუკ გავუკეთებ მე მაგასა... წესით, უნდა გაჭრას.

– თუ გინდა, დედაც მოუ...ი, ოღონდ კაცი გადაარჩინე, ჯო! – იმედი მიეცათ შეკრებილებს.

– ჰოო და ჰოო... მაცათ ეხლა!

ზაქრუამ ტრაქტორის კაბინიდან „ზაპასი" „სალიარკიანი" ბოთლი გადმოიღო, ერთ ხელში დაიჭირა და ტერორისტს რომ ელაპარაკებიან, იმ ტონით:

– ეე, ბიჯო, ბეჟან... ამ ბოთლ ხედამ?

გახლართულმა ბოთლი დაინახა, და იფიქრა, – ეს აგონიის წინა საშუალებაა, ალბათ, სიკვდილი უნდა გამიადვილოსო და გაიბადრა:

– ჭაჭისაა თუ მსხლისა, ზაქროვ?

– ზაკუსკა კი არ გინდა დასაყოლებლად? – გაცინიკოსდა ეს – ტრაქტორისტი, – ესაა სალიარკა... დავასხამ ეხლა ბუჩქებსა და მემრე ვნახოთ შენი ლეზგინკაი!

– არა... არ გაბედო, ჯო! – მირჩევნიან, აქ ვიყო, ცეცხლი არ მამიკიდო, კაცო! – აფართხუნდა საწყალი.

– მა ის კაი იყო, ჩემ ვირ რო ვენახი ბოლოში ეარშიყებოდი გასულ ხუთშაბათსა? გეგონა, ვერ დაგინახე?

– ვისა, კაცო, შენ ვირსა? – ეე, მასხრობა არ იცი, კაცო, შენა? – მაშინვე დაგოიმდა შეუფშტვინე... ეე, მასხრობა არ იცი? განა, არ ვიცი, რო ი ვირი გეტყოდა... ეჭვიანობის ნიადაგზე უნდა დამწვა, არა? შენ მაინც არ გერგებოდა ის ვირი, კაცო! ოჯახი წევრია, ნათესავად გეკუთვნის და მე რა... მთვრალი ვიყავ... მაპატიე, რა! – „წამოეგო".

კახელებს მასხრობას შენ ასწავლი? ატყდა ხარხარი. ზაქრომ ბუჩქებს სალიარკა დაასხა და აბრიალდა ცეცხლი.

– რას შვრები, კაცო! – ღმერთი არა გწამ შენა? – ვაიმეე, – დატრიალდა შეუფშტვინე ცეცხლის დანახვაზე და წამის მეასედში უკვე მინდორში გარბოდა ბარდ-ეკლიდან გათავისუფლებული.

– შენ კი გაიხარე, ზაქროვ, შენა! – მხარზე ხელს უტყაპუნებდნენ შვებამოგვრილი კახელები მხსნელ ტრაქტორისტს.

შეუფშტვინე კი უკვე სახლს უახლოვდებოდა.

**გენო ონაშვილის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

**ქართველი მომღერალი, დიანა ღურწკაია, უკვე წლებია, მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და მუსიკალურ კარიერას რუსულ შოუ-ბიზნესში განაგრძობს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იშვიათად ახერხებს ჩამოსვლას, მშობლიურ კუთხეს ის არასდროს ივიწყებს. უფრო მეტიც, როგორც თავად აღნიშნა, საქართველო მისთვის ყველასა და ყველაფერზე მნიშვნელოვანია. დიანას საზაფხულო გეგმებში სამშობლოში ჩამოსვლა პირველ ადგილზეა და მალე თბილისს ეწვევა. ამ მოგზაურობას კი სულმოუთქმელად, ელოდება მისი 7 წლის ვაჟი, კონსტანტინე.**

# რისი მონატრებით უჭირს სუნთქვა დიანა ღურწკაიას და სად გრძნობს თავს ის ყველაზე კომფორტულად

**– დიანა, როგორია თქვენი საზაფხულო გეგმები? ალბათ, ემზადებით დასვენებისთვის.**

– უპირველესად, ალბათ, თავის წესრიგში მოყვანა მნიშვნელოვანია საზაფხულოდ, მით უმეტეს, რომ ჩემი სამსახური სხვაგვარად არც მაძლევს უფლებას და წარმოუდგენელია, ფორმაში არ ვიყო. აქტიურად ვარ ჩართული სპორტში. ძალიან მიყვარს ცურვა და როცა დრო მაძლევს ამის საშუალებას, ვცურავ. სახლში მაქვს სარბენი ბილიკი, რომელზეც დღეში ერთხელ, 40 წუთიდან ერთ საათამდე აუცილებლად ვვარჯიშობ. ჩემი სიტუაციის გამო, სხვა ტრენაჟორებით სარგებლობა არ შემიძლია. ამიტომ, ერთადერთი, რაც ჩემთვის მოსახერხებელია, ეს არის სარბენი ბილიკი. ვარჯიში აუცილებელია. ერთი საათი ისე სწრაფად გადის, რომ საერთოდ ვერ ვგრძნობ.

**– ამიტომაც ხართ სულ ფორმაში.**

– დიდი მადლობა. ისე, არასდროს არ ვიკლავ დიეტის დაცვითა და უჭმელობით თავს. ძალიან მჭამელი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ვცდილობ, საღამოს 6 საათის შემდეგ არ მივირთვა. ორგანიზმისთვისაც არ არის კარგი გვიან ჭამა. ასე რომ, დიეტით თავს არ ვიზღუდავ და არც არის რეკომენდებული. იმდენი სამუშაო მაქვს, ისე ხშირად დავფრინავ სხვადასხვა ქალაქში, რომ კვების სპეციალურ რეჟიმს თავს ნამდვილად ვერ გავართმევ. ზოგი თუ ხორცეულზე გიჟდება, მე ნაკლებად. თავისუფლად შემიძლია, ვიყო ხორცის გარეშე, მშვენივრად ვგრძნობ თავს. ტკბილზეც არ ვგიჟდები, შეიძლება, სხვისი ხათრით შევჭამო. ალბათ, ამიტომაც არ მაქვს არასდროს ზედმეტი წონის პრობლემა.

**– კონსტანტინე უკვე დიდი ბიჭია და ალბათ, სკოლისთვისაც ემზადებით.**

– ჩემი ბიჭი დაითხოვეს უკვე საბავშვო ბაღიდან და ვემზადებით სკოლისთვის. ჩვენთან დადიოდნენ მასწავლებლები, რომლებიც სხვადასხვა საგნებში ამზადებდნენ მას. დავდივართ ქართულ ცეკვებზე, ჩოგბურთზე, ჩავაბარეთ მუსიკალურ სკოლაში. იმდენად დატვირთულია ჩვენი გრაფიკი, რომ ელემენტარული დასვენების დროც კი არ გვქონდა. ამიტომ, რა თქმა უნდა, სკოლაში წასვლამდე, მინდა, დავასვენო და ვემზადებით ამისთვის. მინდა, თბილისში წამოვიდეთ და ამ ზაფხულს აუცილებლად ჩამოვალთ. არც ერთ ქვეყანაში არ შემიძლია, დავისვენო ისე კარგად, როგორც ჩემს ქვეყანაში, კერძოდ, თბილისში. ძალიან მენატრება თბილისი და ამიტომ, ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვალ. მინდა, ბავშვმაც ნახოს თბილისი, თბილისური სიტუაცია, ხალხი. სულ მინდა, ქართული ტრადიციების შესახებ ბევრი იცოდეს. დრო გადის და ყველაფერი ელვის სისწრაფით იცვლება. პრინციპში, რაც არ უნდა შეიცვალოს, არ მინდა, რომ ქართული ტრადიციები დაგვავიწყდეს.

**– თბილისში არ არის ნამყოფი?**

– როგორ არა, ნამყოფია. დიდი სიამოვნებით არის ხოლმე თბილისში და ძალიან უყვარს მანდ ყოფნა. ჩემი ძმა ოჯახით უკვე გამოემგზავრა თბილისში. ჩემი ბიჭი



**არასდროს ვიკლავ დიეტის დაცვითა და უჭმელობით თავს. იმდენი სამუშაო მაქვს, ისე ხშირად დავფრინავ სხვადასხვა ქალაქში, რომ კვების სპეციალურ რეჟიმს თავს ნამდვილად ვერ გავართმევ**

და ძმისშვილი, სანდრო, ტოლები არიან და ერთად ძალიან დიდ დროს ატარებენ.

**ჩემი სიტუაციის გამო სხვა ტრენაჟორებით სარგებლობა არ შემიძლია. ამიტომ, ერთადერთი, რაც ჩემთვის მოსახერხებელია, ეს სარბენი ბილიკია**

თბილისში წასვლის წინა დღეს ერთ ამბავში იყვნენ. სანდროს კონსტანტინეს გარეშე არ უნდოდა წამოსვლა, ამას კი მის გარეშე დარჩენა. საკმაოდ რთული გაცილება ჰქონდა ორივეს. მეც მივეცი პირობა, რომ მალე ჩვენც აუცილებლად ჩამოვალთ თბილისში-მეთქი.

**– საქართველოში ყოფნის დროს მხოლოდ დაისვენებთ, თუ პარალელურად, მუშაობასაც გეგმავთ?**

– აუცილებლად განვაგრძობთ მუშაობას ქართულ ალბომზე, რომლის გამოშვება გაგვიგრძელდა და ძალიან ნელი ნაბიჯებით მიდის წინ. მთელი სული და გულით მინდა, თბილისში ჩამოსვლა და დასვენებასთან ერთად, ალბომზე მუშაობა.

**– რამდენი ხნით გეგმავთ თბილისში დარჩენას?**

– ალბათ, აგვისტოს ბოლომდე. სკოლის დაწყებამდე 10 დღით ადრე წამოვალთ, რომ დასვენების შემდეგ, ბავშვი სკოლისთვის მოემზადოს. სკოლა-გიმნაზიაში შევიყვანეთ, სადაც ურთულესი სწავლის მეთოდია. თუ პირველ პერიოდში ელემენტარული წაზორძიკება შეექმნა, მერე უკვე გაუჭირდება. ამიტომ, ცოტა ადრე წამოვალთ თბილისიდან, რომ სწავლის დაწყებამდე ისევ მასწავლებელი მოვიდეს ჩვენთან, რაღაც რაღაცეები შეახსენოს და ცოტა ბიძგი მისცეს. რა თქმა უნდა, ყველა მშობლისთვის მთავარი შვილია, ისევე როგორც ჩემთვის. არ მინდა, რაღაც დავაკლო ჩემს შვილს. გაორკეცებით ვფიქრობ იმაზე, რომ ბავშვმა რაღაცას მიაღწიოს, ბევრი რამ შეისწავლოს და ასე შემდეგ. უპირველესად, ჩემთვის მთავარი მაინც ის არის, რომ კარგი ადამიანი გაიზარდოს.

**– თბილისში ამ ზაფხულს მთელი ოჯახი შეიკრიბებით.**

– ამ სიტუაციას ყოველთვის დიდი სიხარულით შევხვდებით. შარშან აღდგომას ვიყავი ჩამოსული და მას მერე არ ვყოფილვარ. დედაჩემის საფლავზეც დიდი ხანია, არ გავსულვარ, რაც ძალიან მაკლია. იმ დონეზე მინდა თბილისში ჩამოსვლა, სუნთქვა მიჭირს. ადრეც ხომ მენატრებოდა მანდ ყოფნა, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო მეტად გვაწვება მონატრება. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, სადაც არ უნდა ვიყო, როგორც არ უნდა ვიყო, ჩემს თბილისსა და საქართველოს, მაინც ვერაფერი შეცვლის. მესიზმრება საქართველო, ქართველი ხალხი, ნათესავები, მეგობრები... არანაირად არ შეიძლება იმის დავიწყება, სადაც დაიბადე და გაიზარდე. თბილისს ძალიან ბევრი მოგონება უკავშირდება, ამიტომ ძალიან მიყვარს. მანდ მე სხვანაირად ვსუნთქავ. ჩვენები უკვე თბილისში არიან და მეც მალე დავედევნები მათ უკან.

**მარიკა ხიდურელი**

ხ 65/26


ბილაინი®

# ულიმიტო

*ბილაინ მიქსი*

## ყველაზე დაბალი ფასი!

# 25

## ლარი

- ულიმიტო წუთები ადგილობრივ ქსელებზე
- ულიმიტო SMS-ი
- ულიმიტო ინტერნეტი

აქტივაციის კოდი ***110*250#**

11 01 01

www.beeline.ge